ძიებანი

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

2.1973

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных наук

თბილისი·1973 ТБИЛИСИ

მაცნე

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

2.1973

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე ვ. გაბაშვილი, ი. **კაჭარავა** (რედაქტორის მოადგილე), **რ. კიკნაძე** (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), **გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*). Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили.

პასუხისმგებელი მდივანი ე. ეაშაკიძე
Ответственный секретарь **Э. Вашакидзе**

შ ი ნ ა ა რ ს ი

წერილები

ნ. შველიძე, საქართველო 1923 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 7
ნ. როდონაია, თბილისის და მისი გარეუბნების სოფლის მეურნეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში 19
მ. გეგეშიძე, აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ 32
ზ. ცინცაძე, აღმოსავლეთ საქართველოს გეიანი შუასაუკუნეების ფეოდალურ-ტერიტორიული ერთეულები . . . 56
ვ. ბერიძე, ხობის ტაძრის ისტორიისათვის 72

ცნობები და შენიშვნები

ბ. შაფაქიძე, მეჩაიეობის განვითარების ისტორიიდან საქართველოში (1933—1937 წწ.) 89
რ. ბარკალაია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის სათავეებთან . 99
გ. ალასანია, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქათიბ ჩელების ცნობათა შუქზე 111
გ. ელიავა, ქართა (აგვარა) სამეგრელოში . . . 129
თ. ჩიქოვანი, დასახლების ფორმები ცენტრალურ მცირე კავკასიაში . 136
ი. ფიფია, გერმანია-თურქეთის მოცილეობა ამიერ-კავკასიაში 1918 წელს . . . 146
ი. სამსონია, ტანსაცმლისათვის განკუთვნილი ქსოვილების დამზადების ხალხური წესები აჭარაში . . 153

პუბლიკაცია

რ. კიკნაძე, ახალი მასალა XIII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის 165

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. კიკვაძე, სპარსეთის ყურე ბრიტანეთის იმპერიალიზმის პოლიტიკაში 180
ა. კლიევი, კავკასიისმცოდნეობის ლიტერატურის მნიშვნელოვანი შევსება 183

ქრონიკა და ინფორმაცია

ი. ტაბაღუა, საბჭოთა კავშირისა და იტალიის ისტორიკოსთა V კონფერენცია მოსკოვში 187
ვ. ითონიშვილი, ეთნოგრაფიული ექსპედიცია ახმეტის რაიონში 1972 წელს 194
მ. ნიკოლეიშვილი, ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი 1972 წელს 198
ა. ჭყონია, ეანის არქეოლოგიური ექსპედიციის სესიაზე 200

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Н. ШВЕЛИДЗЕ, Грузия на Всесоюзной сельскохозяйственной выставке 1923 года . 7
Н. РОДОНАЯ, Сельское хозяйство Тбилиси и его пригородов во второй половине XIX века 19
М. ГЕГЕШИДЗЕ, Академик И. Джавахишвили о внутренних хозяйственно-культурных взаимосвязях Грузии 32
З. ЦИНЦАДЗЕ, Феодально-территориальные единицы позднего средневековья Восточной Грузии 56
В. БЕРИДЗЕ, К истории Хобского храма 72

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Б. ШАПАКИДЗЕ, К истории развития чаеводства в Грузии (1933—1937 гг.) 89
Р. БАРКАЛАЯ, У истоков социал-демократического движения в Грузии . . 99
Г. АЛАСАНИА, Некоторые вопросы истории Грузии в свете сведений Катиба Челеби 111
Г. ЭЛИАВА, Карта (агвара) в Мегрелии 129
Т. ЧИКОВАНИ, Формы поселения на Центральном Малом Кавказе . 136
Г. ПИПИЯ, Германо-турецкое соперничество в Закавказье в 1918 году . 146
И. САМСОНИЯ, Народные способы изготовления тканей для одежды в Аджарии 153

ПУБЛИКАЦИЯ

Р. КИКНАДЗЕ, Новый материал по истории Грузии XIII века 165

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Н. КИКВАДЗЕ, Персидский залив в политике британского империализма 180
А. ПЛИЕВ, Ценное пополнение кавказоведческой литературы . 183

ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

И. ТАБАГУА, V Конференция советских и итальянских историков в Москве . 187
В. ИТОНИШВИЛИ, Этнографическая экспедиция в Ахметском районе в 1972 году 194
М. НИКОЛЕЙШВИЛИ, Кутаисский государственный музей в 1972 году 198
А. ЧКОНИЯ, На сессии Ванской археологической экспедиции 200

წ ე რ ი ლ ე ბ ი

ნ. შველიძე

საქართველო 1923 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

სსრ კავშირის პირველი სასოფლო-სამეურნეო და კუსტარული მრეწველობის გამოფენა თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენდა საბჭოთა გლეხობის ისტორიაში. თვით ის ფაქტიც კი, რომ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მოეწყო 1923 წელს — მძიმე სამეურნეო-ეკონომიური ვითარების დროს, მასზე ეტყველებს თუ რა დიდ სამეურნეო-პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა ვ. ი. ლენინი და საბჭოთა მთავრობა საექსპოზიციო-საგამოფენო საქმის ორგანიზაციას. „უდიდეს მნიშვნელობას ვაძლევ გამოფენას; დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ორგანიზაცია აღმოუჩენს მას სრულ დახმარებას. სულით და გულით გისურვებთ საუკეთესო წარმატებას“[1] — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა სასოფლო-სამეურნეო გამოფენის წინაშე რიგ სერიოზულ ამოცანებს აყენებდნენ. უწინარეს ყოვლისა, გამოფენას უნდა ეჩვენებია თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობა აღდგენითი პერიოდის დასაწყისისათვის და როგორი იყო მისი განვითარების პერსპექტივები[2]. უნდა გამორკვეულიყო წარმოების რა საშუალებანი შემორჩა სოფელს, როგორი იყო შემოქმედებითი ენთუზიაზმი მეამბულური კაბალისაგან განთავისუფლებული გლეხთა მილიონიანი მასებისა, რომლებმაც მიიღეს მიწა, თავისუფლება და იწყებდნენ ახალი ცხოვრების შენებას.

გამოფენის მიზანს შეადგენდა სოფლის მეურნეობის აღდგენის პირველ ღონისძიებათა შედეგების ჩვენება, საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი გლეხობის გამოცდილებათა გაზიარება, მიწათმოქმედების კოლექტიური ფორმების უპირატესობის პროპაგანდა. მას უნდა განესაზღვრა მოწინავე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვითარების, მეცნიერების მიღწევების დანერგვისა და საცდელ-საჩვენებელი სადგურების შედეგების გლეხურ მეურნეობაში გამოყენების პერსპექტივები.

გამოფენაზე საგანგებო ყურადღება ეთმობოდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გლეხთა კოოპერირების მნიშვნელობის ჩვენებას, ეს იყო ლენინური კოოპერაციული გეგმის თვალსაჩინო აგიტაცია და მუშათა და გლეხთა შორის სამეურნეო-პოლიტიკური კავშირის განმტკიცების ერთ-ერთი თვალსაჩინო ფორმა.

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ყურადღებას იპყრობს, როგორც ახალშექმნილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პირველი საკავშირო სახელმწიფოებრივი ღონისძიება, რომელმაც ნათლად გამოამჟღავნა სოციალის-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 512.

[2] საქ. სსრ ორცსა, ფ. 600, ან. 1, ს. 233, ფ. 1.

ტური რესპუბლიკების ერთიან კავშირად გაერთიანების მნიშვნელობა და შესაძლებლობანი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისა და ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის.

განსხვავებით ყველა წინანდელი გამოფენებისაგან, როგორც რუსეთში ისე საზღვარგარეთ, რომლებიც მემამულეთა და კაპიტალისტთა მიღწევების ჩვენება იყო, მოსკოვის პირველი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა წარმოადგენდა წვრილგლეხურ და კოლექტიურ მეურნეობათა მიღწევების გამოფენას, ექსპლუატაციისაგან განთავისუფლებული მშრომელი გლეხობის სამეურნეო შემოქმედების დემონსტრაციას.

გადაწყვეტილება მოსკოვში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობის შესახებ მიღებულ იქნა ვ. ი. ლენინის ინიციატივით 1921 წლის დეკემბერში სრულიად რუსეთის საბჭოების IX ყრილობაზე, მაგრამ შიმშილიანობის მძიმე 1922 წელს ვერ მოხერხდა გამოფენისათვის მზადების ფართოდ გაშლა. მხოლოდ 1922 წლის ოქტომბრიდან დაიწყო ფაქტიურად გამოფენის ორგანიზაციის შესახებ საბჭოების IX ყრილობის გადაწყვეტილების განხორციელებისათვის მუშაობა, როცა სრულიად რუსეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება 1923 წლის აგვისტოში სრულიად რუსეთის პირველი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მოწყობის შესახებ[3]. მალე სსრ კავშირი შეიქმნა და გადაწყდა არა სრულიად რუსეთის, არამედ სრულიად საკავშირო გამოფენის მოწყობა.

ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ გამოფენის მოწყობა მიჩნეულია საგანგებო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმედ. გამოფენის მზადებისათვის მუშაობას სათავეში ჩაუდგა ცაკთან არსებული სასოფლო-სამეურნეო კომისია მ. ი. კალინინის მეთაურობით. შემდეგში, 1923 წლის 1 თებერვლიდან, გამოფენისათვის მზადების მთელ მუშაობას ხელმძღვანელობდა მთავარი საგამოფენო კომიტეტი[4].

1922 წლის დეკემბერში სრულიად რუსეთის საბჭოების X ყრილობამ საგანგებოდ მოისმინა მოხსენება გამოფენისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ. ყრილობამ აღნიშნა გამოფენის ორგანიზაციის საქმეში მიღწეული წარმატებანი და დაავალა სახკომსაბჭოს ყოველმხრივი დახმარება გაეწია საგამოფენო კომიტეტისათვის. ყრილობამ მოწოდებით მიმართა საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოსა და მშრომელ მოსახლეობას, რათა ეჩვენებიათ გამოფენაზე სოფლის მეურნეობის აღდგენის საქმეში მიღწეული წარმატებანი, ახალ, სოციალისტურ საწყისებზე სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები.

ყრილობის დელეგატები მთელი სერიოზულობით ეკიდებოდნენ გამოფენისათვის მზადების საკითხს. ეროვნებათა საქმეების სახალხო კომისარიატმა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების წარმომადგენლებთან ერთად საგანგებოდ მოიწვია ყრილობის დელეგატთა თათბირი, რომელმაც მოწოდებით მიმართა ყველა ეროვნების გლეხებს გამოფენაზე აქტიური მონაწილეობისათვის[5].

სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების მთელ მუშაობას ხელმძღვანელობდა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი. 1923 წლის 22 მარტს პარ-

[3] М. И. Федорова, Первая Всесоюзная сельскохозяйственная выставка, М., 1953, გვ. 12.

[4] საქ. სსრ ორცსა, ფ. 288, ან. 1, ს, 689, ფ. 2.

[5] მ. ი. ფედოროვა, დასახ. ნაშრ., გვ. 13.

ტიის ცენტრალური კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების ცენტრალურმა სასოფლო-სამეურნეო კომისიამ, განიხილა რა სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების საკითხი, მიიღო მუშაობის ერთიანი გეგმა; ამასთან ერთად თავისი წარმომადგენელი გაგზავნა მთავარ საგამოფენო კომიტეტში — **ძუშაობის გაუმჯობესების მიზნით.** ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ მთავარ საგამოფენო კომიტეტში თავი იჩინა გამოფენის პოლიტიკური მნიშვნელობის შეუფასებლობამ და შეცდომებმა.

მთავარი საგამოფენო კომიტეტი, როგორც ეს აღნიშნა 1923 წლის 30 მარტს ეროვნებათა სახალხო კომისარიატის დიდმა კოლეგიამ, არასაკმაო დაინტერესებას იჩენდა გამოფენაზე მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლობით, რის გამოც დიდად შეუმცირეს მათ სახსრები ხარჯთაღრიცხვაში. მთავარი საგამოფენო კომიტეტი მოკავშირე რესპუბლიკებს დოტაციის სახით ადგილობრივი ხარჯთაღრიცხვის მხოლოდ 25 პროცენტს აძლევდა, მაშინ როდესაც რუსეთის გუბერნიებისათვის 40 პროცენტი იყო გათვალისწინებული. კოლეგიამ კატეგორიულად მოითხოვა ხარჯთაღრიცხვის გადასინჯვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის სახსრების გადიდების თვალსაზრისით.

მიუხედავად ეროვნებათა სახალხო კომისარიატის გაფრთხილებისა მთავარი საგამოფენო კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად წარმართავდა გამოფენისათვის მოკავშირე რესპუბლიკების მზადების საქმეს, რის გამოც 1923 წლის ივნისში ეროვნებათა სახალხო კომისარიატი იძულებული გახდა მთავარი საგამოფენო კომიტეტის არასწორი მოქმედების შესახებ საკითხი დაეყენებია რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წინაშე; ამავე დროს სასწრაფოდ გაეგზავნა წერილი მ. ი. კალინინს მოკავშირე რესპუბლიკებისათვის ხარჯთაღრიცხვის გარეშე დაუყოვნებლივი ასიგნებისა და სარკინიგზო თუ სხვა შეღავათების დაწესების შესახებ.

პარტიული და საბჭოთა ორგანოების, განსაკუთრებით ეროვნებათა სახალხო კომისარიატის პრინციპული პოზიციის წყალობით შესაძლებელი გახდა მთავარი საგამოფენო კომიტეტის არასწორი კურსის აღკვეთა, გამოფენა საბჭოთა რესპუბლიკების საერთო მიღწევების ჩვენებად იქცა. მაგრამ დაშვებულმა შეცდომებმა მაინც თავისი კვალი დააჩნია გამოფენას. ვერ მოხერხდა ყველა პავილიონის ერთდროულად გახსნა, ზოგიერთმა რესპუბლიკამ ვერ შეძლო თავის სრულ შესაძლებლობათა ჩვენება.

პირველი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მზადებაში დიდი როლი შეასრულა რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1923 წლის 30 მარტის წერილმა პარტიული ორგანიზაციებისადმი, რომელშიც ხაზგასმული იყო გამოფენის დიდი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა[6].

ცენტრალური კომიტეტის წერილი ავალებდა ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს გაეძლიერებინათ საგამოფენო კომიტეტებისადმი ხელმძღვანელობა, ფართო მუშაობა გაეშალათ გლეხობისა და სპეციალისტების გამოფენაზე მონაწილეობისათვის.

ამავე დროს ეროვნებათა სახალხო კომისარიატმაც მიმართა მოწოდებით ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხებს გაეგზავნათ გამოფენაზე შეგნებული, მოწინავე ადამიანები, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის.

[6] «Известия» ЦК РКП(б), 1923, № 6, გვ. 79.

საქართველოს კომპარტია და მთავრობა დიდი ყურადღებით მოეკიდნენ მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე რესპუბლიკის მონაწილეობის საქმეს. რესპუბლიკაში შეიქმნა საგამოფენო კომიტეტი მიწსახკომის მოადგილის ვ. კანდელაკის თავმჯდომარეობით. კომიტეტში შედიოდნენ აგრონომი ი. ანდრონიკაშვილი, პროფ. პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი, წარმოკავშირისა და ცეკავშირის წარმომადგენლები[7]. ეს უკანასკნელნი ივლისის თვეში ჩამოშორდნენ კომიტეტის საქმიანობას, რადგან მათმა ორგანიზაციებმა უარი განაცხადეს გამოფენაში მონაწილეობაზე. ამავე წლის ივლისის თვეში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავისი წარმომადგენელი შეიყვანა საგამოფენო კომიტეტის შემადგენლობაში და დააჩქარა საგამოფენო მზადების მიმდინარეობა[8].

საგამოფენო რესპუბლიკურმა კომიტეტმა დიდი მუშაობა ჩაატარა. კომიტეტის წევრები პირადად უკავშირდებოდნენ ადგილობრივ ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, პიროვნებებს. წერილში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ნ. ყიფიანისადმი კომიტეტი აღნიშნავს, რომ „მოსკოვის გამოფენაზე ფართო მონაწილეობა შესთავაზეს საქართველოს რესპუბლიკას, ამასთან ამ უკანასკნელმა უნდა გამოავლინოს თავისი ნაციონალურ-ყოფითი პირობები და ქვეყნის ბუნების თავისებურებანი. ამ თვალსაზრისით წარმატების მიღწევისათვის გვიხდება რესპუბლიკის მთელი ძალების მობილიზაცია. თქვენი და ისეთი ორგანიზაციის, როგორიც სახელმწიფო მუზეუმია, მონაწილეობა გამოფენაზე უაღრესად მნიშვნელოვანია“. შემდეგ კომიტეტი თხოვს მუზეუმს, თუ შესაძლებლად მიაჩნია, გამოფენაზე გამოიტანოს მასალები გლეხთა ყოფის, კულტურისა და საქართველოს ბუნების შესახებ[9].

კომიტეტი საგანგებოდ უხსნიდა ყველა დაწესებულებას გამოფენის მიზანს: „მისი მიზანია გამოაღვიძოს რუსეთისა და ფედერაციულ რესპუბლიკათა სოფლის მეურნეობისა და კუსტარული მრეწველობის ყველა შესაძლებლობანი და სიმდიდრე, მოაწყოს საწარმოო ძალთა დათვალიერება ეკონომიურ მშენებლობათა ახალ უდიდეს ამოცანათა წინაშე და ბოლოს გააცნოს მოსახლეობას სოფლის მეურნეობის მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები“[10] — ატყობინებდა საგამოფენო კომიტეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტს და თხოვდა მონაწილეობა მიეღო მასში.

რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით მაზრებში იქმნებოდნენ საგამოფენო ბიუროები, ამასთან ყველა სამიწათმოქმედო ორგანო ვალდებული იყო აქტიური დახმარება გაეწია საგამოფენო კომიტეტისათვის ექსპონატების შეგროვებასა და მომზადებაში.

გამოფენისათვის მზადებაში მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა სახსრების ნაკლებობა. 1923 წლის 10 იანვარს გამოფენის რესპუბლიკური კომიტეტი საქართველოს სახკომსაბჭოს ატყობინებდა, რომ საქართველოს პავილიონისათვის (მთავარი საგამოფენო კომიტეტის გადაწყვეტილებით რესპუბლიკას თავისი თანხებით უნდა აეგო პავილიონი; სხვა შემთხვევაში იგი რსფსრ-ს პავილიონში იქნებოდა ჩართული. საქართველოს მთავრობამ ცალკე პავილიონის

---

[7] საქ. სსრ ორცსა, ფ. 288, ან. 1, ს. 517, ფ. 40.
[8] იქვე, ფ. 600, ან. 1, ს. 233, ფ. 3.
[9] იქვე, ფ. 288, ან. 1, ს. 517, ფ. 29.
[10] იქვე, ფურც. 35.

აგება გადაწყვიტა) 207 217 მანეთი (ოქროთი) სჭირდებოდა. როგორც უკვე მოვიხსენიეთ რესპუბლიკური ხარჯთაღრიცხვის 25 პროცენტს მთავარი საგამოფენო კომიტეტი კისრულობდა, ე. ი. რესპუბლიკას უნდა გაეღო 155 000 მანეთი. აქედან მარტო პავილიონის მშენებლობას სჭირდებოდა 40 000 მანეთი. საქართველოს მთავრობამ რამდენადმე შეამცირა ხარჯთაღრიცხვა და ამიერკავკასიის მთავრობას 113 575 მანეთი სთხოვა, მაგრამ მისგან მხოლოდ 37 803 მანეთი მიიღო[11].

მიუხედავად სერიოზული დაბრკოლებისა რესპუბლიკის მთავრობამ გამოძებნა გამოფენისათვის საჭირო თანხა — 113 ათასი მანეთი. და შეძლო მოსკოვის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს პავილიონის მოწყობა, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. მაგრამ იმის გამო რომ ცეკავშირმა, წარმოკავშირმა და სასურსათო სახალხო კომისარიატმა უარი განაცხადეს გამოფენაში მონაწილეობაზე და ფაქტიურად ჩააგდეს ის დარგი, რომელიც მათზე იყო მინდობილი, გამოფენის პროგრამა მთლიანად ვერ შესრულდა. აქვე მოვიხსენიებთ, რომ საქართველოსთან ერთად გამოფენაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა აფხაზეთის რესპუბლიკამ. ამის გამო გაზეთი „მიწის მუშა“ სინანულით შენიშნავდა: „საქართველოს პავილიონს აერიდნენ ჩვენი მოძმე აფხაზები. ჩვენ პავილიონში რომ გაემართათ მათ განყოფილება, ბევრად ნაკლებ ხარჯს გასწევდნენ. საქართველოს ვრცელი პავილიონის კარები ფართედ იყო ღია აფხაზეთისათვის“[12].

საქართველოს პავილიონი მოეწყო ფართო საზოგადოებრიობისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, რომელთაც კავშირი ჰქონდათ სოფლის მეურნეობასთან. გამოფენის ექსპონატების შერჩევისა და დამზადებისათვის კარგად იმუშავეს რესპუბლიკის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ, კოოპერაციის „კავშირთ-კავშირმა“ და მეღვინეთა კავშირმა „კახეთმა“.

უსახსრობის გამო მოსკოვის პირველ სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე შედარებით ნაკლებად იყო წარმოდგენილი საქართველოს გლეხობა. მათ, მიუხედავად აგიტაციისა და დიდი სურვილისა, ვერ შეძლეს თავისი ხარჯით ექსპონატების დამზადება და გამოფენაზე გაგზავნა. იგი მხოლოდ იმ ექსპონატებით იყო წარმოდგენილი, რომლებიც დამზადდა გამოფენის კომიტეტისა და მიწსახკომის გაერთიანებული ძალებით. ეს იყო შედეგი მთავარი საგამოფენო კომიტეტის მცდარი კურსისა და იმ ფინანსური სივიწროვისა, რომელსაც განიცდიდა რესპუბლიკა ამ წლებში.

საქართველოს პავილიონს მოსკოვის პირველ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, რომელიც ახლანდელი გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე მოეწყო, ეჭირა 400 კვ. საჟენი ადგილი. პავილიონის პროექტი, რომელშიც კარგად იყო დაცული ქართული არქიტექტურის სტილი, ეკუთვნოდათ არქიტექტორებს კალგინსა და ტერ-მიქელოვს. მათ პროექტის შედგენაში დახმარებას უწევდნენ საგამოფენო კომიტეტის წევრები კანდელაკი და ავალიშვილი[13].

---

[11] საქ. სსრ ორცსა, ფ. 288, ან. 1, ს. 516, ფ. 22.

[12] გაზეთი „მიწის მუშა“, 1923 წლის 8 ოქტომბერი: საქ. სსრ ორცსა, ფ. 600, ან. 1, ს. 233, ფ. 3.

[13] საქ. სსრ ორცსა, ფ. 600, ან. 1, ს. 233, ფ. 4.

საქართველოს პავილიონი აღიარებული იყო ერთ-ერთ საუკეთესო ორიგინალურ შენობად[14]. აქ წარმოდგენილი გამოფენა 16 განყოფილებისაგან შედგებოდა.

პავილიონის მთავარ შესასვლელ ნაწილში მოთავსებული იყო ბუნებისა და ბინადრობის განყოფილება, რომელიც ასახავდა სოფლის მეურნეობის ყველა დარგს. პავილიონის ეზოში ორანჟერიეში მოეწყო ჩაის, ბამბუკისა და მანდარინის პლანტაციები. მხატვარ ტირის მიერ შესრულებული მოდელები წარმოდგენას იძლეოდნენ იმერეთის, გურიის, სვანეთის, ქართლისა და კახეთის გლეხთა სამეურნეო ყოფის შესახებ. მართალია ეს ექსპონატები მოკლებულნი იყვნენ მეცნიერულ სიზუსტეს, მაგრამ იმდენად საყურადღებო სამუზეუმო მასალას წარმოადგენდნენ, რომ მათი შეძენის სურვილი გამოუთქვამს რუმიანცევის მუზეუმს[15].

აქვე ყოფილა წარმოდგენილი საქართველოს ბუნება ტყისა და მინდვრის გარეული ნადირით, ფრინველით და სხვ. ამავე განყოფილებაში გამოფენილი იყო საქართველოს წიაღისეულის ნიმუშები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ეკონომიკას წარმოადგენდა 48 ექსპონატი — დიაგრამების, რუქების, კარტოგრამების, ლიტერატურისა და სხვ. სახით, რომლებიც იძლეოდნენ ცნობებს რესპუბლიკაში მოსახლეობის სიმჭიდროვის შესახებ, სახნავი მიწების რაოდენობასა და მოსავლიანობაზე რევოლუციამდე და რევოლუციის შემდეგ, საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ექსპორტისა და იმპორტის შესახებ, ირიგაციის, მეცხოველეობის, აგრონომიული დახმარების, აგრარული მდგომარეობის, სასოფლო-სამეურნეო განათლებისა და სხვ. შესახებ.

ექსპონატები თვალსაჩინოდ აჩვენებდნენ, რომ საბჭოთა საქართველომ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო მოშლილი ეკონომიკის სახით, რომ ნამდვილი აღდგენა სოფლის მეურნეობისა იწყება მხოლოდ 1921 წლიდან, როცა საქართველოში დამყარდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება.

პავილიონის შემდეგ განყოფილებაში წარმოდგენილი იყო საკდელი საქმე. აქ იყო ექსპონატები თბილისის და ბათუმის ბოტანიკური ბაღებიდან, ყარაიას მემინდვრეობის საცდელი სადგურიდან, საქარის მევენახეობის საცდელი სადგურიდან, მიწსახკომის საცდელი საქმის განყოფილებიდან. სულ 173 ექსპონატი. ეს იყო კოლექციები, ალბომები, ჰერბარიუმები, ცხრილები, ფოტოები, ნიმუშები. ისინი კარგად ახასიათებდნენ საცდელი საქმის მდგომარეობას რესპუბლიკაში, მიუთითებდა იმის შესახებ, რომ იგი ფართო მასშტაბით მხოლოდ ახლა იდგამდა ფეხს ჩვენში.

სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ბიუროს ვიტრინა 172 ექსპონატს წარმოადგენდა: პრეპარატებს, მანქანა-იარაღებს, რუქებს.

მემინდვრეობის განყოფილება აჩვენებდა 133 ექსპონატს, უმთავრესად საქართველოს სხვა რაიონების გლეხური წარმოების ნიმუშებს — ხორბალს, სოიას, ლობიოს, ქერს, სიმინდს და სხვ. ცალკე იყო გამოყოფილი მეველეობა — 21 ექსპონატით, უმთავრესად ჰერბარიუმების, ან სხვადასხვა ქიმიური ანალიზის ცხრილებით.

---

[14] გაზეთი „კომუნისტი", 1923 წლის 18 სექტემბერი.

[15] საქ. სსრ ორცსა, ფ. 600, ან. 1, ს. 233, ფ. 5.

გამოფენაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი მებაღეობის, მებოსტნეობის და ბვირფას მცენარეთა განყოფილება — 449 ექსპონატით. აქედან 79 ცალი ეკუთვნოდა აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, მის სუბტროპიკულ ფლორას. განყოფილება მოთავსებული იყო პავილიონის მარჯვენა ფრთაზე, მცენარეები კი ორანჟერიეში და პავილიონის ეზოში ორანჟერიის ორივე მხარეს.

გამოფენაზე სისტემატურად აჩვენებდნენ ახალ ხილს, რომელიც სპეციალურად იგზავნებოდა საქართველოდან ყოველდღიურად, ხოლო ხილის ის ნიმუშები, რომლებიც გამოფენის დროს შემოსული არ იყო, მოდელების სახით იყო წარმოდგენილი. აქვე იყო გამოფენილი კონსერვები, მურაბები, ჩირეული, თესლეული და მებაღეობა-მებაღჩეობის დამახასიათებელი სხვა ნიმუშები. ეს ექსპონატები წარმოდგენას იძლეოდნენ საქართველოს ხილეულის არა მარტო მრავალფეროვნებაზე, არამედ მისი განვითარების ფართო შესაძლებლობაზეც.

მერვე განყოფილებად წარმოდგენილი იყო მესაქონლეობა, მაგრამ არა საქართველოს პავილიონში, არამედ გამოფენის მთავარ პავილიონში. აქ იყო 11 სული მსხვილფეხა, 19 წვრილფეხა, 4 ცხენი, ფრინველი, კამეჩი და სხვ. საქართველოს მეცხოველეობის ნიმუშებმა და პროდუქტებმა გამოფენაზე საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურეს საექსპორტო კომისიისა და მნახველი საზოგადოებისაგან.

მეევნახეობა 137 ექსპონატით წარმოადგინეს — აქედან 12 სტატისტიკურ-ეკონომიური ხასიათის მაჩვენებელი იყო, 17 ნიადაგის ნიმუში, 10 მეევნახეობის იარაღი, დანარჩენი — ჯიშები. მეღვინეობას ასახავდა 90 ექსპონატი. აქ იყო მოხდენილად მოწყობილი კახური მარანი ქვევრებით, საქაჩავით, ინვენტარით, ღვინის ნიმუშებით.

მეფუტკრეობის განყოფილებაში 108 ექსპონატი იყო. აქ წარმოდგენილმა ქართულმა მთის რუხი ფერის ფუტკარმა ჯერ კიდევ მაშინ მიიქცია ევროპელი და ამერიკელი სპეციალისტების ყურადღება.

მეაბრეშუმეობას ასახავდა 126 ექსპონატი: ძაფის ნიმუშები, აბრეშუმის პარკი, სხვადასხვა ჯიშის თუთის თესლი, დიაგრამები, ფოტო.

1923 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დიდი ყურადღება ექცეოდა კუსტარული მრეწველობის მიღწევების ჩვენებას, რაც მასზე მეტყველებდა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველ წლებში სოფლის მეურნეობის ყველა დარგის განვითარებასთან ერთად საგანგებო ყურადღებას აქცევდა შინამრეწველობასაც. იგი ფართო მომსახურებას უწევდა სოფლისა და ქალაქის ბაზარს, დახმარებას უწევდა მსხვილ სახელმწიფო მრეწველობას, ნახევარფაბრიკატების გამომუშავებასა და გადამუშავებას. ეს იყო სოფლად ზედმეტი სამუშაო ძალის გამოყენების ბაზა, ხოლო ზოგიერთ რაიონში გლეხობის მთავარი შემოსავლის წყაროც. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება ხელს უწყობდა მის განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შინამრეწველობის ტექნიკის ამაღლებისა და წარმოების კოოპერირებას. ხშირ შემთხვევაში შინამრეწველებს შრომითი ბეგარისაგანაც კი ათავისუფლებდნენ[16].

საქართველოს შინამრეწველობა 511 ექსპონატით იყო წარმოდგენილი. აქედან 81 მატყლის (ხალიჩები, ქსოვილი, მაუდი, მატყლი), 68 — აბრეშუმის

[16] მ. ი. ფ ე დ ო რ ო ვ ა, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

ნაწარმი, 58 — მცენარეთა საღებავი, 50 — წნელისა და ხის საგნები, 112 — თიხის, ტყავის, გიშერის ნიმუშები, 142 — ფოტოსურათები, ნახატები. რუქები, კარტოგრამები.

სავაჭრო-სამრეწველო განყოფილებაში მოთავსებული იყო საქართველოს საექსპორტო საქონელი ნიმუშების სახით: ჩაი, მატყლი, აბრეშუმის პარკი, კაკალი, თხილი, დაფნის ფოთოლი და სხვ.

გამოფენაზე ყურადღებას იპყრობდა საქართველოს უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ექსპონატები. სამთამადნო საქმე ნაჩვენები იყო 148 ექსპონატით, სამშენებლო — 21, სპირტისა და კონიაკის წარმოება — 84, მეთამბაქოეობა — 73, ლითონდამმუშავებელი მრეწველობა — 4, სატყეო მრეწველობა — 10 და ნაბდის წარმოება 27 ექსპონატით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების განყოფილებაში საქართველოში გავრცელებული ადგილობრივი და იმპორტული ტიპის მანქანა-იარაღები იყო გამოფენილი, სულ 53 ცალი.

პავილიონის ბოლო განყოფილება ასახავდა რესპუბლიკის სატყეო მეურნეობას. მასში განსაკუთრებით ფართოდ იყო წარმოდგენილი აჭარის რესპუბლიკა — 254 ექსპონატით.

ასეთი იყო მოკლედ საქართველოს პავილიონის შინაარსი და სტრუქტურა მოსკოვის 1923 წლის პირველ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. გამოფენაზე ნაკლებად იყო წარმოდგენილი საქართველოს გლეხური მეურნეობის სოციალისტური განვითარების პერსპექტივები, არ იყო წარმოდგენილი კოოპერაციის მთელი რიგი დარგები და საბჭოთა მეურნეობანი, არაფერი იყო მოტანილი პირველი კოლექტივების შესახებ, რომლებიც ის-ის იყო იქმნებოდნენ. არ იყო ასახული მიწათმოქმედების მდგომარეობა რესპუბლიკაში. საერთოდ გამოფენის სისრულეზე, შინაარსზე გავლენა მოახდინა, ეს ბუნებრივიცაა, ამ წლებში რესპუბლიკის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მუშაობაში არსებულმა სერიოზულმა ნაკლოვანებებმა, რომლებიც, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის სოციალისტური განვითარების პერსპექტივების შეუფასებლობაში მდგომარეობდა.

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, საქართველოს მონაწილეობა 1923 წლის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო რესპუბლიკის სამეურნეო-პოლიტიკურ ცხოვრებაში. გამოფენა წარმოადგენდა თვალსაჩინო სკოლას, სადაც მშრომელი გლეხობა ნათელ წარმოდგენას ღებულობდა სოფლის მეურნეობის არა მარტო არსებული მდგომარეობის შესახებ, არამედ მისი განვითარების პერსპექტივებზედაც. ამიტომ იყო, რომ საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი 1923 წლის 20 ივლისს მოითხოვდა: რაც შეიძლება მეტი გლეხი გაგზავნილიყო მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე[17].

მთავრობა დიდ შეღავათებს აწესებდა გლეხი ექსკურსანტებისათვის. ისინი სახელმწიფო ხარჯებით იგზავნებოდნენ. ექსკურსანტებს ეძლეოდათ სახარჯოდ 10 მლნ მანეთი, უზრუნველყოფილნი იყვნენ ბინით და კვებით[18] შეღავათები სხვა კატეგორიის ექსკურსანტებზედაც ვრცელდებოდა — მუშები, მოსამსახურენი და სხვ. მოსკოვამდე მგზავრობის 50 პროცენტს იხდიდნენ. უკან დაბრუნება კი მათთვის უფასო იყო.

[17] საქ. სსრ ორცსა, ფ. 288, ან. 1, ს. 787, ფ. 89.

[18] გაზეთი „მიწის მუშა", 1923 წლის 5 აგვისტო.

მთავარი საგამოფენო კომიტეტის მიერ დაგეგმილი იყო ექსკურსანტთა რაოდენობა მოსახლეობის რაოდენობის შესაბამისად. საქართველოს 850-მდე დამთვალიერებელი უნდა გაეგზავნა, მათგან 75 პროცენტი გლეხი. მაგრამ სახსრების სიმცირის გამო ვერ მოხერხდა ბევრი მთხოვნელის გაგზავნა. გაიგზავნა 320 გლეხი, 108 მუშა, 164 სტუდენტი, 79 წითელარმიელი და სხვ. სულ 690 კაცი[19].

ექსკურსანტებად ირჩევდნენ მოწინავე მეურნე გლეხებს, რომლებსაც შეეძლოთ გამოფენიდან სათანადო დასკვნების გამოტანა და მისი პროპაგანდა. საერთოდ, მოსკოვის პირველი სასოფლო-სამეურნეო გამოფენა 1,5 მლნ კაცმა დაათვალიერა, აქედან სახელმწიფო ხარჯით იყო 620 000 დამთვალიერებელი[20].

ეს ციფრები უკვე თავისთავად მეტყველებენ, თუ რამდენად დიდი მუშაობის ჩატარება იყო საჭირო გამოფენაზე მნახველთა მისაღებად და საექსკურსიო დღეების შინაარსიანად გამოყენებისათვის. იმდროინდელი პრესის მასალები მოწმობენ, რომ ამ საკითხს წარმატებით გაართვეს თავი მთავარმა საგამოფენო კომიტეტმა და მოსკოვის პარტიულმა ორგანიზაციამ. მოსკოვის პროლეტარიატი 1923 წლის ზაფხულში ასეულ ათასობით სტუმრის მოლოდინში იყო. გაზეთი „რაბოჩაია მოსკვა" ივლის-აგვისტოში ყოველდღიურად ასეთი რუბრიკით გამოდიოდა: „მუშათა მოსკოვი ემზადება". მოსკოვის ფაბრიკა-ქარხნებში ეწყობოდა მიტინგები ექსკურსანტებთან შეხვედრისათვის მოსამზადებლად, დანაზოგი კაპიკებისაგან იქმნებოდა ფონდი გლეხებისათვის გამოფენაზე წასასვლელად დახმარების გასაწევად, ექსკურსანტებს ღებულობდნენ სტუმრად ფაბრიკა-ქარხნებში, აცნობდნენ მათ თავიანთ მუშათა ცხოვრებას.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენა უდიდეს შთაბეჭდილებას სტოვებდა მნახველებზე. აქ ეწყობოდა დისპუტები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. განსაკუთრებით საინტერესო იყო სპეციალური სადღესასწაულო დღეები თემებზე: „შრომა და მანქანა", „კოლექტივიზაცია — გზაა სოციალიზმისაკენ" და სხვ. ამ თემების ირგვლივ ცხოველი აზრთა გაცვლა-გამოცვლა იმართებოდა, რომელშიც მონაწილეობდნენ მეცნიერები, აგრონომები, გლეხები, სტუდენტები. გლეხებს შესაძლებლობა ეძლეოდათ დისპუტებზე მოსმენილ თეორიულ მსჯელობათა ავკარგიანობა იქვე შეემოწმებიათ ექსპოზიციაში წარმოდგენილი ნიმუშების მაგალითზე.

დიდ დაინტერესებას იწვევდა გლეხებში პირველი კოლექტიური მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დათვალიერება. გლეხები ხედავდნენ, რომ სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა ფართო შესაძლებლობებს ქმნიდა სოფლის მეურნეობის წარმოების განვითარებისა და მექანიზაციის ფართოდ დანერგვისათვის. მანქანა-იარაღები საკანგებო მსჯელობის საგანი ხდებოდა. ეს გასაგებიცაა, სახალხო მეურნეობის აღდგენის პირველ წლებში გლეხობა მწვავედ განიცდიდა ყოველგვარი მანქანა-იარაღების ნაკლებობას. „საღამოთი რომ ვბრუნდებოდით ბინებზე გლეხები კამათობდნენ და უამბობდნენ ერთიმეორეს, თუ რა ნახეს იმ დღით, რომელი მანქანა უფრო მოეწონათ, რა ღირს და როგორ შეიძლება მისი შეძენა, რამდენად გააადვილებს შრომას, რამდენ მეტ ნაყოფს მიიღებს ერთი და იმავე სივრციდან და რამდენ ხანში გამოიყიდის მანქანა თავის თავს.

---

[19] საქ. სსრ ორცსა, ფ. 600, ან. 1, ს. 233, ფ. 12.

[20] იქვე, ფურც. 2.

თითქმის ღამის 1 საათამდე არ ეძინათ გლეხებს მიუხედავად იმისა, რომ ძალზე დაქანცულნი იყვნენ"[21] — წერს გლეხი კორესპონდენტი ტ. დოლიძე.

საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ გლეხებზე. „ჩვენ დავინახეთ, თუ რას წარმოადგენს შეერთებული ძალა მუშისა და გლეხის"[22] — წერდა გლეხი ალექსი სეფაშვილი ყვარელიდან. „ჩვენი გამოფენა არ არის სანახაობა, ეს პირველ ყოვლისა სკოლაა"[23], — „გამოფენაზე მოსული გლეხობა თანდათან რწმუნდება, რომ უმეცნიერებოდ ის ვერას გახდება"[24], გლეხმა „დაინახა თუ რამდენად ცდილობს საბჭოთა ხელისუფლება მუშათა და გლეხების ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და აი ამისათვის უდიდესი მადლობის ღირსნი არიან ის, ვინც ეს გამოფენა მოაწყო და გასწია შრომა"[25]. ასე გამოხატა ქართველმა გლეხობამ 1923 წ. პირველ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე მიღებული შთაბეჭდილებანი გაზეთში „მიწის მუშა", რომელიც ფართოდ ასახავდა გამოფენის მიღწევებს და ეწეოდა მის პროპაგანდას მშრომელ გლეხობაში.

საქართველოს პავილიონის წარმატება, მოსკოვის პირველ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, 44 ჯილდოთი აღინიშნა[26]. პირველი ხარისხის დიპლომი მიეცათ:

1. თბილისის ბოტანიკურ ბაღს — საქართველოს მცენარეულთა შესწავლისა და სელექციაში მიღწეული წარმატებისათვის. 2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას — თბილისის ბოტანიკური ბაღის მიერ გამოყვანილ სასოფლო-სამეურნეო მცენარეულთა ჯიშების საუკეთესოდ წარმოდგენისათვის. 3. საქართველოს მეაბრეშუმეობის სამმართველოს — მეაბრეშუმეობის შესწავლისა და მისი აღდგენის საქმეში მიღწეული წარმატებისათვის. 4. თბილისის მუშათა კოოპერაციას — სამეურნეო საქმიანობაში წარმატებისათვის, კულტსაგანმანათლებლო და სავაჭრო დარგში მიღწევებისათვის. 5. თბილისის მეაბრეშუმეობის სადგურს — მეფუტკრეობაში მიღწეული წარმატებისათვის (მეფუტკრეობის საქმეს ამ პერიოდში ეს სადგური განაგებდა — **ნ. შ.**). 6. გორბაჩევს — კავკასიური ფუტკრის მეცნიერული შესწავლისათვის. 7. აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას — მეხილეობისა და დეკორაციული მებაღეობის საუკეთესოდ წარმოდგენისათვის. 8. კოოპერატივს „კავშირთ-კავშირს" — კახეთის მეღვინეობა-მევენახეობის აღდგენისა და ფილოქსერის გამძლე ჯიშების გავრცელებისათვის. 9. საქართველოს სსრ მიწსახკომს — საქართველოს პავილიონის მოწყობისათვის, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში წარმატებისათვის. 10. სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლის ბიუროს — შედეგებისათვის. 11. თბილისის ბოტანიკურ ბაღს — სამკურნალო მცენარეულთა შესწავლისათვის. 12. საქართველოს საგამოფენო კომიტეტს — მეცხოველეობის კარგად წარმოდგენისათვის. 13. საქართველოს საგამოფენო კომიტეტს — რესპუბლიკის ეკონომიკისა და დარაიონების საკითხის დამუშავებისათვის. 14. თბილისის ბოტანიკურ ბაღს — საქართველოს ფლორის შესწავლის საქმეში წარმატებისათვის. 15. მხატვარ სტრაუმეს — ქარ-

[21] გაზეთი „მიწის მუშა", 1923 წლის 27 სექტემბერი.
[22] იქვე, 1923 წლის 26 სექტემბერი.
[23] იქვე, 1923 წლის 14 სექტემბერი.
[24] იქვე, 1923 წლის 3 ოქტომბერი.
[25] იქვე, 1923 წლის 27 სექტემბერი.
[26] საქ. სსრ ორცსა, ფ. 600, ან. 1, ს. 233, ფ. 17.

თულ და სხვა კავკასიურ მოტივებზე მხატვრული ალბომის (აკვარელი) გაფორმებისათვის.

მაშასადამე, რესპუბლიკამ 15 პირველი ხარისხის დიპლომით დაამთავრა გამოფენა. მეორე ხარისხის დიპლომი მიიღეს:

1. საზოგადოება „კახეთმა“ — ღვინის საუკეთესო კოლექციისათვის. 2. პროფ. ს. ტიმოფეევმა — მევენახეობის რუკისა და დარაიონებისათვის. 3. თბილისის მუშათა კოოპერაციამ — კავკასიური ყველისათვის. 4. ალექსანდერსდორფის მეურნეობამ — რუსულ-შვეიცარული ყველისათვის. 5. საქართველოს საგამოფენო კომიტეტმა — 2 დიპლომი მეცხოველეობის კარგად წარმოდგენისათვის. 6. საქართველოს სსრ მიწსახკომმა — ცხვრის წარმოდგენილი ჯიშებისათვის. 7. საქართველოს საგამოფენო კომიტეტმა — მეცხენეობის წარმატებით ჩვენებისათვის. 8. თბილისის ბოტანიკური ბაღის მიკოლოგიურმა კაბინეტმა — კავკასიის ფლორის მიკოლოგიური შესწავლისათვის. 9. ხარფუხის ხალიჩების სახელოსნომ — ხალიჩების ორიგინალური ნიმუშებისათვის.

მესამე ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდნენ:

1. პროფ. ბ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი — ხე-ტყის მრეწველობის ნიმუშებისათვის. 2. საქართველოს სსრ სატყეო სამმართველო — ხე-ტყის მრეწველობის ნიმუშებისათვის. 3. საქართველოს საგამოფენო კომიტეტი — სამი დიპლომით მეცხოველეობაში მიღწევებისათვის. 4. საქართველოს სსრ მიწსახკომი — ცხვრის ნიმუშების წარმოდგენისათვის. 5. საქართველოს საგამოფენო კომიტეტი — მეცხენეობაში მიღწევებისათვის. 6. საქარის სანერგე სადგური — სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი მუშაობისათვის მევენახეობაში. 7. მელანის კოოპერაცია — სუფრის ღვინოებისათვის. 8. საქართველოს საგამოფენო კომიტეტი — მეცხენეობაში მიღწევებისათვის. 9. საქართველოს სსრ მიწსახკომი — ცხვრის ჯიშების წარმოდგენისათვის.

მეოთხე ხარისხის დიპლომი მიეცათ:

1. საქართველოს სსრ მიწსახკომს — ცხვრის ნიმუშების წარმოდგენისათვის. 2. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას — ფრინველთა ჯიშების წარმოდგენისათვის. 3. თბილისის პოლიტექნიკური სასწავლებლის ინჟ. ბ. გულისაშვილს — ყურძნის საწნეხი პრესის დამზადებისათვის. 4. საქართველოს საგამოფენო კომიტეტს — მეცხენეობაში მიღწევებისათვის. 5. ბოდბელ მჭარგავებს — ხელოსნური წარმოების საუკეთესო ნიმუშებისათვის.

გარდა ამისა სპეციალური პრიზი, — აღიარების დიპლომი მიიღო საქართველოს რესპუბლიკამ, გამოფენისათვის საექსპოზიციო მასალების კარგად შერჩევისათვის და პროფ. ბ. ვინოგრადოვ-ნიკიტინმა — გაწეული მუშაობისათვის.

საქართველოს მონაწილეობას პირველ საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე დიდი პრაქტიკული სამეურნეო-ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა რესპუბლიკის მშრომელებისათვის. გამოფენის შედეგად მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები უკეთ გაეცნენ საქართველოს ბუნებისა და ეკონომიკის ფართო შესაძლებლობებს; სპეციალისტები დაინტერესდნენ საქართველოს ტყის ჯიშების ექსპორტით; მოსკოვის გამოფენაზე პირველად გაეცნო საკავშირო საზოგადოებრიობა ქართულ ჩაის, საბჭოთა რესპუბლიკის მარკით და ეტიკეტით, რამაც საკავშირო ბაზარი გაუხსნა ქართულ ჩაის; ბევრი საზოგადოება და ორგანიზაცია დაინტერესდა ქართული ფუტკრით, ფართო ყურადღება მიექცია აჭარის სუბტროპიკებმა და კიდევ უფრო

მეტი აღიარება ჰპოვა ქართულმა კონიაკმა, რომელზეც ერთბაშად გაიზარდა მოთხოვნილება.

მაგრამ მოსკოვის პირველი საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმ ენთუზიაზმში მდგომარეობდა, რომელიც მან დაანთო ასეულ ათასობით მნახველში. გამოფენამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცების საქმეში, ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებაში. გამოფენის შემდეგ მშრომელი გლეხობისათვის უფრო ახლობელი და გასაგები ხდებოდა საბჭოთა მთავრობის სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანები. ეს განწყობილება კარგად ჩანს გლეხთა მრავალფეროვანი წერილებიდან გამოფენას რომ ეხმაურებიან. გლეხი ტ. დოლიძე 1923 წ. 27 სექტემბერს გაზეთ „მიწის მუშაში“ წერდა: „სასურველი არის, რომ ასეთი გამოფენები ეწყობოდეს ხშირად და მით უმეტეს ახლო მომავალში იქნეს მოწყობილი საქართველოში“. ასეთი იყო გლეხთა საერთო შთაბეჭდილება და სურვილი. მაგრამ შემდეგ ამ საქმეს სათანადო ყურადღება აღარ მიქცევია; საქართველოში სასოფლო-სამეურნეო გამოფენა მხოლოდ ზოგიერთ მაზრაში მოეწყო მომდევნო წელს, ხოლო საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა 1939 წლამდე აღარ მოწყობილა.

ნათელა როდონაია

თბილისის და მისი გარეუბნების სოფლის მეურნეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში

XIX საუკუნის მეორე ნახევარი (რეფორმისშემდგომი პერიოდი) თბილისის ისტორიაში ბურჟუაზიული განვითარების ხანაა. მნიშვნელოვანი ძვრები ხდება ამ დროს ქალაქის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, ვითარდება მრეწველობა, ვაჭრობა, შენდება რკინიგზები; ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებასთან ერთად ცვლილებები ხდება მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურასა და საქმიანობაში. დასასრულ, თბილისი სახეს იცვლის გარეგნულადაც: იზრდება, შენდება, აზიური უბნების გვერდით ჩნდება ევროპულად მოწყობილი ქუჩები და კვარტალები.

აღებულ ხანაში თბილისის ეკონომიურ ცხოვრებაში გარკვეული ადგილი ეჭირა საკუთრივ ქალაქისა და მისი გარეუბნების სოფლის მეურნეობის იმ დარგებს, რომლებიც აქ ადრიდანვე არსებობდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისსა და მის გარეუბნებში მრავლად იყო ბაღ-ბოსტნები, რომელთა პროდუქცია ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდებოდა.

50—60-იანი წლებიდან თბილისში ძველი ბაღების ადგილი ახალმა საცხოვრებელმა რაიონებმა დაიკავა. გაიზარდა ქალაქის გარეუბნების რადიუსიც. ძველი გარეუბნები თანდათან ქალაქის ცენტრში აღმოჩნდნენ. თბილისის კაპიტალისტურ განვითარებასთან ერთად თვით ქალაქში და განსაკუთრებით მის გარეუბნებში ვითარდებოდა სოფლის მეურნეობის ისეთი დარგები, რომლებიც აუცილებელი იყო მზარდი ქალაქის ყოველდღიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის. სწორედ ამ დროიდან იქცევა თბილისის გარეუბნის სოფლის მეურნეობა (მებაღეობა, მებოსტნეობა და სხვ.) თითქმის მთლიანად სასაქონლო მეურნეობად, თბილისისათვის მოხმარების პროდუქტების მიმწოდებელ ერთ-ერთ კერად.

XIX საუკუნის 50—60-იან წლებში თბილისი შედგებოდა საკუთრივ ქალაქისა და გარეუბნებისაგან: ვერა, კუკია, ავლაბარი, ჩუღურეთი, ნავთლუღი. აქედან მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე: ვერა, მთაწმინდა, გარეთუბანი, სოლოლაკი, ხარფუხი, ორთაჭალა. მარცხენა სანაპიროზე: გერმანელთა კოლონია (რომელიც 1862 წელს ქალაქს შეუერთდა), ახალი კუკია, ძველი კუკია, ჩუღურეთი, ავლაბარი და ნავთლუღი.

სოფლის მეურნეობის დარგებიდან აქ გავრცელებული იყო: მებოსტნეობა, მებაღეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა და სხვ.[1]. ხეხილიდან აქ აშენებდნენ უმთავრესად ვაშლს, მსხალს, ატამს, ჭერამს, ქლიავს, ტყემალს, ალუჩას,

[1] აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მებოსტნეობა XIX ს. 50—60-იან წლებში საკუთრივ თბილისში იყო მეტად განვითარებული, მაგრამ 70—80-იანი წლებიდან ვითარება იცვლება. ქალაქის შენებლობასთან ერთად მებოსტნეობის ზონაც გარეუბნისაკენ ინაცვლებს და საგარეუბნო მეურნეობად იქცევა. (ავტ.)

შვინდს, ლეღვს, ბალს, ალუბალს, ბროწეულს, თხილს, კომშს, ყურძენს და სხვ. ბოსტნეულიდან: კომბოსტო, ჭარხალი, კიტრი, სტაფილო, მწვანილეული — ხახვი, ოხრახუში, ნიახური, კამა და სხვ.[2]. აქვე უნდა აღინიშნოს თუთის ხის პლანტაციები. თუთის ხეებს თბილისში ადრევე ვხვდებით, მაგრამ მაშინ მისი დანიშნულება უმთავრესად აბრეშუმის ჭიის გამოკვება იყო. თბილისსა და მის გარეუბნებში (დიდუბეში, ორთაჭალაში, კრწანისში და ვერაზე) გაშენებული იყო თუთის ხის პლანტაციები სპეციალურად მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის. 60-იან წლებში ჩვენშიც გავრცელდა აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობა, რის გამოც ძალზე შემცირდა მეაბრეშუმეობის როლი საერთოდ მთელ კავკასიაში. ჭიის დაავადება თითქმის 10 წელი გრძელდებოდა და ბევრი თუთის პლანტაციაც გაიკაფა[3]. ამ ხანებიდან თუთის ხეებს თბილისში ხილის დანიშნულებით უფრო აშენებენ. თუთა გადიოდა თბილისის ბაზარზე სხვა ხილთან ერთად.

XIX საუკუნის თბილისში და მის გარეუბნებში მოსახლეობა მარცვლეულის თესვას არ მისდევდა. გამონაკლისს მხოლოდ ნავთლუღი და ნაწილობრივ გერმანელთა კოლონია შეადგენდა, რომლებიც ამ დროისათვის თბილისზე იყვნენ მიწერილი. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ არც ამ რაიონებში ჰქონია მარცვლეულის მეურნეობას ფართო მასშტაბები. ასე მაგ., 1861 წელს ნავთლუღში დათესილ იქნა: ხორბალი — საშემოდგომო — 100 ჩეტვერტი, ქერი — საშემოდგომო — 200 ჩეტვერტი. საგაზაფხულო — 40 ჩეტვერტი. ხორბლის შემოსავალი სულ შეადგენდა 2 400 მან., ქერისა 480 მან.[4].

სხვა რაიონებში კი თითქმის სრულებით არ თესდნენ მარცვლეულს. ეს გარემოება გამოწვეული იყო როგორც სახნავ-სათესი მიწების ფართობის სიმცირით, ისე არახელსაყრელი ბუნებრივი პირობებითაც.

60-იანი წლებისათვის თბილისში იყო სულ 270-მდე ბაღი. აქედან 4 სახაზინო, 1 საზოგადოებრივი, ხოლო დანარჩენი კერძო[5]. როგორც ვხედავთ ბაღების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა კერძო პირთა საკუთრებას შეადგენდა. სწორედ ეს ბაღები აწარმოებდნენ ძირითადში სასაქონლო პროდუქტს. 80-იანი წლების დამდეგისათვის 340-მდე ბაღია აღრიცხული[6]. აქედან ვერეს ნაპირებზე 22 ბაღი, კრწანისში და ორთაჭალაში — 158, გერმანელთა კოლონიასა და დიდუბეში — 142, ავლაბარსა და ნავთლუღში — 19[7]. ამ ბაღებს სულ ეჭირათ 400 დესეტინაზე მეტი ფართობი. ბაღების რწყვა ხდებოდა: ვერის ბაღებში მდ. ვერედან გამოყვანილი სარწყავი არხებით, მდ. მტკვრის მიმდებარე ბაღებში, სპეციალურად მოწყობილი წყალსაქაჩი ბორბლებით, ხოლო გერმანელთა კოლონიაში მდ. არაგვიდან გამოყვანილი არხით.

1896 წლის ცნობით თბილისში კერძო ბაღების რაოდენობა შეადგენდა 244,260 დესეტინა მიწის ფართობით. მათი მთლიანი შემოსავალი შეადგენდა 60 000 მანეთს[8]. მთლიანად თბილისის ბაღების შემოსავალი ამ წელს (სახაზი-

---

[2] საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 924, ფურც. 152; იქვე, საქმე 1179, ფურც. 19; საქმე 2027, ფურც. 2—3.

[3] Ш. Чхетия, Тбилиси в XIX столетий, 1942, გვ. 174—175.

[4] საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 84, საქ. 838, ფურც. 7.

[5] იქვე, ფ. 414, ანაწ. 1, საქ. 9, ფურც. 78.

[6] იქვე, ფ. 17, საქ. 924, ფურც. 152.

[7] იქვე.

[8] იქვე, საქმე 3846, ფურც. 362.

ნო და საზოგადოებრივი ბაღების ჩათვლით) შეადგენდა 60 500-მდე მანეთს[9]. როგორც ვხედავთ, კერძო ბაღებზე მოდის მთელი შემოსავლის 99,1%. სასაქონლო პროდუქტს სწორედ ისინი აწარმოებდნენ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბაღ-ბოსტნების მესაკუთრენი თბილისელი მოქალაქენი არიან, რომლებიც ან თვითონ ამუშავებენ მათ, მეტწილად კი იჯარით აძლევენ ბაღ-ბოსტნებს მებაღეებს და შემოსავალს ინაწილებენ. მათ გვერდით ბაღ-ბოსტნები ჰქონდათ ძველ დიდგვარიანთა შთამომავლებსაც. აგრეთვე სამსახურიდან გადამდგარ სამოხელეო აპარატის წარმომადგენლებს. მიწის ნაკვეთები ჰქონდათ გლეხებსაც. ასე მაგ., XIX საუკუნის 70-იან წლებში დიდუბის დიდი ნაწილი თხილაძეებს ეკუთვნოდა, ნაწილი შერემეტევის, მანთაშევისა და თამამშევის ხელში იყო, ხოლო ზემო დიდუბის ნაწილი გერმანელ კოლონისტთა ხელში იყო. საბურთალოს ბაღ-მინდვრები, დელისის ჩათვლით, გაბაშვილებს ეკუთვნოდა. უფრო გვიან კი საბურთალოს ბაღების ნაწილი გადადის სუმბათოვების და გურგენბეგოვების ხელში, ხოლო ვერის ბაღები 4 ნაწილად ყოფილა გაყოფილი, რომლის უდიდესი ნაწილი ალაფიშვილებს ეკუთვნოდათ[10]. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ XIX საუკუნის ბოლოსათვის ბაღ-ბოსტნების უდიდესი ნაწილი კაპიტალისტური ფენების ხელში გადადის.

საერთოდ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საკუთრივ თბილისში ბაღების ფართობი დიდი არ იყო, ეს განსაკუთრებით ითქმის XIX საუკუნის ბოლო ოცდაათწლეულზე, როდესაც ქალაქის ზრდით გამოწვეულმა სამშენებლო საქმიანობამ ძალზე შეკვეცა თავისუფალი მიწების რაოდენობა. 1877 წელს თბილისში კერძო პირთა მიერ გამოსყიდული ნაკვეთების რაოდენობა, დაახ. 180 — შეადგენდა, ესენი უმთავრესად სამოსახლო ნაკვეთებია, რომელთა ფართობი საშუალოდ შეადგენდა 300—400 კვ. საჟენს[11]. შედარებით დიდი მიწის ფართობები ეჭირათ ორთაჭალის მცხოვრებლებს. იგი 1-დან 3—4 დესეტინამდე აღწევდა[12]. ნაკვეთების გამოსასყიდი თანხა შეადგენდა 38 400 მანეთს[13]. მათ უმრავლესობა სახაზინო მიწები იყო.

70-იან წლებში თბილისში მრავალი ფაქტია იმისა, რომ ცალკეული პირები ითხოვენ მიწებს იჯარით სარგებლობაში[14].

70-იან წლებში თბილისში აღირიცხა 400-მდე გამოუსყიდავი მიწის ნაკვეთი, მათი უმრავლესობაც საკარმიდამო იყო, ან ნაკვეთებით სარგებლობის ხელშეკრულება გაფორმებული იყო 60-იანი წლების დასაწყისიდან 12 წლის ვადით[15]. მოსარგებლე იხდიდა გარკვეულ თანხას, რაც მიწის ფართობზე და დანიშნულებაზე იყო დამოკიდებული. ასე მაგ. ივანე მირზოევი 468 კგ საჟენი მიწის ფართობით სარგებლობაში წლიურად იხდიდა 94-მდე მანეთს. ნავთლუღში კულუხის უფლებით 12 დესეტინა მიწის ფართობი ეკავა დავით კანანოვს. ამ დროს თბილისში კულუხის უფლებით 90-მდე ბაღია აღრიცხული.

[9] საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქმე 3846, ფურც. 386.

[10] ჯ. სონღულაშვილი, სოფლის მეურნეობა თბილისის სანახებში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1959, გვ. 157.

[11] საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (შემდეგში შემოკლებით: საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 241, ანაწ. 1, საქმე 935, ფურც. 433, 435, 437, 438, 439.

[12] იქვე, ფურც. 439.

[13] იქვე.

[14] საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 241, ანაწ. 1, საქ. 935, ფურც. 158—159.

[15] იქვე, საქ. 773, ფურც. 444.

რა ვითარებაა 80-იან წლებში? 1887 წლის ცნობით თბილისის გარეუბნების ბაღების უმრავლესობას ეკავა 2—3—4 დესეტინა მიწის ფართობი, თითოეულის საშუალო შემოსავალი შეადგენდა 550—600 მანეთს[16].

საერთოდ, 60-იანი და განსაკუთრებით კი 70-იანი წლებიდან თბილისში ინტენსიურად მიმდინარეობს მიწის ნაკვეთების გამოსყიდვის პროცესი. მაგ., 1876 წელს გამოსყიდულ იქნა სულ 36 სამოსახლო და საბაღე ნაკვეთი 16 470 მანეთად[17]. ამავე წელს თბილისში და მის მიდამოებში გაიყიდა 12 ბაღი 2 525 მანეთად, სულ კი 51 მამული 19 345 მანეთად[18]. იმავე 1876 წელს ს. დიღომში ყოფილი საეკლესიო მიწის ნაკვეთი (1/4 დღიური სახნავი) მიეცა ადგილობრივ ვლეხს დავით ხოლუაშვილს, რისთვისაც წლიურად უნდა გადაეხადა 1 მან[19].

1877 წელს გამოსყიდულ იქნა 4 ბაღი ორთაჭალაში, კრწანისში, მარტყოფში და სოფ. ჩუმლაყში[21], რომლებიც ადრე საეკლესიო მიწები იყო და შემდეგ ხაზინას გადაეცა. იმავე წელს თბილისში სახლებით და კერძო ბაღებით გაიყიდა 41 ნაკვეთი 6 010 მანეთად[22]. გარდა ამისა გამოსყიდულ იქნა კულუხის უფლებით აღებული 11 საბაღე ნაკვეთი 2 000 მანეთად. სულ კი გამოსყიდულ იქნა 58 მამული 13 535 მანეთად[23].

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ თბილისში და მის მიდამოებში მიწის ნაკვეთების გამოსყიდვა ინტენსიურად მიმდინარეობდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში თბილისის ზრდა-გაფართოებასთან ერთად ვითარდებოდა სოფლის მეურნეობის ის დარგები, რომლებიც ქალაქს პირველი მოხმარების პროდუქტებით ამარაგებდნენ. როგორც ყველა დიდი ქალაქის გარშემო ჩნდება საგარეუბნო მეურნეობა, ასევე თბილისშიც მისი გარეუბნები აღებულ ხანაში იქცნენ იმ რაიონებად, რომლებიც თბილისს აწოდებდნენ პროდუქტებს. ამ გარემოებამ განაპირობა თბილისის და მისი გარეუბნების სოფლის მეურნეობის ხასიათიც. „კაპიტალიზმის სწრაფმა აღმავლობამ 70—90-იან წლებიდან ხელი შეუწყო ბოსტნეულ-ბაღჩეული მეურნეობის საქონლიანობის ზრდას. თბილისის ირგვლივ განლაგებული სოფლები საკმაო ინტენსივობით იყენებდნენ სარწყავ მიწებს ბოსტნეული კულტურების გასაშენებლად, პროდუქციის ქალაქის ბაზარზე გატანის მიზნით. ადგილი ჰქონდა ცალკეული სოფლების სპეციალიზაციას. თანდათან ჩნდება სამრეწველო ბოსტნეული, რომლის ძირითადი დანიშნულება იყო პროდუქციის ბაზარზე გატანა. ამის შესაბამისად მებოსტნე დაინტერესებული იყო გაეფართოებინა თავისი საბოსტნე ნაკვეთი და მეტი რაოდენობით მოეყვანა სხვადასხვა სახის ბოსტნეული. ბოსტნეულის წარმოება ამგვარ ინტენსიურ ხასიათს იღებს სწორედ აღებულ პერიოდში, როცა აღმოსავლეთ საქართველოს რიგ რაიონებში იგი სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად იქცევა. ეს პროცესი მიმდინა-

---

16 საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 241, ანაწ.1, საქ. 773, ფურც. 444.

17 იქვე, საქ. 794, ფურც. 121.

18 იქვე.

19 იქვე, საქ. 589, ფურც. 76.

20 საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 241, ანაწ. 1, საქ. 935, ფურც. 145.

21 იქვე, ფურც. 145.

22 იქვე, ფურც. 146.

23 ვ. ჯ ა ო შ ვ ი ლ ი, კარტოფილისა და ბოსტნეულ-ბაღჩეულის მეურნეობა საქართველოში, თბ., 1956, გვ. 14.

რეობდა კაპიტალიზმის განვითარებისა და საქალაქო ცხოვრების სწრაფი ზრდის პირობებში"[24].

ორთაჭალა და კრწანისი, აგრეთვე ძველი თბილისის ჩრდილოეთ მდებარე ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც წინათ „ვარეთუბანი" ეწოდებოდა, ბაღებსა და ბოსტნებს ეჭირა. ასევე გავრცელებული იყო ხილ-ბოსტნეულის მოყვანა მაშინდელ სოფლებში (ვერე, ვარდისუბანი, ჩუღურეთი, კუკია და სხვ.) ბაზარზე გასატანად. ცხადია, თბილისში სურსათი შემოჰქონდათ უფრო შორს განლაგებული პუნქტებიდანაც (ხოლო XIX საუკუნის ბოლოსათვის თითქმის მთელი საქართველოს რაიონებიდან), მაგრამ დასახლებული სოფლებიდან ქალაქის მოსახლეობა მარაგდებოდა „უმთავრესად მალფუჭებადი და ნაკლებად ტრანსპორტაბელური პროდუქტით"[25].

სწრაფად მზარდი თბილისი სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებდა მის ირგვლივ გაშლილ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას, რის შედეგადაც, ერთი მხრივ, ფართოვდება საგარეუბნო ტიპის მეურნეობის ტერიტორიული გავრცელება და, მეორე მხრივ, მრავალფეროვანი ხდებოდა ქალაქის ბაზარზე შემოზიდული პროდუქციის ასორტიმენტი.

ამ გზით ჩამოყალიბდა თბილისის ირგვლივ საგარეუბნო მეურნეობის ზონა, რომელიც ქალაქის მოსახლეობას აწოდებდა მრავალფეროვან ბოსტნეულს, მოუხდელ რძეს და მის ნაწარმს, ხილეულს, კარტოფილს, აგრეთვე მეფრინველეობის, მეფუტკრეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების პროდუქციას[26].

თბილისის გარეუბნების სოფლის მეურნეობაზე მსჯელობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მათი გეოგრაფიული მდებარეობა და ბუნებრივი პირობები. ასე მაგ., თრიალეთის ქედის განშტოებანი, რომლებიც თბილისს დასავლეთიდან და სამხრეთიდან ესაზღვრება, ნაკლებად ხელსაყრელია სოფლის მეურნეობისათვის, განსაკუთრებით მემინდვრეობისათვის. აქ საკმაოდ ცივია დამუშავებისათვის ვარგისი მიწები; ჰავა გრილია და სითბომოყვარული ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების გავრცელებისათვის არ არსებობს ხელსაყრელი პირობები. ამას ერთვის ისიც, რომ აქ არ არის სარწყავი მიწები, რაც ზღუდავს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას. ამით აიხსნება, რომ ქალაქის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით განლაგებული სოფლები კიკეთი, კოჯორი, წყნეთი, ტაბახმელა, შინდისი, ოქროყანა და სხვ. XIX ს. მეორე ნახევარში თბილისის მიწათმოქმედების პროდუქტებით მომარაგებაში მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდნენ[27].

სხვაგვარი მნიშვნელობა ჰქონდა ქალაქისათვის იმ სოფლებს, რომლებიც მის ჩრდილოეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა. მათი უმრავლესობა უკეთაა უზრუნველყოფილი სახნავ-სათესი მიწებით და სარწყავი მეურნეობით, რაც ხელს უწყობს აქ საკმაოდ ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების შექმნას[28].

[24] ჯ. სონღულაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 5.

[25] ვ. ჯაოშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

[26] თბილისი (ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება), თბ., 1958, გვ. 212.

[27] მართალია, აღნიშნული სოფლები ჩამორჩებოდნენ თბილისის ჩრდილოეთითა და აღმოსავლეთით მდებარე ბარის სოფლებს ხილ-ბოსტნეულის წარმოებაში, მაგრამ სამაგიეროდ დიდად უსწრებდნენ მათ მესაქონლეობის განვითარებით და, სწორედ, ქალაქის რძის პროდუქტებით მომარაგებაში ასრულებდნენ დიდ როლს. (ავტ.)

[28] ვ. ჯაოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

თბილისის გარეუბნებში მეურნეობა განსაკუთრებით ფართოდ ვითარდება 90-იანი წლებიდან. ამას აპირობებს პროდუქტებზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდა. ქალაქსა და მის გარეუბნებში მებაღეობასა და მებოსტნეობას ფართო მასშტაბით მისდევენ[29]. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მაშინაც კი, როდესაც ბაღების საერთო რაოდენობა შემცირდა თბილისში, ქალაქის დასახლებული ტერიტორიის გაფართოების შედეგად, შემოსავლიანობამ მაინც არ იკლო[30].

XIX საუკუნის 80-იან წლებში თბილისის გარეუბნებში მზადდებოდა 8000 ვედრო ღვინო; ვედრო იყიდებოდა 2 მან. 50 კაპ. 1885 წელს სულ გაიყიდა 25 150 მანეთის ყურძენი, ხილი 35 470 მანეთის, ბოსტნეული და მწვანილი — 30 644 მანეთის ღირებულების[31]. ეს მაშინ, როცა 1885 წელი ცნობილია, როგორც მოუსავლიანი წელი, გვალვების გამო თითქმის მთელი ბაღები გახმა. 1886 წელს მოსავლიანობა კიდევ უფრო დაბალი იყო; გაზაფხულზე ძლიერი ქარები იყო, რამაც დიდძალი ხეხილი დააზარალა. ამას მოყვა ზაფხულის უთანაბრო ტემპერატურა და შემდეგ ადრე სიცივეები, რის გამოც ხილმა და ყურძენმა დამწიფება ვერ მოასწრო. განსაკუთრებით ყურძნის მოსავალი იყო მცირე ამ წელს, რაც იქიდან ჩანს, რომ მისგან მიღებული შემოსავალი 1885 წლის შემოსავლის ნახევარიც კი არ არის. კერძოდ, 1886 წელს გაიყიდა: ყურძენი — 10 081 მანეთის, ხილი — 28 536 მანეთის, ბოსტნეული და მწვანილი 24 587 მანეთის. სულ — 63 224 მანეთის ღირებულების პროდუქტი[32].

მიუხედავად ცუდი მოსავლისა, მწარმოებლის შემოსავალი მაინც არ იყო დაბალი, რადგან პროდუქტის სიმცირის გამო ფასებმა იმატა ბაზარზე.

1887 წელს გაიყიდა: ყურძენი 16 400 მანეთის, ხილი — 20 175 მან., ბოსტნეული და მწვანილი — 12 700 მანეთის[33]. მოსავალი არც ამ წელს იყო მაღალი. ხილის მოსავალი საშუალო იყო, ყურძნისა და ბოსტნეულისა საშუალოზე დაბალი, რაც იმან გამოიწვია, რომ ორთაჭალის ბაღები მტკვარმა წალეკა, ხოლო კრწანისისა კოკისპირული წვიმებისაგან დაზარალდა (1887 წლის 5 აგვისტოს)[34]. როგორი იყო შემოსავალი კარგ მოსავლიან წელს, კერძოდ, 1891 წელს. როგორც საარქივო დოკუმენტები მიუთითებენ „ყურძნისა და ბოსტნეულის მოსავალი კარგი იყო წვიმიანი გაზაფხულისა და ზაფხულის წყალობით"[35]. ამ წელს გაიყიდა თბილისიდან და მისი გარეუბნებიდან სულ: ყურძენი 28 170 მან., ხილი 40 250 მან. ღირებულების, ბოსტნეული 44 831 მან.[36] სულ 113 249 მან. იმავე 1891 წელს თბილისში ყურძნის, ბოსტნეულის და ხილის მოსავალი ასეთი იყო[37]:

---

29 საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქმე 2286, ფურც. 1, საქმე 1179, ფურც. 19.
30 იქვე, საქმე 3846, ფურც. 362.
31 საისტორიო არქივი (თბილისი), საქმე 3621, ფურც. 228.
32 იქვე, საქმე 2286, ფურც. 2.
33 საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 414, ანაწ. 1, ფურც. 13.
34 იქვე.
35 იქვე, ფ. 17, საქ. 3160, ფურც. 831.
36 იქვე.
37 იქვე, ფურც. 866.

დასახელება	რაოდენობა ფუთობით	საშუალო გასაყიდი ფასები (ფუთობით)
ყურძენი	15 659	1 მ. 80 კაპ.
ვაშლი	15 455	1 მ. 30 კაპ.
მსხალი	7 590	1 მ. 50 კაპ.
ატამი	5 720	2 მ.
ქლიავი	2 900	1 მ.
ალუბალი, ბალი და სხვ.	5300	2 მ.
კაკალი	2 450	2 მ.
ბოსტნეული		
მწვანილი და სხვ.	89 660	50 კაპ.
ს უ ლ	144.725	

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მთლიანად ყურძნის მოსავლის ღირებულება შეადგენდა 28 170 მანეთს. ხილის (ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი და სხვ.) ერთად აღებული დაახლოებით 56 000 მან., ბოსტნეული 44 831 მანეთი. ე. ი. ყურძენი მთლიანად გასულა ბაზარზე, ასევე ბოსტნეულიც, ხოლო რაც შეეხება ხილს, აქედან დახ. 71,8% ბაზარზე გავიდა. აქედან კარგად ჩანს თბილისის სოფლის მეურნეობის სასაქონლო ხასიათი.

თბილისის ბაღების საქონლიანობის ნათელსაყოფად თუ შევადარებთ თბილისის გუბერნიის რამდენიმე მაზრისა და თვით თბილისის მონაცემებს 1892 წლისათვის შემდეგს დავინახავთ[38].

მაზრების დასახელება	ბაღების ფართობი დესეტინობით	ბაღების რაოდენობა	შემოსავლის რაოდენობა მანეთებში
1. ბორჩალოს მაზრა	1735	3470	3475
2. ახალციხის მაზრა	465	1575	9300
3. ახალქალაქის მაზრა	22 972	550	2970
4. სიღნაღის მაზრა	9	10	800
5. ქ. თბილისი[39]	310	305	120 680

როგორც ვხედავთ, თბილისის და მისი გარეუბნების ბაღებს დაახლოებით ხუთჯერ მეტი სასაქონლო პროდუქცია დაუმზადებიათ, ვიდრე ერთად აღებულ დანარჩენ ყველა მაზრას.

თბილისის და მისი გარეუბნების მაღალი საქონლიანობა კარგად ჩანს მებოსტნეობის მაგალითზე. სწორედ ეს დარგი იყო სოფლის მეურნეობიდან წამყვანი XIX საუკუნის თბილისში და იგი წმინდა სასაქონლო ხასიათს ატარებდა. ეს გასაგებიცაა, იგი უშუალოდ ქალაქს აწვდიდა ბოსტნეულს და მწვანილეულს, რომელზეც მოთხოვნილება თბილისის ბაზარზე ძალიან დიდი იყო: „ხარისხითაც და ასორტიმენტითაც თბილისის ბაღ-ბოსტნების ხილი და ბოსტნეული იმდენად აკმაყოფილებდნენ მოსახლეობის მოთხოვნილებას, რომ თითქმის არავითარი საჭიროება არ იყო მათი სხვა ადგილიდან შემოტანისა“[40] — აღნიშნავს შ. ჩხეტია 60-იანი წლების ბოლოს თბილისში მებოსტნეობის განვითარების შესახებ.

[38] საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 8772, ფურც. 16.

[39] აქ და ყველგან თბილისში იგულისხმება მისი გარეუბნებიც, (ნ. რ.).

[40] Ш. Чхетия, Тбилиси в XIX столетии, 1942, გვ. 178.

ეს ითქმის 60-იან წლებზე, ხოლო მომდევნო ათწლედში კი ქალაქის სწრაფმა ზრდამ და მოსახლეობის მატებამ იმდენად გაზარდა მოთხოვნილება ბოსტნეულ პროდუქტებზე, რომ უკვე მარტო ადგილობრივი ბოსტნები და ბაღჩები ვეღარ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნილებებს და შორეული რაიონებიდან შემოდის თბილისში პროდუქტი, მაგრამ გარეუბნებს მაინც ყოველთვის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეჭირა. მოვიტანოთ რიცხობრივი მონაცემები ბოსტნეულის შესახებ. 1891 წელს ბოსტნეულის მოსავალი შეადგენდა[41].

ბორჩალოს მაზრა	— 492 360 ფუთს
სიღნაღის მაზრა	72 100 „
გორის მაზრა	24 500
ახალქალაქის მაზრა	11 495 „
ახალციხის მაზრა	10 960 „
თბილისის მაზრა ქ. თბილისითურთ	500 000 „

თბილისის მაზრა[42] ამზადებდა მეტ ბოსტნეულს ვიდრე მთლიანად ბორჩალოს მაზრა, სადაც ყველაზე მაღალი იყო ბოსტნეულის მოსავლიანობა მთელ გუბერნიაში. აქედან ერთხელ კიდევ მტკიცდება ის გარემრება, რომ თბილისს ბოსტნეულით მისი გარეუბნები ამარაგებდნენ. აქვე უნდა შევნიშნოთ, ბოსტნეული პროდუქტებიდან განსაკუთრებით კომბოსტო, რომელიც 90-იანი წლების დამდეგს შემოჰქონდათ არა მარტო თბილისში, არამედ გასაყიდად გაჰქონდათ ქუთაისისა და ერევნის გუბერნიებშიც.

1894 წლის მონაცემებით თბილისის მაზრაში ბოსტნებს ეკავა სულ 690 დესეტინა მიწის ფართობი. აქედან მიღებული მოსავლის რაოდენობა შეადგენდა 181 895 ფუთს. აქედან ბაზარზე გავიდა 119 413 ფუთი, რომლისგანაც შემოსავალი შეადგენდა 60 793 მანეთს[43]. 1894 წელს თბილისის მაზრის ბაღების პროდუქცია შეადგენდა სულ 13 876 ფუთს, 10 750 ფუთი სასაქონლო იყო.

1894 წელს თბილისის მაზრაში ვენახებს ეკავა 2890 დესეტინა მიწის ფართობი. სულ იყო 3312 ვენახი. მოსავალმა შეადგინა 899 644 ფუთი. გაიყიდა 6990 ფუთი. შემოსავალი შეადგენდა 6342 მანეთს. დამზადდა 712 814 ვედრო ღვინო, აქედან გაიყიდა 611 832 ვედრო, საიდანაც შემოსავალი შეადგენდა 618 222 მანეთს[44].

1894 წელს თბილისის ბაღ-ბოსტნებიდან შემოსავალი შეადგენდა 140 000 მანეთს[45]. თუ ზემოთმოტანილ მონაცემებს შევადარებთ ამ უკანასკნელს, მივიღებთ, რომ მთლიანად თბილისის მაზრაში ბაღ-ბოსტნების[46] მიერ წარმოებული სასაქონლო პროდუქტი 67743 მანეთის ღირებულებას შეადგენდა, რაც თბილისის გარეუბნების მიერ წარმოებულ პროდუქტზე ორჯერ და მეტად ნაკლები იყო.

1894 წელს თბილისში ბოსტნეულის, ხილის და ყურძნის შემოსავალი შეადგენდა[47]:

41 საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 8772, ფურც. 19.

42 აქ სწორედ თბილისის საგარეუბნო სოფლები ივარაუდება ძირითადში. (ნ. რ.).

43 საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 8226, ფურც. 180, 181.

44 იქვე, ფურც. 184—185.

45 იქვე, საქ. 3621, ფურც. 229.

46 ამ შემთხვევაში ვენახების შემოსავალზე არ ვლაპარაკობთ, რადგან მეევნახეობა თბილისში არ იყო წამყვანი დარგი. (ნ. რ.).

47 საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 3621, ფურც. 249.

დასახელება	რაოდენობა ფუთობით	საშუალო ფასაყიდი ფასები (ფუთობით)
1. ყურძენი	10 709	1 მ. 50 კაპ.
2. ვაშლი	3 870	1 მ. 30 კ.
3. მსხალი	2660	1 მ. 50 კ.
4. ატამი	1605	1 მ. 80 კ.
5. ქლიავი	3 770	1 მ. 30 კ.
6. ალუბალი	3830	1 მ. 60 კ.
7. ბალი	2640	1 მ. 50 კ.
8. კაკალი	1220	1 მ. 90 კ.
9. ბოსტნეული, მწვანილი და სხვ.	60 000	45 კაპ-დან 2 მანეთამდე[48]
ს უ ლ	90 304 ფუთი	

იმავე 1894 წელს მთლიანად თბილისის გუბერნიაში ხეხილის და ვენახის ბაღების რაოდენობა შეადგენდა 10 270-ს, მათ ეკავა 5 200 დესეტინა მიწის ფართობი. მთლიანად ხილის მოსავალი შეადგენდა 243898 ფუთს, აქედან გაიყიდა 167 835 ფუთი. სულ 120 987 მანეთის[49].

საკუთრივ თბილისზე აქედან მოდის 206 ბაღ-ბოსტანი, რომლისაგანაც მოსავალი შეადგენდა დაახლოებით 90 290 ფუთს. ეს პროდუქცია მთლიანად ბაზარზე გავიდა.

თბილისსა და მის მიდამოებში ღვინის დამზადებას ერთეული პირები მისდევდნენ და ისიც მეტად პრიმიტიული წესებით. ეს გასაგებიცაა, თბილისის გარეუბნებში დიდი ვენახები არ იყო, ხოლო მცირე ფართობის ვენახებში იმდენი ყურძნის მოსავალი არ მოდიოდა, რომ ღვინო დაეყენებინათ. სწორედ ამიტომ, მთელი ყურძნის მოსავალი უმთავრესად ხილად გადიოდა ბაზარზე.

1896 წელს მთლიანად თბილისის ბაღ-ბოსტნების შემოსავალი შეადგენდა 70 000-მდე მანეთს[50]. 1899 წლისათვის კი თბილისის 271 ბაღიდან მოსავალი შეადგენდა 104 957 ფუთს, შემოსავალი — 150 696 მან.

1901 წლის ცნობით თბილისის 244 კერძო ბაღს ეჭირა 230 დესეტინა მიწის ფართობი, საიდანაც მოსავალი შეადგენდა: სულ 104 800 ფუთს, 80 000 მან. ღირებულებით[51].

ამას დაემატა შემოსავალი ყვავილებიდან 83 000 მან. რაოდენობით რაც სულ 163 950 მანეთს შეადგენს.

თბილისის გარეუბნების სოფლის მეურნეობაში 70-იანი წლებიდან ეხვდებით თამბაქოს კულტურასაც. თბილისსა და მის გარეუბნებში თამბაქოს თესდნენ და აშენებდნენ ადგილობრივი კაპიტალისტები: აზნაუროვი, ყორღანოვი ენფიანჯიანცი და სხვ. მათგან პირველი ორი შედარებით მცირე რაოდენობით აშენებდა თამბაქოს. აზნაუროვს თამბაქოს პლანტაციები ჰქონდა ქეთევან ბაგრატიონ — მუხრანელის მამულში ჭალისთავში, ხოლო ყორღანოვს — კუკიაში საკუთარ მიწაზე. ენფიანჯიანცი კი, რომელიც საქმის კარგ მცოდნედ ითვლებოდა და სახსრებიც გააჩნდა. აშენებდა თურქული თამბაქოს ერთ საუკეთესო

---

48 საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 9082, ფურც. 5.

49 ცხრილს ვადგენთ საარქივო დოკუმენტების საფუძველზე (საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 9082, ფურც. 5) (ნ. რ.).

50 საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქმე 3846, ფურც. 363, 387. ფ. 414, ანაწ. 2, საქ. 3, ფურც. 515; იქვე, ფურც. 520—521.

51 იქვე, ფ. 414, ანაწ. 2. საქ. 22, ფურც. 284—285.

ჯიშს. ენფიანჯიანცი რამდენიმე წლის მანძილზე ზედიზედ აწყობდა თამბაქოს პლანტაციებს თვით თბილისში და მის გარეუბნებში: კრწანისში, ჭალისთავში, დიდუბეში, ნახშირგორაში, კავთისხევში და სხვ.[52]. „ჯერ კიდევ გასულ წელს ენფიანჯიანცმა ქალაქგარეთ კრწანისში დათესა თურქული თამბაქოს თესლი. შედეგიც მეტად ნაყოფიერი გამოდგა. მიღებული თამბაქოს 90% ჰგავდა თურქეთში მოყვანილი ამ ჯიშის საუკეთესო ხარისხის თამბაქოს"[53]. აღნიშნავდა გაზ. „კავკაზი". წარმატებით გათამამებულმა ენფიანჯიანცმა 1876 წელს 4 სხვადასხვა ადგილზე გააშენა თამბაქო. 1. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის მამულში ჭალისთავში 10 დესეტინაზე, 2. თ. ე. არწრუნის მამულში სოფ. ნახშირგორის მახლობლად 3 დესეტინაზე, 3. კრწანისში, გ. თამამშევის ბაღის ზევით 1 დესეტინაზე და 4. თბილისშივე, გერმანელთა კოლონიის მეზობლად, დიდუბის ბაღების ახლოს, როტინოვის მიწაზე[54]. გარდა ამისა, თამბაქოს მოშენების ცდას ადგილი ჰქონდა ქალაქის სხვა ბაღებშიც. მაგ. ყორღანოვმა გააშენა მცირე ზომის თამბაქოს პლანტაცია კუკიაში საკუთარ მიწაზე.

საეროდ უნდა აღინიშნოს, რომ თამბაქოს კულტურა არ იყო სპეციფიკური თბილისის სოფლის მეურნეობისათვის. მის მოშენებას ისინი ცდილობდნენ, ვისაც ქალაქში თამბაქოს დამმუშავებელი საწარმოები ჰქონდათ. მათ ინტერესებში შედიოდა რაც შეიძლება მეტი ნედლეულით უზრუნველეყოთ თავიანთი წარმოება, ადგილობრივად დაემზადებინათ მისი ნაწილი მაინც და ამით შეემცირებინათ შესყიდვისა და შემოტანის ხარჯები.

თბილისის და მისი გარეუბნების მესაქონლეობა, რა თქმა უნდა, ვერ აკმაყოფილებდა თბილისში მეცხოველეობის პროდუქტზე **მოთხოვნილებას**, მაგრამ მას მაინც გარკვეული ადგილი ეჭირა ქალაქის მეურნეობაში. აქ უმთავრესად ჰყავდათ ცხენები, რქოსანი პირუტყვი, ღორები, სახედრები. ცხენები და სახედრები უმთავრესად ტვირთის გადასატანად და დამხმარე მეურნეობებში გამოიყენებოდნენ, ხოლო რქოსანი პირუტყვი და ღორები, როგორც რძის პროდუქტებისა და ხორცის წყარო.

1862 წლის ცნობით, თბილისში იყო სულ 19 000-მდე სული საქონელი[55]. 1865 წელს — 18 000-მდე სული[56].

60-იან წლებში თბილისის საქონელი ძირითადში გამოიყენებოდა საოჯახო მომსახურებისათვის, გასაყიდად კი უმთავრესად საქონელს მოერეკებოდნენ ამიერკავკასიის სხვადასხვა ადგილებიდან[57]. მომდევნო წლებში ვითარება იცვლება. რა თქმა უნდა, ადგილობრივი საქონელი ვერ აკმაყოფილებდა თბილისში მოთხოვნილების ნაწილსაც კი, მაგრამ მიუხედავად ამისა, აქ იყვნენ საკმაოდ მსხვილი მესაქონლეები, რომლებიც სწორედ სამრეწველო დანიშნულებისათვის მისდევდნენ ამ დარგს.

თბილისში დიდი იყო მოთხოვნილება მესაქონლეობის პროდუქტზე. მარტო 1891 წელს დაიკლა და გაიყიდა მსხვილფეხა საქონელი — 44 730 სული:

---

[52] გაზ. «К а в к а з», 1876, № 116.

[53] იქვე.

[54] იქვე.

[55] **ЦГИАЛ**, ფ. 1268, საქ. 108, ფ. 114—115 (ამოღებულია პ. გ ე ბ ე შ ვ ი ლ ი ს წიგნიდან: **«Сельское хозяйство и аграрные отношения»**, გვ. 288).

[56] **ЦГИАЛ**, ფ. 1268 საქ. 142.

[57] იქვე, საქ. 108, ფურც. 114—115.

წვრილფეხა საქონელი — 114 587 სული[58]. ხოლო 1892 წლის ცნობით მთლიანად თბილისის გუბერნიის ქალაქებში პირუტყვის საერთო რაოდენობა შეადგენდა სულ 133 300-მდე სულს[59].

ეს რაოდენობა ქალაქებში ნაწილდებოდა შემდეგნაირად: თბილისში 16483, სიღნაღში — 9556, დუშეთში — 7026, ახალციხეში — 1957, თელავში — 1242, გორში — 1206, ახალქალაქში — 802[60].

მეცხოველეობის შედარებით სუსტი განვითარება თბილისში ბუნებრივია რადგან სულ ქალაქებზე ამ დროს მოდიოდა საქონლის 1,4%, დანარჩენი 98—96% კი სოფლებზე[61].

მესაქონლეობას და მერძევეობას უმთავრესად გერმანელი კოლონისტები მისდევდნენ, რომლებიც თავიანთ მიწებზე დიდუბე-მუშტაიდში და მიხეილის პროსპექტზე აშენებდნენ შინაურ პირუტყვს (ძროხებს, ღორებს), აგრეთვე ფრინველს (ქათმები, ბატები, იხვები). მათვე ჰქონდათ საწარმოები, სადაც ამზადებდნენ კარაქს, არაყანს, ყველს, ძეხვს და სხვა პროდუქტებს, რაც ქალაქში იყიდებოდა. თავიანთი მაღალი ხარისხით ეს პროდუქტები დიდ მოწონებას იმსახურებდნენ მომხმარებლებში[62].

გერმანელ კოლონისტებს გარდა ამ დარგებს მისდევდნენ ადგილობრივი მცხოვრებლებიც, ავლაბრის და კუკიის მოსახლეობა. საკუთრივ თბილისელებს ჰყავდათ მერძევე საქონელი (1—5 სული) და ფრინველი. ისინი მეცხოველეობას მისდევდნენ ნატურალური საოჯახო მეურნეობის პრინციპებზე და საქონელს უმთავრესად პირადი მოთხოვნილებისათვის აშენებდნენ. არ ჰქონდათ რა საკუთარი საძოვრები, ისინი პირუტყვს აძლევდნენ მწყემსებს ადგილობრივი ან მოსული გლეხებიდან, რომლებსაც ქირით ურიგდებოდნენ. პირუტყვის პატრონისაგან მწყემსი იღებდა ხარსა და ძროხაში — 15 კაპიკს, ხოლო ხბოსა და ცხვარში 5 კაპიკს ზაფხულის განმავლობაში.

ავლაბრელი და კუკიელი მეცხოველეები აშენებდნენ მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსან საქონელს, აგრეთვე ღორებს; უმთავრესად კი ძროხებს და ცხვრებს სავაჭრო სამრეწველო მიზნებით. ისინი ქალაქს ამარაგებდნენ. ხორცით, ტყავით, რქებით, კარაქით, ყველით, ზოგჯერ კი საქონელი თბილისს გარეთაც გაჰქონდათ[63].

ავლაბრისა და კუკიის მოსახლეობა XIX საუკუნის ბოლო ოცდაათ წლებში საძოვრებად იყენებდა ქალაქის გარეუბნებს. ავლაბარში მსხვილი მესაქონლეები იყვნენ: 1. ფორაქიშვილები, რომლებსაც ჰყავდათ 5000 სულამდე მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი; 2. იშხანოვები (მათ „ოხანჯალაშვილებს“ ეძახდნენ), რომელთაც ჰყავდათ 4000 სულამდე მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვი, უმთავრესად ძროხა და ცხვარი. 3. ავეტიკ ახნაზაროვი, რომლის ცხვრის ფარაში 10 000 სული ცხვარი იყო, 4. ომარაშვილები, რომლებიც უმთავრესად მისდევდნენ მეცხვარეობას, ნაწილობრივ მსხვილფეხა საქონელსაც აშენებდნენ, 5. კვეზერელ-კოპაძე, 6. მარტიროსოვი, ამბუა მანუკოვი და სხვ.[64].

[58] საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქ. 3160, გვ. 160, ფურც. 832.

[59] იქვე, საქმე 8772ა, ფურც. 23.

[60] იქვე.

[61] საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 17, საქმე 9082ა; ფურც. 8.

[62] შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრ., გვ. 190.

[63] იქვე, გვ. 191.

[64] იქვე, გვ. 194.

თბილისთან შეერთებამდე კუკია და ავლაბარი თავისუფალი საზოგადოებები იყო. მათ ამავე რაიონებში ჰქონდათ საკმაო რაოდენობით სახნავი და საოვრები. მოსახლეობას მოჰყავდა ხორბალი და შვრია. შემოდგომიდან გაზაფხულამდე ნახირი ფარეხებში ჰყავდათ, ხოლო გაზაფხულზე და ზაფხულში ერეკებოდნენ მთიან რაიონებში საძოვრებზე. ხორცს, ყველს, რძეს, კარაქს და მატყლს ქალაქში ჰყიდდნენ[65].

თბილისისა და მისი გარეუბნების სოფლის მეურნეობის პროდუქტი თითქმის მთლიანად თბილისის ბაზარზე გადიოდა და მწარმოებელს მნიშვნელოვან შემოსავალსაც აძლევდა. საინტერესოა საკითხი თბილისის ბაზარზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების შესახებ. თბილისის ბაზარზე პროდუქტების ფასების შესახებ არსებული მონაცემები, ცხადჰყოფენ, რომ იგი საერთოდ მაღალი იყო მთელი XIX საუკუნის მეორე ნახევარსა და 900-იანი წლების დამდეგსაც[66].

თუ შევადარებთ პირველი მოთხოვნილების პროდუქტებზე და მუშახელზე ფასების მონაცემებს XIX საუკუნის 70-იანი, 90-იანი წლების დამდეგსა და 90-იანი წლების ბოლოს, ასეთ სურათს მივიღებთ[67]:

		ქ. თბილისი	ქ. ბაკო.	ქ. ბათუმი	ქ. ქუთაისი
70-იანი წლები	პური (1 გირვანქა), კაპ.	2,5	2.5	2,5—3	2—3
	ხორცი (1 გირვანქა), კაპ.	3—5	4—7	3—10	4—7
	ოთახი, მან.	3	4—6	—	5
	მუშახელი, მან.	3—8	8—17	—	3—10
	შეძა (1 კუბ. საჟენი), მან.	10	20	12—15	15
90-იანი წლების დამდეგი	პური (1 გირვანქა), კაპ.	5	4	3—4	3—4
	ხორცი (1 გირვანქა), კაპ.	10—11	12—18	5—15	8—10
	ოთახი, მან.	7	10—16	8—15	8
	მუშახელი, მან.	5—12	10—20	6—25	7—15
	შეძა (1 კუბ. საჟენი), მან.	30	35	15—20	25—30
90-იანი წლების ბოლო	პური (1 გირვანქა), კაპ.	5—6	5,5	3,5—5,5	3,5—5
	ხორცი (1 გირვანქა) კაპ.	18—25	15—20	18—20	11—12
	ოთახი, მან.	8—10	25—30	15—20	15
	მუშახელი, მან.	10—25	15—25	15—30	10—20
	შეძა (1 კუბ. საჟენი), მან.	45	48	35	33—35

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ საერთოდ მთელ კავკასიაში და, კერძოდ, თბილისში, ფასებმა 70-იან წლებთან შედარებით 900-იანი წლების ბოლოს სამჯერ და თითქმის ოთხჯერ იმატა. პურზე 4-ჯერ, ხორცზე 4—5-ჯერ, შეშაზე 4,5-ჯერ, მუშახელზე ორჯერ და მეტად და ა. შ.

[65] შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

[66] საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 414, ანაწ. 1, საქმე 9, ფურც. 81—82.

[67] ცხრილი შედგენილია საარქივო დოკუმენტის საფუძველზე. საისტორიო არქივი (თბილისი), ფ. 13, ანაწ. 22, საქმე 95, ფურც. 7, (ნ. რ.).

თბილისის ბაზარზე სიძვირეს ჯერ კიდევ 70-იან წლებში სერგეი მესხი იმ მიზეზებით ხსნიდა, რომ ქალაქში ჩამოტანილ პროდუქტს ჩარჩ-ვაჭრები იგდებენ ხელში და მერე ისინი ყიდიან ბაზარზე ძვირადო[68].

უმთავრესად კი თბილისის ბაზარზე შედარებით მაღალი ფასები ისევ იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ 70-იანი წლებიდან მოსახლეობის მატების გამო მოთხოვნილება იზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტზე, შემოტანილი სანოვაგე ვერ აკმაყოფილებს მას და ფასებიც მაღლა იწევს.

ამგვარად, თბილისის და მისი გარეუბნების სოფლის მეურნეობა (მებოსტნეობა, მეხილეობა და სხვ.) XIX საუკუნის მეორე ნახევარში ძირითადში ემსახურებოდა ქ. თბილისის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. ამ დროისათვის, იგი თითქმის მთლიანად სასაქონლო ხასიათს ატარებს, მთელი მისი პროდუქცია ბაზარზე გადის. თბილისის ასეთმა ინტერიერმა ხელი შეუწყო აქ კაპიტალისტური ურთიერთობის სწრაფ განვითარებას და წმინდა სასაქონლო მეურნეობის ჩამოყალიბებას[69].

---

[68] გაზ. „დროება", 1878, 3/VIII.

[69] ეს პროცესი კარგად ჩანს, აგრეთვე, ისეთი საკითხების განხილვიდან როგორიცაა: — მიწის დაქირავების ფორმები და მუშახელის საკითხი, მიწის დამუშავების ტექნიკა, მორწყვა, პროდუქციის ბაზარი და სხვ. მაგრამ მათ შესახებ საუბრის საშუალებას სტატიის მოცულობა არ გვაძლევს, (ავტორი).

მიხეილ გეგეშიძე

აკად. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს შინაგანი სამეურნეო-კულტურული კავშირურთიერთობის შესახებ[1]

ივ. ჯავახიშვილის მრავალფეროვან მეცნიერულ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს შესწავლას სამეურნეო-კულტურული და ეკონომიური ისტორიის თვალსაზრისით.

ივ. ჯავახიშვილს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული საქართველოს სა-სოფლო-სამეურნეო განვითარების ისტორიის შესწავლის საჭიროება საქართველოს ისტორიის კვლევისათვის. სწორედ ამ სფეროს განსაკუთრებული მნიშვნელობის შეფასებას და მისი შესწავლისათვის საჭირო საფუძვლების ფართო ხასიათს და ამ საფუძვლების კვლევის იმდროინდელ მდგომარეობას უნდა აეძულებინა ჩვენი სასიქადულო მეცნიერი ეთქვა თავისი მუშაობის შესახებ სიტყვები, რომელსაც სხვა შემთხვევაში ალბათ არ იტყოდა: „სპეციალური მწერლობისა და წყაროების შესწავლა დამჭირდა, იძულებული ვიყავი აუარებელი დრო და ენერგია შემელია ისეთი საკითხების გამორკვევისათვის, რომელიც ბოტანიკოს-აგრონომების მოვალეობას შეადგენს-ო“[2].

და, მართლაც, ერთი მხრივ, ქართულ, აგრეთვე სომხურ, სპარსულ, არაბულ, თურქულ, ბერძნულ, ლათინურ წყაროთა სისრულით გამოყენებამ, მეორე მხრივ, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ბუნებისმეტყველური და სხვა დარგების მონაცემების ფართო გათვალისწინებამ მკვლევარს საშუალება მისცა შეექმნა ფუნდამენტური გამოკვლევები საქართველოს ეკონომიური ისტორიის დარგში. მაგრამ ამ დიდი შრომის ნაყოფი მარტო იმით კი არ არის დასაფასებელი, რომ მას ენციკლოპედიური მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამეურნეო წარსულის გასათვალისწინებლად. ამ შრომით მკვლევარმა პირად მაგალითზე გვაჩვენა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ერთი დიდი მიზნისათვის — საქართველოს სამეურნეო წარსულის ისტორიისათვის და, მაშასადამე, საერთოდ საქართველოს ისტორიისათვის კვლევის კომპლექსურობას, როცა თანაბარი მნიშვნელობა ეძლევა საკუთრივ ისტორიული წყაროებისა და ამავე დროს არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ბუნებისმეტყველების დარგების: ბოტანიკის, ზოოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის, კლიმატოლოგიისა და მრავალი სხვა დარგის მონაცემებს. ცხადია, რომ ივ. ჯავახიშვილის ასეთი სამეცნიერო მუშაობა და კვლევა-ძიების ხერხი მეთოდოლოგიური მნიშვნელობისაც არის.

---

[1] მოხსენება წაკითხულ იქნა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა აკად. ივ. ჯავახიშვილის დაბადების 90 წლისთავს (29 აპრილი 1966 წელი). იბეჭდება უცვლელად. თეზისები გამოქვეყნდა სესიის მასალებში (თბილისი, 1966).

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, ტფილისი, 1934, გვ. V.

ჩვენ დროში ყველა ჩამოთვლილი დარგი დაწინაურდა, მეცნიერული წარმატება მოიპოვა, ბუნებისმეტყველების დარგში მიღებული მრავალი შედეგი უდიდესი მნიშვნელობისა აღმოჩნდა ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორიის საკითხების უფრო ღრმად გასაშუქებლად, მაგრამ, თავს ნებას მივცემთ და ვიტყვით, მით უმეტეს როცა საუბარი ივ. ჯავახიშვილის მოღვაწეობას ეხება, რომ ეს მონაპოვრები საკმარისად არ არის ჩაყენებული ერთიანი მიზნის სამსახურში — საქართველოს ისტორიის კვლევაში — ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ივ. ჯავახიშვილი ამას კარგად ახერხებდა და ამისი მთავარი საფუძველი იყო მისი დიდი ერუდიცია, ფართო განათლება როგორც ჰუმანიტარულ, ისე ბუნებისმეტყველების დარგებში, რაც მთავარია, მისი გაგება ერთიანი ისტორიული პროცესისა და მისი მეცნიერული მიდგომა ამ პროცესის შესწავლისადმი.

როგორც ცნობილია, მეცნიერება მცენარეული საფარის ცალკეულ დაჯგუფებათა გენეზისისა და განვითარების საკითხებს განიხილავს ბუნებრივი მოვლენების კანონზომიერებათა შუქზე და დაადგენს სხვადასხვა ცენოზის კავშირს უძველეს და მომდევნო ეპოქებთან, მათი პირველადი თუ მეორადი წარმოშობისა და განვითარების ხასიათს. აღსანიშნავია, რომ მეცნიერულად შესწავლილი ეს მასალა საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებული სიმკვეთრით სწორედ ისტორიულ ეპოქებთან დაკავშირებულ ფლორისტულ ცვლილებებს გამოავლენს. საყურადღებოა მეორე გარემოებაც: ცნობილია, რომ მცენარეულის გავრცელების საზღვრებს განაპირობებენ ურთიერთმოქმედი ფაქტორებით გამოწვეული რთული მიზეზები, ამათგან ძირითად ფაქტორად კლიმატური პირობები მიაჩნიათ და რადგან ეს პირობები უმთავრესად ზონალური ხასიათისაა, თვით ბუნებრივი მცენარეულის ტიპების განაწილებაც დედამიწის ზურგზე ზონალურობის კანონებს ემორჩილება. ეს ზონალურობა პირველ რიგში დაკავშირებულია მზის რადიაციის ზონალურ განაწილებასთან, მაგრამ საყურადღებო ის არის, რომ ამ საერთო კანონზომიერებისაგან გარკვეულ გადახვევას ახდენს თანამედროვე მცენარეულის ყველაზე მნიშვნელოვანი ე. წ. კულტურულ მცენარეთა ჯგუფი. ცნობილია, რომ კულტურული მცენარეული პირველ რიგში ადამიანის საწარმოო მოქმედების შედეგია, ამიტომ მის გავრცელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამეურნეო ხასიათის ფაქტორები. აქ გამორიცხული არ არის ე. წ. შეგუების ფაქტორი, მაგრამ მისი თანამონაწილე ხდება ადამიანის აქტიური ზემოქმედების ფაქტორი, რომელიც საბოლოო ჯამში გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. ამ გაგებით კულტურულ მცენარეთა კომპლექსი საზოგადოების სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული განვითარების გარკვეული საზომია და, მაშასადამე, კულტურულ მცენარეთა საკითხების შესწავლა უშუალოდ უკავშირდება საზოგადოების განვითარების კონკრეტულ კულტურულ-ისტორიულ პრობლემებს. საქართველოს ტერიტორია საყოველთაოდ აღიარებულია კულტურული მცენარეულის წარმოშობის ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს კერად. კულტურული მცენარეულის სიმრავლეს ჩვენი ქვეყნის ეკოლოგიური პირობების ნაირგვარობა და ხალხის ხანგრძლივი შემოქმედებითი შრომა განსაზღვრავს. სწორედ ამ ძირითადი ნიშნისა და იდეის ქვეშ არის წარმართული დიდი ქართველი მეცნიერის ჰეშმარიტად ტიტანური შრომა საქართველოს უაღრესად მრავალდარგიანი მიწათმოქმედების შესასწავლად როგორც ბოტანიკური და სამეურნეო, ისე ეკონომიური და კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით.

ივ. ჯავახიშვილი მოწიწებით, ამასთან საქმიანად ეკიდებოდა შესასწავლი სფეროს მეცნიერულ მემკვიდრეობას.

როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილმა ღირსეულად შეაფასა ჩვენი სახელოვანი მეცნიერის ვახუშტი ბაგრატიონის მდიდარი და უძვირფასესი მემკვიდრეობა. რა ღირსებას ხედავდა ივანე ჯავახიშვილი ვახუშტის შემოქმედებაში? პირველ რიგში იმას, რომ ვახუშტი ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებებსა და ხალხის ისტორიას ერთმანეთს უკავშირებდა. „არსად ჩვენი ქვეყნის ბუნება, თვისებები, მოსახლეობა და ეკონომიური მდგომარეობა — აღნიშნავს ივანე ჯავახიშვილი — ისეთი სივრცე-სიღრმით არ არის განხილული და დახასიათებული, როგორადაც ვახუშტის შრომაში“-ო[3]. მაგრამ ეს არ იყო ივანე ჯავახიშვილის მიერ მოცემული გარეგნული შეფასება ვახუშტის ამ მეცნიერული მიდგომისა. ივანე ჯავახიშვილის მრავალმხრივი მეცნიერული შემოქმედება და მოღვაწეობა გვაჩვენებს, რომ თითონ მასაც ეს კონცეფცია ჰქონდა შემუშავებული, რაც კარგ გამოხატულებას პპოვებდა მის მეცნიერულ მეთოდშიც. და, მართალია, ქართველები ახლანდელს ტერიტორიაზე მას სამხრეთიდან გადმოსახლებულად მიაჩნდა, მაგრამ ამას ადრინდელი ეპოქის (ჩ. წ. ა. VII ს.) მოვლენად მიიჩნევდა და ეს ხელს არ უშლიდა მისი ამ კონცეფციის შემუშავებას.

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ დიდი ორტომეული, აგრეთვე მეცნიერის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებული ეკონომიური ისტორიის მასალების სერია, რამდენიმე სპეციალური ნაშრომი და სხვ. ფართო ტილოს წარმოადგენს მრავალი მეცნიერული ასპექტით, რომელთაგან მთავარია, ღერძეულია საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების მრავალფეროვნება, სირთულე, დანაწევრება და ამით შეპირობებული საქართველოს სამეურნეო განვითარების თავისებურებანი. ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებებთან მეურნეობის განვითარების დაკავშირება ივანე ჯავახიშვილისათვის ერთ-ერთი მთავარი საფუძველთაგანი იყო საერთოდ საქართველოს ისტორიის შესასწავლად. აშკარად ჩანს, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნება და ხალხის ისტორია ივანე ჯავახიშვილს მჭიდრო, განუყოელ კავშირში წარმოედგინა. მეცნიერისათვის ეს იყო საქართველოს დიდი და ნამდვილი ისტორია. მარტო კვლევა-ძიებაში კი არა, ივანე ჯავახიშვილი ქართული მეცნიერების ორგანიზაციასა და განმტკიცებაშიც ერთ-ერთ მთავარ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ მხარეს. გავიხსენოთ, რომ ივანე ჯავახიშვილს ახლად დაარსებული ქართული უნივერსიტეტის ყველაზე უმნიშვნელოვანეს ამოცანათა შორის ერთ-ერთად ის ესახებოდა, რომ საქართველო შესწავლილი იქნებოდა ბუნებრივ-ეკონომიური და საზოგადოებრივ-ისტორიული თვალსაზრისით[4]. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ აქედან მიეცა ბიძგი საბუნებისმეტყველო დარგების განვითარებას ჩვენში. ჩვენი თვალსაჩინო ბოტანიკოსების ლ. დეკაპრელევიჩის, ნ. კეცხოველის, ვ. მენაბდის, თ. ყანჩაველისა და სხვათა ნაყოფიერ შრომას ეთნობოტანიკისა და კულტურულ-ისტორიული პრობლემების შესწავლაში. ცოტა მოგვიანებით ივანე ჯავახიშვილი უკვე ფართოდ ემყარებოდა და იყენებდა ამ მეცნიერთა კონკრეტულ მასალებსა და დაკვირვებებს აგრობოტანიკის სფეროდან. იქვე,

[3] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, გვ. 113.

[4] დ. გერიტიშვილი, ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე (ივანე ჯავახიშვილი), თბ., 1960, გვ. 129.

გზადაგზა, მეცნიერი არ ერიდებოდა მითითებებსა და კრიტიკას აგრონომიისა და აგრობოტანიკის ცალკე საკითხებზე ყურადღების გამახვილებისა და მუშაობის გაძლიერების შესახებ.

ცნობილია, რომ ივ. ჯავახიშვილი მეცნიერული და მეცნიერულ-ორგანიზაციული საქმიანობით უახლოეს კავშირში იყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმთან. დიდი მეცნიერის მოღვაწეობამ ამ დაწესებულებაშიაც ღრმა კვალი დატოვა. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ივანე ჯავახიშვილი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ამ დაწესებულების განვითარებას იმ სტრუქტურული სახით, რომელიც მას დღესაც აქვს: ეს არის ისტორიული მუზეუმი ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, რომელშიაც ისტორიულ-ჰუმანიტარული დარგების გვერდით ისტორიულ-ბუნებისმეტყველური დარგებიც არის წარმოდგენილი. ამ დარგების კვლევა-ძიების კომპლექსი ბუნების, მეურნეობის, კულტურის ისტორიის საკითხებს მოიცავს. და ყველაფერი ეს ერთად აღებული საქართველოს ისტორიის სამსახურში უნდა იყოს ჩაყენებული.

ასეთი შეხედულება საქართველოს ისტორიის მკვლევარს, როგორც ჩანს, ადრევე შეუმუშავდა. ივანე ჯავახიშვილი ახალგაზრდობაში, უნივერსიტეტში შესვლამდე, თურმე ხშირად იყო ხოლმე ახალქალაქში (მეტეხთან), საღაც მას ბევრი ნაცნობი და ნათესავი ჰყოლია. საყურადღებოა კოტე მაყაშვილის მოგონებიდან ერთი ასეთი ფაქტი: „ახალგაზრდობა იკრიბება ვისთანაც. შუაში ვანო უზის. იგი გატაცებით უამბობს დამსწრეთ საქართველოს წარსულზე, აწმყოსა და მომავალ პერსპექტივებზე. მოუწოდებს ახალგაზრდობას შექმნას სამეცნიერო, სალიტერატურო, სამეურნეო და სხვა წრეები“[5]. საქართველოს მეურნეობის განვითარების ისტორიული თავისებურებებისა და საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესწავლის გადაუდებელი საჭიროებისა და საამისო მეცნიერული ამოცანის დასახვაში, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვანი როლი უთამაშია ილია ჭავჭავაძეს. ეს კარგად ჩანს თვით ივანე ჯავახიშვილის საინტერესო მონოგრაფიიდან „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია“. ამ ნაშრომში ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის მრავალმხრივ დამსახურებას ქართული ისტორიოგრაფიის წინაშე და განსაკუთრებულ შეფასებას აძლევს ილიას მეცნიერულ შეხედულებას ისტორიული პროცესის გასაგებად ეკონომიური საფუძვლის ცოდნის აუცილებლობის შესახებ[6]. აქვე კრიტიკულად არის შეფასებული ამ კუთხით „ქართლის ცხოვრება“, როგორც მატიანე. ამასთან ერთად, ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით აღნიშნავს ილია ჭავჭავაძის პრიორიტეტს ამ საქმეში. „1880 წელს დაბეჭდილს წერილში ილია ჭავჭავაძე საქართველოს ისტორიას მანამდე სრულებით უცნობი თვალსაზრისით მიუდგა — წერს ივ. ჯავახიშვილი — ... როგორც ხედავთ, საქართველოს ისტორიის ასეთს გაშუქებაშიც ილ. ჭავჭავაძეს პირველობა ეკუთვნის და ამ მხრითაც ის დიდი ღვაწლი მიუძღვის, რომ მან პირველმა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი წარსულის ეკონომიური საფუძვლის გამორკვევის აუცილებლობა აღიარა“-ო[7].

---

[5] დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

[6] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1938, გვ. 10.

[7] იქვე, გვ. 9.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ევროპულ მეცნიერებაში ფართო ადგილი დაიჭირა ახალმა მძლავრმა მიმართულებამ — მცენარეთა გეოგრაფიამ. ამ დარგის განვითარება დაკავშირებულია ცნობილი მეცნიერების ა. ჰუმბოლდტის, ა. დეკანდოლის, ა. გრიზებახისა და სხვ. სახელებთან. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მცენარეთა ისტორიული გეოგრაფიის განვითარებაში ჩ. დარვინის იდეებმა ორგანული სამყაროს ევოლუციის შესახებ. შედარებითი გეოგრაფიულ-ისტორიული მეთოდი, რომელსაც ეს მიმართულება იყენებდა, მცენარეულის დედამიწის ზურგზე გავრცელებისა და განაწილების კანონზომიერების გამოვლინებისა და დადგენის საშუალებას იძლეოდა. მცენარეულის ზონალურ განაწილებაში ერთ-ერთ ყველაზე მთავარ ფაქტორად კლიმატი მიიჩნეოდა. აღნიშნული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო შვეიცარიელი ბოტანიკოსი ალფონს დეკანდოლი, რომლის ორტომიანი შრომა, ფრანგულ ენაზე, მცენარეთა გეოგრაფიის შესახებ, გამოცემული 1856 წ., ამ დარგში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო[8].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილს ფართო და ხანგრძლივი მუშაობა უწარმოებია თავისი დროის მსოფლიო მეცნიერული მიღწევების გასაცნობად და შესასწავლად ბუნებისმეტყველების სპეციალურ დარგებში და მათ შორის ბოტანიკაში. ამის შესახებ მეცნიერი თითონვე გვამცნობს, როგორც საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო სპეციფიკისა და მეურნეობის ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვის აუცილებელ პირობას. ჩანს, რომ მას საფუძვლიანად შეუსწავლია მცენარეთა გეოგრაფიის მეცნიერული საფუძვლებიც, რაც თვალსაჩინო გამოვლინებას ახდენს მის კაპიტალურ ნაშრომში საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესახებ. როგორც ზოგად თეორიულ ნაწილში, ისე შესაბამის განყოფილებებში მემინდვრეობის, მევენახეობისა და სხვ. დარგების შესახებ ივ. ჯავახიშვილი ემყარება დეკანდოლის, ბეკერის, ბილიარდის, შრადერის, ენგლერის, ვ. ჰენისა და მრავალი სხვა ავტორის შრომებს. ყველას ჩამოთვლა ძნელია. აქ ჩვენ აღარას ვამბობთ საკუთრივ ქართულს გარდა ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ, არაბულ, სომხურ და სხვ. პირველწყაროებზე, რომლებსაც ასე უხვად იყენებს მკვლევარი.

ივ. ჯავახიშვილი მცენარეულის გეოგრაფიის საკითხებს საქართველოში ვახუშტის მიხედვით განიხილავს, არკვევს და იზიარებს ვახუშტის მეცნიერულ პრინციპებს და თითქმის მთლიანად ემყარება ვახუშტის დაკვირვებებსა და დასკვნებს. ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ ვახუშტის საქართველოს სხვადასხვა თემისა და ადგილის მარტო სასოფლო მეურნეობის გარეგნული დახასიათება კი არა აქვს მოცემული, არამედ აღნიშნულია თითოეული მათგანის საწარმოო შესაძლებლობა, ხაზგასმული აქვს, რომ ვახუშტის თავის ნაწარმოებში ქვეყნის მოსავლიანობა-ნაყოფიერების შემცირება ხარისხობრივი ანუ საფეხურებრივი განსაზღვრით აქვს დახასიათებული. ივანე ჯავახიშვილი ასკვნის, რომ ვახუშტი თავის დაკვირვებებში იყენებს ვერტიკალური ზონალობის მეცნიერულ სისტემას და ამის მიხედვით მთელი საქართველო სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის თვალსაზრისით რამდენიმე ბოტანიკურ და აგრონომიულ არედ აქვს დანაწილებული, ხოლო ბრინჯ-ბამბიანობას, თუ ვენახ-

[8] Candolle de Alf., Géographie botanique raisonée, ou exposition de faits principaux et des lois concernant la distribution géographique des plantes de l'epoque actuelle, Paris, v. I et II, 1856; მისივე, Origin of cultivated plants, London, 1884.

ხილიანობას ან უვენახობას ტერიტორიის მოსავლიანობა-ნაყოფიერების საზომებად იყენებს. ივ. ჯავახიშვილი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ვახუშტი ვენახ-ხილიანი, თუ უვენახო და უხილო ზოლების მიხედვით ანაწილებს საქართველოს ტერიტორიას ზოგადადაც — მთისა და ბარის ზოლებად, სწორედ ეს აფიქრებინებს დიდ მეცნიერს, რომ ძველ ძეგლებშიც მთა და ბარი მარტო გეოგრაფიულად კი არა, არამედ ამნაირადვე მთისა და ბარის ზოლებად და მეურნეობად უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი[9]. ვახუშტი საქართველოს მთა-ბარობის პრინციპს ძირითადად კლიმატის ფაქტორს უკავშირებს, ამასთანავე, შემჩნეული აქვს საქართველოსათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი თავისებურება, რომ მთა და ბარი, ისევე, როგორც სხვა ზოლების მეურნეობა, ერთმანეთთან ძალზე დაახლოებულია. ვახუშტის მკაფიოდ აქვს დახასიათებული საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების ეს მრავალფეროვნება: საქართველო არის „შემკობილი მთითა და ბარითა, რამეთუ არა არს ადგილი, რომლისა მთა-ბარი არა იყოს ესრეთ", ერთმანეთზე ახლო, რომ „ორს, სამს, ექვს ჟამს მთიდამ ბარს და ბარიდამ მთას არ მიიწეოდეს" ადამიანი[10]. ანდა გავიხსენოთ ლიგანის ხეობის დასახასიათებლად ნათქვამი სიტყვები: „მთა-ბარი ახლორებს ესრეთ", რომ „ჟამისა, ანუ ნახევარ-ჟამისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი-თურინჯი, ზეთისხილი და ყოველნი ნაყოფნი"-ო[11].

ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღიარებს იმ აზრსაც, რომ ეს თავისებური კანონზომიერება ქმნიდა საქართველოს ბუნებისა და მეურნეობის გასაოცარ კონტრასტებს[12] და როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლიანად ემყარება ვახუშტის დებულებებს და ფაქტიურ მასალებს საქართველოს ბოტანიკური და აგრონომიული არეების ზონადობის შესახებაც.

დიდმა მეცნიერულმა ერუდიციამ და განსაკუთრებულმა სპეციალურმა მომზადებამ ბუნებისმეტყველების თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებში ივანე ჯავახიშვილს საშუალება მისცა შეეფასებინა ვახუშტის გეობოტანიკური კონცეფცია, გამოევლენინებინა მისი მეცნიერული მეთოდი და პრინციპები და ყოველივე ამასთან ერთად მიენიჭებინა მისთვის დამსახურებული ადგილი მეცნიერების ისტორიაში საერთოდ. ივანე ჯავახიშვილს სრული საფუძველი ჰქონდა იმის სათქმელად, რომ დეკანდოლზე ასი წლით ადრე სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა ვახუშტიმ წამოაყენა თავისი დებულებები კულტურულ მცენარეთა არეებისა და ზონადობის შესახებ. მართალია, ამ პრობლემას იგი მხოლოდ საქართველოს მასშტაბით განიხილავდა, მაგრამ რადგან მისი უფრო ფართოდ გავრცელება და განზოგადება შემდეგში არ მომხდარა, ამიტომ ვახუშტი მცენარეთა ზონადობის მოძღვრების პირველ მოციქულად უნდა მივიჩნიოთ და სამართლიანობა მოითხოვს, რომ ვახუშტის ეს დიდი ღვაწლი მეცნიერების წინაშე მისი თხზულების დაწერის თითქმის 200 წლის შემდგომ მაინც აღინიშნებოდეს სათანადოდ[13].

ამასთან ერთად ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ ვახუშტის ძველი ქართული სამეცნიერო მწერლობის ამ დარგში არა ერთი წინამორბედი უნდა

---

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 294.

[10] მოგვაქვს ივ. ჯავახიშვილის მიხედვით — საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 297.

[11] იქვე.

[12] იქვე.

[13] იქვე.

ჰყოლოდა და რომ ბარისა და მთის ბოტანიკურ-გეოგრაფიული გარჩევის პრინციპი საქართველოში, მრავალი მოსაზრების გამო, ძველის-ძველი დაკვირვების შედეგად უნდა იქნეს მიჩნეული, რამაც სახელოვან ქართველ მეცნიერს მცენარეთა ზონადობის სქემის შექმნა გაუადვილაო[14]. ივ. ჯავახიშვილს წყაროების მიხედვით დადგენილი აქვს, რომ ძველ საქართველოში მცენარეთამცოდნეობის ზოგადი მოძღვრება არსებულა, რომ შემუშავებული ყოფილა ცოდნა მცენარეთა აღმოცენების ფიზიოლოგიური პროცესის შესახებ. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მკვლევარი „დავით გარეჯელის ცხოვრების“ ავტორის მსჯელობას კლიმატური პირობების მნიშვნელობისა და მზის რადიაციის შესახებ. „ცხოვრების დაკვირვებას და მწარე გამოცდილებას დაუნახვებია, — წერს ივანე ჯავახიშვილი, — რომ მცენარეულობის აღმოცენება-განვითარებისათვის სითბ-მცხინვარების განსაზღვრული ოდენობაა საჭირო (მეცნიერებაში ეხლა ამას „ოპტიმუმი“ ეწოდება“-ო)[15].

წერილობითი წყაროებისა და ხალხის საუკუნოებრივი დაკვირვება-გამოცდილების მონაცემთა გამოყენებით, მკვლევარი მცენარეთა ვეგეტაციის პერიოდის ხანგრძლივობის საკითხებსაც არკვევს[16], რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს პირობებში.

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო არეებსა და ზონადობის საკითხს ძველ საქართველოში ივანე ჯავახიშვილი მრავალფეროვანი მასალების (ქართულს ბარდა უცხო წყაროების მიხედვით) საფუძველზე, ვახუშტის მსგავსად ხუთ ბოტანიკურ-აგრონომიულ არეს დაადგენს, იმ განსხვავებით, რომ მას არეთა შემადგენლობაში მცირეოდენი ცვლილებები შეაქვს. ვახუშტის მოსავლიანობა-ნაყოფიერების მიხედვით გამოყოფილი აქვს თურინჯ-ნარინჯ-ზეთისხილის, ბრინჯ-ბამბის, ვენახოვან-ხილიანი, უვენახო-ხილიანი და უვენახო-უხილო ზოლები. ივანე ჯავახიშვილი კი განიხილავს თურინჯ-ნარინჯის (ზეთისხილი არ არის შეტანილი), ბრინჯ-ბამბის, ვენახ-ხილიანს, უვენახ-ხილო, ბალახ-ყვავილოვანს და ზაფხულისა და ზამთრის საძოვრების არეებს. ამ პრინციპით არის შედგენილი ივ. ჯავახიშვილის მიერ „საქართველოს ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით“, რომელიც „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ 1930 წლის გამოცემას ერთვის (I ტომი)

როგორც ვხედავთ, ვახუშტისათვის დაყოფის პრინციპი მოსავლიანობა-ნაყოფიერებაა, ივ. ჯავახიშვილი კი ამასთან ერთად ეკონომიურ თვალთახედვას იყენებს — ბალახ-ყვავილოვან და ზაფხულ-ზამთრის საძოვრების არეებს გამოყოფს.

ასეთი მიდგომა საერთოდ ნათელს ჰფენს ივ. ჯავახიშვილის კონცეფციას საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და მეურნეობის მჭიდრო ურთიერთობის შესახებ, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონია მთლიანად საქართველოს ისტორიისათვის. ივანე ჯავახიშვილი ერთმანეთს უკავშირებდა აგრონომიულ ზონადობასა და ეკონომიურ ფაქტორს, ორივე მას განსაკუთრებულ როლს აკუთვნებდა საქართველოს ისტორიაში, კერძოდ, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივობის ისტორიაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სამეურნეო-კულტურული ზონადობის პრობლემა დღეს ქართული მეცნი-

[14] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 298.
[15] იქვე, გვ. 289.
[16] იქვე, გვ. 289—290.

ერული კვლევა-ძიების ცენტრში დგას. სპეციალური კვლევის გაშლამ მეცნიერების სხვადასხვა დარგში შესაძლებელი გახადა საქართველოს გეომორფოლოგიური, კლიმატური, ჰიდროლოგიური, ლანდშაფტური, ფლორისტული, გეობოტანიკური და ნიადაგური დარაიონება, ხოლო მეცნიერული კვლევის ამ კომპლექსმა ხელი შეუწყო საქართველოს ფლორის, კერძოდ, კულტურულ მცენარეთა სარტყლების დაზუსტებას[17]. აკად. ნ. კეცხოველი საქართველოს კულტურულ მცენარეთა განაწილების შვიდ ზონას დაადგენს 21 ქვესარტყლით, ეს ზონებია: სუბტროპიკულ მცენარეთა, მევენახეობისა და მშრალი სუბტროპიკული მეხილეობის, მევენახეობისა და მეხილეობის, მემინდვრეობისა და მევენახეობის, საქართველოს მთის ტყეების, მემინდვრეობისა და მსხვილფეხა მესაქონლეობის, მთის სათიბ-საძოვრების სარტყლები ანუ ზონები. საქართველოს სსრ აგრობოტანიკურ რუკაზე ცალკე აქვს გამოყოფილი მარადთოვლიანი, ყინვარებისა და ნაშალების სარტყელი. ამ დაყოფაში ერთ-ერთ საყურადღებო სიახლეს წარმოადგენს „შუამთის მეხილეობის, მემინდვრეობისა და მევენახეობის სარტყლის (ზონის)“ ცალკე გამოყოფა[18], რაც ეხმაურება საქართველოს კულტურულ-ისტორიულ და ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კვლევაში მიღებულ დაყოფას ბარის, მთისძირის ანუ გარდამავალ და მთის ზოლებად[19]. განსაკუთრებით აღსანიშნავია აგრეთვე აკად. ნ. კეცხოველის მიერ შედგენილი საქართველოს აღდგენილი მცენარეული საფარის რუკა, რასაც საფუძვლად უდევს ბუნებრივ-ისტორიული და კულტურულ-სამეურნეო ზონალობის პრინციპები[20].

ივ. ჯავახიშვილმა უდიდესი წვლილი შეიტანა საქართველოს სამეურნეო-კულტურული საკითხების კვლევის მეცნიერული მემკვიდრეობის შემოქმედებით ათვისებაში და თავის მხრივ დიდი ღვაწლი დასდო ამ საკითხების გაფართოებულ შესწავლას, მჭიდროდ დაუკავშირა ისინი საქართველოს ეკონომიურ ისტორიას, გამოავლინა მრავალმხრივ მოვლენათა კანონზომიერი კავშირი. დღეს, ახალ საფეხურზე ასული ქართული მრავალდარგოვანი ბუნებისმეტყველება, სოფლის მეურნეობის მეცნიერება განვითარება-წინსვლას განიცდის. ამ დიდ საქმეშიც ივ. ჯავახიშვილის ფართო, მრავალმხრივი შრომა და ღვაწლი მუდამ იქნება დაფასებული. ამასთან ეს შრომა უტყუარი ორიენტირიც უნდა იყოს საქართველოს მრავალფეროვანი მეურნეობის ისტორიული წარსულისა და მისი მომავლის პრობლემების ერთობლივ დამუშავებაში.

1919 წელს, ნაშრომში „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული“, ივ. ჯავახიშვილმა წამოაყენა დებულება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, საქართველოს ისტორიისათვის. ეს დებულება შემდეგი შინაარსისაა: „საქართველოს მიწა-წყალი მთლიან ერთეულს წარმოადგენს, რომელიც ბუნებრივი ზღუდეებითაც (მთებითა და მდინარეებით) არის შემოფარგლული და თანაც, ვითარცა მტკვრისა, რიონისა და ჭოროხის აუზების შემცველი, გეოგრაფიულად და ეკონომიურად ურთიერთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული“[21]. შემდგომში ივ. ჯავახიშვილმა ეს

---

[17] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957, გვ. 11; იხ. საქართველოს სსრ ატლასი, თბ., 1965.

[18] იქვე, გვ. 144—150.

[19] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ქართული ეთნოგრაფიული ატლასი (მიზანი, პრინციპები და მეთოდები), საქ. სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყ. მოამბე, 1960, № 1.

[20] ნ. კ ე ც ხ ო ვ ე ლ ი, საქართველოს მცენარეული საფარი, თბ., 1960, იქვე იხ. რუკა.

დებულება საყრდენად გამოიყენა საქართველოს ეკონომიური ისტორიის საკითხების კვლევისას და, როგორც ითქვა, უაღრესად მნიშვნელოვანი აზრები განავითარა საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების, აგრონომიული ზონადობისა და ეკონომიური ფაქტორის ურთიერთკავშირის შესახებ, რაც ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ საფუძვლად აღიარა[22]. კერძოდ, მან ეს ფაქტორები მიიჩნია ქვეყნის ერთიანობის ანუ მთლიანობის საფუძვლად. ასე უნდა გავიგოთ ივ. ჯავახიშვილის შემდეგი სიტყვები: „საქართველოს მიწა-წყლის სასოფლო-სამეურნეო არეების დაწვრილებითი და ზოგადი დახასიათების შემდგომ, ეხლა აგრონომიული და ეკონომიური ფაქტორების ჩვენი სამშობლოს სახელმწიფოებრივობისათვის უაღრესი მნიშვნელობის განსაზღვრა წინანდელზე უფრო ვრცლადაც და არსებითადაც შეგვიძლიანო"[23]. ცხადია, „სამშობლოს სახელმწიფოებრივობაში" ის მარტო პოლიტიკურ-ერთიანობის იდეას არ გულისხმობდა. ამაში ჩვენ ივ. ჯავახიშვილის სხვა ნაშრომებითაც ვრწმუნდებით.

მაშ, როგორ წარმოედგინა ივ. ჯავახიშვილს საქართველოს მიწა-წყალი, როგორც მთლიანი ერთეული? ივ. ჯავახიშვილი, როგორც საერთოდ, თანმიმდევრულად გადმოსცემს თავის შეხედულებას ამ საკითხზეც. აზრი უაღრესად ნათელია. ამასთან, ეს შეხედულება ცალკე რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს შეიცავს და ლოგიკურად აერთიანებს მათ. პირველი მნიშვნელოვანი მომენტია საქართველოს ზოგადი მეურნეობრივი თავისებურების დახასიათება ვერტიკალური ზონალობის მიხედვით და ამ ნაწილში უტყუარი კანონზომიერების დადგენა. ივ. ჯავახიშვილის საკუთრივ ფართო გამოკვლევასთან ერთად დიდად ფასეულია ამავე გამოკვლევის ნაწილი — ძველი წყაროების მიხედვით შედგენილი საქართველოს ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკა, რომელიც, როგორც ითქვა, მან დაურთო საქართველოს ეკონომიური ისტორიის 1930 წლის გამოცემას (წიგნი პირველი). ვახუშტიზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი დაადგენს, რომ თურინჯ-ნარინჯისა და ბრინჯ-ბამბის არეები საქართველოს მხოლოდ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კიდეებზე მოეპოვებოდა. მთელი დანარჩენი ტერიტორია ორ მთავარ დიდ, ვენახ-ხილიანსა და უვენახ-ხილო არეს უკავია. ამასთან, მკვლევარი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ვენახ-ხილიანი არის ზოლი შუაშია მოქცეული, აქეთ-იქით კი, ჩრდილოეთითა და სამხრეთით, ვენახ-ხილიან ზოლს ჯერ უვენახო, შემდეგ უვენახ-ხილო და შემდეგ ალპური საძოვრების არე აკრავს. ამასთან, ოდენობით ეს უკანასკნელი, უვენახ-ხილო და ალპური ზოლი ვენახ-ხილიან არეს საგრძნობლად სჭარბობსო[24]. ზოგადი თავისებურების დახასიათების შემდეგ მკვლევარი ამ არეების ცალკე თავისებურებებს მიაქცევს საგანგებოდ ყურადღებას და დაადგენს, რომ უვენახ-ხილო არე ბუნებრივი პირობების წყალობით, ერთი მხრით, ხორბლეულისა და ქრთილეულის კულტურისათვის იყო განკუთვნილი, მეორე მხრით, ვრცელი, საუცხოო, საზაფხულო საძოვრების დიდი სიუხვის გამო, ამასთანავე მრავალრიცხოვანი მესაქონლეობისათვის იყო გამოსადეგი[25]. როგორც ითქვა, ივ. ჯავა-

[22] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, ტფილისი, 1919, გვ. 49.

[23] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, გვ. 315—316.

[24] იქ ე, I, გვ. 315.

[25] იქვე, გვ. 315—316.

ხიშვილი საქართველოს მთა-გორიანობისა და ბარის გასაოცარ კონტრასტებს, სითბო-სიცივის არეების სიახლოვეს და სხვა ბევრ გარემოებას გადამწყვეტ მნიშვნელობას აძლევდა განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების ისტორიულად ჩამოყალიბების საქმეში[26].

მეორე მნიშვნელოვანი მომენტი ივ. ჯავახიშვილის ერთიან კონცეფციაში არის მეურნეობრივი სხვაობის მქონე საქართველოს სხვადასხვა ნაწილის აუცილებელი ისტორიული ურთიერთკავშირის იდეა. განსხვავებული სასოფლო-სამეურნეო და ბოტანიკური არეების წყალობით, — ხაზს უსვამს მეცნიერი, — ყოველ თემს ყველაფერი, რაც მის მცხოვრებლებს სჭირდებოდათ, არც ჰქონდა და არც შეიძლებოდა ჰქონოდა. მთა ადგილების მკვიდრთ თავიანთი საკუთარი არც ღვინო და არც ხილი არ შეიძლება ჰქონოდათ, ბარელებს თავის მხრით, რასაკვირველია, ხორბლეულისა და ქრთილეულის ის სიუხვე უნდა შეშურებოდათ, რომელიც საქართველოს მაღლობ თემებს გააჩნდათ. ამას გარდა, წვრილფეხა საქონელს მაღლობი ადგილების სუსხიანი ზამთრისა და თოვლიანი, უბალახო პირობების ატანა არ შეეძლო. ამიტომ მესაქონლეობის მიმდევარი მთის მცხოვრები ცხვრის ფარას ზამთრობით თავის თემში ვერ დასტოვებდა. მას თავისი საქონლისათვის ბარის თბილი და ზამთრის საძოვრიანი ადგილები აუცილებლად სჭირდებოდა. სრულიად აშკარად ჩანს, რომ ივ. ჯავახიშვილი აქ ვარაუდობს საქართველოს ტერიტორიაზე ადრევე ჩამოყალიბებულ მეურნეობრივ-დარგობრივ სხვაობას, რასაც საფუძვლად უდევს პირველ რიგში ბუნებრივ-სამეურნეო პირობების კონკრეტული თავისებურებანი. თავის მხრით ბარის მცხოვრებსაც საკუთარი წვრილფეხა საქონლის ზაფხულობით ბარად დატოვება არ შეეძლო, რადგან ცხვარს არც იქაური სიცხის ატანა შეეძლო და არც საკმაო საძოვარი ექნებოდა. ამის გამო ბარელს ზაფხულში თავისი ცხვრის ფარა მაღლობ, გრილ და კარგ საძოვრიან თემში უნდა წაესხა, რომ იქ ვამოეკვება[27].

ამ მოყვანილ დახასიათებაში კარგად ჩანს ის მნიშვნელოვანი მომენტი, რომ პირველ რიგში ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებათა წყალობით საქართველოში ისტორიულად მეურნეობის დარგობრივი განვითარება გვქონია მეურნეობის პროფილის იმ უპირატესი ნიშნით, რომელიც უფრო მეტად შეესაბამებოდა და უპასუხებდა მოცემული გარემოს კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებს. მაგრამ ეს მეურნეობრივ-დარგობრივი განსხვავება და დაყოფა განცალკევებულად კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, არამედ ერთმანეთთან კავშირში, ურთიერთგანპირობებაში (როცა ისინი ერთმანეთს ავსებენ). სწორედ ასეთი გაგება უდევს საფუძვლად ივ. ჯავახიშვილის დიდმნიშვნელოვან დასკვნას, რომელიც მეცნიერს ზემოთგანხილული მსჯელობის შედეგად გამოაქვს. მოგვყავს სიტყვა-სიტყვით ეს დასკვნა: „ამგვარად, ბარელს მთა სჭირდებოდა და მთიელს კიდევ ბარი. უერთმანეთოთ მათ არსებობა არ შეეძლოთ. ამ ბუნებრივი პირობების წყალობით საქართველოს შუა ნაწილი, ბარი, ეკონომიურად ჩრდილოეთისა და სამხრეთის ნაწილების თემებთან ისევე, როგორც წინაუკმოც მთა ბართან უმჭიდროესად იყო დაკავშირებული. გეოგრაფიული პირობების გამო საქართველოს მთა ადგილების მაღლობი თემების ყველა. მიმო-

[26] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, გვ. 316.
[27] იქვე.

სვლისა და აღებ-მიცემობის, გზებიც შუაში მდებარე ბარისაკენ მიიმართებოდა"[28].

ივ. ჯავახიშვილის ზემომოხსენიებული ნაშრომი „საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული", როგორც ვიცით, გარკვეული მიზნით არის დაწერილი: თავისი დანიშნულებით ეს ნაშრომი პოლემიკურია და მიმართულია მათ წინააღმდეგ, ვინც საქართველოს სამხრეთი საზღვრების ისტორიული სინამდვილის დარღვევას ლამობდა. დიდი ქართველი მეცნიერისა და მოქალაქის, გულმხურვალე და გულმართალი პატრიოტის ნათელი აზრებითა და რკინისებური ლოგიკით გამსჭვალული ეს ნაშრომი, ყველას კმაყოფილების, სიამოვნებისა და სიამაყის გრძნობას განაცდევინებს. ნაშრომში მეცნიერი იყენებს მრავალ თვალთახედვას: ისტორიულს, პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივს, გეოგრაფიულს, ეკონომიურს. საერთო ჯამში კი ეს არის საქართველოს საზღვრების ისტორიულ-ეკონომიური მიმოხილვა, რომელიც წარმოაჩენს საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობებისა და შინაგანი სამეურნეო განვითარების თავისებურებებსა და ეკონომიურ ურთიერთობათა ისტორიას. მსჯელობაში მეცნიერი განსაკუთრებით წამოსწევს წინ მთლიანად საქართველოს, მისი ცალკე კუთხეების გეოგრაფიულ თავისებურებებს და მასთან შეფარდებულ ეკონომიურ ურთიერთობათა ისტორიულ ხასიათს, გამოყოფს ოროგრაფიულსა და ჰიდროგრაფიულ რეჟიმს, რაც საქართველოს პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტორია საურთიერთობო გზებისა და კავშირგაბმულობის მიმართულებისათვის[29]. „თითქოს თვით ბუნებას შეუქმნია ქართველ ერისათვის ბუმბერაზი დარაჯი კავკასიონის მთავარი უღელტეხილი ჩრდილოეთით და მაღალი მთების ზღუდე სამხრეთით, — წერს ივ. ჯავახიშვილი — დასავლეთით კი მის ტერიტორიას შავი ზღვის, ხოლო აღმოსავლეთით მდინარეების ზოლი აქვს შემოვლებული. ამ მხრივ საქართველო ერთს საუცხოოდ გარემოზღუდვილს ქვეყანას წარმოადგენს-ო"[30]. მის მსჯელობას კი ის იდეა უდევს საფუძვლად, რომ წარმოაჩინოს საქართველოს თავისებურ გეოგრაფიულ გარემოში, სპეციფიკურ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში ისტორიულად ჩამოყალიბებული სამეურნეო-ეკონომიური მთლიანობა და შინაგანი კავშირ-ურთიერთობა, რაც ობიექტური სინამდვილით იყო ისტორიულადვე ნაკარნახევი. ასეთი შინაგანი კავშირ-ურთიერთობა მკვლევრის გაგებით საარსებო აუცილებლობით იყო გამოწვეული, ხოლო ამის პირდაპირი შედეგი ქვეყნის ეკონომიური მთლიანობა იყო. საქართველოს შინაგანი სამეურნეო-ეკონომიური კავშირ-ურთიერთობის აუცილებლობას, როგორც ითქვა, მკვლევარი ობიექტურ კანონზომიერებას უკავშირებდა. ამის მაჩვენებელია ის, რომ მეცნიერი საქართველოს მეურნეობრივ ზონადობასა და ეკონომიური განვითარების ფაქტორს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავდა, ხოლო სამეურნეო ცხოვრების ისტორიულ ხასიათს, ტენდენციებსა და ტრადიციებს საკუთრივ პოლიტიკურ ისტორიას ნაკლებად უქვემდებარებდა. აქაც მკვლევარი ყოველთვის იმ აზრს ავითარებს, რომ თუ შინაგანი ეკონომიური კავშირი მეურნეობრივ-დარგობრივი სხვაობის, ან საარსებო რესურსების განვითარების

[28] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 317.

[29] როგორც ცნობილია, ეს თვალთახედვა პროფ. გრ. ნათაძემაც გამოიყენა „საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიურ მიმოხილვაში", თბ., 1925.

[30] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული, გვ. 3.

შეზღუდული პირობების მიზეზით აუცილებლობის ხასიათს ატარებს, პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის მოვლენები ასეთ ურთიერთობაზე გადამწყვეტ გავლენას ვერ ახდენენ. საილუსტრაციოდ აქაც მკვლევრის მსჯელობას მივმართოთ. ავიღოთ მესხეთ-ჯავახეთი. ისტორიკოს პაპუნ ორბელიანის ცნობებზე დამყარებით ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „XVIII საუკუნეშიაც, როდესაც მესხეთი ახალციხის საფაშოს სახით ოსმალეთის სახელმწიფოს ეკუთვნოდა და საქართველოს პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო, მაშინაც კი მთელ მესხეთს, განსაკუთრებით კი ჯავახეთსა და სამცხეს საქართველოსთან ჰქონდა მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულება და იქაური სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები, სანოვაგე, განსაკუთრებით კი პური ტფილისში და გორში ჩამოჰქონდათ გასაყიდად“[31]. ივ. ჯავახიშვილი აქვე მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მარტო მიწათმოქმედების მხრივ არ იყო ეს კუთხე დანარჩენ საქართველოსთან დაკავშირებული, რომ არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მესაქონლეობის მეურნეობრივ ფორმასაც. „რაკი საუკუნეთა განმავლობაში ადგილობრივ ჰავის პირობებისდაგვარად შემუშავებულმა ტექნიკამ, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, — უთუო აუცილებლობით დაამტკიცა საზაფხულო საძოვრების საჭიროება, ამიტომ სწორედ აქ, თვით ბუნების მიერ შექმნილს საზაფხულო საძოვრებზე იყრიდა ხოლმე თავს საქართველოში მყოფი საქონელი. ეს კუთხე იმდენად აუცილებელი იყო საქართველოს მესაქონლეობისათვის, — განაგრძობს იგი, — რომ მაშინაც კი, როცა მესხეთი ოსმალთა ხელში იყო, საქონლის პატრონები, განსაკუთრებით მეცხვარეები იძულებულნი იყვნენ სხვა სახელმწიფოში გადასულიყვნენ საქონლით და მთელი ზაფხული იქ გაეტარებინათ. მესაქონლეობის მხრივ ეხლაც საქართველოში იგივე პირობებია როგორც წარსულში იყო“-ო[32].

საქართველოს ცალკე კუთხეთა და თემთა (ასე უწოდებს ივ. ჯავახიშვილი — **მ. გ.**) ერთმანეთთან აუცილებელი სამეურნეო კავშირ-ურთიერთობის თვალსაზრისით, განსაკუთრებით კი მაღალმთიანი ზოლის დანარჩენ საქართველოსთან აუცილებელი კავშირის გასათვალისწინებლად საინტერესოა ასეთი ფაქტიც:

ივ. ჯავახიშვილი ძველი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო არეებისა და ზონადობის საკითხზე მსჯელობის დროს ვახუშტის ცნობას მიმართავს და აღნიშნავს „ფშავ-ხევსურეთი ვახუშტს „მთითა და კლდითა და ტყითა“ გამაგრებულ-მოზღუდვილ, მაგრამ მწირ ქვეყნად აქვს წარმოდგენილი. ამავე ავტორის სიტყვით, ფშავ-ხევსურნი თავიანთი ქვეყნის სწორედ ამ თვისებისათვის „სიმწირისათვის მონებენ, ვისცა ეპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ“-ო (გ გრფა. 298)[33]. მკვლევარი განზრახ აქცევს ყურადღებას ვახუშტის ამ საინტერესო დაკვირვებას. აქ პირდაპირი ლაპარაკია საარსებო კავშირის აუცილებლობაზე. ქვეყნის სიმწირე ფშავ-ხევსურებს აიძულებს მჭიდრო კავშირში იყვნენ თიანეთთან, სულ ერთია ვინც არ უნდა ფლობდეს, ვინც არ უნდა იჯდეს თიანეთში. ეს უკანასკნელი ასაზრდოებს მათ. მაშასადამე, აქ

---

[31] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები..., გვ. 42. მითითებულია ბროსეს გამოც. Histoire de la Géorgie, II, გვ. 466 და გორელ ქედხუდების არზა ერეკლე II-დმი მირთმეული.

[32] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები..., გვ. 42.

[33] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 300.

იგულისხმება მუდმივი ხასიათის აუცილებელი კავშირი. ეს ფაქტი არც ვახუშტის, არც ივ. ჯავახიშვილს გაშლილი არა აქვთ, მაგრამ სავსებით ნათელია მისი დედააზრი. სხვადასხვა ხასიათის წერილობითი წყაროებიდან ვიცით და ამას ყოველმხრივ ადასტურებს ეთნოგრაფიული მასალაც, რომ ფშავ-ხევსურეთი პირველ რიგში თიანეთთან იყო გეოგრაფიულად და ეკონომიურად დაკავშირებული. ფშავლებსა და ხევსურებს აქ ჩამოჰქონდათ მეცხოველეობის პროდუქტი და სხვა ნაწარმი[34].

ივ. ჯავახიშვილი თავისი შეხედულების დასასაბუთებლად საქართველოს ცალკე თემთა შორის ისტორიული, სამეურნეო-ეკონომიური კავშირურთიერთობის შესახებ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს გზებს, კერძოდ, გზების მიმართულებას, ხოლო ამ უკანასკნელს კი ჰიდროგრაფიული რეჟიმის თავისებურებას, ხეობათა შიგნით მდინარეთა დინების მიმართულებას უკავშირებს. გზების საკითხი რთული, მრავალფეროვანი და დიდმნიშვნელოვანია საქართველოს ისტორიაში. ამიტომ, საჭიროდ ვთვლით შევეხოთ საკითხის ერთ-ერთ მხარეს:

საქართველო რთული გეოგრაფიული პირობების მქონე ქვეყანაა და გზებიც ამის გამო მრავალი თავისებურების შემცველია. განსაკუთრებული თავისებურება გვაქვს საქართველოს მთიან ზოლში. საყოველთაოდ გავრცელებული აზრის მიხედვით საქართველოს მთიანეთი უგზოობით ხასიათდება და ძირითადად ამის გამო ისტორიულად იგი სუსტად არის დაკავშირებული ბარის ნაწილთან. ერთი შეხედვით სწორი აზრი შესწორებას მოითხოვს. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ მთაში მუდმივი გზები ფიზიკურად ნაკლებია, მაგრამ შინაგანსა და გარეგან კავშირურთიერთობაზე ეს არც თუ ისეთ დიდ გავლენას ახდენს, როგორც ეს საერთოდ მოსალოდნელი იყო. მუდმივი გზების ნაკლებობა ადგილობრივი პირობებით არის გამოწვეული. ისევე, როგორც დროებითი გზების სიმრავლეც. აქ ისტორიულად დაწინაურებულა და განვითარებულა მთის ტრანსპორტის მთავარი კომპონენტი — საკიდარი და შესაჯდომი ცხოველები, განსაკუთრებით ცხენი. ეთნოგრაფიული შესწავლა გამოავლენს ხალხური ზოოტექნიის საყურადღებო ტრადიციებს ჯიშთა შექმნისა და გაუმჯობესების საქმეში, რასაც ზოგადი ეთნოზოოლოგიის თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა გავიხსენოთ, რომ სახელგანთქმული კახური ცხენები, რომლებსაც შუასაუკუნეებში საექსპორტოდ იყენებდნენ, როგორც ეს სპეციალური შესწავლით არის დადგენილი, თუშური ცხენების ჯიშობრივ გაუმჯობესებას წარმოადგენენ. ხშირად ორივე ეს სახელწოდება ერთმანეთს ფარავს. ადგილობრივ პირობებში ჯიშთა გაუმჯობესების ხალხური შემოქმედების შედეგია ისტორიული კოლხური ცხენიც[35]. ეთნოგრაფიულმა დაკვირვებამ გამოავლინა, რომ მთის პირობებში სამიმოსვლო ურთიერთობათა ტრადიციულ თავისებურებას წარმოადგენს სივრცითი ორიენტაცია და ადრე გამოცდილი მიმართულებით გზის — ძირითადად ცხენის ბილიკის, სწრაფად შექმნა, ძნელსავალი ადგილების, უღელტეხილებისა და გადასასვლელების, მთის წყლების დაძლევა-გადალახვის ჩვევები. აქაც, როგორც საერთოდ დანარჩენ საქარ-

---

[34] მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, II, გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბილისი, 1953.

[35] მ. გეგეშიძე, ქართული ხალხური ტრანსპორტი, II, სასაპალნე ტრანსპორტი (იბეჭდება).

თველოში, გზების მიმართულებას უმთავრესად წყლის მდინარება განსაზღვრავს.

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ფშავ-ხევსურეთის 1962 წლის ეთნოგრაფიულმა ექსპედიციამ ერთხელ კიდევ დაადასტურა ის ფაქტი, რომ ზამთრის თვეებს გარდა, წლის მთელ დროში ხევსურეთისა და ფშავის სოფლები და ხეობები ერთმანეთთანაც და ახლო თუ შორეულ მეზობელ კუთხეებთანაც საკმაოდ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი შესაჯდომი და სასაპალნე ტრანსპორტის საშუალებით[36]. ხევსურეთის მარტო იმ ნაწილში, სადაც ექსპედიციას 1962 წელს მოუხდა მუშაობა, ფიქსირებულ იქნა 35 ცალკე მარშრუტი სატვირთო ცხოველების გზებისა. აქედან 19 გზა შინასამიმოსვლოა ე. ი. აკავშირებს ხევსურეთის ამა თუ იმ ხეობასა თუ სოფლებს, 16 გზა კი ხევსურეთის გარე სამყაროსთან კავშირისათვის გამოიყენება[37]. ეს რიცხვები მთელი ხევსურეთის მასშტაბით, ცხადია, ბევრად დიდია.

ეთნოგრაფიული მასალები ავსებენ ქართველი ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეკონომისტი-ისტორიკოსებისა და ეკონომიური გეოგრაფიის დარგის მკვლევართა ნაშრომებს საქართველოს შინაგანი სამეურნეო-ეკონომიური კავშირ-ურთიერთობის, აღებ-მიცემა-ვაჭრობის, ბაზრების, ტრანსპორტისა და სხვ. შესახებ[38], რაც კარგად ეხმაურება და ადასტურებს საქართველოს ისტორიული წარსულის სურათს ეკონომიური ურთიერთობის ხასიათის შესახებ და რაც ასე თვალსაჩინოდ გამოავლინა ივანე ჯავახიშვილმა. მან მოძებნა ამ მოვლენის კანონზომიერების საფუძველი. „მიმოსვლისა და აღებმიცემობის გზები იყო აგრეთვე ის თვალსაჩინო ძალა, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — რომელიც ერთის მხრივ საქართველოს მრავალს კუთხეს ერთი ერთმანეთს უახლოვდება და აერთებდა, მეორე მხრივ უცხოეთის გავლენა, პოლიტიკური თუ სულიერი, შემოჰქონდა, რომლითაც სამაგიეროდ საქართველოს გავლენაც ვრცელდებოდა მეზობელს და შორეულს ერებსა და სამეფოებზე“-ო[39]. განსაკუთრებით საყურადღებოა ივ. ჯავახიშვილის მიერ გზების ისტორიული შესწავლის დროს გამოთქმული ერთი მოსაზრება, რაც, ცხადია, დამყარებულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის თავისებურებათა გათვალისწინებაზე: „თუმცა ეს ადამიანს ეუცხოვება, — ამბობს ივ. ჯავახიშვილი, მაგრამ უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ძველად საქართველოში უფრო მეტი და მრავალმხრივი გზები ყოფილა, ვიდრე ამ უკანასკნელ დრომდე იყო და მოიპოვება“-ო[40]. სწორედ ამ მრავალი გზებით ხორციელდებოდა სავაჭრო-ეკონომიური კავშირ-ურთიერთობა საქართველოს შიგნითაც მრავალ თემებს შორის და მის გარეთაც. საერთოდ კი აღებ-მიცემობასა და ვაჭრობას ივ. ჯავახიშვილი საქართველოსათვის ადრეულ მოვლენად მიიჩნევდა. ჯერ კიდევ 1907 წელს, საქართველოს ეკონომიური ისტორიის პირველ გამოცემაში მეცნიერი წერდა: „საზოგადოდ ერთი ახირებული აზრი არსებობს, ვითომც მეთვრამეტე საუკუ-

---

36 მ. გ ე ბ ე შ ი ძ ე. დასახ. ნაშრომი.

37 იქვე.

38 პ. გ უ ბ ე ბ ი ლ ი, შეღავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა საქართველოსა და ა/კავკასიაში, თსუ შრომები, V, სერია I და ამავე ავტორის სხვა შრომები; რ. კ ვ ე რ ე ნ ჩ ხ ი ლ ა ძ ე, რაჭა-ლეჩხუმის ტრანსპორტი და რაიონთაშორისი კავშირი, გეოგრ. ინსტ. შრომები, ტ. XV, 1960 და ამავე ავტორის სხვა შრომები.

39 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 68.

40 იქვე, გვ. 68—69.

ნემდე საქართველოში „საოჯახო მეურნეობა“ ყოფილიყოს, ვითომ ყველაფერი რაც კი ადამიანისათვის საჭირო იყო თვითეულ ოჯახში თავიანთვის ეკეთებინოთ. ეს აზრი დიდი შეცდომაა“-ო. წერილობით მონაცემებზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი დაადგენს ჯერ კიდევ ადრე შუა საუკუნეებისათვის აღებ-მიცემისა და ყიდვა-გაყიდვის ძალზე გავრცელებულ ხასიათს — „ვაჭრობა წარმოებდა ზოგჯერ ფულად, ზოგჯერ ნივთეულად, ან როგორც მაშინ ამბობდნენ ხოლმე „განძად და პირუტყვად“-ო[41].

აღებ-მიცემა-ვაჭრობაში საქართველოს ყველა კუთხე იყო ჩაბმული. ამრიგად, განხილული მონაცემები გვაჩვენებენ, რომ ივანე ჯავახიშვილი საქართველოს ერთიანობის გაგებაში, რაც მას ცნება „სახელმწიფოებრიობასთან“ აქვს დაკავშირებული, არსებით მნიშვნელობას ანიჭებდა ტერიტორიულ მთლიანობას, ენის ერთობას და შინაგან ეკონომიურ კავშირურთიერთობას. და რადგან სახელმწიფოებრიობა მას მხოლოდ საქართველოს აყვავების ხანისათვის კი არა აქვს წარმოდგენილი, როდესაც მთლიანად გაერთიანდა ქვეყანა, არამედ ბევრად უფრო ადრეული ეპოქებისათვის, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სწორედ ადრიდანვე მას გარკვეული ერთიანობით შეკავშირებული ქართველების ისტორია წარმოედგინა როგორც „ხალხის“ ისტორია და ამ გაგებას დებდა იგი „ერსა“ და „ერის ისტორიაში“[42]. ეს იყო ქართველი ხალხის ისტორია უკვე იმ ეპოქიდან, როდესაც გვარტომობრივი ცხოვრების შეცვლა მოხდა სახელმწიფოებრიობით, ცალ-ცალკე, აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოში. მაშასადამე, ეს იყო ხალხის ისტორია სახელმწიფოებრიობის შიგნით და ამ ისტორიის შექმნაში ყველანი უკლებლივ მონაწილეობენ, იქნებიან ესენი ერთი ტერიტორიის შორეული თუ ახლო კუთხეების, მთისა და ბარის მცხოვრებნი.

როგორც საერთოდ დღეს აღიარებულია, სამეურნეო კავშირები და სამეურნეო ცხოვრების ერთობა ყველაზე საიმედო დასაყრდენია მყარი ტერიტორიული ერთობისა. საქართველოს რთულ ისტორიაში ეს მიგნება ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის, ისე როგორც ის, რომ ქართველი ხალხი — მისი გაგებით ერთი სამეურნეო ერთეულიცაა.

ზემოთ აღნიშნული თვალსაზრისით საქართველოს სამეურნეო-კულტურული ერთიანობა ქვეყნის ისტორიის მთელ მანძილზე ნათლად მოჩანს ივ. ჯავახიშვილის დიდმნიშვნელოვან მონოგრაფიაშიც ქართულ საფასსაზომთა-მცოდნეობის შესახებ, რომელიც 1925 წელს გამოიცა. როგორც ცნობილია, ამ ნაშრომში მიღწეულია უაღრესი გარკვეულობა და სიზუსტე მეტად რთულ და ნაირგვარ მასალაში. ამ მასალას კი ივ. ჯავახიშვილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა შევეხოთ მხოლოდ იმ მხარეს, რომელიც შესასწავლი საკითხისადმი და თვით მასალისადმი მკვლევრის მეცნიერულ მიდგომას ასახავს. ივ. ჯავახიშვილი ამ საკითხის კვლევაში ძირითადად საბუთებსა და შემოსავლის დავთრებს ემყარებოდა, მაგრამ რადგან საბუთები X საუკუნემდე შემონახული არ არის, უძველესი ხანისათვის საღმრთო წერილის ქართული თარგმანითა და საისტორიო თხზულებებით სარგებლობდა. ივ. ჯავახიშვილი ხელთარსებულ მთელ მასალას ქრონოლოგიური თვალსაზრისით სამ მთავარ ნაწილად ჰყოფდა, ხოლო

[41] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 31—32.

[42] „ხალხს“ ვხმარობთ ცნება «народность»-ის შესატყვისად.

ამ დაყოფას საფუძვლად უდებდა საქართველოს ერთიანობისა თუ დანაწევრების პერიოდებს. და აი, ამის მიხედვით მეცნიერს გამოკვლევა ასე აქვს აგებული: 1. საზომები, რომელნიც სრულიად საქართველოს სახელმწიფო მთლიანობის დარღვევამდე იყვნენ გავრცელებულნი და ქართული სამწერლობო ენისა და სახელმწიფოებრიობისათვის საერთო კუთვნილებას შეადგენდნენ, 2. საზომები, რომლებიც მთლიანობის დაშლის შემდეგ ცალ-ცალკე სამეფო-სამთავროების არსებობისდა მიუხედავად მაინც მთელს, იმიერ-ამიერ საქართველოში იყვნენ გავრცელებულნი და ამიტომვე საერთო კუთვნილებად უნდა იყვნენ მიჩნეული და 3. საზომები, რომლებიც განსაკუთრებით ან აღმოსავლეთს, ან დასავლეთ საქართველოში, ან რომელსამე თემში იხმარებოდნენ[43].

ქართული სამწერლობო ენისა და სახელმწიფოებრიობისათვის საერთო კუთვნილების საზომები, როგორც, ვთქვათ, გრივი, დრამა, ლიტრა და ბევრი სხვა, ბუნებრივია, საქართველოს ცალკე თემთა ხანგრძლივ კულტურულ-ეკონომიური ურთიერთობისა და კავშირის პირობებში უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ, ტრადიციულობის მაჩვენებელია ის მოვლენაც, რომ სახელმწიფოებრივი მთლიანობის დარღვევის შემდგომაც საქართველოში ისეთი ახალი საზომები გაჩნდნენ, რომლებიც, ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევით, საერთო იყვნენ იმერ-ამერეთისათვის, როგორც მაგ., კოდი, ფოხალი, ქილა, პინა, ბათმანი, ნაოთხალი, ჩარექი და ბევრი სხვა[44].

პროფ. დ. გვრიტიშვილს ივანე ჯავახიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში მრავალ საინტერესო მასალასთან ერთად მოჰყავს საყურადღებო ცნობები სახელოვანი მამულიშვილის დაუღალავი მოღვაწეობის შესახებ მეცნიერული ცოდნის პროპაგანდის საქმეში. გაზეთ „ისარის“ ფურცლებზე მოთავსებულ კორესპონდენციებში მოთხრობილია ივანე ჯავახიშვილის მიერ 1907 წლის 22, 23 და 24 ივნისს წაკითხული სამი საჯარო ლექციის შესახებ, რომლის თემა ყოფილა „კულტურის ისტორია საქართველოში უძველესი დროიდან მეცამეტე საუკუნემდე“. კორესპონდენციაში რიგ საყურადღებო მხარეზეა გამახვილებული ყურადღება, ხოლო ერთი გარემოების შესახებ კორესპონდენციის ავტორს მიზანშეწონილად დაუნახავს ივანე ჯავახიშვილის სიტყვების სრულად მოტანა: „წარსულ ხანაში — ამბობდა ლექტორი — საქართველოს ყველა კუთხის მკვიდრნი ისე მჭიდროდ იყვნენ შეკავშირებულნი, ისე იყვნენ გამსჭვალულნი საერთოდ საქართველოს გადიდების სურვილით, რომ ხსენება არც კი იყო არავითარ იმერლობა-ამერლობისა და სხვა ამის მსგავს რისმე, რომელიც ჩვენდა სამარცხვინოდ დღესაც სავსებით არ გამქრალა“-ო[45]. ამ სიტყვებში სავსებით ნათლად მოჩანს მეცნიერის აზრი იმ დიდმნიშვნელოვან საკითხზე, რომელიც ქართველთა შინაგან ეთნიკურ მთლიანობას შეეხება და რომლის ირგვლივაც, სამწუხაროდ, დღესაც სხვადასხვაგვარი შეხედულება არსებობს. ქართული ეთნოსისადმი მიკუთვნებულობის თვითშეგნება ჩვენში ძალზე ადრევე უნდა ჩამოყალიბებულიყო, რასაც განსაკუთრებით აპირობებდა ერთი ენა, როგორც პროდუქტი საერთო წარმოშობისა, ტერიტორია, და ეკონომიური კავშირ-ურთიერთობა. არ შევ-

[43] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საფას-საზომთამცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია, ტფილისი, 1925, გვ. 66—67.

[44] იქვე, გვ. 78—87.

[45] ციტირ. დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართლის ცხოვრების მესაიდუმლე (ივ. ჯავახიშვილი), თბილისი, 1960, გვ. 27.

ცდებით, თუ ვიტყვით, რომ ივ. ჯავახიშვილის მრავალმხრივი მეცნიერული ძიება ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული ისტორიისა და სხვა სფეროებში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ამ მნიშვნელოვანი კონცეფციის ნიშნის ქვეშ წარიმართება. ქართველი ერი ივ. ჯავახიშვილისთვის არ იყო მექანიკური კრებითი სახელწოდება, ხოლო ერის (ამ შემთხვევაში მარქსისტული განსაზღვრების შესატყვისად — ხალხის — народность) ისტორიას იგი ადრე ქრონოლოგიური ჩარჩოებით იწყებდა.

ამ ფონზე ჩვენ ერთგვარად გაუგებრად და გაუმართლებლადაც გვეჩვენება ერთი ახლანდელი დებულება, რომლის თანახმად თითქოს XI—XIII სს. მოხდა ქართველთა „ეთნიკური კონსოლიდაცია". აქ ბუნებრივად ისმის კითხვა — ერთ ტერიტორიაზე მცხოვრებ საერთო წარმოშობის, ერთი ენის, ისტორიულად შინაგანი სამეურნეო-კულტურული და ეკონომიური კავშირ-ურთიერთობის მქონე ხალხს, ე. ი. ერთ ეთნოსს რაღა ეთნიკური კონსოლიდაცია სჭირდებოდა. ამრიგად, აქ არა მარტო ქრონოლოგიური უზუსტობაა, უხეიროა თვით გამოთქმა „ეთნიკური კონსოლიდაციაც", რაც შესაძლოა შეცდომის წყაროდ იქცეს. მსგავს მოვლენებს თავიდან ავიცდენთ, თუ ჩვენ თითონვე ისტორიულ, ეთნოგრაფიულ თუ სხვა ხასიათის ნაშრომებში მეტი სიფრთხილით მოვეკიდებით ყველა იმ საკითხის განხილვასა და მათზე აზრების გამოთქმას, რომელიც საბოლოო ჯამში ამ დიდსა და ამასთან ფაქიზ საკითხს უკავშირდება. ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ანე ისტორიულ-ტერიტორიული რაიონების — კუთხეების ცალკე აღმნიშვნელ ზოგად სახელწოდებად „თემს" ხმარობს. ზოგჯერ ამ ცნებაში უფრო მცირე, მაგრამ გეოგრაფიულად კონკრეტულ ტერიტორიასაც აქცევს. მაგალითად, ქართლის ბოტანიკურ-აგრონომიული არეების დახასიათების დასაწყისშივე ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს: „ქართლზე ვახუშტს თავის ნაშრომში საუცხოო, ზედმიწევნითი და დაწვრილებითი ცნობები აქვს შეტანილი. მის დახასიათებას ჯერ ქართლის სამხრეთ აღმოსავლეთის თემით, ქვემო ქართლით დავიწყებთო"[46]. მაშასადამე, ივ. ჯავახიშვილს თემი აქ გაგებული აქვს კონკრეტული ტერიტორიის აღმნიშვნელად. ამ მომენტს ჩვენ იმიტომ უფრო გავხაზავთ, რომ, აგრეთვე, არა ზუსტი გვეჩვენება სხვა ამის სადარი სახელწოდებანი, რომელსაც სხვადასხვა ხასიათის ნაწერებში ვხვდებით. მაგალითად, არაზუსტია, ჩვენი აზრით, როცა ქართლელებს, იმერლებს, გურულებს თუ სვანებს ქართველთა ეთნოგრაფიულ ჯგუფებს უწოდებენ. სახელწოდება „ეთნოგრაფიული ჯგუფი", მართალია, პირობითია და ერთი შეხედვით უწყინარიც, მაგრამ ერთი ეთნოსის შიგნით მის ხმარებას წარმოშობით ერთიანი, მაგრამ ყოფის ზოგიერთი თავისებურებებითა და ერთი ენის დიალექტით განსხვავებული ჯგუფების სახელწოდებად, შეუძლიან შეცდომაში შეგვიყვანოს თვით ამ ჯგუფების საერთო წარმოშობისა და საერთო ეთნოსისადმი მიკუთვნებულობის თვალსაზრისით. საქართველოს სინამდვილისათვის უფრო სწორი იქნება თუ ეთნოგრაფიულ ჯგუფს, მაგალითად, ქართველ ებრაელებს ვუწოდებთ და ეს ხომ ასეც არის ცნობილი ლიტერატურაში. გურულები, მეგრელები, თუშები თუ საქართველოს სხვა კუთხეების მკვიდრნი კი, ცხადია, ეთნოგრაფიული ჯგუფები არ არიან.

ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებებს და განიხილავდა მათ სა-

[46] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, გვ. 300.

კუთრივ ქართველი ხალხის ისტორიასთან მჭიდრო კავშირში. დიდ მეცნიერს ქართველი ხალხის ისტორიის ყველა სფერო თითქმის ერთნაირად აინტერესებდა და შედეგიც ხომ საოცარია — უზარმაზარი და მრავალფეროვანი მეცნიერული მემკვიდრეობა. მაგრამ ერთი რამ მაინც ყოველთვის იწვევდა და იწვევს ჩვენს გაკვირვებას — სად შეეძლო ან რატომ სჭირდებოდა ამ ბუმბერაზ მეცნიერს საგანგებოდ ელაპარაკა მაგალითად, არა მარტო საერთოდ საქართველოს მტილ-ბოსტანზე, არამედ დაწვრილებით ცალ-ცალკე დაეხასიათებინა მხალმწვანილეული, ვთქვათ მეაუნა, ღოლო, ჯიჯლაყა, ბალბა, ღანძილი, დუცი და თითოეული მათგანისათვის სათანადო ადგილი მიეჩინა დიდი მნიშვნელობის გამოკვლევაში, რომელსაც „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ ეწოდება. მაგრამ ამის განსაკუთრებული მნიშვნელობა ივ. ჯავახიშვილს ჯასზე ადრე მოღვაწე, თუ შემდგომი თაობის ისტორიკოსებზე მეტად ესმოდა. მან ერთადერთმა ქართველ ისტორიკოსთა შორის განსაკუთრებით შეაფასა ვახუშტი ბაგრატიონის უდიდესი დამსახურება და მისი მემკვიდრეობის მნიშვნელობა, მანვე. როგორც ზემოთაც ითქვა, გააღრმავა და ახალ სიმაღლეზე აიყვანა საქართველოს ეთნობოტანიკური მეცნიერული ცოდნა. ეს იმიტომ, რომ ივ. ჯავახიშვილს საქართველოს ბუნების ისტორიაც და ხალხის ისტორიაც ერთმანეთთან განუყოელ კავშირში ჰქონდა წარმოდგენილი და სწორედ ასეთი მიდგომით იკვლევდა ჩვენი ქვეყნის წარსულს.

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ საქართველოს ყოველი თემი მეურნეობის ამა თუ იმ დარგის შემოქმედებით განვითარებაში თანაბარ მონაწილეობას ვერ ღებულობდა, რადგან ასეთი შემოქმედების უმთავრესი პირობა შესაფერი ბუნებრივ-სამეურნეო გარემო იყო. მაგალითად, ივ. ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ მევენახეობა-მეღვინეობისათვის საქართველოს ყოველი თემი და კუთხე თანასწორად გამოსადეგი და მარჯვე არ იყო. ზოგი თემის ნიადაგიცა და ჰავაც ამ დარგისათვის საუკეთესოა და ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი სამშობლოს ეს ადგილები მევენახეობის მთავარ არედ ქცეულიყვნენო. მკვლევარი იმასაც აღნიშნავდა, რომ ამ დარგის განვითარებაში ამავე მიზეზით ქვეყნის ყოველ კუთხეს ერთნაირი წარმატება არ ჰქონდა. ნაირგვარი მასალის შეპირისპირებისა და ანალიზის საფუძველზე მეცნიერი შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრის შესწავლის საკითხსაც აყენებს, ხოლო დაკვირვებისათვის ძირითადად იყენებს ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა იმ სახელწოდებებს, რომლებსაც აღბეჭდილი აქვთ სადაურობა. აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მეცნიერის დიდი მუშაობა ტერმინოლოგიურ კვლევა-ძიებაში, ლინგვისტურ-ფილოლოგიური ანალიზის დარგში. ამის მიხედვით მეცნიერი დაასკვნის, რომ კახეთსა და ეგრისს დანარჩენ თემებზე მეტი ჯიშები მიეკუთვნება, ქართლს ოდნავ ნაკლები შეუქმნია, მაგრამ იმ დროს, როდესაც კახეთის ჯიშთა უმეტესობა საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული და ზოგად ჯიშებად იქცა, ქართლის ჯიშების უმეტესობა ქართლს არ სცილდება, იმერეთისა და ეგრისის ჯიშების არეც მხოლოდ ერთი-ორი თემის ფართობით განისაზღვრებაო[47]. ივ. ჯავახიშვილი დაასკვნის, რომ „თუ მკვლევარი ამ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას გაითვალისწინებს, მაშინ უცილობელი შეიქმნება, რომ სრულიადი საქართველოს შემოქმედებითი მევენახეობის მთავარი ცენტრი კახეთი ყოფი-

[47] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, 1934, გვ. 59.

ლა. დას. საქართველოში კი — პირველი ადგილი ეგრისს, მეორე არაგვეთს და მესამე ჭანეთს ეკუთვნის, რომლის წვლილი იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ მთელ საქართველოში გავრცელებული კაბისტონი, ანუ კაპიტო სწორედ იქაური არის"-ო[48].

უდიდესი და მრავალფეროვანი შრომის ნაყოფია მემინდვრეობის კულტურებისა და სამიწათმოქმედო სისტემების გამოკვლევა. ივ. ჯავახიშვილი მარცლოვანი კულტურების ბოტანიკური რაობის გარკვევასთან ერთად, იკვლევს ამ მცენარეთა ადგილს ცხოვრებაში, ყურადღებას აქცევს მათს ეკონომიურ მნიშვნელობას, შეისწავლის მათ კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით, დაადგენს მათი გავრცელების არეებს, გავრცელების მიმართულებას, ირკვევს თემთა შორის კულტურულ გაცვლას და ამა თუ იმ კულტურის მიერ ზოგად ქართული ხასიათის შენაძენს, დაადგენს გარედან არის თუ არა ნასესხები ესა თუ ის კულტურა ან პირიქით რა ხასიათი აქვს საქართველოს ფარგლებიდან მათ გავრცელებას. მსჯელობაში ყოველთვის წინა პლანზეა ხალხის საწარმოო შემოქმედებითი შრომა, დაკვირვება. გამოცდილება მცენარეულის ცალკე სახეობათა შესაქმნელად. როგორც ვიცით, დღეს საყოველთაოდ აღიარებულია ის აზრი, რომ კულტურული მცენარეულის თანამედროვე და ისტორიული გეოგრაფია საბოლოო ჯამში არის ხალხის საუკუნეობრივი ცოდნისა და გამოცდილების შედეგი სოციალურ-ეკონომიური პირობების ფონზე, ხოლო ხალხის გამოცდილება კი არის სინთეზი მისი წარმატებებისა და გულისგატეხისა, გამარჯვებისა და იმედის გაცრუებისა[49]. ეს იყო ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიების პროცესი.

ერთ-ერთი დასაყრდენი დებულება, რომლის მიხედვით ივ. ჯავახიშვილი განიხილავს მიწათმოქმედებას მთლიანად საქართველოში ეს არის მეურნეობის ინტენსიურობა და ბრძოლა მიწის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ამის საუკეთესო ნიმუშია მისი დაკვირვება ხალხური აგროტექნიკის მრავალფეროვან ხერხებზე. აი, რას ამბობს, მაგალითად, იგი ნიადაგის დასვენების წესზე საქართველოში: „ყოველწლიური ხვნა-თესვა მიწას მალე ამჭლეევებდა და ბოლოს უნაყოფოს ხდიდა. მიწისმოქმედს ან უნდა ამ სახნავი ადგილისათვის თავი დაენებებინა და სხვა ადგილას გადასულიყო, რომ იქ კორდი გაეტეხა და ახალი ღონიერი ნიადაგი ჰქონოდა ან უნდა ის სახნავი ნაჭრები რიგ-რიგობით დაესვენებინა. სახნავი ადგილის მონაცვლება, — განაგრძობს მკვლევარი, — მხოლოდ პირველყოფილ მდგომარეობაში იყო შესაძლებელი, როდესაც მოსახლეობის სიმცირის წყალობით, ბევრი თავისუფალი დაუმუშავებელი მიწა იყო და გადასვლა-გადმოსვლა შეუფერხებლივ შეიძლებოდა, ეს ხანა ექსტენსიური მეურნეობის ხანაა"-ო. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ამ ტიპის მეურნეობა საქართველოში არ გვაქვს შემორჩენილი, რომ ხალხის გამრავლებას სახნავი მიწების მონაცვლება ჯერ უნდა შეეზღუდა, შემდეგ კი სრულებითაც მოესპო. მიწას ამის გამო სხვაგვარი მზრუნველობა სჭირდებოდა და ივ. ჯავახიშვილიც გამოავლენს სხვადასხვა ხერხს: მიწის დასვენების, მარცლეულის მონაცვლეობის, მიწის განოყიერებისა და სხვ. წესებს. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს მეცნიერი საქართველოს პირობებისათვის შესაფერ ტრა-

---

[48] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია; II, 1934, გვ. 59.

[49] ეს აზრი მოყვანილი გვაქვს აკად. თ. დავითაიას სიტყვებით: Ф. Ф. Давитая, Климатические зоны винограда в СССР, М., 1948, გვ. 136.

დიციულად შემუშავებულ ფორმას — საგაზაფხულო და საშემოდგომო ნათესებზე დამყარებულ მემინდვრეობის სისტემას. ასევე, კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობების მიხედვით შემუშავებულ მთისა თუ ბარის სამეურნეო მარცვლოვან კულტურებს, მათს ლოკალურ ხასიათს, სიცხისა თუ სიცივის, სიმშრალისა თუ ნესტის ამტანობას, მოსავლიანობას და სხვა მხარეებს, ცალკეულ კულტურათა ზოგად ხასიათს და მათს გავრცელებას მთისა თუ ბარის საქართველოში. ეკონომიური თვალთახედვით კვლევას მეცნიერი მთელ რიგ მნიშვნელოვან დასკვნებამდე მიჰყავს. აი, ერთი ასეთი დასკვნათაგანი: „უცილობელი ფაქტებიდან ჩანს, წერს ივ. ჯავახიშვილი, რომ საქართველოს, მჭიდრო მოსახლეობისა და გეობოტანიკური პირობების გამო, იმდენი ხორბალი არ მოსდიოდა, რომ ჩვენი სამშობლოს ყველა თემის მცხოვრებთათვის წმინდა ხორბლეულის პური საკმარისად ჰქონოდა. ამიტომ პურეულის ნაკლებობის შესავსებად უნდა გარკვეული ეკონომიური პოლიტიკა ყოფილიყო. ყოფილა კიდევაც: იქ სადაც ხორბლეული საკმარისი არ მოდიოდა, ქრთილნარევი პური უხმარიათ“-ო[50]. ივ. ჯავახიშვილს გამორკვეული აქვს, რომ ქრთილს ჩვეულებრივ ქერზე უკეთესი ღირსება ჰქონდა და ხორბლისა და ქერის შუალედი ადგილი ეჭირა თავისი საუცხოო თვისებების გამო[51]. მეცნიერი ხორბლეულისა და ქრთილეულის კულტურის არეების მნიშვნელობას საგანგებოდ გახაზავს და ამას საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის დიდ როლს აკუთვნებს. აქ მკვლევარი ისევ უბრუნდება იმ დებულებას, რომ რადგან სახნავად გამოსადეგი მიწის სიმცირის გამო მთაადგილებს სამყოფი საკვები, მეტადრე ხორბლეული არ ჰქონდათ, ბარს მთისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რომ საქართველოს ჩრდილო ზოლის მთა სურსათის მხრივ ეკონომიურად ბარზე იყო დამოკიდებულიო[52]. ამის კონკრეტული მაგალითები ზემოთ უკვე იყო მოტანილი. „ფშავ-ხევსურეთის ბარისაგან ეკონომიური და ამის გამო პოლიტიკური დამოკიდებულების გარემოება, — წერს ივ. ჯავახიშვილი, — თავის დროზე ვახუშტსაც ჰქონდა ხაზგასმით აღნიშნული“-ო[53].

მაგრამ საქართველოს ცალკე თემთა შორის მეურნეობრივ-დარგობრივი სხვაობა და მასშტაბები ივ. ჯავახიშვილისათვის არასოდეს არ ყოფილა საქართველოს შიგნით კულტურულ-ისტორიული განსხვავებული თვალთახედვისა და ხალხის საწარმოო-კულტურული დონისა და შემოქმედებითი შესაძლებლობის საზომი.

საქართველოს სამეურნეო განვითარების ისტორიის საკითხებზე მსჯელობის დროს არა მარტო წარსულში, ვთქვათ XIX ს., არამედ, სამწუხაროდ, დღეესაც კი აქა-იქ გვხვდება ისეთი მსჯელობანი, რომ თითქოს ამა თუ იმ თემის ისტორიული მოწყვეტა საქართველოს სხვა კუთხეებისაგან იყო იმის მიზეზი, რომ იმ თემში მეურნეობრივი და მატერიალური განვითარების დონე შეფერხდა და მეურნეობის დარგმა თუ ნივთიერი კულტურის ამა თუ იმ ელემენტმა არქაული, პრიმიტიული სახე შეინარჩუნა, ჩამორჩა. ზოგჯერ ეს მცდარი შეხედულება სულ სხვა მიზნებთან დაკავშირებული მოსაზრებებით „საბუთდება“. მაგალითად, თუ უნდათ, რომ საქართველოს მთის ისტორიული ჩამორჩენილობა მკვეთრად გახაზონ, ასეთი პირნი იტყვიან, რომ, ვთქვათ, მთამ საქარ-

[50] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, გვ. 420.
[51] იქვე.
[52] იქვე, გვ. 421.
[53] იქვე.

ოველოს ფეოდალური კარჩაკეტილობის მიზეზით ბოლო დრომდე შემოინახა სახვნელის ისეთი მარტივი ფორმა, რომელსაც თავისი განვითარება და (მოცემულ გარემოში შინაგანი) სრულყოფა აკლია. აქედან გამომდინარეობს ლოგიკური დასკვნა, რომ — თუ არა ასეთი კარჩაკეტილობა და მოწყვეტილობა საქართველოს მთაში, რომელიმე ხევსურეთსა და ფშავში — ერთუღელა ხევსურული სახვნელისა თუ ფშაური აჩაჩას მაგიერ მივიღებდით დიდი ქართული გუთნის მსგავს სახვნელ იარაღს, რომელშიც 7 ან 9 უღელი შეიბმებოდა. ეს საქმეში ჩაუხედავობით გამოწვეული შეცდომაა და კარგი იქნება, თუ ასეთ შეცდომებს ნაკლებად დავუშვებთ ზოგადი ხასიათის ლიტერატურაში. მათ შორის, საცნობარო ბეჭდურ მასალაში, რომელსაც ფართო მკითხველი ჰყავს. ამ მცდარ აზრსა და უნებლიე თუ ხელოვნურ შეცდომას კარგად უპასუხებს ივანე ჯავახიშვილის ნათელი და მახვილგონიერი დაკვირვება, რომელიც მას სწორედ ქართული სახვნელი იარაღების თავისებურებებთან დაკავშირებით აქვს მოცემული. საჭიროდ ვთვლით მეცნიერის ამ შეხედულების სრულად მოტანას: „სახვნელის გაუმჯობესების ისტორიისა და მის სახეობათა კლასიფიკაციის საკითხის განხილვის დროს — წერს ივ. ჯავახიშვილი — უნდა, როგორც ძველ წყაროებში დაცული და გადარჩენილი ცნობები გამოვიყენოთ, ისევე თანამედროვე ეთნოგრაფიულ მასალებსაც დავემყაროთ. უნდა ანგარიში გავუწიოთ საქართველოს სხვადასხვა თემში დღემდე დაცულ სახვნელის სხვადასხვა სახეობას, მათი აგებულების ნიშანდობლივ თვისებებს, მათ აღსანიშნავად ამჟამად ხალხში მიღებულ სახელებსა და მათი ნაწილებისათვის არსებულ ტერმინოლოგიას. ზევით უკვე აღნიშნული გვქონდა — განაგრძობს ავტორი — რომ სახვნელის საუკუნეთა განმავლობაში თანდათანმა გაუმჯობესებამ და ახალ-ახალმა სახეობამ წინამორბედი სახეობა ვერ მოსპო. ამ ერთი შეხედვით უცნაური გარემოების მიზეზის გაგება ადამიანს არ გაუძნელდება, თუ საქართველოს ნიადაგის გასაოცარ სხვადასხვაობასა და ბუნებისა და თვისებათა მრავალფეროვნებას გაიხსენებს. მთა და ბარი, მაღლობი, ზეგანი და დაბლობი, ფერდობი და ვაკე ადგილი, მარად-თოვლიანი, ალპური, ტყიანი და სხვა ყველა არსებული ზოლები სუბტროპიკულამდე საქართველოში შედარებით მცირე მანძილის ფარგლებშიც კი — შეუძლია ადამიანმა მონახოს. ნიადაგის თვისებების მხრივაც დიდი მრავალნაირობაა: სოფლის მეურნე ჩვენ სამშობლოში მაგარს, ბნელ მოსახნავსაც, უალრესად ფხვიერსა, ხმელსა და მშრალსაც, ურწყულსა და ურწყავს, ნოტიოს, სარწყავს, შავს, ღონიერ მიწასაც და მჭლე, მწირ მიწასაც შეხვდება. ცხადია, რომ ყოველ სახნავ მიწას ნიადაგის თვისებისდა მიხედვით სჭირდება დამუშავება. ამიტომ საყანური ზოგან ღრმად უნდა მოიხნას, ზოგან პირიქით ზედაპირად, ზოგ ადგილას ნიადაგის სიმკვრივის გამო მძიმე და ღონიერი სახვნელი სჭირდება, ზოგან კი — სუბუქი და მარტივი აგებულების იარაღიც თავის დანიშუნლებას კარგად და ადვილად ასრულებს. სასოფლო მეურნეობის თვალსაზრისით არამც თუ მიზანშეწონილი არ იქმნებოდა, ხშირად შესაძლებელია სწორედ საზიანოც კი გამხდარიყო ფხვიერი და ადვილად მოსახნავი მიწა, რომ მიწათმოქმედს მძიმე გუთნით მოჭარბებულ სილრმეზე მოეხნა, იმგვარადვე როგორც ეკონომიური თვალსაზრისით საზარალო იქმნებოდა, რომ სოფლის მეურნეს ნახნავზე ტყუილ-უბრალოდ მეტი შრომა და ენერგია დაეხარჯა“[54]. შემდეგ ავტორი ამ აზრის მართებულობის საჩვე-

[54] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1, გვ. 173.

ნებლად მიუთითებს ისტორიულ ცნობებზე, კერძოდ, მოჰყავს არქანჯელო ლამბერტის დაკვირვება სამეგრელოს სამიწათმოქმედო ყოფაზე.

როგორც ვიცით, საქართველოს სახვნელი იარაღების სპეციალური შესწავლით კონსტრუქციულ-ფუნქციონალური ნიშნების და საქართველოს სამიწათმოქმედო სისტემების საფუძველზე ეს საინტერესო საკითხი ჩვენში ახალ მეცნიერულ სიმაღლეზე იქნა აყვანილი. მხედველობაში გვაქვს აკად. გ. ჩიტაიას მრავალრიცხოვანი სპციალური გამოკვლევები.

როგორც ვნახეთ, ივ. ჯავახიშვილი საქართველოს მეურნეობრივი თავისებურებების ახსნაში ერთ-ერთ მთავარ ადგილს „საქართველოს ბუნების თვისებათა მრავალფეროვნებას“ ანიჭებს. ეს არა მარტო ზემოთ მოტანილი შეხედულებით დასტურდება, არამედ საერთოდ მისი კვლევა-ძიების მიმართულებითაც. ჩვენ აქ იმის თქმაც შეგვიძლიან, რომ სამეურნეო ისტორიის საკითხების კვლევაში ივ. ჯავახიშვილი სოციალურ-პოლიტიკური განვითარების თავისებურებებსაც ითვალისწინებს, მაგრამ ამ მომენტს არ ანიჭებს გადამწყვეტ მნიშვნელობას, როცა საქმე ეხება მეურნეობის დარგობრივი განვითარების კონკრეტულ თავისებურებებს. ამ ნაწილში მკვლევარისათვის მთავარია ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ-სამეურნეო პირობების კონკრეტული თავისებურებანი, რომლის პირობებშიც ისტორიულად ყალიბდებოდა და ვითარდებოდა მეურნეობის ესა თუ ის დარგი.

ივ. ჯავახიშვილის ფართო კვლევა-ძიებიდან გამომდინარეობს ის დასკვნაც, რომ საქართველოს თითოეულ თემს სამეურნეო-კულტურული ხასიათის საკუთარი მიღწევები ჰქონდა, რომელთაგან უმეტესობა საერთო ქართული კულტურის ფონდში შედიოდა და მის დაწინაურებასა და განვითარებას უწყობდა ხელს. ასე უნდა გავიგოთ სამეურნეო-კულტურული განვითარების ხანგრძლივი, რთული და საინტერესო პროცესი საქართველოში. სამეურნეო-საწარმოო ხასიათის მიღწევები, რომლებიც ამავე დროს კულტურის განვითარების დონესაც ასახავს, ქართველ ხალხს ყველა სფეროში ბევრი აქვს. ივ. ჯავახიშვილმა მისთვის ხელმისაწვდომი ყველა მასალის საფუძველზე ქართული მიწათმოქმედების ისტორიის ცხოველმყოფელი სურათი დახატა, სადაც ნათლად გამოჩნდა უაღრესად რთულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში მიმდინარე პროცესის თავისებურებანი საწარმოო-შემოქმედებითი კულტურის ლოკალური თუ ზოგად ქართული ხასიათი. ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილმა დიდი მნიშვნელობის მეთოდოლოგიური ამოცანებიც დასახა სამომავლო კვლევა-ძიებაში. მკვლევარი მიიჩნევდა, რომ საქართველოში არ არსებობდნენ ერთმანეთს მოწყვეტილი და მეურნეობრივ-კულტურულად ჩამორჩენილი თემები და რომ შინაარსობრივად სულ სხვადასხვაა მოცემულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებში მეურნეობის გაძღოლის კულტურა და მეურნეობის მასშტაბური შესაძლებლობანი. ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით ბევრი რამ არის კიდევ გასაკეთებელი და ბევრი რამ მოითხოვს შესაფერის კულტურულ-ისტორიულ და სოციალურ-ეკონომიურ შეფასებას, განსაკუთრებით იმ სფეროებიდან, რომელიც დიდი მეცნიერის მოღვაწეობის შემდგომ ახალი მასალებითა და აღმოჩენებით გამდიდრდა. ყველაფრის ჩამოთვლას ვერც შევძლებდით. საკმარისია. მაგალითად, იმავე მთის რეგიონების სამეურნეო-კულტურული „ჩამორჩენილობის“ საწინააღმდეგოდ აღინიშნოს, რომ თუშური (კახური) ცხენი, მეგრული ცხენი, ხევსურული ძროხა, კოლხური ძროხა, თუშური ცხვარი, მეგრული თხა, სულგუნი, თუშური ყველი, ხევსურული ერბო და ბევრი სხვა სამეურნეო-

საწარმოო კულტურის ისეთი თვალსაჩინო მონაპოვრებია, რაშიც სწორედ მთის მცხოვრებლებს მიუძღვით დიდი წვლილი და რომლებიც თამამად დაიპერდა ადგილს კულტურის საერთო საგანძურში. თითოეული ამ მონაპოვარის უკან იმალება ხანგრძლივი შემოქმედებითი ძიება, დამყარებული მოცემული გარემოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობათა მთელი კომპლექსის ეფექტურ გათვალისწინებაზე და აგრეთვე მცირე თუ დიდი რადიუსის სამეურნეო-კულტურულ ურთიერთობაზე. გვაგონდება ცნობილი მეცნიერის აკად. პ. ჟუკოვსკის სიტყვები, რომელიც მან ანატოლიის ძველი კულტურული მცენარეების შესახებ თქვა: „ამ მცენარეების უმრავლესობას ატყვია ადამიანის ხელი, მისი მიზანსწრაფვა, სელექციის დაღი. ეს არის მაღალი კულტურული მნიშვნელობის ფაქტი და საჭიროა მის წინ ვჩერდებოდეთ ისეთივე განცვიფრებით, როგორსაც იწვევს ჩვენში მრავალი ხალხის ძველი არქიტექტურა, ძველი ხელოვნებაო“[55]. საქართველო უძველესი მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ქვეყანაა და აქ ეთნობოტანიკური და ეთნოზოოლოგიური, კულტურულ-ისტორიული კვლევის ნოყიერი ნიადაგი არსებობს. სამეურნეო განვითარებისა და სამეურნეო-საწარმოო კულტურის ისტორია ერის ისტორიის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილია და სწორედ ეს იდეა უდევს საფუძვლად ივ. ჯავახიშვილის ფართო საკვლევაძიებო მუშაობას. აკი, თვით ჩვენი სასიქადულო მეცნიერი ამაზეც პირდაპირ მიუთითებდა: ცხადია, რომ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დაწინაურებული იყო ჩვენი მეურნეობა და რამდენად მდიდარი საწარმოო მიღწევები გვქონდა, შესაძლებელია მსოფლიო მეურნეობისა და კულტურის ისტორიაში საქართველოს გარკვეული ადგილი მიეკუთვნოს, ხოლო ეს გარემოება საქართველოს წარსული კულტურის შემსწავლელთ მსოფლიო მეცნიერების წინაშე დიდ მოვალეობას აკისრებსო[56]. ამ დიდსა და საპატიო საქმეშიც ყოველმხრივ ვალმოხდილმა მეცნიერმა უმდიდრესი და უძვირფასესი მემკვიდრეობა დატოვა და ამასთან ერთად, მომავალ თაობებს უანდერძა სამშობლოს სიყვარული და მისი რთული და საინტერესო ისტორიის სრულყოფილად გამომზეურება ღრმა მეცნიერული კვლევის მიუწვდომელი პირადი მაგალითით.

ნათქვამი შეიძლება დასკვნის სახით ასე შეჯამდეს: საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების სირთულე და ბუნებრივ-სამეურნეო არეების დანაწევრება, როგორც ობიექტური სინამდვილე, განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული ფაქტორია და განუყოფელ კავშირშია მთლიანად საქართველოს ისტორიასთან. ამ ამოსავალ დებულებაზე დამყარებით ივ. ჯავახიშვილი საქართველოს ბუნებასა და მეურნეობის ისტორიას ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავს.

ივ. ჯავახიშვილმა, ერთადერთმა წინამორბედ და მის თანამედროვე ისტორიკოსთა შორის, საქმით ღრმად შეაფასა ვახუშტი ბაგრატიონის უძვირფასესი მემკვიდრეობა საქართველოს ბუნებრივ-სამეურნეო პირობების თავისებურებებისა და აგრონომიული არეების ზონადობის შესახებ და შემდგომ უფრო გააღრმავა და განავითარა ვახუშტის გეობოტანიკური კონცეფცია.

ბუნებრივ-ისტორიული არეების დანაწევრებისა და სხვაობის პირობებში ჩამოყალიბებულა ამ არეებში მცხოვრები ტერიტორიული ჯგუფების (ივ. ჯავა-

---

[55] П. М. Жуковский, Земледельческая Турция (Азиатская часть—Анатолия) М.-Л., 1933, გვ. 701—702.

[56] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, გვ. 393.

ხიშვილის ტერმინოლოგიით — „თემების“) ისტორიული მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა, რომელიც, ამავე დროს, როგორც საარსებო პირობა და განვითარების საფუძველი, საქართველოს ერთიან ეკონომიურ ორგანიზმს ქმნის. მკვლევარს მხედველობაში აქვს საქართველოს ტერიტორიაზე ისტორიული მეურნეობრივ-დარგობრივი განაწილება. საქართველოს ტერიტორიისა და მოსახლეობის ბუნებრივ-ისტორიული დანაწილებისა და მათი, პირველ რიგში კი მთისა და ბარის, აუცილებელი კავშირ-ერთიანობის ფაქტორი ობიექტური კანონზომიერების გამოხატულება იყო და ამ მოვლენას ივ. ჯავახიშვილი ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიას ნაკლებად უკავშირებდა.

ივ. ჯავახიშვილის გაგებით საქართველოს თემთა შორის კულტურულ-სამეურნეო ურთიერთობა მთელი ისტორიის მანძილზე შემოქმედებითი საწარმოო მნიშვნელობისაა. ამ ნიადაგზე მდიდრდებოდა და ვითარდებოდა ქართველი ხალხის სამეურნეო-საწარმოო კულტურა. ყველა თემს შესაძლო და შესაფერისი წვლილი შეჰქონდა საერთო ქართული („სრულიადი საქართველოს“) სამეურნეო კულტურის განვითარებაში. ამ პროცესს ხელს უწყობდა გარეშე სამეურნეო-კულტურული ურთიერთობანიც. ეს ნათლად დასტურდება პირველ რიგში ეთნობოტანიკის მონაცემებით, რაც ასე თვალსაჩინოდ აისახა ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევებში.

ივ. ჯავახიშვილის კონცეფცია საქართველოს მთლიანი სამეურნეო ერთეულის და შინაგანი ისტორიული კავშირ-ურთიერთობების შესახებ ეწინააღმდეგება შეხედულებას საქართველოს ცალკე კუთხეთა ისტორიული კარჩაკეტილობის საკითხზე, რომელსაც კონკრეტული დასაყრდენი მასალა არ გააჩნია და მცდარია.

უნდა მივიჩნიოთ, რომ ერთი ტერიტორია, ენა და ეკონომიური ურთიერთკავშირი ივ. ჯავახიშვილისათვის ის წანამძღვრები იყო, რის საფუძველზედაც მეცნიერი ქართველი ხალხის ისტორიას ძალიან ადრიდანვე განიხილავდა როგორც ერთიან ისტორიას.

ზურაბ ციცაძე

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანი შუასაუკუნეების ფეოდალურ-ტერიტორიული ერთეულები

მზარდი ეკონომიურ-პოლიტიკური კრიზისისა და გართულებული საგარეო ვითარების შედეგად გვიანი შუასაუკუნეების ხანაში გაერთიანებული საქართველო სამ სამეფოდ (ქართლის, კახეთის, იმერეთის) და ოთხ სამთავროდ (სამცხე-საათაბაგოს, გურიის, სამეგრელოსა და აფხაზეთის) დაიშალა.

ქვეყნის დეცენტრალიზაციის პროცესი ამაზე არ შეჩერებულა, გამარჯვებულმა ბატონყმურმა ურთიერთობამ საფუძველი ჩაუყარა სათავადოთა სისტემის წარმოქმნას. დიდებულებმა მათდამი კუთვნილი სამოხელეო ქვეყნები დაიჩემეს. ამ დიდმა სოციალურმა ძვრებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძირეულად შეცვალა ჩვენი ქვეყნის შემდგომი ისტორიულ-გეოგრაფიული ვითარება. შუაფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელი მსხვილი ადმინისტრაციული ერთეულები საერისთავოები მათი დაშლის შედეგად უფრო წვრილ ადმინისტრაციულ ერთეულებად სათავადოებად იქცა[1]. სათავადოები დაახლოებით ისეთსავე ტერიტორიას მოიცავდნენ, როგორიც ჰქონდათ ადრეფეოდალური ხანის ერთეულებს — „ხევებს". ეს პროცესი კარგად არის ასახული გვიანი შუასაუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში: „აქ არღარა იცვალებოდა ერისთავნი და არც თავადნი, ყოველივე ხევსა და სანახევებსა და თემთა ადგილთა მკვიდრ ქმნილ იყვნენ"[2], ანდა: „ამა ჟამებითა შინა განმკვიდრებულ იყვნენ თავადნი და დაეპყროთ ხევნი და ხეობანი თვისად"[3].

სათავადო პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და სოციალურ-ეკონომიური ერთეული იყო. გარდა სათავადოებისა, გარკვეული ადმინისტრაციული ერთეულები გახლდათ აგრეთვე სამოურავოები. სამეფო სახლის კუთვნილ ტერიტორიებს მეფის მოურავები განაგებდნენ. მოურავი სამეურნეო ფუნქციას ასრულებდა. მას სასამართლო და ადმინისტრაციული ფუნქციაც ჰქონდა. ზოგ შემთხვევაში მოურავს ევალებოდა აგრეთვე თავისი სამოურავოდან ჯარის შეკრება და გამოყვანა. ამრიგად, სამოურავო — ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ყოფილა.

გვიანი შუასაუკუნეების აღმოსავლეთ საქართველო იყოფოდა სათავადოებად და სამოურავოებად, რომელთა არსებობა თვითკმარ ეკონომიურ მეურნეობას ემყარებოდა. ყოველი სათავადო თუ სამოურავო ისტორიულად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული ერთეული იყო.

---

[1] ზოგი საერისთავო უშუალოდ სამთავროდ იქცა (ოდიში, გურია და აფხაზეთი).

[2] ბ ერ ი ე გ ნ ა ტ ა შ ვ ი ლ ი, ახალი ქართლის ცხოვრება, ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1959, ტ. II, გვ. 342.

[3] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის რედაქციით, თბ., 1913, ნაწ. II, გვ. 58.

ამჯერად, ჩვენი მიზანია განვიხილოთ ქართლისა და კახეთის ადმინისტრაციული ერთეულები რუსეთთან შეერთებამდე და გამოვიკვლიოთ რუსეთთან შეერთების შემდეგ აღნიშნულ სამეფოებში მომხდარი ცვლილებები.

გვიანფეოდალური ხანის ქართლის სამეფო სათავადოთა კრებულს წარმოადგენდა. იმ დროისათვის ქართლში ყველაზე ძლიერი სათავადოები იყო ქსნის საერისთავო, არაგვის საერისთავო, საამილახვრო, საციციანო, სამუხრანბატონო და საბარათაშვილო. ამ სათავადოთა ჩამოყალიბების, მათში შემავალი ერთეულებისა და საზღვრების საკითხი დაწვრილებით არის გაშუქებული ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში.

საშუალო საუკუნეებში ქსნის საერისთაო ქართლის საერისთავოში შედიოდა. ქართლის საერისთავოს გაუქმების შემდეგ კი იგი დამოკიდებულ ადმინისტრაციულ ერთეულად იქცა. XV საუკუნისათვის ქსნის ხეობა უკვე დაპოუკიდებელ სათავადოდ (საგვარეულო საძვალე, ციხე-დარბაზები, ტერიტორია, ყმა-მამული) ჩამოყალიბდა. XVIII საუკუნეში ქსნის საერისთავოს ვრცელი ტერიტორია ეკავა. მასში შედიოდა: ქსნის, ალევის, ჭურთის, ცხრაძმის, ქარჩოხის, ჟამურის, ქოლოთ-ქვითკირის, ისროლის, მეჯუდის, პატარა ლიახვის ხეობები, მაღრანდვალეთი და გვერდისძირი. ამ ფეოდალურ სენიორიას აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა არაგვის საერისთავო, სამხრეთ-დასავლეთით — საამილახვრო, ხოლო სამხრეთით — სამუხრან-ბატონო, ჩრდილოეთის მხრით საერისთავო დვალეთსა და თრუსოს ესაზღვრებოდა, დასავლეთიდან — ფალავანდიშვილების სამფლობელოს[4].

XVI ს-ში ვანათიდან გადმოსულმა სიდამონიძეებმა საფუძველი ჩაუყარეს არაგვის საერისთავოს. 1774 წ. აღწერით, არაგვის საერისთავოში შემდეგი ხეობები ყოფილა: ხევი, ხადა, გარეშემო, მრევლი, ცხაოტი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი. 1781 წ. აღწერაში ჩამოთვლილია ბარის სოფლების სია, რომლიდანაც ჩანს, რომ არაგვის ხეობის ბარის ზოლი არაგვის საერისთავოს შემადგენლობაში შედიოდა. მაშასადამე, არაგვის საერისთავო მოიცავდა ხევს, თრუსოს ხეობას, ჭართალს, მთიულეთს, გუდამაყარსა და ბაზალეთს.

დასავლეთით არაგვის საერისთავო ქსნის საერისთავოს ემეზობლებოდა, სამხრეთით — სამუხრანბატონოს, აღმოსავლეთით — კახეთის სამეფოს (ფშავ-ხევსურეთს), ჩრდილოეთით საერისთავოს საზღვარი თავდებოდა დარიალის კართან, სადაც სახელმწიფო საზღვარი იყო[5].

სათავადო სამუხრანბატონო 1512 წელს შეიქმნა. მისი შექმნა ქართულ ისტორიოგრაფიაში ქართლის წინააღმდეგ კახეთის სამეფოს ექსპანსიასთან არის დაკავშირებული. როგორც ვიცით, კახეთის მეფეს გიორგის ქართლის დაპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი და ხშირად არბევდა ამ სამეფოს. „სამძღვრამდის იმერეთისად მოარბევდის ქართლს მრავალგზის"[6] — ვკითხულობთ „ახალი ქართლის ცხოვრებაში". ქართლის მეფეს დავითს თავისმა ძმამ ბაგრატმა თანადგომისა და შველისათვის „გამოსთხოვა მუხრანი საუფლისწულოდ და არაგვისა და ქსნის — ხევნი მთიულ-მოხევითურთ თვისი მორჩილების ქვეშ"[7].

[4] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 70—71; ჯ. გვასალია, ქსნის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, საქ. ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ., 1967, გვ. 50.

[5] დ. გვრიტიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

[6] ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 350.

[7] ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ნაწ. II, გვ. 26.

სამუხრანბატონოს გეოგრაფიულ მდებარეობას და მის საზღვრებს აღწერს ვახუშტი: „საზღვარი მუხრანისა არის ხევისწყალიდამ დიღმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლით მზღვრის არაგვი, სამხრით მტკვარი, ჩდილოთ ციხე ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გორა ოკამისა სამხრითკენ გარდაჭრილი ხაზი შავტყესა და წლევისა, კასპის ბოლომდე“[8]. აღმოსავლეთით სამუხრანბატონოს ესაზღვრებოდა კახეთი, ჩრდილოეთით — არაგვის საერისთავო, დასავლეთით — საამილახვრო, სამხრეთით — მეოთხე სასპასპეტო.

სათავადო საამილახვროს წარმოქმნას საფუძველი ჩაუყარეს ზევდგინიძეებმა XIV ს. 40-იან წლებში. XV საუკუნეში ეს სათავადო ძირითადად უკვე ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად. აღმოსავლეთით საამილახვროს სამუხრანბატონო ემეზობლებოდა, ჩრდილოეთით — ქსნის საერისთავო, ფავლენიშვილთა და მაჩაბელთა მამულები, სამხრეთით — მეოთხე სასპასპეტო ანუ საციციანო, დასავლეთით — საავალიშვილო[9].

სათავადო საციციანო ჩამოყალიბდა XIV ს. II ნახევარში მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ე. წ. „გაღმა-მხარში“. ციციშვილთა სახლის გაყრის შემდეგ XVII საუკუნეში ციციშვილები იწოდებოდნენ ზემო ციციშვილებად და ქვემო ციციშვილებად. „ზემო ციციანნი“ იმათ ეწოდებოდათ, ვინც მძოვრეთის ხეობაში ცხოვრობდა, ხოლო ნიჩბისის ხეობაში მცხოვრებთ „ქვემო ციციანნი“ ერქვათ. სათავადო საციციანო შეიცავდა ნიჩბისის, ხვედურეთისა და გუჯარეთის ხეობებს, გვერდისძირს[10].

სათავადო საბარათაშვილო შეიქმნა XV ს. პირველ ნახევარში ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. ეს ფეოდალური ერთეული XVI საუკუნის დასაწყისისათვის მაშავრის, ქციისა და ალგეთის აუზებს შეიცავდა. XVI—XVII სს. მიჯნაზე ერთიანი ფეოდალური ერთეული რამდენიმე სათავადოდ დაიშალა.

საბარათიანოს ნანგრევებზე წარმოშობილ სათავადოებს შორის დაიწყო პირველობისათვის ბრძოლა. ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდნენ ყაფლანიშვილები.

საყაფლანიშვილოს ტერიტორია მოიცავდა ქციის ხეობას, ზურტაკეტის ხეობას (ანუ ყარაბულაღის რაიონს) დმანისის ხეობასა (მდ. მაშავრის ხეობა ფინეზაურით და სხვა შენაკადებით) და ტაშირს.

საყაფლანიშვილოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა სომხითი (რომელიც ცალკე სამოურავო იყო და მეფეს ემორჩილებოდა), „თათარ-ელებით“ დასახლებული ტერიტორია მდ. ქციის ქვემო წელში.

ჩრდილოეთით საყაფლანიშვილოს ესაზღვრებოდა ალგეთის ქვეყანა და ბედენის მთა, დასავლეთით — ჯავახეთი და ყაიყულის სამოურაო, სამხრეთით კი — ბერდუჯ-ბამბაკისა და ლორეს სახანოები[11].

გარდა სათავადოებისა, ქართლის სამეფოში არსებობდა აგრეთვე სამოურავოები. როგორც ვიცით, სამოურავოდ ის ტერიტორია ითვლებოდა, რომელიც სამეფო სახლის კუთვნილება იყო და მეფის მოხელეები, მოურავები

---

[8] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 60, (შემდეგ ყველგან ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“).

[9] მ. ქ ი ქ ო ძ ე, ქართლის სათავადოების ისტორიიდან XV—XVIII სს (საამილახვრო), „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკ. 35, თბილისი, 1963, გვ. 99.

[10] დ. გ ე რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 127—128.

[11] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბ., 1955, გვ. 82, 83.

განაგებდნენ. შედარებით მოზრდილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების შემცველი სამოურავოები გვხვდება ქვემო ქართლში XVIII ს-ის ოციან წლებში, რის მიზეზიც არის ის, რომ სამეფო ხელისუფლება ამ მხარეში, სხვა მხარეებთან შედარებით, ყველაზე მეტი ყმა-მამულის მფლობელი იყო. წყაროებში ვხვდებით სომხითის სამოურავოს („სომხითის მოურავის სარგო")[12]. XVII ს-ის II ნახევარში სომხითის მოურავობა ყაფლანიშვილების ხელში იყო („ორბელიშვილი სომხეთის მოურავი ასლან")[13]. სომხითის სამოურავო შეიცავდა ხოჟორნის, ჭოჭკანის, შულავრისა და ბოლნისის ხეობებს. ვახუშტის ცნობილი ნაშრომის მიხედვით სომხითი არის ქვეყანა, რომელიც დებედას, ბოლნისის მცირე მთასა. ქციის მდინარესა და ლელვარ ლოქის მთებს შორის მდებარეობდა[14].

სომხითის სამოურავოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ბირჩალოს სახანო, დასავლეთით დმანისის ხეობა (საყაფლანიშვილო), ჩრდილოეთით — მდ. ქცია, სამხრეთით ლორეს სახანო. (იხილეთ ივ. ჯავახიშვილის ისტორიული რუკა). ამავე სომხითის სამოურავოში არსებობდა აგრეთვე გაცილებით უფრო მცირე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული — შულავრის სამოურავო. „დასტურლამალში" მოხსენიებული შულავრის მოურავი ალბათ მთელი ხეობის მოურავი უნდა ყოფილიყო[15].

შემდეგი დიდი სამოურავო ქვემო ქართლში იყო სახასო თრიალეთი (თრიალეთის მოურავის და ნაცვლის სარგო)[16]; თრიალეთის გეოგრაფიულ განსაზღვრას იძლევა ვახუშტი ბაგრატიონი[17].

ივ. ჯავახიშვილის ისტორიული რუკის მიხედვით, თრიალეთს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა სამშვილდისა და მანგლისის ქვეყნები (გვიანფეოდალური ხანის საბარათაშვილო). სამხრეთით — ზურტაკეტი (ყარაბულაღი), ჩრდილოეთით — ე. წ. მეოთხე სასპასპეტო, დასავლეთით — ახალციხის საფაშოს ნაწილი (ჯავახეთი).

ასეთივე სამოურავო იყო ყაიყული, ძველი აბოცი („ყაიყულის სამოურავო საქმე ასრე არის")[18]. მასზე ვახუშტი წერს: „გამოხვეულია სრულიად მთითა და შუაში ვაკეა"[19]. აღმოსავლეთით ყაიყულს ტაშირი და ბამბაკი ესაზღვრებოდა, მათ შორის გამყოფი სასაზღვრო ხაზი ყარაღაჯის მთებს გასდევდა. ჩრდილოეთით ყაიყულს ახალციხის საფაშო ესაზღვრებოდა, რომელიც მისგან ნიალის ყურის მთით გამოიყოფოდა, დასავლეთით კი — ყარსის საფაშო და სასაზღვრო ხაზი მათ შორის აღბაბის მთაგრეხილს გასდევდა, სამხრეთიდან ყაიყულს ერევნის სახანო ესაზღვრებოდა და მათ შორის გამყოფ სასაზღვრო ხაზად ერევნის მთები ითვლებოდა (იხ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიული რუკა).

ასეთივე სამოურავო იყო მეფის კუთვნილი აიდარბეგის ხეობა ტაშირში. „დასტურლამალიდან" ჩანს. რომ სამოურავო უნდა ყოფილიყო აგრეთვე ატე-

---

[12] დასტურლამალი, ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემით, ტ. II, თბ., 1965, გვ. 277.

[13] გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

[14] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 37.

[15] დასტურლამალი, გვ. 298.

[16] იქვე, გვ. 313.

[17] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 41.

[18] დასტურლამალი, გვ. 309.

[19] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 38.

ნის ხეობა „გაღმა მხარში“ („ატენის მოურავისა სძეს; ხევისთაობა მოურავისა არის“ „და ატენის ხევზედ არაოდეს სხვა ხევისთავი არ შესულა და მოურავს უსამართლებლებია“)[20].

ყიზილბაშური ირანის ექსპანსიის შედეგად ქვემო ქართლის ტერიტორიაზე შეიქმნა ლორეს და ბორჩალოს თათრული სახანოები. ბორჩალოს და ბამბაკის მხარე ერთი სახანო იყო: „არს ბორჩალო და ბამბაკი ერთი მთელი სახანო“[21], ტერიტორიულად ეს სახანო დებედასა და ბამბაკის მხარეებს მოიცავდა. ბორჩალოს ხანი ქართლის მეფის ქვეშევრდომი გახლდათ. ბორჩალო-ბამბაკის სახანოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ყაზახის სახანო. ჩრდილოეთით — მდინარე ხრამი, დასავლეთით — სომხითი და ლორეს სახანო, სამხრეთით კი ერევნის მთები.

ლორეს სახანო ტაშირის აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავდა. ამ სახანოს აღმოსავლეთით სომხითი და ბორჩალო-ბამბაკის სახანო ესაზღვრებოდა, ჩრდილოეთით — სომხითი და საბარათაშვილო ტაშირი, დასავლეთით — აბოცის მთები (რომელიც მიჯნავდა მას ყაიყულისაგან), სამხრეთით — ბამბაკის მთები.

XV ს-ის ბოლომდე კახეთი, ისევე როგორც სხვა კუთხეები, საერისთაოებად იყოფოდა. მთელი კახეთი 7 საერისთავოდ იყო დაყოფილი. თუ ადრე ერისთავები მეფის მოხელეებად ითვლებოდნენ, XV საუკუნისათვის ეს სამოხელეო ქვეყნები უკვე სამემკვიდრო საკუთრებად დაიჩემეს და აღარ ემორჩილებოდნენ მეფის ხელისუფლებას. XV ს-ის დასაწყისში კახეთის მეფეებმა თავიანთი ხელისუფლების განსამტკიცებლად მეტად მნიშვნელოვანი სამხედრო-ადმინისტრაციული რეფორმები განახორციელეს. კახეთში გაუქმდა საერისთავოები და შეიქმნა სამოურავოები[22]. მოურავები შედარებით მცირე საგამგებლო ქვეყნებს ფლობდნენ, ვიდრე ერისთავები. ამდენად, მათი ხელისუფლება უფრო სუსტი იყო, ვიდრე ერისთავებისა. მათს სისუსტეს ხელს ისიც უწყობდა, რომ ერისთავებისაგან განსხვავებით, თავდაპირველად ლაშქრის სარდლობა არ შედიოდა მათს კომპეტენციაში. ვახუშტი ასე მოგვითხრობს ამ რეფორმის შესახებ: „გიორგი მეფემ გააუქმა საერისთავოები და შექმნა სამოურავოები ქისიყისა, ელანისა, წუქეთისა, დიდოეთისა, თიანეთისა, ჭიაურისა, შილდაყვარლისა, მარტყოფისა, გრემისა, პანკისისა და სხვანიც“[23]. ვახუშტი ბაგრატიონის ეს ცნობა გაზიარებულია ქართული ისტორიოგრაფიის მიერ[24]. ჩვენ ხელთ არსებული წყაროები შესაძლებლობას გვაძლევს ჩამოთვლილი სამოურაოებიდან დაახლოებით შემოვსაზღვროთ ზოგიერთი მათგანი.

მ ა რ ტ ყ ო ფ ი ს ს ა მ ო უ რ ა ვ ო. ვახუშტი ბაგრატიონი მარტყოფის აღწერისას აღნიშნავს, რომ რუსთველის სამწყსოში (მას შემდეგ რაც რუსთავის მხარე მოოხრდა, რუსთავის ეპისკოპოსი მარტყოფში გადავიდა) შედიოდა

---

[20] დასტურლამალი, გვ. 307.

[21] ქართლ-კახეთის აღწერა 1770 წელს, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, გვ. 421.

[22] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, «Очерки из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XV вв.)», „საქართველოს ისტორიის საკითხები“, ტ. II, თბ., 1965, გვ. 97.

[23] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქ. ცხოვრება, ნაწ. II, გვ. 158.

[24] ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულება აქვს გამოთქმული გ. ჯამბურიას, რომელიც ფიქრობს, რომ ქართული ისტორიოგრაფიის მიერ გადაჭარბებით არის შეფასებული კახეთის რეფორმის მნიშვნელობა. გ. ჯამბურიას აზრით, სამოურავოებად მთელი კახეთი კი არ დაიყო, არამედ სამეფო სახლის კუთვნილი მამულები (გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, სალიტერატურო საკითხისათვის, „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1970, გვ. 15).

მარტყოფი, საგურამო, ხერკი და სასარდლო დროშაც მისი ყოფილა: „არიან ამის სასპასპეტონი გარე კახეთი ქიზიყამდე და მარტყოფ-საგურამო“[25]. „ღმრთაების გუჯარიდან“ ჩანს, რომ რუსთავის ეპისკოპოსი ამავე დროს მარტყოფის მოურავიც ყოფილა. იქ შემდეგ ჩამოთვლილია ის მხარეები, რომლებიც ამ სამწყსოს ეკუთვნოდა. ჩამოთვლილი მხარეები ზუსტად ემთხვევა ვახუშტისეულ „მარტყოფ—საგურამო—ხერკს“. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებასაც, რომ სადროშოში შედიოდა „მარტყოფ-საგურამო და გარე კახეთი ვიდრე ქისიყამდე“, მაშინ ასე გამოდის: მარტყოფის სამოურავო მოიცავდა მარტყოფს, საგურამოს, ხერკს და გარე კახეთს. მარტყოფის სამოურავოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ქიზიყის სამოურავო, დასავლეთით — ქართლის სამეფო, ჩრდილოეთით — ერწო-თიანეთი და სამხრეთით — გარეჯის უდაბნო.

თ ი ა ნ ე თ ი ს ს ა მ ო უ რ ა ვ ო მოიცავდა ისტორიულ ერწო-თიანეთს. ამ სამოურავოს შემადგენლობაში ფშავ-ხევსურეთიც უნდა ყოფილიყო, რადგან ვახუშტი აღნიშნავს, რომ ფშაველები „მონებენ ვისაცა უპყრავს თიანეთი“[26]. ფშავის მოურავი კი, როგორც ვიცით, თიანეთში იჯდა. ერწო-თიანეთის სამოურაოს აღმოსავლეთით პანკისისა და თუშეთის სამოურავო ესაზღვრებოდა და სასაზღვრო ხაზი კახეთის ქედს გასდევდა, დასავლეთით — არაგვის საერისთავო და სასაზღვრო ხაზად მათ შორის ფშავის არაგვი ითვლებოდა, სამხრეთით — მარტყოფის სამოურავო, რომელიც მისგან კუხეთის მთით გამოიყოფოდა, ჩრდილოეთით — კავკასიონის ქედი.

პ ა ნ კ ი ს ი ს ს ა მ ო უ რ ა ვ ო მოიცავდა პანკისის ხეობას. აღმოსავლეთით მას საზღვრავდა კავკასიონის სამხრეთით შვერილი ქედი („აღმოსავლით აქუს პანკის კავკასი“)[27]. რომელიც მდინარე ალაზნამდე გრძელდებოდა და მას გაღმა მხრისაგან გამოჰყოფდა. დასავლეთით სასაზღვრო ხაზი გასდევდა კახეთის ქედს, რომელიც მიჯნავდა მას თიანეთის სამოურავოსგან.

ჩრდილოეთით პანკისის სამოურავო კავკასიონის ქედით გამოიყოფოდა თუშეთისაგან. პანკისს სამხრეთით საზღვრავდა „ხევი გამომდინარე პანკის-კვეტერის შორის მცირეს მთისა“, რომელიც გამოჰყოფდა მას შიდა კახეთისაგან[28].

1762 წ. ქართლისა და კახეთის სამეფოები გაერთიანდა და აღმოსავლეთ საქართველო ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაიყო. თუ აღმოსავლეთ საქართველოში ადრე მსხვილი სათავადოები და საერისთაოები არსებობდა, XVIII საუკუნის ბოლოსათვის, გართულებული საშინაო და საგარეო პოლიტიკური ვითარების შედეგად, ასეთი მსხვილი სათავადოები დაიშალა და მათი ადგილი საუფლისწულოებმა და სამოურავოებმა დაიკავა.

თუ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უკვე იყო სომხითის, აიდარბეგის (ტაშირში), ყაიყულის, თრიალეთის, მარტყოფის, ენისლის, შილდა-ყვარლისა და სხვა სამოურავოები, XVIII ს-ის დასასრულისათვის ეს სამოურავოები აღარ იხსენიება. გართულებული შინასოციალური და გარეპოლიტიკური ვითარების შედეგად (კლასობრივი ბრძოლის გამწვავება, ოსმალთა და ირანელთა ბატონობა, ლეკთა გამუდმებული შემოსევები) ისინი განადგურდა და მოსახლეობისაგან დაიცალა. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სამოურავოები აღარ არსებობდა.

---

[25] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა“..., გვ. 95.
[26] იქვე. გვ. 92.
[27] იქვე. გვ. 90—91.
[28] იქვე. გვ. 102.

XVIII ს-ის მიწურულისათვის ქართლ-კახეთში ცამეტი მთავარი სამოურავო იყო: თბილისის, გორის, სურამის, ყაზახის, შამშადილის, ბორჩალოს, ბამბაკის, თელავის, ქიზიყის, საგარეჯოს, თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთისა[29]. ქართლის ტერიტორიაზე იყო შვიდი სამოურავო, კახეთში — ექვსი. ქართლში სამოურავოებს განაგებდნენ: თბილისისას — ციციშვილი, ყაზახისას — გარსევან ჭავჭავაძე, ბამბაკისას — გიორგი ციციშვილი, ბორჩალოსას — სოლომონ ავალიშვილი, გორისას — გიორგი ამილახვარი, სურამისას — ევგენი აბაშიძე. კახეთის სამოურავოებს განაგებდნენ: თელავისას — ალექსანდრე მაყაშვილი, საგარეჯოსას — თადია ჩოლოყაშვილი, ქიზიყისას — რევაზ ანდრონიკაშვილი. თუშეთისას — დურმიშხან ჩოლოყაშვილი, ფშავ-ხევსურეთისას — დიმიტრი ჩოლოყაშვილი[30]. როგორც დუბროვინი გადმოგვცემს, ქართლ-კახეთში იმ დროისათვის თერთმეტი სამოურავო იყო[31], აქტებში კი ჩამოთვლილია ცამეტი სამოურავო. ხსენებული სამოურავოების ჩამოთვლისას დუბროვინსა და აქტების ცნობას შორის არსებული შეუსაბამობა იმით შეიძლება აიხსნას, რომ ფშავსა და ხევსურეთს ერთი მოურავი განაგებდა და შესაძლებელია ასეთივე მდგომარეობა ყოფილიყო ყაზახ-შამშადილში, ვინაიდან შამშადილის მოურავი ცალკე არ იხსენიება. თუშეთის მოურავი ლალისყურში იჯდა, ფშავ-ხევსურეთის მოურავის სამყოფელი კი თიანეთი იყო.

ქიზიყის სამოურავო ისტორიულ ქიზიყს მოიცავდა. ამ სამოურავოს აღმოსავლეთით ესაზღვრებოდა ჭარ-ბელაქნის უბატონო თემები, ჩრდილოეთით — ციცის მთა, სამხრეთით — უფადრის ველი, დასავლეთით საგარეჯოს სამოურავო.

შესაძლებელია XVIII ს-ის ბოლოსათვის გარე-კახეთში მარტყოფის სამოურავოს ადგილი საგარეჯოს სამოურავომ დაიჭირა. გიულდენშტედტი საგარეჯოს მხარის აღწერისას ჩამოთვლის იმ პუნქტებს, რომელიც ადრე მარტყოფის სამოურავოში შედიოდა. მისი ცნობით, საგარეჯოს მხარე მოიცავდა თითქმის მთელ გარე კახეთს, რომლის უკიდურესი აღმოსავლეთი პუნქტი მანავი იყო. მისივე აღწერიდან ჩანს, რომ საგარეჯოს სამოურავო ვრცელდებოდა ლოჭინიდან მანავამდე, სამხრეთით გარეჯის მთებამდე და ჩრდილოეთით ციცის მთამდე[32].

თუშეთის სამოურავო ეთნოგრაფიულ თუშეთს მოიცავდა, ასევე ფშავ-ხევსურეთის სამოურავოებში ეთნოგრაფიული ფშავ-ხევსურეთი შედიოდა. შესაძლებელია სურამის სამოურავო სურამის მხარეს, ალსა და ხეფინისხევს მოიცავდა, ბამბაკის სამოურავო კი — ბამბაკის ხეობას. ბამბაკი, რომელიც ადრე ბორჩალოს ხანს ეკუთვნოდა და ერთ სახანოს შეადგენდა, XVIII ს-ის ბოლოსათვის გამოყოფილი ჩანს ბორჩალოსაგან და ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად (ამ შემთხვევაში სამოურავოდ) გვევლინება. ყაზახისა და შამშადილოს სამოურავოები მოიცავდნენ ყოფილი შამშადილისა და ყაზახის სახანოებს. აქტებში მოხსენიებული გორისა და თელავის სამოურავოების ტერიტორიული მოცულობის დადგენა შეუძლებელი ხდება სათანადო მასალის უქონლობის

[29] Акты, т. I, გვ. 194.

[30] პ ლ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, აკ. გაწერელიას რედაქციით, თბ., 1936, გვ.გვ. 271—273.

[31] Н. Ф. Дубровин, Закавказье от 1803—1806 года, СПб., 1866; გვ. 37.

[32] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის გამოც., თბილისი, 1962, გვ. 261.

გამო. ჩვენ არც იმის დადგენა შეგვიძლია ზუსტად, თბილისის მოურავი მხოლოდ ქალაქ თბილისს განაგებდა თუ თბილისის მიდამოების სოფლებსაც. გარდა მთავარი სამოურავოებისა, თითქმის ყველა სოფელში იჯდა მოურავი.

აქტებში ჩამოთვლილ სამოურავოთა შორის არ არის მოხსენიებული დუშეთისა და ახალგორის სამოურავოები. ეს იმის გამო მოხდა, რომ ყოფილ არაგვისა და ქსნის საერისთავოებს უფლისწულები განაგებდნენ. 1743 წ. გაუქმდა არაგვის საერისთავო და იგი საუფლისწულოდ გადაეცა ვახტანგ ბატონიშვილს; 1777 წელს კი გაუქმდა ქსნის საერისთავო და გადაეცა გიორგი ბატონიშვილს. ლიახვის ხეობა გადაეცა იულონ ბატონიშვილს. ამიერიდან ამ მხარეს უფლისწულები განაგებდნენ.

გარდა სათავადოებისა და სამოურავოებისა, გარკვეული სამხედრო-ადმინისტრაციული ერთეულები იყო სადროშოები.

ზემოთ განხილული სათავადოები და სამოურავოები ამა თუ იმ სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. სადროშო შედარებით დიდი ტერიტორიული ერთეულის შემცველი იყო, ვიდრე სათავადო და სამოურავო. ქვეყნის სადროშოებად დაყოფა გარკვეულ ეკონომიურ-გეოგრაფიულ და სამხედრო-სტრატეგიულ პრინციპზე იყო დამყარებული. სადროშოს სარდალი თავის სადროშოში, გარდა სამხედრო საქმისა, ხშირ შემთხვევაში სასამართლო ფუნქციებსაც ახორციელებდა, ამდენად, სადროშო ადმინისტრაციული ერთეულიც იყო[33].

ქართლის ოთხ სადროშოდ დაყოფა XVI საუკუნეში განხორციელდა (დავითის მეფობის დროს — 1505—1525 წწ.). განვიხილოთ ამ სადროშოებში შემავალი მხარეები და მათი საზღვრები.

მეწინავე სადროშო

მეწინავე სადროშო ქვემო ქართლის უდიდეს ნაწილს მოიცავდა. 1721 წლის აღწერიდან ჩანს, რომ მის შემადგენლობაში შედიოდა: სომხითი, ტაშირი, თრიალეთი, ყაიყული, საბარათაშვილო, საყაფლანიშვილო და მტკვრის გაღმა მხარე მისი ჩრდილოეთი ნაწილით (ყარაიით[34]). ქვემო ქართლის ის ტერიტორია, რომელიც თურქმანული მოდგმის ხალხებით იყო დასახლებული (თათრისელებით დასახლებული ტერიტორია, მდ. ქციის ქვემო წელზე, ბერდუჯ-ბანბაკის მხარეები, ტაშირის აღმოსავლეთი ნაწილი, რომელსაც ლორეს ხანი განაგებდა), ამ აღწერით არ შედიოდა მეწინავე სადროშოს ფარგლებში, რადგან ეს მხარეები ქართული ფეოდალური ერთეულებისაგან სოციალურადაც განსხვავდებოდა, ორგანიზაციულადაც და ცალკე იურიდიული ერთეულები გახლდათ. მაგრამ აქ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბამბაკ-ბერდუჯი (ბორჩალოს სახანო) ლორეს სახანო და თათარელებით დასახლებული მიწა-წყალი ქართლის მეფეს ემორჩილებოდა და ქვემო ქართლის ფარგლებში შედიოდა. ამიტომაც ჩვენ მხოლოდ მეწინავე სადროშოს კი არ შემოვსაზღვრავთ, არამედ მთელ ქვემო ქართლს.

აღმოსავლეთის საზღვარი. ამ მხრით ქვემო ქართლს ესაზღვრებოდა კახეთის სამეფო და ყაზახის სახანო. საზღვრის ხაზი იწყებოდა ჩადივ-

[33] დ. გერიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 304; აკ. კლიმიაშვილი, მასალები XV—XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის, თბილისი, 1964, გვ. 129.

[34] ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, თბ., 1935, ნაწ. I—II, გვ. 237.

რის ქედიდან (კერძოდ იმ ადგილიდან, საიდანაც იღებს სათავეს მდ. მრავალწყარო), გასდევდა აღმოსავლეთით ჩადივრისა და გარეჯის მთებს მწარე წყლის სათავემდე და მწარე წყლით მიადგებოდა მტკვარს. აქედან მტკვრის მარცხენა ნაპირით მიემართებოდა დასავლეთით ქციისა და მტკვრის შესართავამდე გატეხილ ხიდთან, გადაკვეთდა მდ. მტკვარს და სასაზღვრო ხაზი გასდევდა ბერდუჯის მთაგრეხილს მის და ერევნის მთების შესაყარამდე.

სამხრეთის საზღვარი. სამხრეთიდან ქვემო ქართლს ანუ მეწინავე სადროშოს ესაზღვრებოდა ერევნის სახანო და ყარსის საფაშო. საზღვარი იწყებოდა ბერდუჯისა და ერევნის მთაგრეხილების შესაყარიდან, გასდევდა ერევნის მთაგრეხილს აბოცის მთაგრეხილის შესაყარამდე, შემდეგ მიიხრებოდა ჩრდილო-დასავლეთით, გასდევდა აბოცის მთაგრეხილს, მიიხრებოდა დასავლეთით, გადასჭრიდა მდინარეებს ახურიანსა და ყარახარჩაის და მიადგებოდა აღბაბას მთაგრეხილს.

დასავლეთის საზღვარი. დასავლეთის მხრით ამ სადროშოს ესაზღვრებოდა ყარსისა და ახალციხის საფაშოები. საზღვრის ხაზი იწყებოდა აღბაბას მთაგრეხილიდან, მიდიოდა ჩრდილოეთით ამ მთაგრეხილებით ნიალისყურის მთაგრეხილის შესაყარამდე, შემდეგ მიიხრებოდა აღმოსავლეთით და ნიალისყურის მთაგრეხილის გაყოლებით გაუვლიდა სამხრეთიდან ტაშაღანის ტბას და მიადგებოდა ბოლოლის მთაგრეხილს, აქედან საზღვარი მიემართებოდა ჩრდილოეთით, გადაჭრიდა თავფარავნის ტბას, გასდევდა სამსარის მთაგრეხილს, შემდეგ მიიხრებოდა დასავლეთით, გაუვლიდა სამხრეთიდან ტაბაწყურის ტბას და მიადგებოდა ბაკურიანის მთაგრეხილს.

ჩრდილოეთის საზღვარი. ჩრდილოეთის მხრიდან მეწინავე სადროშოს ესაზღვრებოდა მეოთხე სადროშო. საზღვარი იწყებოდა ბაკურიანის და თორის მთაგრეხილების შესაყარიდან, გასდევდა თორის, არჯევნის, დიდგორის მთაგრეხილებს, შიმშილას მთას და მიადგებოდა სხალდიდის მთაგრეხილს. აქედან სასაზღვრო ხაზი მოიხრებოდა სამხრეთით, გაივლიდა ნახშირგორასა და ახალდაბას შუა, გადაკვეთდა მდ. ეერეს და ავიდოდა ბეთანიამდე, შემდეგ მიიხრებოდა აღმოსავლეთით, შემოუვლიდა სამხრეთიდან ახალდაბასა და წყნეთს, მიემართებოდა აღმოსავლეთით, წავკისისა და შინდისის მთა-გორებით მიადგებოდა მდ. მტკვარს, გასდევდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სარვანამდე, გადაჭრიდა მტკვარს და მრავალწყაროს გაყოლებით მიადგებოდა ჩადივრის ქედს[35].

მეოთხე (მემარცხენე) სადროშო

ეს სადროშო მოიცავდა მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და თრიალეთის ქედს შორის მოქცეულ შიდა ქართლის ნაწილს ე. წ. „გაღმა მხარს“ და თბილისისა და მცხეთის შემოგარენს.

აღმოსავლეთის საზღვარი. მეოთხე სადროშოს აღმოსავლეთით კახეთი ესაზღვრებოდა. ამ სადროშოს აღმოსავლეთი საზღვარი ვახუშტის ასე წარმოუდგენია: „აღმოსავლეთით ლილოს საზღვრით, რომელი განვლის ხაზი შარობის ლილოსა აღმოსავლით-სამხრითკენ ლოჭინამდე, რომელსა ეწოდება ომანის-ხეეი მუნით განვლის სამგორსა და ჩადივარს შუა, და მრავალწყაროსა და სათას ჭალის შუა და მიადგების ბერთ-უბნის ღელესა. ხოლო ლილოდან

[35] საქ. ცენტრ. არქივი, ფონდი 1447, რუკა № 105/12.

ჩდილოთკენ მიადგების ხევ-ძმარს და ხევ-ძმარი მტკვარს მიადგების და მტკვრის კიდე მცხეთამდე[36].

როგორც ამ აღწერიდან ჩანს, ვახუშტი ბაგრატიონმა IV სადროშოს აღმოსავლეთის საზღვრის ხაზი გაავლო ხევძმარიდან ლილოზე გავლით და ლოჭინის გადაკვეთით, სამგორის მთაგრეხილით ჩადივრის მთის გავლით და მრავალწყაროს ჩაყოლებით, მტკვრამდე. ასეთივეა აღმოსავლეთის საზღვრის ხაზი მისივე შედგენილ რუკაზე (№ 105/12). ამ აღწერის მიხედვით და რუკითაც, მტკვრის მარცხენა სანაპიროს მნიშვნელოვანი ტერიტორია მოექცა მეოთხე სადროშოს შემადგენლობაში შემდეგი დასახლებული პუნქტებით: დიდუბე, ჩუღურეთი, კუკია, ლილოები, ნავთლული და სხვები, რომლებიც მისივე ქვემო ქართლის სოფლების სიით მეწინავე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა. როგორც ვხედავთ, ვახუშტის აღწერასა და მის მიერ მოცემული ქვემო ქართლის სოფლების სიებს შორის აშკარა შეუსაბამობაა (აქვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ხსენებული სოფლები 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერის მიხედვითაც ამ სადროშოს ეკუთვნოდა). რა უნდა იყოს ამ შეუსაბამობის მიზეზი, ამის შესახებ გადაჭრით არაფრის თქმა არ შეგვიძლია[37].

გარდა ამისა, იასე ლორთქიფანიძის მიერ შემოსაზღვრული მეწინავე სადროშოს ჩრდილოეთის საზღვარი ეშვება შინდისის გორიდან მტკვრამდე და მტკვრის მარცხენა ნაპირის აყოლებით ხევძმრის ხევამდე. აქედან სასაზღვრო ხაზი მიემართებოდა ხევძმრის ხეობით ლილოებამდე, ლილოებიდან კი — სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ, გადაჭრიდა ლოჭინის ხევს და მიადგებოდა ჩადივრის ქედს[38].

აქედანაც ჩანს, რომ ეს სადავო მონაკვეთი პირველი სადროშოს ფარგლებში იყო მოქცეული. თუ ჩვენ ამ ტერიტორიას მოვწყვეტთ მეოთხე სადროშოს, მაშინ მისი აღმოსავლეთის საზღვარი იქნებოდა მდ. მტკვარი, თბილის-მცხეთის მონაკვეთზე (ეს რომ გავითვალისწინეთ, აღნიშნული მონაკვეთით რუკაზე წითელი პუნქტირით აღვნიშნეთ).

ს ა მ ხ რ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. მეოთხე სადროშოს სამხრეთიდან მეწინავე სადროშო ესაზღვრებოდა და მათ შორის გამყოფ სასაზღვრო ხაზად ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი პირველი სადროშოს ჩრდილოეთის საზღვარი ითვლებოდა.

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. ამ მხრივ მეოთხე სადროშოს ესაზღვრებოდა ახალციხის საფაშო მცირე მონაკვეთში და მეორე სადროშო. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა ბაკურიანისა და თორის მთაგრეხილების შესაყარიდან, მიემართებოდა ჩრდილოეთით ბაკურიანის მთის თხემით, შემდეგ მიიხრებოდა აღმოსავლეთით, გადაკვეთდა მდინარეებს ბორჯომულასა და გუჯარეთის წყალს, ავიდოდა გვირგვინას მთაზე, მიუხვევდა ჩრდილოეთით და მიადგებოდა მდ. მტკვარს სოფ. დამჩხრელოსთან.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. ჩრდილოეთიდან IV სადროშოს ესაზღვრებოდა II და III სადროშოები და მათ შორის გამყოფი სასაზღვრო ხაზი

---

[36] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა", გვ. 51.

[37] შესაძლებელია ვახუშტიმ თავის ტექსტსა და მის მიერ შედგენილ რუკაზე ასახა იმდროინდელი ეპოქის ვითარება, როდესაც ეს მონაკვეთი IV სადროშოს ეკუთვნოდა, ხოლო ქვემო ქართლის სოფლების სიის შედგენისას გაითვალისწინა XVIII ს-ის პირველი ნახევრის ვითარება, როდესაც ეს მხარე მეწინავე სადროშოს შემადგენლობაში გადასულა.

[38] ი. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, ნაწ. I და II. გვ. 250.

გასდევდა მტკვარს ძეგვამდე. აქედან იგი გადაკვეთდა მდ. მტკვარს, ავიდოდა წეროვნის ქედზე და ამ ქედით აღმოსავლეთის გამოყოლებით მიადგებოდა მდ. არაგვს მცხეთის ჩრდილოეთით იმ ადგილას, სადაც მდ. ნარეკვავი უერთდება არაგვს[39].

III სადროშო

მესამე ანუ მეუკანავე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდა სათავადო სამუხრანბატონო, არაგვისა და ქსნის საერისთავოები.

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. აღმოსავლეთიდან III სადროშოს ესაზღვრებოდა კახეთის სამეფო. აღმოსავლეთის საზღვარი იმ ადგილიდან იწყებოდა, სადაც მეოთხე სადროშოს საზღვარი ებჯინებოდა მდ. არაგვს. აქედან საზღვრის ხაზი მიემართებოდა ჩრდილოეთით მდ. არაგვის მარცხენა სანაპიროთი ჟინვალამდე, შემოუვლიდა მას დასავლეთიდან და მიიხრებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით, გაჰყვებოდა ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირს, ავიდოდა გუდამაყრის ქედზე და ამ ქედის გადევნებით მიებჯინებოდა კავკასიონის მთავარ ქედს.

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. ამ მხრით III სადროშოს ესაზღვრებოდა მეორე სადროშო. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა კასპის აღმოსავლეთიდან და გასდევდა ჩრდილოეთის მიმართულებით წლევის მთას, შემდეგ გაივლიდა ახმაჯს, ახალდაბას, ავიდოდა სოფ. ბოლამდე და მიუხვევდა დასავლეთით, გადაჰკვეთდა ხარულის ქედს, ორბოძალის მთას, მდინარეებს ლეხურას, მეჯუდას და სოფ. ბიეთის დასავლეთით მოიხრებოდა სამხრეთით, შემდეგ მიუხვევდა დასავლეთით, შემოუვლიდა მარანას დასავლეთიდან, ტყვიავს აღმოსავლეთიდან, ტირძნისს დასავლეთიდან, მიიხრებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემოუვლიდა ქემერტს აღმოსავლეთიდან და მიიხრებოდა დასავლეთით, შემოუვლიდა მერეთს დასავლეთიდან, დიცევს აღმოსავლეთიდან, მიიხრებოდა ჩრდილო-დასავლეთით, გაუვლიდა სნეკვს დასავლეთიდან, გადასჭრიდა მდ. პატარა ლიახვს, გაივლიდა საცხენისსა და ყლარცვს შუა და მიემართებოდა ჩრდილოეთით კავკასიონის მთავარ ქედამდე.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. ჩრდილოეთით ამ სადროშოს ესაზღვრებოდა ოსებითა და ქისტებით დასახლებული მიწა-წყალი (ვახუშტის აღწერით, ფაიქომ-თაგაურ ქურთაული და ჯარიეხი). სასაზღვრო ხაზი გასდევდა ხოხის ქედს, შემოუვლიდა მყინვარს ჩრდილოეთიდან, დაეშვებოდა მდ. თერგზე, გადაჰკვეთდა მას ლარსსა და სასახლეს შორის, შემდეგ მიიხრებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთით ყუროს ქედის გაყოლებით და მიადგებოდა მწვერვალ შანას.

ს ა მ ხ რ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. ამ მხრით II სადროშოს ესაზღვრებოდა IV სადროშო და მათ შორის სასაზღვრო ხაზი გადასდევდა მდ. მტკვარს[40].

II სადროშო (მემარჯვენე)

II სადროშო ანუ მემარჯვენე სასპასპეტო შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილს მოიცავდა და იწოდებოდა „ზემო ქართლად“, „ვიწყებთ მეო-

[39] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 1447, რუკა № 105/12.
[40] იქვე. რუკა № 105/7.

რეს სასპასპეტოს მემარჯვენეს, შიდა ქართლის ნაკუეთსა, რომელი არს აწის ზემო ქართლი"[41].

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. ამ მხრით II სადროშოს ესაზღვრებოდა მესამე სადროშო და მათ შორის გამყოფი სასაზღვრო ხაზი იგივე იყო, რაც მესამე სადროშოს დასავლეთის საზღვარი.

ს ა მ ხ რ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. სამხრეთიდან მემარჯვენე სადროშოს მეოთხე სასარდლო ესაზღვრებოდა და აქაც მათ შორის გამყოფი სასაზღვრო ხაზი იგივე იყო, რაც ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი IV სადროშოს ჩრდილოეთის საზღვარი.

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. დასავლეთის მხრიდან მემარჯვენე სასპასპეტოს ესაზღვრებოდა იმერეთის სამეფო და მცირე მონაკვეთში ახალციხის საფაშოს ნაწილი. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა ადაიხოხის მყინვარიდან, მიემართებოდა სამხრეთით ერწოკუდარის მთის თხემით, გაივლიდა კორბოულის მთის თხემს, ჩამოვიდოდა ხეფინისხევში, გადაჰკვეთდა მდინარე ძირულას ვერტყვილს დასავლეთიდან, ვერტყვილს და ამაშუკეთს შუა გავლით მიემართებოდა სამხრეთით, გადაჰკვეთდა მდ. ჩხერიმელას და მახვილოს მთაზე გადავლით მიემართებოდა დვირამდე და ბაკურიანის მთამდე (გვიანფეოდალური ხანის ქართლის სამეფოს სახელმწიფო საზღვრამდე ახალციხის საფაშოსთან).

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი, ჩრდილოეთიდან ამ სადროშოს ყაბარდოელთა ქვეშევრდომი ოსებით დასახლებული მიწა-წყალი ესაზღვრებოდა და სასაზღვრო ხაზი გასდევდა ხოხის მთას[42].

ასეთსავე ოთხ სადროშოდ იყო დაყოფილი კახეთის სამეფოც. კახეთში, ქართლისაგან განსხვავებით, სადროშოებს ეპისკოპოსები განაგებდნენ „და განჰყო კახეთი ოთხ სადროშოდ, ვითარცა აღვწერეთ და მისცა დროშა ეპისკოპოსთა"[43] და ამიტომაც სადროშოთა ცენტრები საეპისკოპოსოთა ცენტრებს ემთხვეოდა. კახეთში სადროშოები, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, შეიქმნა გიორგი VIII-ის დროს (1466—1476). განვიხილოთ კახეთის სადროშოები ცალ-ცალკე, მათში შემავალი მხარეებითა და საზღვრებითურთ.

მემარცხენე სადროშო

მემარცხენე სადროშო მოიცავდა მარტყოფს, ხერკ-საგურამოსა და გარე კახეთს[44].

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. ამ მხრით მემარცხენე სადროშოს მეწინავე სადროშო ესაზღვრებოდა. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა მდ. მტკვრიდან, მიემართებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემოუვლიდა აღმოსავლეთიდან გარეჯის ქედს, შემდეგ მიდიოდა ჩრდილოეთით, გადასჭრიდა მდ. იორს და მიადგებოდა ციეგომბორის ქედს.

ს ა მ ხ რ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. სამხრეთიდან მემარცხენე სადროშოს ესაზღვრებოდნენ ყაზახის სახანო მცირე ზოლში და ქართლის სამეფოს მეწინავე და მეოთხე სადროშოები. ამ სადროშოს სამხრეთის საზღვრის ხაზი იგივეა, რაც ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ქართლის სამეფოს I და IV სადროშოების აღმოსავლეთის საზღვრები.

[41] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა"..., გვ. 71.
[42] საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 1447, რუკა № 105/7.
[43] ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, ნაწ. II, გვ. 158.
[44] ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა"..., გვ. 95.

დასავლეთის საზღვარი. დასავლეთის მხრიდან მარტყოფის სადროშოს მცირე მონაკვეთში ესაზღვრებოდა ქართლის სამეფოს III სასპასპეტო. საზღვარი იწყებოდა მდინარეების ნარეკვავისა და არაგვის შესართავიდან და გასდევდა არაგვის მარცხენა ნაპირს ჭოპორტამდე.

ჩრდილოეთის საზღვარი. ჩრდილოეთიდან ამ სადროშოს ესაზღვრებოდა კახეთის სამეფოს მეუკანავე სადროშო. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა ჭოპორტიდან, მიემართებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთით, ავიდოდა ერწოს ქედზე, მისდევდა მის თხემს სამხრეთის მიმართულებით, შემდეგ მიიხრებოდა აღმოსავლეთით, გადაჭრიდა მდ. იორს, ავიდოდა გომბორის ქედზე, გაჰყვებოდა მისი ქედის თხემს აღმოსავლეთის მიმართულებით და მიადგებოდა ჯიმითის წყლის სათავეს[45].

მეწინავე სადროშო

მეწინავე სადროშოს ტერიტორია მოიცავდა ქიზიყს, შიდა კახეთის მნიშვნელოვან ნაწილს, შირაქის, უფადარის და ჯეირნის ველებს.

აღმოსავლეთის საზღვარი. ამ მხრით მეწინავე სადროშოს მემარჯვენე სადროშო (გაღმა-მხარი) ესაზღვრებოდა. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა აგრიჩაისა და ალაზნის შესართავიდან, შემდეგ გაუყვებოდა სამხრეთის მიმართულებით და ალაზნის მარცხენა ნაპირით ეშვებოდა მტკვარ-ალაზნის შესართავთან.

სამხრეთის საზღვარი. სამხრეთიდან ამ სადროშოს ესაზღვრებოდა განჯის სახანო და შამშადილი და გამყოფ სასაზღვრო ხაზად მათ შორის მდ. მტკვარი ითვლებოდა.

დასავლეთის საზღვარი. დასავლეთის მხრიდან მეწინავე სადროშოს მემარცხენე და მეუკანავე სადროშოები ესაზღვრებოდა. მეწინავე და მემარცხენე სადროშოების გამყოფი სასაზღვრო ხაზი იგივე იყო რაც მემარცხენე სადროშოს აღმოსავლეთის და ნაწილობრივ ჩრდილოეთის საზღვარი, ხოლო მეუკანავე სადროშოსგან გამყოფი დასავლეთის საზღვარი იწყებოდა ცივ-გომბორის ქედიდან, მიემართებოდა ჩრდილოეთით თურდოს ხევის გაყოლებით და მიადგებოდა მდ. ალაზანს.

ჩრდილოეთის საზღვარი. ჩრდილოეთიდან ამ სადროშოს ესაზღვრებოდა მემარჯვენე სადროშო და მათ შორის გამყოფი საზღვრის ხაზი ვასდევდა მდ. ალაზანს[46].

მეუკანავე სადროშო

მეუკანავე სადროშო მოიცავდა შიდა კახეთის ნაწილს, პანკისის ხეობას, ერწო-თიანეთს, თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთს.

აღმოსავლეთის საზღვარი. ამ მხრით მეუკანავე სადროშოს მეწინავე, მემარჯვენე სადროშოები და დიდოეთი ესაზღვრებოდა. სასაზღვრო ხაზი იწყებოდა კავკასიონის ქედიდან (თუშეთის ქედი), მიემართებოდა სამხრეთით, გადასჭრიდა მდ. თუშეთის ალაზანს, კახეთის ქედს და მდ. შტორის-წყლის მარჯვენა სანაპიროთი ეშვებოდა ალაზანზე. აქედან კი თურდოსხევით მიადგებოდა გომბორის ქედს.

---

[45] საქ. ცენტრალური არქივი, ფ. 1447, რეკა № 105/14.

[46] იქვე.

ს ა მ ხ რ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. სამხრეთიდან ამ სადროშოს მემარცხენე სადროშო ესაზღვრებოდა და მათ შორის გამყოფი სასაზღვრო ხაზი იგივე იყო, რაც ჩვენ მიერ აღწერილი მემარცხენე სადროშოს ჩრდილოეთის საზღვრის ნაწილი.

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. დასავლეთის მხრიდან მეუკანავე სადროშოს ქართლის სამეფოს III სადროშო ესაზღვრებოდა და მათ შორის გამყოფი საზღვრის ხაზი გასდევდა ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილ ქართლის სამეფოს III სადროშოს აღმოსავლეთ საზღვარს.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. ჩრდილოეთიდან ამ სადროშოს ქისტეთი და დიდოეთი ესაზღვრებოდა და მათ შორის გამყოფ სასაზღვრო ხაზად ითვლებოდა კახეთის სამეფოს სახელმწიფო საზღვარი (პირიქითა კავკასიონი)[47].

მემარჯვენე სადროშო

მემარჯვენე სადროშო (გაღმა მხარი) ტერიტორიულად მთელი გაღმა მხარის მომცველი იყო.

ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. ამ მხრით ამ სადროშოს ნუხის (შაქის) სახანო ესაზღვრებოდა. საზღვარი იწყებოდა კავკასიონის ქედიდან (კერძოდ, ლაცალის მწვერვალიდან), მისდევდა გიშის წყლის მარჯვენა სანაპიროს, გადაჰკვეთდა მდ. აგრი-ჩაის, გავიდოდა აჯინოურის ველზე, შემოუვლიდა აღმოსავლეთიდან მლაშე ტბას, მიადგებოდა მდ. მტკვარს და მტკვრის მარცხენა ნაპირის აყოლებით მოემართებოდა ალაზან-იორის შესართავამდე.

ს ა მ ხ რ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. სამხრეთით მას მეწინავე სადროშო ესაზღვრებოდა და მათ შორის სასაზღვრო ხაზი გასდევდა მდ. ალაზანს.

დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. დასავლეთის მხრიდან მემარჯვენე სადროშოს მეუკანავე სადროშო ესაზღვრებოდა და ამ სადროშოს დასავლეთის საზღვარი იგივე იყო, რაც ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი მეუკანავე სადროშოს აღმოსავლეთის საზღვარი.

ჩ რ დ ი ლ ო ე თ ი ს ს ა ზ ღ ვ ა რ ი. ჩრდილოეთიდან ამ სადროშოს დაღესტანი ესაზღვრებოდა და მათ შორის გამყოფი სასაზღვრო ხაზი გასდევდა კავკასიონის ქედს[48].

ასეთი იყო ქართლისა და კახეთის სადროშოები (მათში შემავალი მხარეებით და საზღვრებით) ვახუშტისეული რუკების მიხედვით XVI—XVII სს-ში. მაგრამ XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ვითარება კახეთში ამ მხრივ საგრძნობლად შეცვლილა. როგორც ვიცით, XVII—XVIII საუკუნეები დიდი ძნელბედობის ხანა იყო აღმოსავლეთ საქართველოსათვის და განსაკუთრებით კი კახეთისათვის, რომელსაც თავს დაატყდა შაჰ-აბას I-ის ორგზის გამანადგურებელი ლაშქრობა. ამ შემოსევების შედეგად განსაკუთრებით კახეთის აღმოსავლეთი ნაწილი (გაღმა მხარი) გაპარტახდა, რომელმაც, გარდა ირანელთა დარბევისა, დაღესტნელთა გამანადგურებელი დარტყმები გადაიტანა. გარდა ამისა, მემარჯვენე სადროშოს ე. ი. გაღმა მხარს ჩამოსცილდა მისი აღმოსავლეთი ნაწილი დღევანდელი საინგილო. ჯერ კიდევ XVII საუკუნის დასაწყისში შაჰ-აბასმა კახეთის მეფეს ალექსანდრეს კაკენისელის პროვინცია გამოართვა და იქ მუსლიმანური სასულთნო შექმნა. XVIII ს-ის 20-იან წლებში ლეკებმა

[47] საქ. ცენტრალური არქივი, ფ. 1447, რუკა № 105/14.

[48] იქვე.

ჭარისა და ბელაქნის მხარეები დაიკავეს და ჩამოგლიჯეს კახეთს. არც ამის შემდეგ შეწყვეტილა ლეკ-აბრაგთა თავდასხმები და ეხლა უკვე ისინი ჭარ-ბელაქნიდან უტევდნენ გაღმა მხარს, რამაც ამ მხარის მოსახლეობის დიდი ნაწილი იმსხვერპლა. ყოველივე ამის შედეგად მოშლილა გაღმა-მხარის სადროშო ნეკრესელისა, რის გამოც იგი რუსთველის სადროშოსათვის შეუერთებიათ. ასევე შეუერთებია რუსთველის სადროშოს მეუკანავე, ალავერდელის სადროშოც. არც ეს მხარე დაზარალებულა გაღმა მხარეზე ნაკლებად. შაჰ-აბასის პირველი ლაშქრობის დროს სწორედ მეუკანავე სადროშო დაზიანდა ყველაზე მეტად. ამ სადროშოს კუთვნილი ერწო-თიანეთი შაჰმა ცეცხლსა და მახვილს მისცა და აქედან 30 000 ტყვე წაიყვანა. შაჰ-აბასმა შეურაცხყო აგრეთვე მეუკანავე სადროშოს საეპისკოპოსო ცენტრი ალავერდი და იგი ციხე-სიმაგრედ აქცია. ამასვე ზედ დაერთო დაღესტნელთა პერმანენტული შემოსევები. რის შედეგადაც ამ მხარის მნიშვნელოვანი ნაწილი მოსახლეობისაგან დაიცალა (XVIII ს-ის მიწურულისათვის, როდესაც იოანე ბატონიშვილი ქართლ-კახეთს აღწერდა, სრულიად უკაცრიელი იყო პანკისის ხეობა და ერწო-თიანეთი). ყოველივე ამას შედეგად ის უნდა მოჰყოლოდა, რომ ამ საეპისკოპოსოთა ცენტრებს უნდა დაეკარგათ თავიანთი ყოფილი მნიშვნელობა, მოშლილიყო მათი სადროშოები და კახეთის იმდროინდელ მესვეურებს, ალბათ სტრატეგიული მოსაზრებით. ეს სადროშოები უნდა გაეუქმებინათ და მემარცხენე რუსთველის სადროშოსათვის შეეერთებინათ. ამას გვამცნობს ჩვენ დავით იმამ-ყული-ხანის 1710 წ. საბუთი, სადაც რუსთველის სადროშოს ფარგლები დაწვრილებით არის აღნუსხული.

აქ მოხსენიებული თიანეთი, ფშავი, ხევსურეთი, ერწონი, ყალეთი, პანკისის ხევი, თუშეთი ადრე მეუკანავე ალავერდელის სადროშოს ეკუთვნოდა, მერე კი ამ საბუთით რუსთველის სადროშოს შემადგენლობაში მოექცა. ასევე, ზემონი თელავნი და შაშიან-კალაურნი ჯერ მეწინავე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდნენ, მერე კი მემარცხენე სადროშოს შემადგენლობაში შედიოდნენ, მერე კი მემარცხენე რუსთველის სადროშოს მფლობელობაში გადასულან. აქვეა მოხსენიებული ართანა, იულთანი, გვერდისძირნი, საბუვე, ვეძისხევი, ენისელი. დიდოეთი, ნეკრესი, გავაზი, ყვარელი, ჭიაური, ე. ი. მთელი გაღმა მხარი (გარდა ჭარ-ბელაქნისა და კაკ-ელისნისა), რომლებიც, როგორც ამ საბუთიდან ირკვევა, მემარცხენე რუსთველის სადროშოს შეუერთებია[49].

როგორც ვხედავთ, კახეთში XVIII ს-ის 20-იან წლებში, ნაცვლად ოთხი სადროშოსი, ორი სადროშო — მემარცხენე რუსთველისა და მეწინავე ბოდბელისა — დარჩენილა.

ასევე ორ სადროშოდ იყო დაყოფილი კახეთი XVIII ს-ის დასასრულისათვის. გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის დროსაც. ამ მოსაზრებას მხარს უჭერენ XIX ს-ის რუსი ისტორიკოსები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ქართლ-კახეთი ექვს სადროშოდ იყო დაყოფილი[50].

---

[49] განწესება სარუსთველო დროშისა, ქართული სამართლის ძეგლები, ნაწილი II, გვ. 384.

[50] Н. Ф. Дубровин, История войны и владычества русских на Кавказе, том I, книга II. СПб., 1871, გვ. 207; Иваненко, Гражданское управление Закавказьемъ, Тифлис, 1901, გვ. 11.

ნათლად ჩანს, რომ კახეთში, ნაცვლად ოთხი სადროშოსი, ორი სადროშო იყო დარჩენილი: ა. ქიზიყისა ე. ი. მეწინავე და ბ. რუსთველისა ე. ი. მემარცხენე.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოყვანილ მონაცემებს, მაშინ მემარცხენე (რუსთველის) სადროშოს მომცველი მხარე ამგვარად შემოიფარგლება: აღმოსავლეთიდან მას ლეკების მიერ დაკავებული ჭარ-ბელაქანი ესაზღვრებოდა და მათ შორის გამყოფი სასაზღვრო ხაზი მაჭისწყალს გასდევდა. საზღვარი იწყებოდა კავკასიონის მთაგრეხილიდან (კერძოდ, ხოხალ-დაღის მწვერვალიდან, საიდანაც იღებს სათავეს მაჭისწყალი) და ეშვებოდა სამხრეთით მდ. მაჭისწყლის მარცხენა სანაპიროთი მდ. ალაზანზე (ამ ადგილას სასაზღვრო ხაზი რუკაზე წითელი პუნქტირით გვაქვს აღნიშნული).

ამის გარდა, მეწინავე და რუსთველის სადროშოების გამყოფი საზღვრის ხაზი იწყებოდა ცივ-გომბორის მთიდან, შემდეგ გასდევდა კალაურის მთას და სოფ. კალაურსა და სოფ. მუკუზანს შუა გავლით მიებჯინებოდა მდ. ალაზანს (ამ მონაკვეთზეც სასაზღვრო ხაზი რუკაზე პუნქტირით გვაქვს გავლებული).

დანარჩენი სასაზღვრო ხაზები არ შეცვლილა და იგივე დარჩა, რაც საქართველოს, გაღმა-მხრისა და მეუკანავე სადროშოებს ადრე ჰქონდათ.

ასე წარმოგვიდგება ჩვენ ქართლ-კახეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ვითარება XVIII ს-ის დასასრულისათვის, ვიდრე მას რუსეთის იმპერია შეიერთებდა.

ვახტანგ ბერიძე

ხობის ტაძრის ისტორიისათვის[1]

როცა XVII ს-ის ნახევარში ათონელი ბერები აბესალომი და იოსაფი ლევან დადიანის სამფლობელოში მოგზაურობდნენ, ადგილობრივ მკვიდრთაგან, როგორც ჩანს, უკვე აღარავინ იცოდა ხობის აშენების ნამდვილი თარიღი. ამ ეკლესიაში მორწმუნეთათვის ძვირფასი რელიკვიები — ღვთისმშობლის პერანგი, წმ. მარინესა და წმ. კვირიკეს ნაწილები — იყო დაცული და, ცხადია, მარტო ესეც კმაროდა ხობის ტაძრის დიდი პოპულარობისთვის. მას განსაკუთრებული მოწიწებით ეპყრობოდნენ, იმდროინდელ მოგზაურთაგან არც ერთს არ აუვლია გვერდი ხობისა და მისი რელიკვიებისათვის, — იგი ძალიან ძველად მიაჩნდათ და მოსკოველ ელჩებს ტოლოჩანოვსა და იევლევს, რომლებიც ათონელი ბერების მოთხრობას გადმოგვცემენ, აღუნიშნავთ კიდეც — ხობის აგებას ბერძენთა კეისარს ჰერაკლეს მიაწერენო.

ეს აზრი შემდეგ აღარავის არ გაუმეორებია. ვახუშტის საერთოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა ხობის შესახებ; ძეგლის ძირითადი ნაწილის თარიღისთვის არც დიუბუა ამბობს არაფერს, მას მხოლოდ აღნიშნული აქვს, ვამეყის ექვტერის ფრაგმენტთა ნაწილი „საქართველოს მეფეთა ბრწყინვალე ეპოქას — მე-11—12 საუკუნეებს“ მიეკუთვნებაო[2]. საფიქრებელია, რომ თვით ტაძარიც მას ამ ეპოქის ძეგლად მიაჩნდა. ამგვარივე დათარიღება გვხვდება, მეტ-ნაკლები ვარიაციებით, სხვა ავტორებთანაც: კონდაკოვი XI ს-ეს ასახელებს[3], თაყაიშვილის აზრით „გეგმა ტაძრისა, ჩუქურთმა და სტილი შენობისა

---

[1] ეს არის ერთი თავი კოლექტიური მონოგრაფიისა ხობის ტაძრის შესახებ. ძველთაგანვე კარგად ცნობილი, ოდესღაც სიმდიდრით განთქმული, ხობის ტაძარი (სამეგრელოში, სოფ. ნოჯიხევთან, რაიონის ცენტრ ხობიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით) თავისებური და მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. მის შესახებ შედარებით ბევრი რამ დაწერილა, მაგრამ ძეგლის მხატვრულ-ისტორიული ანალიზი არავის უცდია. ფრესკებში დაცული ისტორიული პორტრეტების მიხედვით ტაძარსა და მის მხატვრობას XIII ს-ის ნახევარს აკუთვნებდნენ. კელეკამ დაადგინა, რომ ეს თარიღი შესასწორებელია. თვით შენობა ქართულ არქიტექტურაში გავრცელებულ რომელსამე ტიპს არ მიეკუთვნება: ეს უგუმბათო შენობაა, მაგრამ შიგნით კამარები ჯვაროვან სივრცეს, გარედან კი მათი სახურავები ჯვაროვან მოცულობას ქმნიან. ჩრდილო-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის კუთხეები თავდაპირველად ცალკე ექვტერებად იყო გამოყოფილი, უფრო გვიან კედლები გამოიღეს და ექვტერები მთავარ სივრცეს დაუკავშირეს. დასავლეთისა და სამხრეთის ფასადებს მთელ სიგრძეზე მიყვება ღია გალერია, რომელიც სამხრეთ ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში დახურული ექვტერით მთავრდება. გალერია მთლიანად ერთდროული არ არის. ტაძრის ფასადები უხვადაა მოჩუქურთმებული, შიგნით კი სხვადასხვადროინდელი ფრესკებია. წყაროებსა და ლიტერატურაში სახელწოდება ხ ო ბ ი ს პარალელურად გვხვდება ხ ო ფ ი და ხ ო პ ი.

[2] D u b o i s, Voyage autour du Caucase... par Frédéric Dubois de Montpéreux. Tome I, Paris, 1839 (შემდეგში შემოკლებით: D u b o i s, Voyage.... I), გვ. 234.

[3] Русские древности в памятниках искусства, издаваемые графом И. Толстым и Н. Кондаковым. Вып. четвертый, Христианские древности Крыма, Кавказа и Киева, СПб., 1891, გვ. 63.

ეჩვენებს, რომ თავი მონასტერი უნდა იყოს აგებული არა უგვიანეს X—XI ს-ისა"[4], სხვები დავით აღმაშენებლის ეპოქას არჩევენ (მღვდ. მონაზ. კალისტრატე) და, რა თქმა უნდა, ამ შესაძლებელ „მაშენებელთა" შორის არც თამარია გამოტოვებული. ამგვარად, თუმცა სრული შეთანხმება არ არის, მაგრამ საქართველოს ძლიერების ეპოქის ფარგლებს მაინც არც ერთი ავტორი არ სცდება. ეს ფაქტი თვით ძეგლის მხატვრული, თუ ისტორიული ღირებულების თავისებურ შეფასებასაც შეიცავს, ან, იქნებ ამ შეფასების შედეგიც იყოს.

ხობის ტაძარს სამშენებლო წარწერა არა აქვს (ან არ შერჩენია) და ამიტომ აღნიშნული სხვადასხვაობა სავსებით გასაგებია. მაგრამ ტაძარში ფრესკებია დარჩენილი და ეს ფრესკები ისტორიულ პირთა პორტრეტებსაც შეიცავს. ბუნებრივად ისმის საკითხი: ხომ არ შეუძლია ამ პორტრეტებს ჩვენთვის რაიმე ღახმარების გაწევა დათარიღების საკითხის გადასაწყვეტად? როგორიც არ უნდა იყოს პასუხი, ერთი რამ უეჭველია: ამ პორტრეტთა უგულებელყოფა მაინც არ შეიძლება.

ხობის პორტრეტთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას ყოველთვის ის ჯგუფი იპყრობდა ხოლმე, რომელიც სამხრეთის კედლის დასავლეთ მონაკვეთშია მოქცეული:

1. ⁝ᲩᲘᲡᲒᲜᲒ ᲩᲘᲡᲒᲜᲜ⁝	1. ᲨᲘᲣᲤᲒᲜᲒ
2. ⁝Ძ[ᲘᲚᲘ] ᲨᲨᲨ[Ი]	2. ᲨᲘᲣ[ᲤᲜᲜᲘ].
3. ᲨᲗ [ ]	3 ⁝ᲗᲒᲜᲜ [ ]
ᲰᲘ ⁝ᲨᲨᲒᲘ⁝ ᲪᲣᲔᲗᲘ	1. [ ] ᲜᲘ⁝·ᲨᲰ
	2. ᲒᲘ Გ[Ჰ]Ჰ

«ერისთავთ ერისთავი შერგირ დადიანი», «დიოფალთ დიოფალი ნათელ [ ]», «ძე მათი ცოტნე», «[ახუ]ლი ამათი თამარ»[5].

ასეთი წარწერები აქვთ აქ გამოხატულ პირებს. მათ შორის მთავარი ხელმოსაჭიდი, ცხადია, ყველასთვის ცოტნე იყო, რადგანაც მოხსენიებულ სახელთაგან ეს ერთადერთია, რომელიც ისტორიულ წყაროებშიც გვხვდება. ეპიზოდი, რომლის მთავარი გმირიც ცოტნე დადიანია, ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან ყველასთვის კარგადაა ცნობილი: კოხტასთავის შეთქმულება დაახლოებით რუსუდანის გარდაცვალების წლით თარიღდება — ე. ი. XIII ს-ის პირველი ნახევრის მიწურულს ხვდება. უგამონაკლისოდ ყველა ავტორი, ვისაც კი ხობის ფრესკების ისტორიულ პერსონაჟთა იდენტიფიკაცია უცდია, გულისხმობს, რომ შერგილის (=შერგირის) ძე ცოტნე ხობის ფრესკისა — სწორედ კოხტასთავის შეთქმულების გმირია და, ამგვარად, შერგილის ცხოვრების დრო და ფრესკის შესრულების თარიღიც XIII ს-ის პირველი ნახევრის ფარგლებში ექცევა: ერთ-ერთი „ტერმინუსის" განმსაზღვრელი ამ შემთხვევაში ის ფაქტი გამოდის, რომ ცოტნე აქ ჯერ კიდევ მცირეწლოვნადაა გამოხატული[6].

---

[4] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი მეორე, ტფ., 1914 (შემდეგში შემოკლებით: არხ. მოგზ. და შენიშ., II).

[5] 1943 წელს, როდესაც ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიცია ხობში მუშაობდა, ეს ჯგუფი შედარებით უკეთ იყო დაცული. ახლა ცოტნეს ფიგურა აღარ არსებობს.

[6] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ. და შენიშ., II, გვ. 134; „შერგილ დადიანი და მისი შვილი ცოტნე XIII საუკუნის მოღვაწენი არიან"; თ. ე ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 269: „შერგილი ცხოვრებდა რუსუდანის დროს და ეგონენ იქნებოდა გიორგი ლაშას დროსაც"; იხ. აგრეთვე ქრონიკები, II, გვ. 130, 132; Н. К о н д а к о в, Д. Б а к р а д з е, Опись памятников древности

ტაძრის მოპირდაპირე კედელზე — ჩრდილოეთით, განივი „მკლავის“ ფარგლებში — ისტორიულ პირთა მეორე ჯგუფია წარმოდგენილი: ცნობილი ლევან II დადიანი მეუღლითა და ვაჟით — ჩვენ ჯერ მათ არ შევეხებით, მით უფრო, რომ აქ გაურკვეველი არაფერია — და მათ გვერდით, ეკლესიის მოდელით ხელში,

1. ამ: საყდრისა: აღმაშენებელი:. ერის
2. თავთერისთავი:. დ მანდატა
3. რთ:. უხცესი:. დადანი:. გ
4. ირგი:. შეუნდს:. ღმ
5. თმნ:. ამინ.

«ამ საყდრისა აღმაშენებელი, ერისთავთ ერისთავი და მანდატართ (sic!) უხუცესი დადიანი გიორგი, შეუნდოს ღმერთმან, ამინ».

პირველი აზრი, რომელიც აქ ბუნებრივად შეიძლება დაგვებადოს, ის არის, რომ ეს გიორგი — ლევანის ბიძაა, აგრეთვე კარგად ცნობილი მის თანამედროვე წყაროებიდან, მით უფრო, რომ ორივე ფიგურის შესრულების მანერა საკვლევით ერთნაირია. მაგრამ ეს აზრი, როგორც ეს. თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა თაყაიშვილმა, უკუსაგდებია: ამგვარი ტიტულატურა — მანდატურთუხუცესი და ერისთავთ-ერისთავი — XVII ს-თვის სრულიად შეუფერებელია. თანაც, ეს გიორგი ლიპარტიანად იწოდებოდა და ყველა დოკუმენტში ამგვარად იხსენიება: სწორედ ასე — „ლიპარტიანი ბატონი გიორგი“ — აწერია მის პორტრეტს, რომელიც წალენჯიხის ერთ-ერთ ექვტერშია მოთავსებული. ეს, თავისთავადაც საკვლევი საბუთიც რომ არ იყოს, ლევანისა და გიორგის პირადი ურთიერთობის ხასიათიც ძალიან საეჭვოს გახდიდა მათ ამგვარ მეზობლობას: ძნელი წარმოსადგენია, რომ ლევანს დაეხატვინებინა თავისი გადამტერებული ბიძა, რომელსაც მან მეუღლე ნესტან-დარეჯანი წაართვა, მით უფრო, დაეხატვინებინა აქ — საკუთარი თავისა და სწორედ ამ ნესტან-დარეჯანის გვერდით.

ამგვარად, უეჭველია, რომ შესაფერი გიორგი სადღაც უფრო ადრე უნდა ვეძიოთ. შემაფერხებელი აქ, ერთი შეხედვით, ისაა, რომ გიორგის ფიგურას და წარწერასაც XVII ს-ის მხატვრის ხელი აჩნია. მაგრამ ეს არაა ძნელი ასახსნელი. ჯერ კიდევ თაყაიშვილს ჰქონდა გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს წარწერა გადაწერილია XVII ს-ში. ჩვენ საკვლევით სამართლიანად მიგვაჩნია ეს აზრი, მაგრამ უნდა დავუმატოთ, რომ იგივე უნდა ითქვას თვით ფიგურის შესახებაც: ფიგურა უეჭველად განახლებულია, უფრო სწორად, მეორედ დახატული ძველ, უკვე გადაცრეცილ, კონტურზე სწორედ იმ დროს, როცა იქვე (სხვა ძველი ფიგურების ნაცვლად) ლევანსა და ნესტანდარეჯანს ხატავდნენ. სხვაგვარი ახსნა არ ჩანს.

უფრო რთული გასარკვევია მეორე საკითხი: ვინ არის ეს გიორგი და როდის ცხოვრობდა იგი? ბროსე ცოტა არ იყოს გაუბედავად ამბობს: ფიქრობენ,

---

в некоторых храмах и монастырях Грузии, составленная... Н. Кондаковым. Грузинские надписи прочтены и истолкованы Димитрием Бакрадзе, СПб., 1890 (შემდეგში შემოკლებით: Кондаков, Бакрадзе, Опись..., გვ. 91); შერგილ და ნათელა უცნობი არიან, რაც შეეხება ცოტნეს, «то он должен быть тот самый Цотне, который... является одним из деятельнейших сподвижников ц. Русуданы».

რომ ეს ვამეყის მამაა[7]. ამავე აზრს იმეორებს, აგრეთვე არც მაინცადამაინც კატეგორიულად, ექვთ. თაყაიშვილი[8]. ე. ი. ორივე ავტორი გიორგის XIV ს-ის ნახევრის პირად სთვლის, თუმცა ამის დამტკიცების საშუალება მათ არა აქვთ. ასეთი დასკვნა კი თავისთავად იწვევს თაყაიშვილის შემდეგ მოსაზრებას: «ეს დადიანი პირველი მაშენებელი არ არის ხობის ეკლესიისა და ეს შეუძლებელიც არის, ვინაითგან, როგორც დავინახეთ, ხობში დაცულია XIII საუკუნის ფრესკა შერგილ დადიანისა. გიორგი II-ს უნდა მიეწეროს, ჩვენის აზრით, იმ ღია შტოის მიშენება, რომელიც უვლის ხობის ეკლესიას სამხრეთით და დასავლეთითო»[9].

რა თქმა უნდა, თავისთავად, ზემოჩამოთვლილ დებულებებში შეუძლებელი არაფერი არ არის, მაგრამ საქმე ისაა, რომ ფაქტიურად არცერთ მათგანს არ გააჩნია მტკიცე საფუძველი.

უპირველეს ყოვლისა, არა მგონია, ასე იოლად შეიძლებოდეს გიორგი დადიანის საკითხის გადაწყვეტა და მისი გამოცხადება მხოლოდ ტაძრის გალერიის მაშენებლად. როგორც აღინიშნა, იგი სწორედ იმ ადგილსაა გამოხატული, სადაც ტრადიციულად ათავსებდნენ კტიტორთა ფიგურებს. მას ხელთ ტაძრის მოდელი უპყრია და ესეც კტიტორის ჩვეულებრივი და ცნობილი ატრიბუტია, იმდენად ცნობილი, რომ ნიმუშების დასახელება არც არის საჭირო. დასასრულ, მას ხომ პირდაპირ აწერია — ამ საყდრის აღმაშენებელიო. რა საბუთი გვაქვს ამ აშკარა მონაცემთა საწინააღმდეგოდ? როგორც დავინახეთ, მხოლოდ ერთი — XIII ს-ის I ნახევრისათვის მიკუთვნებული ფრესკების არსებობა იმავე ტაძარში. მაგრამ აქ უნდა გავიხსენოთ, რომ თვით ეს დათარიღება არაფრით არ არის დასაბუთებული: სრულებით არაა უეჭველი და აუცილებელი, რომ ფრესკის ცოტნე და მატიანეთა ცოტნე ერთი და იგივე პირი იყოს, და მათი გაიგივება, არსებითად, ნებისმიერია.

წყაროებს არ შემოუნახავთ კოხტასთაველი გმირის მშობელთა სახელები, ხოლო სახელი ცოტნე აშკარად საგვარეულოა და მისი განმეორებაც სავსებით მოსალოდნელი. მაშასადამე, დაუმტკიცებლად მიღებულ აზრს — შერგილის ფრესკა XIII ს-ის I ნახევრისა არისო — რომელიც წინასწარ საზღვრავდა ე. თაყაიშვილის მსჯელობას, ჩვენ აპრიორიც შეგვიძლია ეჭვის თვალით შევხედოთ და დავუშვათ, რომ ხობის პორტრეტები სხვა ცოტნესა და მის მშობლებს გამოხატავენ. ქვემოთ დავინახავთ, რომ ჩვენი ეჭვი საკმაოდ მტკიცე საფუძველს ემყარება.

როგორც ვთქვით, დაუმტკიცებელია, უფრო მეტიც, არ არის სწორი ისიც, თითქოს გიორგი დადიანი ვამეყის მამაა და XIV საუკუნის შუა წლების პერსონაჟი. ფაქტიურად, საბუთი აქ მხოლოდ ის იყო, რომ ვამეყის მამაც ერისთავთ-ერისთვის წოდებას ატარებდა. მაგრამ იმისთვის კი აღარ მიუქცევიათ ყურადღება, რომ მანდატურთუხუცესად იგი არსად არ იხსენიება, თვით ხობის ვამეყისეულ წარწერაშიაც კი, რომელიც გიორგის გარდაცვალების შემ-

---

[7] Rapports sur un voyage archéolcgique dans la Géorgie et dans l'Arménie, exécuté en 1847—1848 par M. Brosset. Ier livraison, VIIe rapport St. Petersbourg, 1850; გვ. 41. (შემდეგში შემოკლებით: Brosset, Rapports...),

[8] არხ. მოგზ. და შენიშ., II, გვ. 135. თაყაიშვილი ამ გიორგის მთავრობის წლებად შეცდომით მისი შვილის ვამეყის მთავრობის წლებს აღნიშნავს.

[9] იქვე.

დეგაა ამოკვეთილი (იხ. ქვემოთ). ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მაინც ჯუმათის მთავარანგელოზის ხატის წარწერა, სადაც ეს გიორგი ისევ მხოლოდ ერისთავთ-ერისთვად იწოდება, მისი ძე ვამეყი კი — მამის სიცოცხლეშივე — მანდატუოთუხუცესად[10].

მაშ ვინ-ღა არიან ხობის ფრესკების გიორგი, შერგილ და ცოტნე დადიანები და რა კავშირი აქვთ მათ ერთმანეთთან? ამის გასარკვევად ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სოფ. წალენჯიხის ტაძრის ჯვარცმის ხატს (აწ აღარ არსებულს), რომელსაც აკად. გ. ჩუბინაშვილმა მიაქცია ყურადღება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 1944 წლის მაისის სესიაზე, აკად. ნ. სეევროვის პოხსენების გამო გამართულ კამათში.

ამ ხატის ზურგზე შემდეგი ასომთავრული წარწერაა[11]:

«ქ. რომელი ჯსნისათვის ჩუენისა კაც იქმენ და ჯუარცმაი და სიკვდილი დაითმინე, რაი შევწიროთ ღირსი წყალობათა შენთა? არამედ სურვილით ვამკობთ ჯუარსა შენსა, მაცხოვარო წალენჯიხისაო, მონდობილნი შენნი: მანდატურთ უხუცესი დადიანი ბედანი და მე ძე მათი, მეორედ მამკობი დადიანი გიორგი, და მე დადიანი შერგილ და მეუღლე ჩემი ნათელ, მესამედ მამკობნი ხატისა თქუენისა, დაგვცვენ სულით და ყოველთ სავნებელთაგან ძეებითურთ».

ამგვარად, ამ წარწერაში ერთად გვხვდება ის სახელები, ორმლებიც ხობის ფრესკებშია შემონახული და რომლებიც აქამდე სრულებით ვერ უკავშირდებოდა ერთმანეთს. რომ ამ წარწერისა და ხობის შერგილი ერთიდაიგივე პიროვნებაა, ეს უეჭველია — ამას მისი მეუღლის სახელი ამტკიცებს: ნათელ შერგილი და ნათელ თანამედროვენი და იქნებ, უმცროსი თანამედროვენიც არიან გიორგი ბედანის ძისა, თუმცა ეს უკანასკნელი მეორედ მამკობია ხატისა, ისინი კი — მესამედ მამკობნი. ამას ფრაზის კონსტრუქცია მოწმობს. „ვამკობთ ჯუარსა შენსა... მე... დადიანი გიორგი და მე დადიანი შერგილ". აქედან დასკვნა: ბედანი — პირველი თაობის წარმომადგენელია, გიორგი, შერგილ და ნათელ — მეორისა, ხოლო ამათი შვილი ცოტნე — უკვე მესამეს ეკუთვნის. ჩვენ ვიცით, როდის ცხოვრობდა ბედანი (მისი სახელი შემოუნახავს მატიანეს, იგი სხვა ხატის წარწერაშიაც გვხვდება): როცა დავით ულუ, მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყების დამარცხების შემდეგ, იმერეთში გადაიხვეწა, როგორც ცნობილია, მისა და დავით ნარინის მომხრეებს შორის განხეთქილება მოხდა: ლაშას ძის მომხრეებს მისი დასმა სურდათ მეფედ, ზოგიერთი ლიხთიმერელიც მიმხრობია მათ, მაგრამ დავით ნარინის ბედი, ქამთააღმწერლის სიტყვით, ბ ე დ ა ნ დ ა დ ი ა ნ ს გადაუწყვეტია: „დადიანი ბედანი ჯუანშერის ძე დადგა ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისათა, რამეთუ იყო ესე ბედანი კაცი წარმატებული ყოველთა ზნითა, უხვი უმეტეს ყოველთა კაცთა, სრული გონიერებითო"[12]. შემდეგ: ხობის ღვთისმშობლის ხატის ზურგზე, მოთავსებულია „ორი ასომთავრული წარწერა... ერთგვარის ხელით": **„... წმიდაო ღვთისმშობელო ადიდე შენ მიერითა დიდებითა... მეფეთა მეფე დავით, ძე რუსუდანისი"**, და ქვემოთ — მეორე, რომელშიაც ღვთისმშობელს მფარველობას სთხოვენ **„მამკობი**

---

[10] Д. Б а к р а д з е, Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, Санкт-Петербург, 1878 (შემდეგში შემოკლებით: Д. Б а к р а д з е, Арх. путеш.), გვ. 263; თ. ჯ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 198.

[11] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ. და შენიშ., II, გვ. 226—227; შეად. Georgica, Γ₂₋₃ ლონდონი, 1936, გვ. 12—13.

[12] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ. და შენიშ., II, გვ. 141.

ხატისა, ერისთავთერისთავი და მანდატურთუხუცესი ბედან დადიანი და დიო-ფ:ლ-დიოფალი ხუვაშაქი[13]". ამგვარად, ბედან დადიანი, თანამედროვე და თანამოღვაწე დავით ნარინისა, XIII ს-ის მეორე ნახევრის პირია. სრულიად უეჭველია, რომ შერგილი, ე. ი. შემდეგი თაობის წარმომადგენელი, არ შეიძლება უფრო ადრინდელ პერიოდში მოვაქციოთ: იგი აგრეთვე მოღვაწეობდა არა უადრეს XIII ს-ის მეორე ნახევრისა, ან დასასრულისა, ხოლო მის ვაჟს ცოტნეს უკვე XIV ს-ის პირველ ნახევარშიაც მივყავართ: ცხადია, რომ აქ ჩვენ კოხტასთაველ გმირთან არა გვაქვს საქმე და, მაშასადამე, ხობის პორტრეტების ჯგუფიც, რომელიც შერგილსა და მის ოჯახს გამოხატავს, არ შეიძლება XIII—XIV ს-თა მიჯნაზე ადრინდელი იყოს.

ახლა გიორგი ბედანის ძის შესახებ: ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ხობის მაშენებელი სწორედ ის არის: იგი ხატზე შერგილთან ერთად იხსენიება, მას ემეზობლება ისევე, როგორც ხობის ტაძარშია მის მეზობლად დახატული. მამამისი სწორედ ერისთავთერისთავი და მანდატურთუხუცესი იყო და შვილს, ცხადია, შეეძლო მემკვიდრეობით მიეღო ეს წოდება. და ფრესკის გიორგისაც ხომ, როგორც დავინახეთ, სწორედ ასეთი ტიტულატურა აქვს.

ამგვარად, ხობის ტაძარში ამ ორი პირის პორტრეტთა თანაარსებობას საკმაოდ ბუნებრივი ახსნა უჩნდება: იმის ნაცვლად, რომ გიორგი სადღაც გვიან ვეძიოთ და ძალდატანებითი ჰიპოთეზები შევქმნათ, ჩვენ ვხედავთ, რომ იგი შერგილის თანამედროვეა და მასთან ერთად, ერთი მაშენებელთაგანი ტაძრისა. მთავარი ქტიტორი მაინც ეს გიორგი ყოფილა — ამას პირდაპირ მიგვითითებს მისი პორტრეტის ადგილიცა და წარწერაც, რომელსაც, როგორც დავინახეთ, ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია ვერწმუნოთ. შერგილს, რომელიც უეჭველად ახლო ნათესავი იყო გიორგისა, მხოლოდ საოჯახო კაპელა აუშენებია თავისთვის და იქვე გამოუხატვინებია საკუთარი თავი ცოლ-შვილთან ერთად: ეს დასკვნა, ცხადია, სულ ადვილი გამოსატანია[14].

ზემოთ ჩვენ, ბედანის დახმარებით, შერგილისა და გიორგის ცხოვრების დრო გავარკვიეთ. თარიღების გამოთვლა მეორე გზითაც შეგვიძლია და შედეგი იგივე გამოდის: ხობის მაცხოვრის ხატის წარწერის მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ ბედანის ცოლი და გიორგის დედა — „ბეგაისა ქართლის ერისთვისა ასული ხუაშაქი" იყო[15]. ეს ბეგა სურამელი, ძე გრიგოლისა, აგრეთვე

---

[13] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 129.

[14] ეს შერგილი სხვა ძეგლებიდანაც არის ცნობილი: მის სახელს ატარებს თამარ მეფის მკერდსაკიდი ჯვრის კუბო, რომელიც, ალბათ, მისი დაკვეთითაა შესრულებული და წინათ ხობში ინახებოდა (წარწერაში მოხსენიებულნი არიან ნათელი და ცოტნეც. იხ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ. და შენიშ., II, გვ. 141; К о н д а к о в, Б а к р а д з е, Опись..., გვ. 89—91). თუ გავიხსენებთ ბედან დადიანის სიახლოვეს დავით რუსუდანის ძესთან, ადვილი გასაგები გახდება, როგორ უნდა მოხვედრილიყო დადიანთა ხელში ეს ჯვარი. ბროსეს შერგილის სახელი ამოუკითხავს მარტვილშიაც, კიბოროუმის სვეტისთავებზე (Rapports..., I_7, გვ. 16); დასასრულ, შერგილ და ნათელი გვხვდებიან სინას მთის ერთი ხელნაწერის ერთ-ერთ აღაპშიაც [Ц а г а р е л и, Сведения о памятниках грузинской письменности, Выпуск второй, Санкт-Петербург, 1889 (შემდეგში შემოკლებით: Ц а г а р е л и, Сведения..., II), გვ. 78. შერგილის სახელი დამახინჯებულია: „მოხსენებისათჳს და განსვენებისათჳს დადიანისა ბერგლისაშ<ი>ნ, მისსა მეუღლესა ნათელს შ<ი>ნ"] და ჯვრის მონასტრის აღაპებშიაც (ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962, აღაპები №№ 186, 164, 102).

[15] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ. და შენიშ., II, გვ. 138—139.

ცნობილი პირია და ჟამთააღმწერელთან ისიც გვხვდება: როცა დავით ნარინი 1242/3 წ. ბათო და მანგუ ყაენებთან გაგზავნეს მეფობის დასამტკიცებლად, მას „წარყვეს ცოტანი ვინმე თანშეზრდილნი“ და მათ შორის „ქართლის ერისთჳს გრიგოლი სურამელის შჳლი ბეგა“[16]. რაკი ბეგა დავით ნარინის „თანშეზრდილი“ იყო, უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იგი დაახლოებით მისი ტოლიც იქნებოდა, ე. ი. 1225 წლის ახლო ხანებში უნდა დაბადებულიყო (ამ ხანებში დაიბადა დავით ნარინი)[17]. ამისდამიხედვით, მისი შვილიშვილი — გიორგი დადიანი, ძე ბედანისა და ხუაშაქ ბეგას ასულისა — შეიძლებოდა დაბადებულიყო 1270-იან წლებში. ამგვარად, სურათი ნათელია: შერგილ დადიანი, რომელსაც ჰყავდა ცოლი ნათელ და ძე ცოტნე, და გიორგი ბედანის ძე, რომელიც ჩვენ ხობის ფრესკის გიორგიდ მიგვაჩნია, XIII ს-ის უკანასკნელ მესამედში და XIV ს-ის დასაწყისშიაც ცხოვრობდნენ. თუ ვახუშტის მიერ მითითებული თარიღი სწორია, მაშინ გიორგი დადიანი — 1323 წელს გარდაცვლილა[18]. ხოლო რაკი ფრესკის გიორგი „ამ საყდრისა აღმაშენებელია“, ხობის ტაძრის აგების თარიღიც ამავე ხანაში — XIII—XIV ს-თა მიჯნაზე — ექცევა. ამგვარია ჩვენ ხელთ არსებულ ისტორიულ წყაროთა მონაცემები და ამ მონაცემებს ჩვენ მით უფრო შეგვიძლია ვენდოთ, რომ თვით ძეგლის ხუროთმოძღვრების ანალიზი — ე. ი. ის, რაც ჩვენთვის გადამწყვეტია — სავსებით ეთანხმება, უფრო სწორად, თვითონვე მიგვითითებს ამგვარ დასკვნას. სათანადო თავში გარკვეულ იქნება ისიც, რომ შერგილის ფრესკებიც სტილისტიკურად ამ ეპოქას მიეკუთვნება.

მაგრამ ერთი შენიშვნა მაინც საჭიროა: თუმცა ჩვენ გიორგი ბედანის ძე ტაძრის მშენებლად მიგვაჩნია, არ არის აუცილებელი, რომ იგი ამ შენობის დამწყებად მივიჩნიოთ: ერისთავთერისთავს ვერავინ ვერ დაუშლიდა თავისი თავი საყდრის მოდელით დაეხატვინებინა და თავისთვის „საყდრის აღმაშენებელი“ ეწოდებინა იმ შემთხვევაშიაც კი, თუ მან მხოლოდ დაასრულა თავისი წინამოადგილის მიერ დაწყებული მშენებლობა. თუ გიორგის როლი მართლაც ამგვარი იყო, ტაძრის დაწყების, მისი ხუროთმოძღვრული შთანაფიქრის მასახვის თარიღი მცირედით გადაიწევდა უკან XIII ს-ის ბოლო ათეული წლებისკენ.

ხობის ტაძრის მშენებლობის შემდგომი ეტაპი, როგორც ძეგლის აღწერის დროს აღვნიშნეთ, დასავლეთის კარიბჭისა და, შემდეგ, გალერიის აგებაა იმავე ფასადის მთელი სიგრძის გაყოლებით, კარიბჭის მარჯვნივ და მარცხნივ.

საღებავებით შესრულებული წარწერა ამ გალერიის კარნიზზე, რომელიც, ალბათ, სამშენებლო ხასიათისა იყო, სამწუხაროდ, მთლიანად დაღუპულია. მარჯვენა კუთხეში ძლივს გაირჩევა რამდენიმე ასო, მაგრამ რაიმე აზრის გამოტანა არ ხერხდება (ამ ნარჩენთა მიხედვით, წარწერა ორსტრიქონიანი უნდა ყოფილიყო).

---

[16] ქართლის ცხოვრება, ნარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გამოც. ე. თაყაიშვილისა (შემდეგში შემოკლებით: მმ-სი ქ-ცა), გვ. 621.

[17] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, თბ., 1949 (შემდეგში შემოკლებით: ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი. III), გვ. 35.

[18] Brosset, Histoire de la Géorgie, II$_1$, გვ. 378, 646; XIII საუკუნის დამლევითა და XIV საუკუნის დამდეგით თარიღდება ხუაშაქისა და გიორგი დადიანის აღაპებიც: ე. მეტრეველი, მასალები..., აღაპები №№ 304, 276 და № 65 აღაპის კომენტარი.

სამაგიეროდ, სამხრეთის გალერიისა და ექვტერის აგების ამბავი მოთხრობილია გრძელ წარწერაში, რომელიც ექვტერის შესასვლელის ზემოთ, საგანგებოდ გათლილ დიდ ქვაზეა ამოკვეთილი.

ეს ასომთავრული წარწერა, რომლის ფრანგული თარგმანიც პირველად დიუბუამ გამოაქვეყნა თავისი მოგზაურობის I წიგნში[19], ხოლო ორიგინალური ტექსტი, დიუბუასვე გადმონაწერის მიხედვით, ბროსემ[20], ყველაზე უკეთესად ექვთ. თაყაიშვილმა გამოსცა[21].

წარწერა ცხრა სტრიქონიანია, რიგიანად დაცული და თავიდან ბოლომდე ნათლად იკითხება:

1. ※ სსეზეიტ:ინ-სიტ: ეარესიტრი ეარიტრეს: ბტბრიბეარი
2. ესეცეს: ბტბეიტეს: ტტბეეყ: ბბესეტ ბტიესტ [ ]ბ
3. ესეესტ: ეარ-ტრი ე-ტრ-ესტ. ბტბეიტესეესტ ეე-ს: ეეიბეტბ ბესესყბტ: ※ეეჭეიტ
4. ესარებრესეეესტ: ბტ ესარეყეზესეესს: ბტიტბრეტ: ბესებესტსეყბტ: ბტ სბეზ[ბტ]ებ
5. ეყბტეტეყ: ბტ ესყბტბ: ეჭ ბრეტ:ბტიტ:სებეეყბრეეტ:ეტეეტბეეტ:ბტ ესიტიბრეეყ
6. ესეზეეტ:ბტეზეიტ:ბესებბყბრეტ:ბბბეზეიტ:※ეჭეეიტსეტ: სსებბრესეეჩ:ბეესე
7. ტზეეეეებ:ბტესეეეეე

ეს ტექსტი, რომელიც ენობრივად მაინცადამაინც გამართული ვერ არის, როგორც ვხედავთ, ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს არა მარტო მშენებლობისათვის, არამედ ისტორიული თვალსაზრისითაც. ვამეყის ამ ლაშქრობის შესახებ, მაგალითად, არც ერთ სხვა წყაროს არ შემოუნახავს არავითარი მითითება. წარწერა საინტერესოა თვით ამომკვეთის პიროვნების წარმოსადგენადაც: ვამეყი უოუოდ ერთი ყველაზე მძლავრი და ენერგიულთაგანია სამეგრელოს მთავართაგან; იგი არა მარტო ძლევამოსილი მოლაშქრეა; დამახასიათებელია (და არა შემთხვევითი), რომ მას ამოდენა მანძილზე მოაქვს მარმარილოს „სვეტნი და ფიქალნი" საგანგებოდ ექვტერის ასაშენებლად: ჩვენ ვიცით, რომ სამეგრელოს მეორე ეკლესიის (წალენჯიხის) მოსახატავად იგი არ დაერიდა ოსტატის ჩამოყვანას თვით ბიზანტიის დედაქალაქიდანაც კი.

ვამეყის მთავრობის წლები ცნობილია და, ამგვარად, ამ წარწერისა და ექვტერის აგების თარიღიც ადვილად ირკვევა: ვამეყი „დაჯდა დადიანად" 1384 წელს, მამის გიორგის გარდაცვალების შემდეგ[23], ხოლო გარდაიცვალა 1396 წელს[24]. ვამეყი იხსენიება ჯუმათის მთავარანგელოზის ხატის წარწერაში[25], წალენჯიხის ფრესკების წარწერებში[26]; ვამეყი და მისი მეუღლე მარეხი სინას მთის ერთი ხელნაწერის აღაპებშიაც გვხვდებიან[27].

როგორც თვით ძეგლის დაკვირვება, ისე წარწერაც მოწმობს, რომ ვამეყს მთლიანად უნდა მიეკუთვნოს სამხრეთის მთელი მინაშენი — გალერიაც და დახურული ექვტერიც: თუ მარმარილოს სვეტები ამ ექვტერშია გამოყენებული, „ფიქალნი" გალერიის კედლებში ჩაურთავთ, რამდენიმე ცალი კი ეკლესიის შიგნითაც გამოუყენებიათ — საკურთხევლის იატაკში და ტრაპეზზე.

წარწერის უკანასკნელი სტრიქონის თანახმად, დახურული ექვტერი ვამეყს თავისი მშობლებისა და დის დასაკრძალავად მიუშენებია ტაძრისათვის. ასე ესმის ტექსტის ეს, ცოტა არ იყოს ბუნდოვანი, ადგილი ყველა ავტორს (ბროსე, თაყაიშვილი). ცხადი უნდა იყოს ისიც, რომ „მამა-დედანი" და მარეხი ჯერ სხვაგან ყოფილან დაკრძალულნი და მხოლოდ ამ კაპელის აგების შემდეგ მოხდა მათი „გაერთიანება". ბუნებრივი და გასაგებია, რომ ვამეყს სურდა თავისი საკუთარი, საოჯახო საძვალე-სამლოცველო ჰქონოდა სწორედ ამ ტაძარში, რომლის შექმნაც მისი არც ისე შორეული წინაპრების სახელთან იყო დაკავშირებული და რომელშიაც თავიდანვე არსებობდა ასეთი საგანგებო საძვალეები ცალკეულ ოჯახთათვის. რა თქმა უნდა, ხობის ექვტერში არა მარტო ვამეყის მშობლები და და არიან დაკრძალულნი, არამედ თვით ვამეყიც. ის პორტრეტები, რომლებიც ჩრდილოეთის კედელზე აფსიდის წინ იყო მოთავსებული, შესაძლებელია ვამეყისა და მისი მეუღლისა ყოფილიყო. მამაკაცს წარწერა არ შერჩენია, ქალის თავთან კი გაირჩეოდა:

და უღაღი. უღაღი, საბას განმარტებით, „ძნელ სავალი" ყოფილა. გაგარი მის ლექსიკონში არ არის შეტანილი; დიუბუას წიგნში მოთავსებული თარგმანი, შესრულებული ლ. დადიანის მიერ, ამ სიტყვას defilé-დ, ე. ი. ხეობად განმარტავს, (D u b o i s, Voyage..., I, გვ. 76, 77). ამასვე იმეორებს ბროსეც (Rapports..., I_7 გვ. 39, 40).

[23] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 199.

[24] იქვე, გვ. 201—202.

[25] Б а к р а д з е, Арх. путеш.; თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 198.

[26] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ. და შენიშ. II, გვ. 211—212.

[27] Ц а г а р е л и, Сведения, II, გვ. 78.

1. Ѳ...
2. Ф...
3. ЗЧЗ:
4. З҃Ѣ Ѹ҃Н

«თ ... ფ ... მარ: შეუნდვნეს ღმერთმან».

XIV საუკუნის მიწურულიდან XVII ს-მდე ხობის ტაძრის ბედი ჩვენთვის თითქმის სრულებით უცნობია. იგი ალბათ ნაწილობრივ მაინც იყო დაზიანებული. ყოველ შემთხვევაში, მისი ხელმეორედ მოხატვა საჭიროდ უცვნიათ და ძირითადი ნაწილი მოუხატავთ კიდეც.

ლევან დადიანი, ისევე, როგორც ოდესღაც ვამეყი, ზრუნვას არ აკლებდა ხობის ტაძარს: ეს, როგორც ჩანს, უკვე ტრადიციად იქცა სამეგრელოს მთავართათვის, ლევანი კი, საერთოდაც გულმოდგინე მამკობი იყო ეკლესიებისა. ის პორტრეტები, რომელთა შესახებაც ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი — თვით ლევანისა, მისი მეუღლისა და ძისა — უეჭველად მოწმობს, რომ ტაძრის აწინდელი ფრესკების დიდი ნაწილი სწორედ მის დროსაა შესრულებული. რაკი ლევანმა ნესტან-დარეჯანი 1625 წლის მახლობელ ხანებში შეირთო (ილორის წმ. გიორგის 1624 წლის ხატის წარწერაში ნესტან-დარეჯანი ჯერ კიდევ არ იხსენიება, 1628 წელს კი ბიჭვინტის სიგელის თანახმად, იგი უკვე ლევანის მეუღლეა)[28], ხოლო ფრესკაზე უკვე ლევანის ძე მანუჩარიცაა წარმოდგენილი, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ თვით ეს ჯგუფი მაინც, თუ მთელი მხატვრობა არა, XVII ს-ის ოციან-ოცდაათიანი წლების მიჯნაზე ადრინდელი არ შეიძლება იყოს. თარიღის მეორე ბუნებრივი მიჯნა ლევანის გარდაცვალების წელია — 1658.

მაგრამ ხობის ფრესკების ეს გვიანდელი ფენა სხვა ისტორიულ პორტრეტებსაც შეიცავს. ეს პორტრეტებიც საყურადღებო და საინტერესოა. იმ სამღვდელო პირს, რომელიც საკურთხევლის წინ, ბემის ჩრდილოეთის კედელზეა დახატული, თავთან შემდეგი მხედრული წარწერა აქვს (სამწუხაროდ დაზიანებულია და ნაწილობრივ გადაშლილი):

1. **მე: [ ] [ძემან]: ხობელმან ნიკოლოზ**
2. **დავახატვინე: ესე**
3. **ხაყდარი: ჩემის: სულის**
4. **საცხოვნებლად.**

ვინ უნდა იყოს ეს ნიკოლოზ ხობელი? სხვა საბუთებში ჩვენ მას ვერსად ვერ შევხვდებით, მაგრამ საკითხის გადასაწყვეტად რუსი ელჩების ზახარიევისა და ელჩინის ერთი ცნობა გვიშველის. ზახარიევი და ელჩინი 1639—1640 წლებში იყვნენ „დადიანის ქვეყანაში“ და 1640 წელს, მაისის სამს ხობის მონასტერსაც ეწვივნენ. და აი, თავის ანგარიშში ორივეს უწერია, რომ ისინი „пришли в Хабы в Пречистенский монастырь к **Николозу** епископу“[29]. ამ ნიკოლოზს, რომელსაც ზახარიევი ეპისკოპოსს უწოდებს, ელჩინი კი არქიმანდრიტს, წირვა გადაუხდია, სტუმრებისთვის ტაძარში დაცული რელიკვიები უჩვე-

[28] Brosset, Rapports..., I₈, გვ. 104; კ. გრიგოლია, ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა: ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943, გვ. 148; თ. ეორდანია. ქრონიკები, II, გვ. 447.

[29] Посольство дьяка Федота Елчина и свящ. Павла Захарьева в Дадианскую землю (შემდეგში შემოკლებით: Посольство...), გვ. 373, ზახარიევის ანგარიში; შეად. გვ. 333—ელჩინის ანგარიში.

ნებია, „и после тово Николаз епископ Федота и попа Павла звал к себе хлеба есть". საუბარში მას ისიც უთქვამს, მე აქ არც ისე დიდი ხნის მოსული ვარო: „яз де здесь недавно".

ხომ არ არის ეს Николаз епископ — ფრესკის ნიკოლოზ ხობელი? ჩვენი აზრით, მათს იდენტიფიკაციას არაფერი არ უშლის ხელს: 1640 წელს, როგორც ცნობილია, სამეგრელოს ჯერ კიდევ ლევანი განაგებდა, ხობელი ნიკოლოზი თავის თავს ტაძრის მომხატველს უწოდებს, ლევანის დროს კი, როგორც ახლახან აღვნიშნეთ, ტაძარი უეჭველად არის მოხატული. ამგვარი დასკვნა კიდევ ერთი ვარაუდის უფლებას გვაძლევს: თუ სწორია კორნელი კეკელიძის მოსაზრება, რომ თეოდოტე ელჩინისა და პავლე ზახარიევის მასპინძელი ნიკოლოზი თავისი დროის გამოჩენილი მოღვაწე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილია, უფრო ცნობილი ნიკიფორე ირბახის სახელით[30], მაშინ ხობში ამ უკანასკნელის პორტრეტი გვქონია. 1643 წელს ნიკოლოზ-ნიკიფორე უკვე იერუსალიმშია ჯვარისმამად. ამის მიხედვით ხობის ნიკოლოზისეული მხატვრობის თარიღი 1640—1643 წლებს შუა შეიძლება მოექცეს. ის, რომ ლევანის ძე მანუჩარი ფრესკაზე მცირეწლოვნადაა ნაჩვენები, ამ შემთხვევაში ხელს არ გვიშლის: იგი ნესტანდარეჯანის პირველი შვილი არ იყო და ამ დროს ჯერ კიდევ არ იქნებოდა სრულწლოვანი. მართლაც, კორცხელის 1640 წლის ხატის წარწერაში ლევანი ამბობს, რომ ეს ხატი შეწირულია, სხვათა შორის, მის ძეთა — „ალექსანდრეს, მ ა ნ უ ჩ ა რ ი ს ა და ასულისა ზილიხანისა აღსაზრდელად", რაც აგრეთვე უნდა ადასტურებდეს გამოთქმულ მოსაზრებას[31].

მაგრამ, რასაკვირველია, ამ ზუსტი თარიღის გავრცელება XVII ს-ის მთელ მხატვრობაზე მაინც არ იქნებოდა მართებული: ეს ფრესკები რთულია და საკმაოდ მრავალფეროვანიც, თან რაოდენობითაც მეტად მნიშვნელოვანი, ასე რომ მათს ´ესრულებას, ალბათ, უფრო დიდხანს მოუნდებოდნენ: ცხადია, ნიკოლოზის და, მით უფრო, ლევანის დასახატავად არ დაიწყებდნენ ცდას, სანამ კედელ-კამარები მთლიანად დაიფარებოდა მხატვრობით. ამიტომ, ნიკოლოზ ხობელის პორტრეტი და ფრესკების ზოგი სხვა ნაწილიც კიდეც რომ მიეკუთვნოს 1640-იანი წლების დასაწყისს, მთლიანად ამდროინდელი მხატვრობის დათარიღებისას სჯობს მაინც პირველად აღნიშნული ფარგლებით დავკმაყოფილდეთ[32].

ხობშივე, ცენტრალური კვადრატის ჩრდილოეთ-დასავლეთ ბურჯზე, აღმოსავლეთის მხრივ, კიდევ ერთი სასულიერო პირია დახატული: [ ] **ზ ე ბ ე დ ა ს ლ ო ბ ე ლ ი** — [კათა] **ლ ი კ ო ზ** [ი] **ი ლ ა რ ი ო ნ**[33]. ეს ფრესკაც აგრეთვე გვიანდელ ფენას მიეკუთვნება. ამ კათალიკოზის ვინაობა სრულებით უცნობია:

---

[30] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ნიკიფორე ირბახი; ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, ტფ., 1935, გვ. 144.

[31] B r o s s e t, Rapports..., II$_6$; გვ. 5; თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ. და შენ., II, გვ. 205.

[32] ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის პიროვნებისა და ბიოგრაფიის შესახებ მკვლევართა შორის თანხმობა არ არის. ზოგს მიაჩნია, რომ ჩოლოყაშვილი-ირბახი და ნიკიფორე, ბერძნად წოდებული, თეიმურაზ I-ის ელჩი რუსეთსა და თურქეთში —ერთიდაიგივე პიროვნებაა. მაშინ ზოგი საკითხი რთულდება: 1640 წელს ეს ნიკიფორე მოსკოვში ჩანს.

[33] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 131: „კ´ზი ილარიონ"; კალისტრატე, ხობის მონასტერი და მისი ისტორიული წყარო, ახალ-სენაკი, 1894 (შემდეგში შემოკლებით: კალისტრატე), გვ. 14: „კათალიკოზი ილარიონ"; ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ. და შენ., 11, გვ. 136: **ᲙᲐᲗᲐᲚᲘᲙᲝᲖᲘ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜᲘ** ეს აშკარა შეცდომაა, რაც იმით აიხსნება, რომ წარწერა ქვემოდან ძალიან ძნელად იკითხება.

XVI—XVIII საუკუნეებში აფხაზეთის კათალიკოზთა სია თითქოს უკვე შევსებულია, მათ შორის კი ილარიონი არ ჩანს[34]. არსებობს მხოლოდ ერთი საბუთი — იმერეთის მეფის ალექსანდრეს მიერ ეზია იოსელიანისადმი მიცემული წიგნი ყმისა და მამულის წყალობისა, რომელშიაც ბანძის ომთან დაკავშირებით, სხვათა შორის, შემდეგიც არის ნათქვამი:

«... შენ ჩვენს წინ ხელი გამოიღე, სისხლი დასთხიე და ორი შენი ძმა ჩემს წინ დაიხოცენ და, რადგან ასრე შენი ერთგულობა დავინახე და გვეაჯეთ. და ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი, ქრთამიც სრული გამოგართვით, კ ა თ ა ლ ი კ ო ზ ი ი ლ ა რ ი ო ნ ომზე დაირჩინე და მისის საისხნით (Sic) ჩვენ გამოგართვით და მის მუქაფად გიბოძე ჩემი სამკვიდრო მამული...», და სხვ.

აქ კათალიკოზ ილარიონის შესახები წინადადება მაინცადამაინც ნათელი არ არის. ამას გარდა, საბუთს შეუძლებელი თარიღი უზის — 1647 წელი, მაშინ, როცა ბანძის ომი 1658 წელს მოხდა. ეს გარემოება დოკუმენტის გამომცემელს აკად. ნ. ბერძენიშვილს აფიქრებინებს, რომ ან საბუთია ნატყუარი, „ან გადამწერის მიერ თარიღია არეული“[35]. ხობში ილარიონის პორტრეტის არსებობა, ჩემი აზრით, ამ საბუთის შემამტკიცებელია — ეტყობა ვიღაც კათალიკოზი ილარიონი XVII საუკუნეში მაინც არსებობდა[36].

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ლევან დადიანი დიდად ზრუნავდა ხობის ტაძრისთვის. ამ ზრუნვის შედეგი არა მარტო შენობის მოხატვა იყო, არამედ ხატების შეწირვაც. ლევანს არ დაუტოვებია სამეგრელოს თითქმის არც ერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ტაძარი, რომ ერთი ან რამდენიმე ხატით არ შეემკო. ჩვეულებრივ, ყოველი მათგანი რომელიმე ლაშქრობის შემდეგ იწირებოდა და გრძელი წარწერით აღიჭურვებოდა ხოლმე: ეს წარწერები ლევანის დაუცხრომელი და საინტერესო (ხშირად — სისხლიანი) მოღვაწეობის შეუდარებელ ქრონიკებს შეადგენს. განსაკუთრებით მრავლდება შეწირული ნივთები 1639—40 წლების მახლობლად, ნესტან-დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ. 1640 წელს ლევანი «ბატონის ნესტან-დარეჯანისა სულისა სახსრად და საოხად» განაახლებს ხობის ტაძრის ბორდოხან დედოფლისეულ დიდ, მრავალნაწილედ ხატს, «ჟამთა ვითარებისაგან მოშლილს» და, როგორც ჩანს, ერთხელ უკვე განახლებულს ლიპარიტ დადიანის ასულის მარეხის მიერ (XIV თუ XV ს-ში)[37]. ალბათ იმავე ხანებში განაახლა და შეამკო ლევანმა სანაწილე, რომელშიაც ხობის წმიდათა-წმიდა, ღვთისმშობლის კვართი, წმ. გიორგის, წმ. მარინესა და იოანე ნათლისმცემლის ნაწილები ინახებოდა.

---

[34] შეად. ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, მასალები დასავლეთ საქართველოს XVII—XVIII საუკუნეთა ისტორიის ქრონოლოგიისათვის: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, ნაკვ. 31, თბ., 1954, გვ. 129—143.

[35] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ბატონყმური ურთიერთობა (XV—XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1940, გვ. 473.

[36] ერთი კათალიკოზი ილარიონი გვხვდება კაცხის საბუთებშიაც, რომლებიც 1677 წელსაა განახლებული და დაწერილი, თითქოს „ჴელითა კათალიკოზისა ილარიონისათა“ (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, საისტორიო კრებული, III, გვ. 44, 46, 48). მაგრამ ამ ილარიონის კათალიკოზობა ძალიან საეჭვოა, როგორც ეს სამართლიანად აქვს აღნიშნული საბუთების გამომცემელს ს. კაკაბაძეს: ამ დროს აფხაზეთის კათალიკოზის ტახტი სხვას ეჭირა (იქვე, გვ. 36—37). ესეც რომ არ იყოს, ძნელი წარმოსადგენია, რომ საბუთს თვით კათალიკოზი წერდეს თავისი ხელით. ეს საბუთები გვიანდელი პირების საშუალებითაა მოღწეული და აქ, უეჭველია, გადამწერის შეცდომა უნდა იყოს. ს. კაკაბაძე შენიშნავს, იქნებ აქ კათალიკოზის ნაცვლად კანდელაკი უნდა იკითხებოდესო.

[37] ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, არხ. მოგზ. და შენიშ., II, გვ. 150.

«... დედოფალო მარიამ, რომელი ყოველთა ცოდვილთა მეოხი ხარ... მეოხ, მხსნელ სვენებელ და ცეცხლისა და სატანჯველისგან განმარინებელ ექმენ დედოფალსა ნესტანდარეჯანს... რომლისა საუკუნისა სახსენებლად და ცოდვათა მისატევებლად შევამკვე და მოვაჭედინე კვართის კუბო ესეო», წერს ლევანი ამ სანაწილის წარწერაში[38].

საკუთრივ ტაძრის შენობისათვის XVII ს-ის მანძილზე ჩვენ არავითარი ცნობა არა გვაქვს, თუ არ ჩავთვლით კვლავ ზახარიევის სიტყვებს: „И в том монастыре каменный храм с алтарем прегражен, а в храме деисусы и месные образы по чину“[39]. თუმცა, როგორც თავშივე ვთქვით, ამ საუკუნის განმავლობაში ხობის ხსენება ძალიან ხშირია, ეს ცნობები მხოლოდ ტაძარში დაცულ რელიკვიებს შეეხება და ზოგჯერ ერთმანეთსაც არ ეთანხმება[40].

რუსი ელჩების ტოლოჩანოვისა და იევლევისთვის ათონელ ბერებს, რომლებმაც 1651 წელს გაიარეს ხობში, უამბნიათ — ღვთისმშობლის ხატი კონსტანტინეპოლიდანაა ჩამოტანილი „в те поры, как было гонение на иконы при Феофиле царе“-ო[41], ძამპის თანახმად კი კვართი რომელიღაც მთავარეპისკოპოსს ჩამოუტანია თურქების მიერ კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ.

ძამპისავე ცნობით, კვართი ინახებოდა ვერცხლის ყვავილოვანი სამკაულებით მორთულ შავი ხის ყუთში. ეს ყუთი მთავრის ბეჭდით იყო დაბეჭდილი. «როცა ჩვენ ამ წმინდა საგნებს გვიჩვენებდნენ, ისინი ხალიჩებზე დაალაგეს და ჩვენ მოკრძალებითა და პატივისცემით ვკიდებდით მათ ხელს. მეგრელები კი მათ დაუდევრად ექცევიან და ოქროსა და ვერცხლს უფრო აფასებენ, ვიდრე წმინდა ნაწილებს, რადგანაც ნაწილები მათ ბევრი აქვთო»[42].

საკუთრივ ძეგლის გაცნობისას ცხადი გახდა, რომ მისი თავდაპირველი გეგმა უფრო გვიან საგრძნობლად არის შეცვლილი. ამ ცვლილებათაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კუთხის ექვტერთა გაუქმება და მათი გაერთიანება მთავარ სივრცესთან, ნაკლებ მნიშვნელოვანი — პასტოფორიების დაკავშირება საკურთხეველთან უშუალო გასასვლელებით. ეს რეკონსტრუქციაც შეიძლება ლევან დადიანს დავუკავშიროთ. ცხადია, რომ მის დროს ხობში კაპიტალური რემონტი ტარდებოდა და, სავსებით ბუნებრივი იქნება, თუ მოხატვასთან ერთად, ამ სამშენებლო სამუშაოსაც წარმოვიდგენთ. ყოველ შემთხვევაში, გარკვევით ჩანს, რომ აფსიდის მხატვრობა XVII ს-ისა პასტოფორიებში გასასვლელებზე უფრო გვიანდელია, რადგანაც იგი მათ ანგარიშს უწევს. ის თაღები, რომლებიც ყოფილ ექვტერებს (ჩრდილო-დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კუთხეებში) ეკლესიის განივ ნავთან აკავშირებს, უხეში ორნამენტული მოტივებითაა მორთული — ეს მოხატულობა, შესაძლებელია XVII ს-ზე გვიანდელიც კი იყოს. დასასრულ, ალბათ, XVII საუკუნეს უნდა მიე-

---

38 ე. თაყაიშვილი, არნ. მოკზ. და შენიშ. II, გვ. 154.

39 Посольство..., გვ. 373.

40 ხობის რელიკვიებისთვის იხ. აგრეთვე დოსითეოს პატრიარქის მოთხრობაც: Explications... .

41 ტოლჩანოვი და იევლეევი —სტოლნიკი ტოლჩანოვისა და დიაკი იევლეევის ელჩობა იმერეთში 1650—1652, საბუთები გამოსცა და შესავალი დაურთო მ. პოლიევქტოვმა, ტფ., 1926, გვ. 158.

42 Путешетсвие Шардена по Закавказью в 1672—1673 гг. Т., 1902, გვ. 60—61.

კუთვნოს, როგორც ექვთ. თაყაიშვილი ფიქრობს, დღემდე დაცული, აშკარად გვიანდელი, მოჩუქურთმებული კანკელი[43].

მნიშვნელოვანი საბუთია ლევან II დადიანის გუჯარი, რომელშიაც ნათქვამია, რომ ხობში დაკრძალულნი არიან მისი „პაპნი და პაპისპაპნი“ გიორგი, ვამეყ, შერგილ და სამადავლე. აქვე დამოწმებულია ძველი საბუთი — დადიან-გურიელის შამადავლასი (გარდაიცვალა 1474 წელს), სადაც ასეთ სიტყვებს ვხვდებით: „იადგარი ძუელითგნი ვნახეთ და ასრე ყოფილიყო ძუელითგან და ესრეთ ეწერა: ვინცა ხოფისა საყდარსა გარშემო უპატიობა იკადროს, ანუ გლეხი დაურბიოს, ანუ ჯოგი წაუსხას, ანუ ქურდობა ქნას, ან სასახლეს მოუხდეს და გატეხოს, ათი გლეხი დაუურვოს საყდარსა, ვინცა სახოფოსა ზედან მოუხდეს, დარბიოს და დაწუას, მეხადილე გლეხი დაუურვოს საყდარსა... ვინცა ძმათაგანსა უპატიობა ჰკადროს, ანუ აგინოს, ათასი პოტინატი დაეურვოს. აგრეთვე ჰვირიას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა ხოფისა ღთის-მშობელისა არის უცილებელი“[44].

შემდეგ არის XVII და XVIII საუკუნეთა მინაწერები, რომლებშიაც ნათქვამია, რომ აფხაზეთის სხვადასხვა კათალიკოსნი სწირავენ ხოფს გლეხებს.

ეს გუჯარი კიდევ ერთი საბუთია, რომელიც მოწმობს ხობის ტაძრის „სულიერ“ მნიშვნელობასაც და მის ნივთიერ შეძლებასაც. სხვაც რომ არაფერი იყოს, ტერიტორია მდინარეებს ცივსა და ჰვირიას (=ჰურიას) შორის, რომელზედაც ხობს „ტყე და წყალი“ კუთვნებია, რამდენიმე ათეულ კვადრატულ კილომეტრს შეიცავს (ხობის მნიშვნელობას მაშინდელი სამეგრელოს ცხოვრებაში და მთავართა დამოკიდებულებას მისდამი ისიც ადასტურებს, რომ ამ მონასტერსა და მის სახელმოხვეჭილ რელიკვიებს ყველა უცხოელ მოგზაურს უჩვენებდნენ. მაგრამ გუჯარში არის კიდევ ერთი საყურადღებო ცნობა: „ვინც ძმათაგანს უპატიობა ჰკადროსო“ რომ არის ნათქვამი, ეს ნიშნავს, რომ ხობში მონასტერი ყოფილა უკვე შამადავლემდე (ე. ი. XV ს-ის ნახევრამდე), რაკი შამადავლეს ეს სიტყვები ადრინდელი საბუთებიდან აქვს დამოწმებული. რომ XVII ს-ის პირველ ნახევარშიაც ხობი მონასტერია, მითითებული აქვს არქანჯელო ლამბერტის, რომელიც სამეგრელოში 1633—1653 წლებში ცხოვრობდა, თუმცა მისი სიტყვებიდან ისე გამოდის, რომ ხობი თავიდანვე კი არ ყოფილა მონასტრად, არამედ შემდეგ გადაუკეთებიათ[45].

მეორე საბუთიდან, რომელიც 1675 წლითაა დათარიღებული, ჩანს, რომ „პირველადგანაც ხოფი ბიჭვინტის ღთისმშობლისა შეწირული ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან გამოხმოდათ“. ლევან III წერს: ახლა კვლავ „შემოგვწირავს ხოფი ორის სასახლითაო“ და სხვ.[46]. ამგვარად, ხობის მონასტერი აფხაზეთის კათალიკოზთა უშუალო გამგებლობაში უნდა ყოფილიყო.

ამის შემდეგ ცნობები ხობის ტაძრის შესახებ კარგა ხნით წყდება. ვახუშტის სიტყვები — „აქ ეკლესიასა შინა მსვენარებს პერანგი ყოვლად წმიდის

---

[43] Taqaishvili, Antiquities of Georgia: Georgica, 1937, № 4—5 გვ. 114—115, ტაბ. XXII.

[44] საქართველოს სიძველენი, წ. I, გვ. 24—31.

[45] არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, იტალიურით ნათარგმნი ალექსანდრე ჭყონიასი, ტფ., 1901, გვ. 123—124. ლამბერტიც აღნიშნავს, რომ ხობში „აჩვენებენ ღვთისმშობლის პერანგს“.

[46] თ. ეორდანია, ქრონიკები, II, გვ. 489—490; Brosset, Rapports..., I, გვ. 40; Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары, გვ. 147.

ღვთისმშობლისა, სასწაულმოქმედი", ხოლო თვით ეკლესია „კეთილშენი და შემკულიაო" — უნდა მოწმობდეს, რომ XVIII ს-ის პირველ ათეულ წლებში ხობი ძველებურად მოქმედი და მდიდარი იყო[47].

XIX ს-ის პირველი ავტორი, რომელიც ხობს იხსენიებს და მოკლედ აღწერს კიდეც — ისევ და ისევ დიუბუა დე მონპერეა. სიტყვა მონასტერი საქართველოში ყოველთვის ნამდვილი მონასტრის სინონიმი არ არის, წერს დიუბუა, უფრო ხშირად იგი უბრალო ეკლესიას ნიშნავს. მაგრამ ხობი ნამდვილი მონასტერია, რომელშიაც წმ. ბასილის ორდენის რამდენიმე ქართველ-ბერძენი ბერი ცხოვრობს[48]. მათი წინამძღვარი არქიმანდრიტის წოდებას ატარებს... ეკლესია გარშემორტყმულია მაღალი გალავნით, რომელსაც არქიმანდრიტის ბინა ებჯინება... ეზოში შესასვლელის თავზე მოწყობილია სამრეკლო, სადაც მე მაჩვენეს გრძელი საყვირი, რომელიც მჭახე და ხანგრძლივ ბგერას გამოსცემს და რომლითაც მიდამოების მცხოვრებთ ლოცვაზე უხმობენ. ომიანობის დროს იგი მტრის მოახლოებას აცნობებდა ხალხს და მაშინ მთელი მოსახლეობა თავს აფარებდა ეკლესიის ეზოებს, რომლებიც სიმაგრეთა დანიშნულებას ასრულებდაო"[49].

ხობი მონასტრად რჩებოდა XIX ს-ის მთელ სიგრძეზე და შემდეგაც, სულ ბოლომდე, სანამ იგი საერთოდ არ გაუქმდა. მაგრამ ბერების რიცხვი უმნიშვნელო იყო: 1853—54 წლებში, მაგალითად, მხოლოდ ორი[50], საუკუნის მეორე ნახევარში რამდენადმე მეტი: წინამძღვრის გარდა — 4 მღვდელ-მონაზონი, 1 იეროდიაკონი და 2 მორჩილი[51]. XIX საუკუნისთვის ზოგ ცნობას გვაწვდის მღვდელ-მონაზვნის კალისტრატის წიგნაკი. თუმცა იგი საკმაოდ დაუდევრადაა ნაწერი და თან დაულაგებელიც, მაგრამ ეს ცნობები მაინც სანდო ჩანს, რადგანაც თვით ავტორი 20 წლის განმავლობაში (1862—1882) ამ მონასტრის ბერი და მისი ქონების მცველი ყოფილა[52], ბევრი რამ თავისი თვალით ჰქონდა ნანახი, ბევრი რამ თანადამხდურთა და თვითმხილველთაგან მოსმენილი და, ამას გარდა, იგი დოკუმენტებსაც იშველიებს. კალისტრატეს მითითებული აქვს არქიმანდრიტის გრიგოლ მიქელაძის გუჯარი, რომლის თანახმადაც ეს გრიგოლი ხობის წინამძღვრად დაუნიშნავთ 1806 წელს „მისი მაღალუგანათლებულესობის ღენერალ-ლეიტენანტის და სხვა ორდენკავალერთა მქონებლის (Sic!), დადიანის გრიგოლის ძისა ლევანის" დროს. კალისტრატე აღნიშნავს, რომ ამ გუჯარში მიქელაძეს „მოყავს თავისი შრომა-ღვაწლი, ამ დიდებული ტაძრის გამშვენიერება-გაღონიერებაზედ — ჩამოთვლილია ყმა და მამული დადიანებისა და ჩიჩუებისგან მისის მეცადინეობით შეძენილნი"[53]. 1840 წელს ხობის არქიმანდრიტად ინიშნება ბესარიონ ჭყონია, რომელსაც, იმავე ავტორის თანახმად, „არამცირე შრომა-ღვაწლი მიუძღვის ხობის მონასტრის მამულების დაცვის შესახებ"[54]. XIX ს-ის ნახევარში ხობის ტაძარს დიდი განსაცდელი გამოუვ-

[47] ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 167.

[48] ე. ი. ბერძნული ტიბიკონის მონასტრის ბერები, რომლებიც „თავიანთ ცხოვრებაში ხელმძღვანელობენ წმ. ბასილის წესებით": კ. კეკელიძე, ნიკიფორე ირბახი: „ლიტერატურ. მემკვიდრეობა", I, გვ. 142, სქოლიო 1.

[49] Dubois, Voyage..., I, გვ. 363—364; 365—366.

[50] Кавказский календарь, 1853, გვ. 389, 1854, გვ. 475.

[51] კალისტრატე, გვ. 53.

[52] იქვე, გვ. 23—24.

[53] იქვე, გვ. 42.

[54] იქვე, გვ. 43. შედ. Кавказский календарь, 1855, გვ. 651.

ლია: როდესაც 1855 წელს ომერ-ფაშა სამეგრელოში შეიჭრა, მისი ჯარი ერთ-ხანს მონასტრის გარშემო და თვით მონასტერშიაც ყოფილა დაბანაკებული. იმდროინდელ ოფიციალურ მიწერ-მოწერაში, რომელიც რუს-ოსმალთა საომარ ოპერაციებს შეეხება, ხობის ხსენება ძალიან ხშირია: როგორც ჩანს, მონასტრის მიდამოები მოწინავე ხაზადაც კი გადაქცეულა[55]. ბერები და გლეხები, რა თქმა უნდა, გაიხიზნენ და მხოლოდ ერთი ბერი — პეტრე ჟორდანია „არ მოცილებია მონასტერს და თათრებთან... ტრიალებდა, რომ მონასტრის შენობა არ დაეწვათ"[56]. ორიოდე წლის შემდეგ, უტუ მიქავას აჯანყების დროს, ისევ ხობის მონასტრის მიდამოები წარმოადგენდა გლეხთა თავმოყრის ადგილს[57]. მაგრამ როგორც ჩანს, ტაძარს იმ ხანებში არავითარი ზიანი არ მოსვლია და გლეხებისგან, ცხადია, არც იყო მოსალოდნელი, ამ შემთხვევაში მაინც, რაიმე მტრული მოქმედება მონასტრის წინააღმდეგ.

კალისტრატეს ცნობით, 1877—78 წლებში, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს, ხობის განძეულობა საევაკუაციოდ მოუმზადებიათ: „თათრის ჯარი შავი ზღვის ნაპირას მოადგნენ (Sic!) თუ არა, მაშინვე თითონ ჩვენ, მთავრობის თანხმობით, აქაური ხატები და სხვა ნივთები მოვაქციეთ ყუთებში დასახიზნავად, ხომლის მთა-კლდის მიდამოშიო"[58].

ხობის მონასტრის ქონების შესახებ XIX ს-ის ნახევარში გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ისევ კალისტრატეს ცნობა, რომ მონასტერს 1860 წელს ექვსასამდე კომლი გლეხი ეკუთვნოდა. უეჭველია, მონასტრის შემოსავალს ზრდიდა ტრადიციული ყოველწლიური ბაზრობა, რომელიც ეკლესიის გალავანთან იმართებოდა 15 აგვისტოს და სამეგრელოს შერეული სოფლებიდანაც კი იზიდავდა გლეხობას[59].

თვით ეკლესიის შენობაზე დიუბუას შემდეგ არც ერთ ავტორს აღარ დაუწერია არაფერი არსებითი. ვიცით მხოლოდ, რომ ბერების სენაკები ეკლესიის დასავლეთით იყო მოთავსებული, ხრამის პირს, როგორც ჩანს, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ახლა დიდი შენობის ნანგრევია[60]. ალბათ ამ შენობას გულისხმობს კალისტრატე, როცა წერს, რომ „ეკლესიის ზღუდეში ჩაშენებულია ორსართულიანი ქვის პალატი, სიგრძე 42 ალაბი, განი 12 ალაბი, სიმაღლე 17 ალაბი. ქვედა სართულში მარანია; ძველ ქვევრთა შორის ერთი მათგანი წლის რიცხვისაა (Sic!) 365 კოკისაო". 1860 წელს სამეგრელოს ეპისკოპოსს ბესარიონს (ჩიჩუას), რომელიც 1857 წლიდან ხობის არქიმანდრიტად იყო, აუშენებია „ზღუდის შუა" ორსართულიანი სახლი ოთხი ოთახითა და დარბაზით ზემო სართულში[61]. უნდა ვიფიქროთ, რომ თვით ეკლესიის მდგომარეობა ამ დროს დამაკმაყოფილებელი იყო.

---

[55] Акты, собранные Кавказской археографической комиссией, (შემდეგში შემოკლებით: Акты...,), т. XI, გვ. 121, 188, 232, 234, 244, 258, 260.

[56] კ ა ლ ი ს ტ რ ა ტ ე, გვ. 48.

[57] Акты..., XII, გვ. 265.

[58] კ ა ლ ი ს ტ რ ა ტ ე, გვ. 49.

[59] П. Б и б и к о в, 14-е августа в монастыре на р. Хопи: Кавказ, 1854, № 70. შეად. კალისტრატე, გვ. 52.

[60] П. Б и б и к о в, იქვე.

[61] კ ა ლ ი ს ტ რ ა ტ ე, გვ. 6.

უეჭველია, წვრილ-წვრილი შეკეთება XIX ს-ში მონასტერმა რამდენიმეჯერ განიცადა. ერთ-ერთი ასეთი შეკეთების ამბავი სამრეკლოს წარწერაშიაც არის მოთხრობილი:

1. 1902 წ.: გაკეთდა დროსა წინამძღვრობისა
2. არხიმანდრიტის სიმეონ მამუკას ძის აფაქიძისა სამ-
3. რეკლოს იატაკი კიბეები გალავნით ეკლე
4. სიის გალერელიის იატაკი კიბეებით.
5. Ინ გაცხოვნოს[62].

1889 წელს ხობის მონასტერი დაათვალიერეს და მისი სიძველეები აღწერეს აკად. ნიკოდიმე კონდაკოვმა და დიმიტრი ბაქრაძემ[63], ხოლო 1914 წელს ეკლესიისა და მის სიძველეთა აღწერა ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა „არქეოლოგიურ მოგზაურობათა და შენიშვნათა“ II წიგნში[64].

დროთა განმავლობაში ხობის სიძველეთაგან ბევრი რამ დაიკარგა. კალისტრატეს, მაგალითად, აღნიშნული აქვს წმ. გიორგის ერთი ვერცხლის ხატის მოპარვა ამგვარი საქმიანობით სახელმოხვეჭილი ფოტოგრაფის საბინ-გუსის მიერ[65]. მიუხედავად ამისა, ხობის მონასტერი, სანამ მისი სიძველეები მუზეუმებს არ გადაეცემოდა, მაინც ბევრ ძვირფას ძეგლს შეიცავდა: საკმარისია გავიხსენოთ თამარის მკერდსაკიდი ჯვარი და ამ ჯვრის კუბო XIII—XIV საუკუნეთა მიჯნისა, ბორდოხან დედოფლისეული ხატი, ბედანისა და ხუაშაქის, ლევან დადიანისა და სხვათა ხატები, რომლებიც ზემოთ გზადაგზა უკვე ვახსენეთ. თუ ამას დავუმატებთ თვით ხუროთმოძღვრებას, ისტორიულ წარწერებს, დასასრულ, მაღალი მხატვრული ღირებულების ფრესკებსაც, ნათელი გახდება, რომ ხობის ტაძარი წარმოადგენდა და ნაწილობრივ დღესაც წარმოადგენს ქართული ხელოვნების ნამდვილ საგანძურს. რომელიც, იმავე დროს, წმინდა ისტორიული თვალსაზრისითაც დიდად საყურადღებოა.

თვით საქართველოშიაც კი არც ისე ბევრია ტაძარი, რომელშიაც ერთმანეთს დაშორებული ეპოქები ამდენად მნიშვნელოვანი ფენებით იყოს წარმოდგენილი.

---

[62] ეს სამრეკლო, ერთი უდიდესთაგანი საქართველოში, რამდენიმე ქრონოლოგიური ფენისგან შედგება: ქვემო ნაწილი ადრინდელია (შესაძლებელია, ეკლესიის თანამედროვე), II სართული — საკუთრივ ფანჩატური — ალბათ, XVII ს-ისა.

[63] Опись..., გვ. 80—92.

[64] იქვე, გვ. 131—161.

[65] კ ა ლ ი ს ტ რ ა ტ ე, გვ. 22—23.

ცნობები და შენიშვნები

ბეჟან შაშაძიძე

მეჩაიეობის განვითარების ისტორიიდან საქართველოში (1933—1937 წწ.)

სახალხო მეურნეობის სოციალისტურმა რეკონსტრუქციამ შექმნა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და მათ შორის მეჩაიეობის განვითარების დიდი შესაძლებლობანი.

მეჩაიეობის შემდგომი განვითარების საქმეში განსაკუთრებით დიდი როლი ითამაშა საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებამ, რომელშიც ხაზგასმით იყო ნათქვამი: „მეორე ხუთწლედში ამიერკავკასიამ ძირითადად უნდა დააკმაყოფილოს მთელი საბჭოთა კავშირის მოთხოვნილება ჩაიზე“[1]. ამ დადგენილებიდან გამომდინარე, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა იმავე წლის 13 ნოემბერს დაავალა ცენტრალურ კომიტეტს ეწარმოებია სისტემატური მუშაობა სპეციალური, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების სოფლის მეურნეობაში გავრცელებისათვის და ყურადღების ცენტრში მოექციათ ჩაის მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმე[2].

საქართველოს მშრომელებმა მეორე ხუთწლედში ფართო მუშაობა გააჩაღეს მეჩაიეობის შემდგომი განვითარებისათვის. თუ პირველ ხუთწლედში მთავარი ამოცანა იყო ჩაის პლანტაციების რაოდენობრივი ზრდა. ჩაის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შექმნა, მეჩაიეობაში მშრომელი გლეხობის მასების ჩაბმა, ჩაის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი საქმის ორგანიზაცია, კადრების მომზადება, ჩაის ნედლეულის გადამმუშავებელი ფაბრიკების მშენებლობა და სხვა. მეორე ხუთწლედში წინა პლანზე წამოიწია ჩაის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცების, ჩაის მოსავლიანობის გაზრდის და ქვეყნის ქართული ჩაით დაკმაყოფილების, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის ამაღლების, ჩაის საცდელ-საგამოკვლევო მუშაობის გაძლიერების, ჩაის პლანტაციებისა და მრეწველობის შემდგომი გაფართოებისა და სხვა საკითხებმა.

პირველ ხუთწლედში ჩაის პლანტაციების ფართობის სწრაფი ზრდის პერიოდში პლანტაციებს ხშირად მოუმზადებელ ნაკვეთებზე აშენებდნენ. ნიადაგებში წინასწარ არ სრულდებოდა სამელიორაციო სამუშაოები. ამასთან ერთად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ნაკლებ მზრუნველობას იჩენდნენ პლანტაციების მოვლა-პატრონობისათვის, რაც იწვევდა პლანტაციების ხარისხისა და მოსავლიანობის მკვეთრად დაცემას.

---

[1] გაზ. „კომუნისტი“, 1931 წლის 4 ნოემბერი.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1931 წლის 14 ნოემბერი.

საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ჯერ კიდევ 1931 წლის სექტემბერში დასახა ჩაის ყველა პლანტაციების მდგომარეობის გამოკვლევისა და მისი მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების ამოცანა[3], მაგრამ პირველ ხუთწლედში მისი განხორციელება არ მოხერხდა.

1932 წლის 8 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიუთითა ჩაის პლანტაციების გასაშენებლად ნიადაგების უხარისხოდ მომზადებაზე, არსებული პლანტაციების დაუმუშავებლობაზე, აგროკულტურულ ღონისძიებების უხარისხოდ გატარებასა და ჩაის სამეცნიეროკვლევით მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებებზე.

საბჭოთა მეურნეობებში არ ხდებოდა მუშახელის გეგმიანი განაწილება. შრომის ანაზღაურებაში ადგილი ჰქონდა გათანაბრებას და არ იყო დანერგილი სანარდო სისტემა, მოქმედებდა გამომუშავების დაბალი ნორმები, მოუწესრიგებელი იყო შესრულებული სამუშაოს აღრიცხვის საქმეც. ჩაის რაიონები ცუდად მარაგდებოდნენ სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მითითებით 1932 წლის გაზაფხულზე ჩატარდა პლანტაციების გამოკვლევა. ამის შედეგად ნათელი გახდა, რომ პლანტაციების ფართობი 1931 წლის დასასრულისათვის არ აღემატებოდა 19900 ჰექტარს, მაშინ როცა „საქართველოს ჩაის" ცნობით იგი 22128 ჰექტარს შეადგენდა. მათ შორის კოლმეურნეობებში იყო 14400 ჰექტარი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში 5500 ჰექტარი. პლანტაციები აღდგენას საჭიროებდა 5000 ჰექტარზე.

მეჩაიეობის განვითარებაში მოპოვებული წარმატებები შესაძლებლობას იძლეოდა უახლოეს მომავალში ქართული ჩაით დაგვეკმაყოფილებია საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილების მნიშვნელოვანი ნაწილი. მაგრამ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სათანადოდ არ ზრუნავდნენ არსებული პლანტაციების შენარჩუნებისა და მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებაზე. ამიტომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ 1932 წლის 2 ივნისს ბეორე ხუთწლედში ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობის, გაუმჯობესებისა და ჰექტარზე მოსავლიანობის 701 კილოგრამიდან[4] 3—4 ათას კილოგრამამდის[5] გაზრდის ამოცანა დასახა, რაც რამდენადმე არარეალური იყო, მაგრამ იგი ნათლად მიუთითებდა იმაზედ, რომ მეორე ხუთწლედში უპირატესობა ჩაის ნედლეულის წარმოების ზრდას ენიჭებოდა. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შედარებით ნელი ტემპით კვლავ უნდა გაეგრძელებიათ პლანტაციების გაშენება. ამასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეჩაიეობაში მშრომელი გლეხობის შემდგომ ჩაბმას.

საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1933 წლის 29 ივნისის დადგენილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული: „უკანასკნელ წლებში ჩაის პლანტაციების ფართობი 1928 წელს 1900 ჰექტარიდან აყვანილ იქნა 31 ათას ჰექტარამდე და ამით დასაწყისი მიეცა საბჭოთა კავშირის დამოუკიდებლობას საზღვარგარეთისაგან ჩაის წარმოების საქმეში. ახლა ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსავლიანობის ამაღლება ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების, სასუქის შეტანის, ჩაის კრეფის

3 გაზ. „კომუნისტი", 1931 წლის 24 სექტემბერი.

4 საქ. სსრ ცსია, ფ. 1619, აღ. 3, ს. 85, ფ. 18.

5 საქ. ცსია, ფ. 660, აღ. 1, ს. 2374, ფ. 24.

გულდასმით ორგანიზაციისა და ნედლეულის გადამუშავების გზით"[6]. იმავე წლის ნოემბერში გაზეთი „პრავდა" წერდა: „ეხლა ამიერკავკასიაში დაახლოებით 35 ათასი ჰექტარი ჩაის პლანტაციაა და ჩაის ძირითადი მწარმოებლები კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობებია"[7]. მართლაც, დიდი წარმატებები იყო მოპოვებული ამ დროისათვის. ჩაის კულტურას ავითარებდა 812 კოლმეურნეობა, რომლებშიც გაერთიანებული იყო 60 ათასი გლეხური მეურნეობა. საკოლმეურნეო სექტორს 13 მტს-ი ემსახურებოდა. ჩაის საბჭოთა მეურნეობების სისტემაში გაერთიანებული იყო 16 საბჭოთა მეურნეობა.

მეჩაიეობის განვითარების საკითხს ყურადღება მიაქცია საქართველოს კპ(ბ) IX ყრილობამ, რომელმაც მეორე ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებისა და მოსავლიანობის გადიდების ამოცანა დასახა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მითითებით მეორე ხუთწლედში კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მოვლა-პატრონობის სამუშაოების გაძლიერებასთან დაკავშირებით ჩაის პლანტაციების გაშენების ტემპები მნიშვნელოვნად შენელდა. ასე მაგალითად, 1929—1932 წლებში პლანტაციების ფართობის საშუალო წლიური ზრდა 7565,6 ჰექტარს თუ შეადგენდა, 1932—1937 წლებში 2220 ჰექტარამდე შემცირდა. პლანტაციების საერთო ფართობი 1933 წელს 33748 ჰექტარიდან 1937 წლისათვის 41600 ჰექტარამდე გაიზარდა. თუ პირველ ხუთწლედში პლანტაციების ფართობი 1676 პროცენტით გაიზარდა, მეორე ხუთწლედში პლანტაციების ფართობის ზრდა 1932 წელთან შედარებით 29,5 პროცენტს არ აღემატებოდა. თუ კოლმეურნეობებში გლეხური მეურნეობებიდან 1932 წელს მეჩაიეობაში ჩაბმული იყო 32000 კაცი, 1937 წლისათვის მისი რიცხვი 44660-მდე გაიზარდა[8]. მეჩაიეობის ტიპიურ სოფლებში 118000 გლეხური მეურნეობიდან ჩაის კულტურის საქმეში 1933 წლისათვის ჩაბმული იყო 60000 მეურნეობა[9]. მეორე ხუთწლედის დასასრულს, 1936 წლისათვის მისი რიცხვი 78818-მდე გაიზარდა. მეჩაიეობაში ჩაბმული მეურნეობებიდან 75519 მეურნეობა გაერთიანებული იყო 726 კოლმეურნეობაში, ხოლო 3299 მეურნეობა წარმოადგენდა ერთპიროვნულს[10].

მეორე ხუთწლედში კვლავ გრძელდებოდა გლეხობის კოლმეურნეობებისაკენ ლტოლვა. ამის შედეგად მეჩაიეობის კოლმეურნეობებში გაერთიანდა გლეხური მეურნეობების 66 პროცენტი. კიდევ მეტი, მეჩაიეობის ძირითად რაიონებში კოლმეურნეობებში გაერთიანდა გლეხური მეურნეობების 69—96 პროცენტი[11]. მეჩაიეობის რაიონების იმ სოფლებში, სადაც ჩაის კულტურა არ იყო გავრცელებული, ან ნაკლებად იყო გავრცელებული, კოლმეურნეობებში აღნიშნული დროისათვის გაერთიანებული იყო გლეხური მეურნეობების 54 პროცენტი. რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ჩაის კულტურა ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით მშრომელმა ხალხმა მეჩაიეობა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მძლავრ,

---

6 საქ. სსრ ცსია, ფ. 1619, აღ. 3, ს. 497, ფ. 55.

7 გაზ. „პრავდა", 1933 წ. 5 ნოემბერი.

8 საქ. სსრ ცსია, ფ. 1619, აღ. 3, ს. 24, ფ. 6.

9 გაზ. „პრავდა", 1933 წ. 5 ნოემბერი.

10 ЦГАНХ СССР, ф. 3499, аб. 1, საქ. 159, ფ. 9.

11 იქვე.

წამყვან დარგად აქცია. ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ 1936 წლისათვის ჩაის პლანტაციების მთელი ფართობის 71,4 პროცენტი, 25729 ჰექტარის რაოდენობით გაშენებული იყო კოლმეურნეობებში, 21,3 პროცენტი, 7756 ჰექტარის რაოდენობით საბჭოთა მეურნეობებში[12], ხოლო მხოლოდ 7 პროცენტი, 2467 ჰექტარის რაოდენობით ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებში[13].

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აგრეთვე იმას თუ ცალკეული გლეხური მეურნეობა რა რაოდენობის ჩაის პლანტაციას ამუშავებდა. არსებული ცნობების მიხედვით 1936 წლისათვის მეჩაიეობის კოლმეურნეობაში თითოეული გლეხური მეურნეობა საშუალოდ 0,35 ჰექტარ პლანტაციას ამუშავებდა[14]. აჭარის ავტონომიურ სოციალისტურ რესპუბლიკაში ერთი გლეხური მეურნეობა საშუალოდ — 0,52 ჰექტარს, ხოლო აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 0,42 ჰექტარ ჩაის პლანტაციას ამუშავებდა[15].

მეორე ხუთწლედში პარტიისა და მთავრობის მითითების საფუძველზე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მთავარი ყურადღება ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებასა და მოსავლიანობის ზრდაზე გადაიტანეს.

პირველ ხუთწლედში, იმ დროს როცა მთელი ძალები ჩაის პლანტაციების გაშენებას ხმარდებოდა, არსებული სრულმოსავლიანი პლანტაციების უდიდესი ნაწილი სათესლედ იყო დატოვებული, ხოლო ახალი **პლანტაციები მცირე მოსავალს** იძლეოდა, შეუძლებელი იყო ჩაის ნედლეულის წარმოების სწრაფი ზრდა. კიდევ მეტი, იმის გამო, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები აგროტექნიკური წესების დაცვით პლანტაციებში არ ატარებდნენ მოვლა-პატრონობით სამუშაოებს, ჩაის ნედლეულის წარმოება არა სტაბილური გახდა და 1930—1931 წლებში 1302 ტონიდან 1203 ტონამდე შემცირდა, ეს იმ დროს, როცა პირველ ხუთწლედში პლანტაციების ფართობი 9,6-ჯერ გაიზარდა[16].

ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობითი სამუშაოები ფართოდ გაიშალა სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლედში. 1932 წლიდან 1935 წლამდე აღდგენილ იქნა დაღუპვის პირზე მისული 3769 ჰექტარი, ხოლო კაპიტალურად შეკეთდა 17649 ჰექტარი პლანტაცია[17]. მკვეთრად გაუმჯობესდა პლანტაციებში ჩატარებული სამუშაოების ხარისხი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა თანამედროვე აგროტექნიკური წესების დანერგვას. ამის შედეგად 1933 წელს პირველად ჩატარდა პლანტაციების სრული გასხვლა-გაფორმება, საზამთრო ბარვა და სხვა.

მოსავლიანობის გაზრდისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩაის პლანტაციებში მინერალური სასუქების შეტანას. დაიწყო პლანტაციებში სასუქების ინტენსიური შეტანა. 1932 წელში კოლმეურნეობებმა მინერალური სასუქები შეიტანეს 1871 ჰექტარზე, საბჭოთა მეურნეობებმა 584 ჰექტარზე.

---

[12] ЦГ АНХ СССР. ф. 3499, оп. 1, ед. хр. 159. ф. 9.

[13] ჩაისა და ციტრუსების მეურნეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, თბ., 1938, № 8, გვ. 79.

[14] ЦГАНХ СССР. ф. 3499, оп. 1, ед. хр. 159, ф. 9.

[15] ჩაისა და ციტრუსების მეურნეობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, თბ., 1938, № 8, გვ. 85.

[16] ედ. ცსრ ცსია, ფ. 660, оп. 1, ს. 5951, ფ. 29.

[17] იქვე.

მომდევნო წლებში პლანტაციებში სასუქების შეტანამ კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო. 1934 წელს კოლმეურნეობებმა სასუქები შეიტანეს 12252 ჰექტარზე, ხოლო საბჭოთა მეურნეობებმა 4695 ჰექტარზე[18].

საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის მაისის პლენუმმა ჩაის მოსავლიანობის გადიდების მიზნით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაუსახა მინერალური და ორგანული სასუქების ყოველწლიურად მთელ ფართობზე შეტანის, პლანტაციების შეკეთების, ქარსაფარი ზოლების გაშენებისა და სადრენაჟო ქსელის მშენებლობის 1936—1937 წლებში დამთავრების ამოცანა.

აგრომელიორაციული ღონისძიებების გატარების შედეგად 1936 წელს საბჭოთა მეურნეობებმა გაიყვანეს 1700 კილომეტრი სადრენაჟო და წყალგამტარი თხრილი, გააშენეს 190 კილომეტრი ქარსაცავი ზოლები[19]. საბჭოთა მეურნეობებმა ტრაქტორებითა და ცხენის გამწევი ძალით დაამუშავეს პლანტაციების 56 პროცენტი, მაშინ როცა პლანტაციების მექანიზებულად დამუშავება 1933 წლისათვის არ აღემატებოდა 16,5 პროცენტს[20].

ჩაის პლანტაციების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შედეგად ჰექტარზე მოსავლიანობა 1932 წელს 701 კილოგრამს აღწევდა, 1935 წლისათვის კი — 1580 კილოგრამამდე გაიზარდა[21]. მოპოვებული წარმატებების საფუძველზე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1935 წლის მაისის პლენუმმა დასახა 1937 წლისათვის ჰექტარზე ჩაის მოსავლიანობის 1800 კილოგრამამდე გაზრდის გეგმა[22].

მეცნიერულად დასაბუთებული, მოწინავე აგროტექნიკის დანერგვისა და მინერალური და ორგანული სასუქების მასობრივად გამოყენების შედეგად ქართველმა მეჩაიეებმა უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს მოსავლიანობის გაზრდაში. ერთი ჰექტარი სრულმოსავლიანი პლანტაციის საშუალო მოსავლიანობა 1937 წლისათვის გეგმით გათვალისწინებული 1800 კილოგრამის ნაცვლად 2178 კილოგრამამდე გაიზარდა[23]. მოსავლიანობის ზრდის შედეგად ჩაის ნედლეულის წარმოება 1932 წელს 1610,2 ტონიდან 1937 წლისათვის 27311,6 ტონამდე ანუ 1696,3 პროცენტით გაიზარდა. ამასთან ერთად ჩაის ნედლეულის წარმოება ძირითადად სოციალისტური სექტორის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელში მოექცა.

საქართველოს მშრომელებმა, რომლებიც ახორციელებდნენ საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 31 ოქტომბრის დადგენილებას საბჭოთა კავშირის მოთხოვნილებას ქართული ჩაით დაკმაყოფილების შესახებ, წინათ დაშვებული პოლიტიკური და სამეურნეო შეცდომების გამოსწორების შედეგად მიაღწიეს ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის მკვეთრ გაზრდას, რაც განპირობებული იყო აგროტექნიკური წესების დანერგვით, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო-ორგანიზაციული განმტკიცებით. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატე-

---

18 ჟურ. „ბოლშევიკი", 1935, № 5, გვ. 64.

19 საქ. სსრ ცსია, ფ. 1619, აღ. 6, ს. 143, ფ. 2.

20 იქვე, ფ. 4.

21 ჟურ. „საქართველოს სოციალისტური მეურნეობა", 1937, № 5, გვ. 35.

22 ჟურ. „ბოლშევიკი", 1935, № 5, გვ. 67.

23 საქ. სსრ ცსია, ფ. 1619, აღ. 3, ს. 8, ფ. 18.

რიალური დაინტერესებით, პლანტაციების ასაკობრივი ზრდითა და შრომის სოციალისტური მეთოდების დანერგვით.

საბჭოთა ხელისუფლებამ მეჩაიეობის განვითარებისათვის უდიდესი მატერიალური ხარჯები გაიღო. თუ 1925—1932 წლებში მეჩაიეობის განვითარების საქმეს 65,5 მილიონი მანეთი მოხმარდა, მეორე ხუთწლედის პირველ სამ წელიწადში კაპიტალდაბანდება 104,3 მილიონ მანეთამდე გაიზარდა[24].

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური წახალისების მიზნით სსრ კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭომ ერთი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ნედლეულის შესასყიდი სახელმწიფო ფასი 1935 წლისათვის 70 კაპიკიდან 3 მანეთამდე, ხოლო ერთი ჰექტარი პლანტაციის გასაშენებლად და მოვლა-პატრონობისათვის გასაცემი კრედიტის ნორმა 920 მანეთიდან 10280 მანეთამდე გაზარდა[25].

ჩაის კულტურის განვითარებისა და ქვეყნის ქართული ჩაით დაკმაყოფილების ამოცანის გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩაის ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის გაფართოებასა და სრულყოფას. მეორე ხუთწლედში ჩაის ფაბრიკების რიცხვი 14-დან 37-მდე გაიზარდა. 1932 წელს რესპუბლიკის ჩაის მრეწველობას თუ შეეძლო მხოლოდ 2600 ტონა ნედლეულის გადამუშავება, 1937 წლისათვის ის ამუშავებდა 28860 ტონა ნედლეულს[26]. რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნედლეულის წარმოების სწრაფი ზრდის პირობებში.

ჩაის ახალი ფაბრიკების მშენებლობა დაგეგმილი იყო ისე, რომ მისი სიმძლავრე აღემატებოდა ჩაის ნედლეულის რაოდენობას. ამას მოითხოვდა ჩაის ნედლეულის დროულად გადამუშავების აუცილებლობა. ნედლეულის რაოდენობასა და გადამმუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეს შორის არსებული სხვაობა უზრუნველყოფდა მისი დროულად გადამუშავების და მიღებული პროდუქტისათვის მაღალი ხარისხის შენარჩუნების შესაძლებლობას.

ჩაის ნედლეულის გადამმუშავებელი მრეწველობის გაზრდასთან ერთად გაიზარდა მასში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების რიცხვიც. თუ 1932 წელს ჩაის ნედლეულის გადამმუშავებელ მრეწველობაში დასაქმებული იყო 366 მუშა და 33 მოსამსახურე, 1937 წლისათვის მუშების რიცხვი 2764-მდე, ხოლო მოსამსახურეების 249-მდე გაიზარდა[27].

ჩაის ნედლეულის წარმოებისა და მისი გადამმუშავებელი მრეწველობის ზრდასთან ერთად გაიზარდა გამოშვებული მზა პროდუქციის მოცულობაც. თუ 1932 წელს ჩაის მრეწველობამ გამოუშვა 653,6 ტონა ხმელი ჩაი, 1937 წლისათვის ხმელი ჩაის წარმოებამ 4923,7 ტონას მიაღწია[28].

თუ გავიხსენებთ რუსეთში ჩაის მოხმარების ომამდელ დონეს, როცა ყოველწლიურად საზღვარგარეთიდან საშუალოდ 76432,0 ტონა[29] ჩაი შემოჰქონდათ და მას შევადარებთ 1937 წელში საქართველოში გამოშვებულ ხმელი

---

24 საქ. სსრ ცსია, ფ. 1619, აღ. 6, ს. 143, ფ. 14.

25 Постановление Совета народных комисаров союза ССР 2 июня 1932 года „О мероприятиях по развитию чайного хозяйства в СССР“.

26 ჟურ. „საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობა“, 1937, № 5—6, გვ. 35.

27 საქ. სსრ ცსია, ფ. 1619, აღ. 3, ს. 24 ფ. 10.

28 იქვე, ს. 497, ფ. 13.

29 გრ. ქარჩავა, საქართველოს სსრ ჩაის საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობა და მისი გადიდების გზები, თბ., 1959, გვ. 35.

ჩაის რაოდენობასთან, გასაგები იქნება თუ რაოდენ მცირე პროცენტით შეგვეძლო მაშინ მოსახლეობის ქართული ჩაით დაკმაყოფილება. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ყოველწლიურად ხმელი ჩაის წარმოების ზრდის ტემპებს და პერსპექტივებს, ნათელი გახდება მიღწევები, რომელიც მოპოვებული გვქონდა საბჭოთა კავშირის ქართული ჩაით უზრუნველყოფის საქმეში, რასაც ქართველმა ხალხმა მეორე ხუთწლედში თავისი შრომისა და გონების დიდი ნაწილი მოახმარა.

სახალხო მეურნეობის განვითარების პირველ ხუთწლედში, როგორც ვიცით მთავარი ყურადღება ექცეოდა ჩაის პლანტაციების ფართობის რაოდენობრივ ზრდას. ამიტომ სახელმწიფო ჩაის რეალიზაციისაგან მცირე რაოდენობის ფულად შემოსავალს ღებულობდა. მეორე ხუთწლედში, როცა პარტიამ მთელი თავისი ყურადღება პლანტაციების მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებაზე გადაიტანა და პლანტაციები შევიდნენ სრულმოსავლიანობის ასაკში, მოსავლიანობის ზრდასთან ერთად დაიწყო ხმელი ჩაის წარმოების და მისი რეალიზაციისაგან ფულადი შემოსავლის ზრდაც. ამის შედეგად ჩაისაგან მიღებული შემოსავლის რაოდენობა პირველ ხუთწლედში 3478500 მანეთიდან, მეორე ხუთწლედში 38847500 მანეთამდე გაიზარდა[30]. მიღებული შემოსავლით იფარებოდა სახელმწიფოს მიერ მეჩაიეობის განვითარებისათვის გაღებული სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი.

მეორე ხუთწლიანი გეგმა სოფლის მეურნეობაში მიზნად ისახავდა სოციალისტური რეკონსტრუქციის დამთავრებას და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებას, რაც გულისხმობდა, როგორც ახალი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობას, ისე არსებულ კოლმეურნეობებში ახალი წევრების მასობრივად ჩაბმას.

საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1933 წლის იანვარში ხაზგასმით იყო აღნიშნული: „მეორე ხუთწლედში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს... არა ნათესი ფართობის გადიდებას, არამედ მოსავლიანობის ზრდას მიწათმოქმედებაში და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობაში“[31]. პარტიის ეს მითითება მეჩაიეობის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებსაც ეხებოდა. მაგრამ დასახული ამოცანის განხორციელება შეუძლებელი იყო საჭირო რაოდენობის კვალიფიციური კადრების გარეშე. ამიტომ საქართველოს კომპარტიამ ფართო მუშაობა გაშალა ტექნიკუმებში, სპეციალურ კურსებზე და უმაღლეს სასწავლებლებში სუბტროპიკული კულტურებისათვის სპეციალისტების მოსამზადებლად. ლოზუნგი: „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ საქართველოს სუბტროპიკული რაიონების მშრომელთა კუთვნილებაც გახდა.

საშუალო განათლების აგროტექნიკოსებისა და ტექნოლოგების მომზადებაში დიდი როლი ითამაშეს აჭარის, ოზურგეთის (ქ. მახარაძე) ნარზენისა და ხაბუმის ტექნიკუმებმა, რომლებიც 1925—1931 წლებში დააარსეს. ჩაის ტექნიკუმების მსმენელთა კონტიგენტი 700 კაცით განისაზღვრებოდა. ტექნიკუმებში შექმნილი იყო 22 აკადემიური ჯგუფი. პირველ კურსზე ყოველწლიურად 224 კაცს ღებულობდნენ[32].

30 საქ. სსრ ცსია, ფ. 1619, აღ. 3, ს. 24, ფ. 13.

31 გაზ. „ბრძოლა ჩაისათვის“, 1937 წლის 19 დეკემბერი.

32 საქ. სსრ ცსია, ფ. 1619, აღ. 3, ს. 830, ფ. 33.

„საქართველოს ჩაის“ გამგეობამ მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა მეჩაიეობისათვის კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. 1931—1935 წლებში მოკლე და გრძელვადიან კურსებზე მოამზადეს 10964-ზე მეტი აგრორწმუნებული, აგროტექნიკოსი, კოლმეურნე, მუშა, ტრაქტორისტი, ნორმადარი, ბრიგადირი, ჩაის ნედლეულის მიმღები პუნქტის გამგე, დირექტორი, ტიტესტერი, მძღოლი და სხვა. მათ შორის 1931 წელს მომზადდა — 1372, 1932 წელს — 1869, 1933 წელს — 694, 1934 წელს — 3713 და 1935 წელს — 3316 კაცი[33]. თითქმის მთლიანად დაკმაყოფილდა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ჩაის სპეციალისტებზე. ამით მყარი საფუძველი შეიქმნა ჩაის კულტურის ფართო განვითარებისათვის.

როგორც ცნობილია, პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელების შედეგად წვრილი ინდივიდუალური გლეხური მეურნეობები გადავიდნენ მსხვილ სოციალისტურ მეურნეობაზე. მოპოვებული წარმატებების საფუძველზე, ჯერ კიდევ 1932 წლის თებერვალში პარტიამ ახალი, მეორე ხუთწლიანი გეგმის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად დასახა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცება[34]. სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და მისი სოციალისტურად გარდაქმნისათვის ბრძოლა პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა გახდა, რომლის განხორციელებისათვის დაირაზმა მთელი საბჭოთა ხალხი.

საქართველოში სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობაში დიდი როლი ითამაშა 1933 წლის თებერვალში მოწვეულმა დამკვრელ კოლმეურნეთა სრულიად საკავშირო პირველმა ყრილობამ. ყრილობამ თავის ცნობილ მიმართვაში საბჭოთა კავშირის ყველა კოლმეურნისადმი წამოაყენა ბოლშევიკური კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეთა შეძლებული ცხოვრებისათვის ბრძოლის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების, ბრიგადების შიგნით რკინისებური დისციპლინის განმტკიცებისა და სახელმწიფოს წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულების ლოზუნგი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა კოლმეურნეობებში სამეურნეო საქმიანობის გაუმჯობესებაში[35].

კომუნისტური პარტიისა და ხალხის ერთობლივი მეცადინეობის შედეგად შესაძლებელი გახდა საქართველოში კოლმეურნეობების სწრაფი ეკონომიური აღმავლობა, რამაც განსაკუთრებით მკვეთრად იჩინა თავი მეჩაიეობის ტიპიურ კოლმეურნეობებში. ამას ადასტურებს მეჩაიეობის კოლმეურნეობებში შრომადღის ღირებულების მკვეთრი ზრდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში შრომადღის საშუალო ღირებულებასთან შედარებით. რესპუბლიკაში შრომადღის საშუალო ღირებულება 1937 წელს თუ 2,2 მანეთს არ აღემატებოდა, ქობულეთის, მახარაძის, ზუგდიდის, ხობისა და ქუთაისის რაიონებში მეჩაიეობის კოლმეურნეობებში შრომადღის საშუალო ღირებულებამ 4,22 მანეთი შეადგინა[36]. მეჩაიეობის ცალკეულ კოლმეურნეობაში შრომადღის ღირებულება კიდევ უფრო დიდი იყო. მაგალითად, მახარაძის რაიონის სოფელ ჯუმათის

---

33 საქ. სსრ ცსია, 1619, აღ. 6, ს. 22, ფ. 105.

34 სკკპ რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწ. III, მეშვიდე გამოცემა, თბ., 1956, გვ. 210.

35 Обращение первого всесоюзного създа колхозников-ударников ко всем крестьянам-колхозникам союза СССР, Свердловск. 1933. გვ. 5—18.

36 ჟურ. „ბოლშევიკი“, 1938, № 6, გვ. 33.

კოლმეურნეობაში შრომადღის ღირებულება 1936 წელს 9,3 მანეთიდან 1937 წლისათვის 14,3 მანეთამდე გაიზარდა, ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის კოლმეურნეობაში 6,2 მანეთიდან 18,7 მანეთამდე, ოჩამჩირის რაიონის სოფელ ღიბრის კოლმეურნეობაში 1,7 მანეთიდან 11 მანეთამდე, ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობაში 10,1 მანეთიდან 11,2 მანეთამდე, სოფელ დაგვის კოლმეურნეობაში 14,1 მანეთიდან 16,6 მანეთამდე[37]. გალის რაიონის სოფელ ოქუმის კოლმეურნეობაში შრომადღის ღირებულებამ 1936 წლისათვის 6 მანეთს მიაღწია, მაშინ როცა 1934 წელში 1,9 მანეთს არ აღემატებოდა[38]. კიდევ მეტიც, თუ ვიმსჯელებთ მოწინავე კოლმეურნეობების შედეგების მიხედვით ჩაის კოლმეურნეობებში შრომადღის საშუალო ღირებულებამ 1937 წლისათვის 10,67 მანეთს მიაღწია.

ჩაის კულტურის ფართოდ განვითარების შედეგად სწრაფად გაიზარდა მეჩაიეობაში გამომუშავებული შრომადღეებისა და ჩაისაგან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონა.

მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობაში 1933 წელს გამომუშავებული 32480 შრომადღიდან მეჩაიეობაზე მოდიოდა 17168 შრომადღე, რომლის ხვედრითი წონა შრომადღეების საერთო რაოდენობაში 52,1 პროცენტს შეადგენდა[39]. ხოლო 1937 წელს 88400 შრომადღიდან მეჩაიეობაზე მოდიოდა 64479 შრომადღე[40], რომლის ხვედრითი წონა შრომადღეების საერთო რაოდენობაში 72,9 პროცენტს აღემატებოდა. სოფელ ნატანების კოლმეურნეების მიერ 1937 წელს გამომუშავებული 131519 შრომადღიდან მეჩაიეობაზე 62677 შრომადღე მოდიოდა, რომლის ხვედრითმა წონამ შრომადღეების საერთო რაოდენობაში 49,2 პროცენტი შეადგინა. სოფელ „შრომის", გურიანთის, ჯუმათის, ძიმითისა და ასკანის კოლმეურნეობებში გამომუშავებული შრომადღეების საერთო რაოდენობიდან 45—50 პროცენტი მეჩაიეობაზე მოდიოდა[41].

ზუგდიდის რაიონის ნარაზენის კოლმეურნეებმა 1937 წელში გამოიმუშავეს 65 332 შრომადღე. მათ შორის 41 000 შრომადღე მეჩაიეობაზე მოდიოდა, რომლის ხვედრითი წონა კოლმეურნეების მიერ გამომუშავებული შრომადღეების საერთო რაოდენობაში 62,7 პროცენტს ჭარბობდა. ამასთან ერთად გაიზარდა მეჩაიეობიდან მიღებული შემოსავლის ხვედრითი წონაც. 495527 მანეთი შემოსავლიდან 216886 მანეთი მეჩაიეობაზე მოდიოდა[42]. რაც კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის 43,7 პროცენტს შეადგენდა. შემდგომ წლებში მეჩაიეობიდან მიღებული შემოსავლის წილი კიდევ უფრო გაიზარდა და 1940 წლისათვის 84,3 პროცენტს მიაღწია[43]. სოფელ დარჩელის კოლმეურნეებმა გამოიმუშავეს 97849 შრომადღე. მათ შორის 79671 შრომადღე მეჩაიეობაზე მოდიოდა, რომლის ხვედრითი წონა შრომადღეების საერთო რაოდენობაში 81,4 პროცენტს აღწევდა. 1936 წელს კოლმეურნეობის მიერ მიღებულ 567510 მანეთი შემოსავლიდან 137047 მანეთი მეჩაიეობიდან იყო მი-

37 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღ. 1, ს. 7855, ფ. 52.
38 ჟურ. „ბოლშევიკი", 1936, № 9, გვ. 30.
39 საქ. სსრ ცსია, მახარაძის ფილიალი, ფ. 182, აღ. 2, ს. 8, ფ. ფ. 1—4.
40 იქვე, ფ. 182, აღ. 2, ს. 65, ფ. ფ. 137—146.
41 იქვე, ფ. 182, აღ. 2, ს. 65, ფ. ფ. 1—336.
42 საქ. სსრ ცსია, ზუგდიდის ფილიალი, ფ. 103, აღ. 1, ს. 2, ფ. ფ. 1—15.
43 იქვე, ფ. 103, ს. 5, ფ. 31.

ღებული[44]. 1937 წლისათვის კოლმეურნეობის შემოსავალი კიდევ უფრო გაიზარდა და 859552 მანეთი შეადგინა[45], რომლის უდიდესი ნაწილი მეჩაიეობაზე მოდიოდა. სოფელ რუხის კოლმეურნეობის შემოსავალი 1936 წელს 696651 მანეთით განისაზღვრებოდა. კოლმეურნეობამ მეჩაიეობიდან 273795 მანეთი მიიღო[46], მისი ხვედრითი წონა საერთო შემოსავალში 39,3 პროცენტს უდრიდა. 1937 წლისათვის კოლმეურნეობაში კიდევ უფრო გაიზარდა მეჩაიეობის ხვედრითი წონა, რაც კარგად ჩანს იქიდან, რომ გამომუშავებული 75239 შრომადღიდან მეჩაიეობაში იყო გამომუშავებული 54280 შრომადღე[47], ყველა შრომადღის 72,1 პროცენტი. სოფელ ინგირის კოლმეურნეობის შემოსავალი 1937 წელს 406878 მანეთს შეადგენდა. მათ შორის 238385 მანეთი მეჩაიეობიდან მიიღეს[48], რომლის ხვედრითი წონა საერთო შემოსავალში 58,5 პროცენტს აღემატებოდა. დიდ წარმატებას მიაღწია „ახალსოფლის" კოლმეურნეობამ. მისი შემოსავალი 1938 წელს 618021 მანეთამდე გაიზარდა[49], რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი (171392 მანეთი) მეჩაიეობიდან მიიღეს. ასეთივე წარმატებებს მიაღწიეს აჭარის, აფხაზეთისა და ჩაის სხვა რაიონების კოლმეურნეობებმაც, სადაც მეჩაიეობა მრავალი კოლმეურნეობის სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი გახდა.

მოტანილი ფაქტებიდან ნათლად ჩანს, რომ სახალხო მეურნეობის განვითარების მეორე ხუთწლედში მეჩაიეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ წამყვან დარგად იქცა, მრავალი კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყარო გახდა. გაფართოვდა ჩაის ნედლეულის წარმოების ბაზა და მისი გადამმუშავებელი თანამედროვე მრეწველობა.

---

44 საქ. სსრ ცსია, ზუგდიდის ფილიალი, ფ. 82, ს. 1, ფ. 16.
45 იქვე, ფ. 82, ს. 2, ფ.ფ. 1—14.
46 იქვე, ფ. 78, ს. 1, ფ. ფ. 1—15.
47 იქვე, ფ. 78, ს. 2, ფ. 1.
48 იქვე, ფ. 96. ს. 2, ფ. 8.
49 იქვე, ფ. 89, ს. 10, ფ. 12.

რევაზ ბარკალაია

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის სათავეებთან

გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს და 90-იანი წლების დამდეგს ჩნდება საქართველოში მუშათა პირველი წრეები და ორგანიზაციები. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ ზეტცერის ფაბრიკის მუშათა თვითგანვითარების, წრე, რომელსაც არალეგალური ლიტერატურის ბიბლიოთეკაც ჰქონდა, და რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშათა წრე თბილისში, „მუშათა კავშირი", „სომეხ მუშა რევოლუციონერთა ასოციაცია" და სხვ. ამ წრეებისა და ორგანიზაციების აქტიური მონაწილენი იყვნენ: მ. ბოჭორიძე, თ. გუზენკო, ა. ოქუაშვილი, ი. სტურუა, მ. ჩოდრიშვილი, ა. ხუმარიანი და სხვები. მუშები მონაწილეობდნენ აგრეთვე „კრასნოგორსკის კომუნაში", რომელიც თ. აფანასიევმა („მუშათა კავშირის" ყოფილმა წევრმა), მ. გორკიმ, ს. ვართანოვმა, ვ. ბილანიშვილმა და სხვებმა დააარსეს 1892 წელს. მუშათა ზოგიერთი წრე საკუთარ ხელნაწერ ჟურნალსაც უშვებდა („მუშა", „განთიადი", „სხივი", „ანკარა", „ნაპერწკალი" და სხვ.)[1].

მუშათა ამ პირველ წრეებს არ ჰქონდათ ნათლად გამომუშავებული პოლიტიკური შეხედულება რუსეთში არსებულ წყობილებაზე, ისინი ვერ ხედავდნენ თვითმპყრობელობისა და ექსპლუატატორული კლასების წინააღმდეგ ბრძოლის ნამდვილ გზას, მაგრამ მიუხედავად ამისა, მათ მუშები მარქსისტული იდეების შესათვისებლად მოამზადეს.

90-იან წლებში საქართველოში უკვე მარქსისტული წრეები იქმნება. ასეთ წრეებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მუშებიც ქმნიან და ინტელიგენტებიც. ამ წრეებს მეცადინეობის ერთიანი სისტემა ან ერთიანი პროგრამა არ ჰქონდა. კითხულობდნენ ყველაფერს, ლეგალურსაც და არალეგალურსაც, მხატვრულსაც და მეცნიერულსაც, ოღონდ კი რაიმე ყოფილიყო, რაც გონებას გაუხსნიდა მკითხველს და დაანახვებდა სინამდვილეს. კითხულობდნენ ისეთ წიგნებს, როგორიცაა ნ. ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ", ს. კრავჩინსკის „ანდრეი კუჟუხოვი", ლ. ტოლსტოის „კრეიცერის სონატა"[2], პ. ლავროვის „ისტორიული წერილები"[3], გ. პლეხანოვის „ჩვენი უთანხმოებანი", ფ. ლასალის „ფრანც ფონ-ზიკინგენი"[4] და სხვა. ლიტერატურას შოულობდნენ ზ. ჭიჭინაძესთან, ეგრეთ

---

[1] შ. გ ა გ ო შ ი ძ ე, ქართველ მუშათა პირველი ჟურნალი. — ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1971, № 5, გვ. 80—83; მ ი ს ი ვ ე. ცენზურის მიერ აკრძალული ნაწარმოებები მუშათა ხელნაწერ ჟურნალებში. — გაზ. „ლიტერატურული საქართველო", № 18, 1972 წლის 5 მაისი.

[2] საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის პარტიული არქივი [ამის შემდეგ: პარტიული არქივი (თბილისი)], ფ. 8, აღწ. 6, ს. 274, გვ. 59.

[3] იქვე, გვ. 61.

[4] ტ. გ ე ლ ე ნ ა ვ ა, მიხა ცხაკაია (ცხოვრება და მოღვაწეობა), თბილისი, 1964, გვ. 20.

წოდებულ კაიდანოვას იაფფასიან ბიბლიოთეკაში და ა. ლეჟავას პატარა ბიბლიოთეკაში.

არაერთი წრე ჰქონდათ ჩამოყალიბებული ეგ. ნინოშვილს და მ. ცხაკაიას. ეს წრეები მოქმედებდნენ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, ზესტაფონსა და სხვა ადგილებში, თითქმის ყველგან, სადაც კი ისინი სამუშაოდ თუ საცხოვრებლად ჩავიდოდნენ. 90-იან წლებში მარქსისტული ახალგაზრდობა წერილებს პეჭდავს „კვალში". სწორედ ამ წერილების ავტორებს გულისხმობდა გ. წერეთელი, როცა ეგ. ნინოშვილის ცხედართან წარმოთქმულ სიტყვაში ამბობდა, ეგ. ნინოშვილმა „... გაუკვალა ჭეშმარიტი გზა მესამე დასს ახალთაობისას ხალხში მოქმედებისათვისო"[5]. ამის შემდეგ ეს სახელი დაუმკვიდრდა ეგ. ნინოშვილის და მ. ცხაკაიას ირგვლივ შემოკრებილ ახალგაზრდობას.

თუ რატომ იყო ეს დასი მესამე, ეს გ. წერეთელმა ცოტა უფრო გვიან განმარტა. მისი აზრით, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული იყო სამი დასი: პირველი — „იმედის" დასი ანუ ხალხოსნები, რომლებიც გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნავდნენ, მეორე — „ივერიის" დასი, რომელიც თავადაზნაურობის კეთილდღეობას ისახავდა მიზნად და მესამე დასი, რომელიც საერთოდ უარყოფდა ყოველგვარ წოდებრივ განკერძოებას[6]. ეს კლასიფიკაცია მეტად პირობითია, რასაც ისიც ადასტურებს, რომ თვითონ გ. წერეთელმა ორიოდე წლის შემდეგ შეცვალა დასებად დანაწილების საკუთარი თეორია. ამჯერად ის უკვე 60-იანი წლებით იწყებს სოციალურ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა ისტორიის პერიოდიზაციას და ყურადღებას აღარ აქცევს იმას, რომ ორი-სამი წლის წინათ გ. ლასხიშვილს უპასუხა, 80-იანი წლებით დასებად დანაწილება იმიტომ დავიწყე, რომ ეს იყო ერთგვარი გარდატეხის პერიოდი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაშიო. ახლა მან დასებად დაყოფის ნიშნებიც შეცვალა. ერთი ყოფილა „ღუმანიტარული მიმართულების", ხოლო მეორე — „პროგრესულ-დემოკრატიული დასი"[7].

საგულისხმოა, რომ დასებად დაყოფის წერეთლისეულ კლასიფიკაციას თვითონ მესამედასელებიც არ დაეთანხმნენ. ს. ჯიბლაძემ „ივერია" და ხალხოსნები ერთ, პირველ დასში მოაქცია. მეორე დასი ჯერ არ არსებობს, მაგრამ ნას მალე შექმნიან ბურჟუა-ლიბერალებიო, ხოლო მესამე დასად გ. წერეთლის მონათლული ახალთაობის წარმომადგენლები დატოვა. ს. ჯიბლაძის აზრით, მოსალოდნელია, რომ დროებით მესამე და მეორე დასები დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რათა დაამარცხონ რეაქციონერები, შემდეგ კი ერთმანეთის წინააღმდეგ აღმართონ ხელი. ს. ჯიბლაძე ფიქრობს, რომ ამ მომავალ ბრძოლაში გაიმარჯვებს მესამე დასი, რადგან ის წინ მიდის, ცხოვრებასთან ფეხაწყობილი. ამით დამთავრდებაო, ამბობს იგი, დღევანდელი ახალგაზრდა დასის ისტორიული დანიშნულება[8].

---

5 დ ა მ ს წ რ ე. ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გასვენება. — გაზ. „კვალი", № 21, 1894 წლის 15 მაისი.

6 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. „კვალის" ორი წლის ნაღვაწი. — გაზ. „კვალი", № 5, 1895 წლის 22 იანვარი.

7 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. კიტა აბაშიძე და „ჩვენი ახალგაზრდობა". — გაზ. „კვალი", № 46, 1897 წლის 2 ნოემბერი.

8 ს. ჯ ი ბ ლ ა ძ ე, „კვალი" და მესამე დასის მწერლები. — გაზ. „კვალი", № 9, 1895 წლის 19 თებერვალი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ინტელიგენციის სოციალურ-პოლიტიკურ დასებად დაყოფა უაღრესად პირობითია, ჩვენს ლიტერატურაში ამ დასებად დანაწილების ტრადიცია უკვე დამკვიდრდა უმთავრესად ალბათ იმიტომ, რომ სახელწოდება „მესამე დასი" კონსპირაციული მოსაზრებით მეტად მოჯერხებული გამოდგა. იგი საქართველოს სოციალ-დემოკრატიის სინონიმად იქცა[9].

ეგ. ნინოშვილი და მ. ცხაკაია ხედავდნენ, რომ მომრავლებულ წრეებს სჭირდებოდა ხელმძღვანელები, მომზადებული, მარქსისტულად განსწავლული პროპაგანდისტები. ამის მოთხოვნილება ცხოვრებამ უკვე წამოჭრა. ეგ. ნინოშვილი დაუფარავად ეუბნება ერთ-ერთ თანამოაზრეს: „... ეხლა აქ გვინდა ერთი კარგი, **მთავარი** (ხაზი ჩემია. — **რ. ბ.**) მოსამზადებელი წრე მოვაწყოთ, რასაკვირველია ერთ-ერთი წევრი შენც იქნებოდი"[10]. ალბათ ამ „მთავარ მოსამზადებელ წრეს" ვარაუდობდა მ. ცხაკაია, როცა წერდა, თბილისში „მარქსისტთა ცენტრალური წრე" მოვაწყვეთ და მისი მიზანი იყო ფაბრიკა-ქარხნებში, რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში და სხვაგან წრეების ჩამოყალიბებაო[11]. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ცენტრალურ წრეს ამ თავის მიზნის გარდა შეუსრულებია **ერთი** დიდი სამუშაო: ზესტაფონის 1892 წლის 25 დეკემბრის შეკრების (რომელმაც შემდეგ კონფერენციის სახელწოდება მიიღო) მომზადება.

საქმე ის არის, რომ 1892 წლის შემოდგომაზე ფ. მახარაძემ, რომელიც მაშინ ვარშავაში იმყოფებოდა და დაკავშირებული იყო იქაურ რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობასთან, საქართველოდან მიიღო „ქართველი ნაციონალ-დემოკრატების პროგრამა". პროგრამის გამგზავნი თხოვდა, თქვენს წრეში განიხილეთ და თქვენი აზრი მაცნობეთო[12]. თუ დავუშვებთ, რომ ნ. ჟორდანიას პროექტის დაწერა „მარქსისტთა ცენტრალურმა წრემ" დაავალა და რომ პროექტის განხილვის დროს აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა, გასაგები გახდება რატომ გაუგზავნეს იგი ფ. მახარაძეს ვარშავაში — ცენტრალური წრის წევრებს უნდოდათ ვარშაველთა აზრი (და, შესაძლოა, სხვისიც) შეეტყოთ, როგორც ამას მართებულად ვარაუდობს ზ. შველიძე.

ეს რომ ასეა, ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს გადავავლებთ ი. კაკაბაძის ავტობიოგრაფიულ შენიშვნებს, რომელიც დაცულია სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის პარტიულ არქივში. ი. კაკაბაძე წერს, 1890—1893 წლებში მომწიფდა იდეა, რომ გვქონოდა ჩვენი პროგრამა, რისთვისაც პირველსავე კონფერენციაზე, რომელიც ჩემს ბინაში გავმართეთ, ნ. ჟორდანიას დავავალეთ წარმოედგინა პროგრამის პროექტიო[13]. აშკარაა ი. კაკაბაძე აქ გულისხმობს რომელიღაც სხდომას, რომელიც 1892 წლის 25 დეკემბრამდე, ე. ი. ზესტაფონის კონფერენციამდე ჩაუტარებიათ, თორემ ზესტაფო-

---

9 ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბილისი, 1961, გვ. 247.

10 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 8, აღწ. 6, ს. 274, ფურც. 56.

11 სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალური პარტარქივი [ამის შემდეგ: პარტიული არქივი (მოსკოვი)], ფ. 157, აღწ. 1, ს. 12, ფურც. 5.

12 ზ. შ ვ ე ლ ი ძ ე, რევოლუციური ორგანიზაცია „თავისუფლების ლიგა". თბილისი, 1969, გვ. 35.

13 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 5, ს. 177, ფურც. 149.

ნის კონფერენციაზე ჟორდანიამ გამზადებული პროექტი მოიტანა. მაგრამ დავუშვათ, რომ ი. კაკაბაძეს ამ შემთხვევაში მეხსიერება ღალატობს და მივყვეთ მის აზრს. იგი წერს, რომ მეორე კონფერენციაც, რომელსაც ესწრებოდნენ ე. ვაწაძე, რ. კალაძე და შემთხვევით რამიშვილი და წითლიძე, მის ბინაში გამართულა. წაუკითხავთ პროექტი, რომლის ტექსტიც აღარ ახსოვს, მაგრამ ვერ შეთანხმებულან[14]. ი. კაკაბაძე აქაც არ უნდა გულისხმობდეს ზესტაფონის დეკემბრის კონფერენციას, რადგან მას ი. კაკაბაძის გარდა 12 კაცი ესწრებოდა და განა დასაჯერებელია, რომ ოთხის მეტი ვერ დაიმახსოვრა? რაც ვერ დაიმახსოვრა იმაზე (პროგრამის ტექსტზე), ხომ ამბობს, არ მახსოვსო? მაგრამ კიდევ გავყვეთ ქვემოთ. დავნიშნეთ მესამე კონფერენცია თბილისში, სადაც ჩვენს გარდა გვესწრებოდნენ მ. ცხაკაია და ძმები დანდუროვები. პროექტის ერთმა ნაციონალისტური სულისკვეთებით გაჟღენთილმა პუნქტმა ცხარე კამათი გამოიწვია. განსაკუთრებით ნინოშვილი ედავებოდაო[15]. თუ ეს თბილისის ის კონფერენციაა, რომელიც ზესტაფონის კონფერენციას მოჰყვა როგორც მისი გაგრძელება, დადასტურებულად ითვლება, რომ მას ესწრებოდნენ მ. ცხაკაია, ეგ. ნინოშვილი, ს. ჯიბლაძე. ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე, ს. დანდუროვი და ნ. ფლეროვი და არ ესწრებოდნენ სწორედ ი. კაკაბაძე, ევგ. ვაწაძე, რ. კალაძე, ის. რამიშვილი და ა. წითლიძე, ე. ი. ისინი, ვისაც ი. კაკაბაძე დამსწრეებად ასახელებს. გარდა ამისა, ნუთუ შეიძლებოდა იქ დამსწრე ი. კაკაბაძეს დავიწყებოდა, რომ აირჩიეს ხელმძღვანელი ბიურო სამი კაცის შემადგენლობით? ყოველივე ზემონათქვამიდან ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ცენტრალურ წრეს 1892 წლის დეკემბრამდეც ჰქონია სხდომები, სადაც განიხილავდა ზესტაფონის კონფერენციის მოსამზადებელ საკითხებს.

„ქართველ ნაციონალ-დემოკრატთა პროგრამა" დღეს დაკარგულია, მაგრამ რა ვითარებაში დაიკარგა ან დაახლოებით რა შინაარსისა იყო იგი, ეს დადგენილი აქვს გრ. გიორგაძეს. იგი ანალიზს უკეთებს ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის მიერ 1895 წლის 11 იანვრის თარიღით თბილისის საგუბერნიო ჟანდარმოა სამმართველოში გაგზავნილ წერილს და ასკვნის, რომ თავისუფლების ლიგის წევრს მიხეილ მირიანაშვილს გაჩხრეკის დროს მოუსწრია ამ პროგრამის გადამალვა ან მოსპობა. თვითონ მირიანაშვილი ამ პროგრამის შესახებ თავის მოგონებაში წერს, რომ იგი ფ. მახარაძეს მიუღია 1892 წლის აგვისტოსა თუ სექტემბერში. პროგრამა დაწერილი ყოფილა ფოსტის ქაღალდზე და სულ სამ გვერდს შეადგენდაო. წრის კრება, რომელზეც მახარაძეს ეს პროგრამა წაუკითხავს, მ. მირიანაშვილის ბინაზე გამართულა. შემდეგ მ. მირიანაშვილი განაგრძობს: „პროგრამამ აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია დამსწრეებში. დაწვრილებით პროგრამის მუხლები არ მახსოვს, მაგრამ მისი დედააზრი კი დღესაც არ დამვიწყებია. მასში იყო გატარებული ის დედააზრი, რომ საქართველოს განთავისუფლება თვითმპყრობელობის კლანჭებიდან უნდა მოხდეს მუშათა კლასის გათვითცნობიერებით, დარაზმვით და ცარიზმის დამხობით. ქართველი მუშათა კლასი და მასთან ერთად ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ამ შემთხვე-

14 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 14, აღწ. 5, ს. 177, ფურც. 149.

15 იქვე.

ვაში შეთანხმებით და მჭიდრო დაკავშირებით უნდა მუშაობდეს რუსეთის მუშათა კლასთან და ინტელიგენციასთან. გამოცალკევება საქართველოსი დაუშვებელია. განთავისუფლება ხდება არა ეროვნულ, არამედ კლასობრივ ნიადაგზე. კამათის დროს ჩამოყალიბდა ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე მიმართულება, კრება გაიყო ორ ბანაკად: ერთმა ბანაკმა, რომელსაც მეთაურობდა ფ. მახარაძე, მხარი დაუჭირა პროგრამას, მხოლოდ შეიტანა შესწორება სათაურში: უნდა დაერქვასო პროგრამას არა „ნაციონალ-დემოკრატების", არამედ „სოციალ-დემოკრატების" პროგრამაო, ვინაიდან, თანახმად პროგრამის შინაარსისა, თვითმპყრობელობასთან ბრძოლა იწარმოებს არა ეროვნულ, არამედ კლასიურ ნიადაგზედაო. მეორე ბანაკი არ დაეთანხმა და მოითხოვდა ეროვნულ ნიადაგზე ბრძოლის გაჩაღებას ცარიზმის წინააღმდეგ და საქართველოს გამოცალკევებას რუსეთიდან"[16].

თუ მ. მირიანაშვილის მეხსიერებას ვენდობით, გამოდის, რომ ნ. ჟორდანიას სრულიად უგულებელუყვია გლეხობა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ფ. მახარაძის სიტყვებიც პროექტი მოითხოვდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ლიბერალური პარტიის დაარსებასო[17], ე. ი. ნ. ჟორდანიასეული პროგრამის პროექტი, რომელიც მან ზესტაფონის კონფერენციას წარუდგინა, მარქსისტული არ ყოფილა. როგორც ვრწმუნდებით ცენტრალურ წრეს მოუმზადებია კონფერენცია, რომელიც მ. ცხაკაიასა და ეგ. ნინოშვილის ინიციატივით მოიწვიეს ქ. ზესტაფონში (რომელსაც იმ დროს რკინიგზის სადგურის სახელის მიხედვით ხშირად ყვირილას უწოდებდნენ) 1892 წლის 25 დეკემბერს ი. კაკაბაძის ბინაზე. კონფერენციაზე, რომელიც ორ დღეს გაგრძელდა, თავი მოიყარა მარქსისტულად განწყობილმა ახალგაზრდობამ ვითომდა შობის სადღესასწაულოდ. დღეს დავას არ იწვევს, რომ კონფერენციას ესწრებოდნენ სხვადასხვა ადგილებიდან ჩამოსული მ. ცხაკაია, ეგ. ნინოშვილი, ს. ჯიბლაძე, ნ. ჟორდანია, ის. რამიშვილი, კ. ჩხეიძე, დ. კალანდარიშვილი, ი. კაკაბაძე, რ. კალაძე, ის. კვიცარიძე, ა. წითლიძე და ევგ. ვაწაძე. ესწრებოდა კიდევ თ. სახოკია, როგორც კონფერენციის მონაწილეებმა უწოდეს, სტუმარი. ეს უკანასკნელი მიიწვიეს იმიტომ, რომ იმედი ჰქონდათ, მომავალში გასოციალისტდებაო. მ. ცხაკაიას სიტყვებით კონფერენციის მონაწილენი ასე ყოფილან დაჯგუფებული: მ. ცხაკაია და ეგ. ნინოშვილი, ერთი მხრივ, და ს. ჯიბლაძე და ნ. ჟორდანია, მეორე მხრივ. კ. ჩხეიძე თავს არიდებდა თავისი პოზიციის ნათლად გამოთქმას. ასევე იქცეოდა ევგ. ვაწაძეც. დანარჩენები, ე. ი. ის. რამიშვილი და ა. წითლიძე, ჯერ კიდევ ნაროდნიკული მოძღვრების ტყვეობაში იყვნენ. ასევე ეგ. ნინოშვილის და მ. ცხაკაიას მიერ მოყვანილი ახალგაზრდებიც კამათში არ მონაწილეობდნენ[18].

პროგრამის პროექტმა, რომელიც ვარშავაში გაუგზავნეს ფ. მახარაძეს წრეში განსახილველად და თავიანთი აზრის გამოსათქმელად, კონფერენციაზეც ცხარე კამათი გამოიწვია. ვარშავიდან გამოგზავნილი პასუხის შესახებ

---

[16] გრ. გიორგაძე, თვითმპყრობელობა და რევოლუცია. თბილისი, 1929, გვ. 108—109, 111.

[17] ფ. მახარაძე, როგორ გავხდი მარქსისტი. — თხზულებათა კრებული, ტ. 1, თბილისი, 1924, გვ. 54.

[18] პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 8, აღწ. 6, ს. 274, ფურც. 90—91; აღწ. 5, ს. 374ა, ფურც. 1; პარტიული არქივი (მოსკოვი), ფ. 157, აღწ. 1, ს. 12, ფურც. 38.

ფ. მახარაძე ამბობდა: „მე ჟორდანიას ვწერდი დაახლოებით შემდეგს: როგორც პარტიის პროგრამა, ისე მისი სახელწოდება უთუოდ უნდა იქნას შეცვლილი და შეგუებული გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიასთან. პარტიამ უნდა მიიღოს სახელწოდება სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიისა"[19].

წყაროებში აღნიშნული არ არის შესწორებული ვარიანტი წარუდგინა ნ. ჟორდანიამ კონფერენციას თუ პირვანდელი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი. ფოსტის ქაღალდის სამ გვერდზე დაწერილი. ის კი ცხადია, რომ სახელი არ შეუცვლია და ისევ ნაციონალ-დემოკრატების პროგრამის სახელწოდებით წარმოუდგენია. ახლა ძნელია კონფერენციის მონაწილეთა შორის ატეხილი დავის ზუსტი სურათის აღდგენა. სხვადასხვა მონაწილე სხვადასხვანაირად იგონებს მას. რ. კალაძე წერს, კამათობდნენ, უნდა განვითარდეს თუ არა კაპიტალიზმი ჩვენშიო[21]. ის კი ფაქტია, რომ პროგრამის სახელწოდება კონფერენციის მონაწილეებს არ მიუღიათ. მ. ცხაკაია წერს მოგონებებში, ს. ჯიბლაძე და მისი მომხრეები ორ დღეს გვიმტკიცებდნენ, „ნაციონალ-დემოკრატიულიო" ისე ლეგალობისათვის ვირქმევთ, თორემ სინამდვილეში სოციალ-დემოკრატები ვიქნებითო[22]. კონფერენციის მონაწილენი ამას არ დათანხმებულან და დაუდგენიათ:

„1. ჩვენ ყოველთვის და ყველგან სოციალისტები ვართ ლეგალურადაც და არალეგალურადაც;

2. მარქსიზმის მოძღვრების შესწავლის საფუძველზე უნდა შედგეს ჩვენი მუშაობის პროგრამა მუშებისა და ღარიბი გლეხების წრეებისათვის;

3. ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით უნდა გაიშალოს მარქსიზმის პროპაგანდა, როგორიცაა არალეგალური ლიტერატურის გავრცელება, წრეების მოწყობა და სხვა;

4. მეორე ყრილობა მოწვეულ იქნას ერთი თვის შემდეგ თბილისში"[23].

ამით ზესტაფონის კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა. კონფერენციის სამმა სხდომამ (25 დეკემბერს იყო ერთი, საღამოს სხდომა, ხოლო 26 დეკემბერს ორი — დილის და საღამოს სხდომები) ის ნაყოფი გამოიღო, რომ კონფერენციამ უარყო ნ. ჟორდანიას წარმოდგენილი პროგრამის პროექტი, როგორც არამარქსისტული.

1893 წლის იანვრის მიწურულსა და თებერვლის დამდეგს ზესტაფონის კონფერენციის მონაწილენი თბილისში იკრიბებიან, ოღონდ უფრო ვიწრო შემადგენლობით. მ. ცხაკაია თავის მოგონებაში წერს, რომ ამ შეკრებას ზესტაფონის კონფერენციის მონაწილეთაგან ესწრებოდნენ მ. ცხაკაია, ეგ. ნინო-

---

19 ფ. მახარაძე, თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა. მოსამზადებელი ხანა (1870—1890), თბილისი, 1925, გვ. 21.

21 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 8, აღწ. 6, ს. 274, ფურც. 91—100.

22 პარტიული არქივი (მოსკოვი), ფ. 157, აღწ. 1, ს. 12, ფურც. 33.

23 გ. ზაქარიაძე, საქართველოს პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ისტორიისათვის. — „საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები", თბილისი, 1970. გვ. 224—225.

შვილი, ს. ჯიბლაძე, ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე. ამათ გარდა მოუწვევიათ სტ. დანდუროვი და ნ. ფლეროვი, ყოფილი ნაროდნაიავოლელები, რომელთაც ოფიციალურად განუცხადებიათ, ეგგ. ვაწაძემ ზესტაფონის კონფერენციის შედეგები გაგვაცნო და იქ მიღებულ თქვენს დებულებებს სავსებით ეიზიარებთო[24]. თბილისის შეკრების მონაწილეებად თითქმის ამათვე ასახელებს ნ. ჟორდანიაც (თუ ვიგულისხმებთ, რომ „და სხვებში" მოქცეული ჰყავს ს. დანდუროვი და ნ. ფლეროვი). ამრიგად, კონფერენციის შემადგენლობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა თითქმის არ არის.

თბილისის შეკრება ფაქტიურად ზესტაფონის კონფერენციის გაგრძელება იყო. აქ ჟორდანიას პროგრამად წარმოუდგენია წერილი „რა ვაკეთოთ", რომელიც შემდეგ, 1894 წლის ივნის-ივლისში „მოამბეს" გამოუქვეყნებია სათაურით: „ეკონომიური წარმატება და ეროვნება". ამ ფაქტმა, ვფიქრობ, ნათელი უნდა მოჰფინოს იმ გარემოებას, თუ რატომ შეწყდა კონფერენცია ზესტაფონში ზემოაღნიშნული დებულებების მიღებით და რატომ დაადგინეს იქ, ერთი თვის შემდეგ თბილისში შევიკრიბოთო. ეტყობა, ზესტაფონის კონფერენციამ საბოლოოდ უკუაგდო ჟორდანიასეული ნაციონალ-დემოკრატიული პროგრამა, როგორც ამას მ. ცხაკაიაც წერს[25], და დაავალა ნ. ჟორდანიას გაეთვალისწინებინა შენიშვნები და წარმოედგინა ახალი პროექტი, რისთვისაც ვადად ერთი თვე მიუცია. პროგრამად წარმოდგენილი ეს წერილი წაუკითხავთ კონფერენციაზე და მუხლობრივ გაურჩევიათ, მოუთხოვიათ მასში ცვლილებების შეტანა და მიუხედავად იმისა, რომ სტატია თავისი შინაარსით ვერ აკმაყოფილებდა ეგ. ნინოშვილს და მ. ცხაკაიას, მაინც ნება დაურთავთ ავტორისათვის გამოექვეყნებინა იგი კერძო სტატიის სახით.

„მესამე დასის" პროგრამის ძირითად საკითხებში წარმოშობილი აზრთა სხვადასხვაობა მუშათა მასობრივი მოძრაობის წარმოშობის პროცესში აშკარა წინააღმდეგობად გადაიზარდა, რამაც, ისევე როგორც რუსეთში, გამოიწვია დანაწილება მარქსისტულ და ოპორტუნისტულ მიმართულებებად, „... დანაწილება, რომელიც იცვლის ფორმას, სახეს და სხვ., მაგრამ არსებითად იგივე რჩება 1894 წლიდან 1914 წლამდე. ცხადია, არსებობს ღრმა სოციალური, კლასობრივი ფესვები სოციალ-დემოკრატებს შორის სწორედ ასეთი და არა სხვა რამ დანაწილებისა და შინაგანი ბრძოლისა"[26].

თბილისის კონფერენციას ეგ. ნინოშვილმა და მ. ცხაკაიამ წარუდგინეს ორგანიზაციის წესდების პროექტი, რომელიც აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მიუღიათ. როგორც მ. ცხაკაია მოგონებაში წერს, წესდებაში ნათქვამი ყოფილა:

„I. ჩვენ, ყრილობაზე დამსწრენი (და კიდევ მარტოოდენ ამბ. ეგგ. ვაწაძე), ვქმნით სოციალისტთა ცენტრალურ ჯგუფს (მარქსისტული იდეოლოგიით).

II. ამ ჯგუფის მიზანია არა თვითგანვითარება, არამედ მუშათა და ღარიბ გლეხთა მასებში მარქსიზმის პროპაგანდა-აგიტაციის საკითხების დამუშავება და მარქსისტული წრეების მოწყობა ფაბრიკა-ქარხნებსა და სახელოსნოებში

24 პარტიული არქივი (მოსკოვი), ფ. 157, აღწ. 1, ს. 12, ფურც. 36.

25 მ. ცხაკაია, რუსეთის კომპარტიის არსებობის 25 წლისთავი (მოგონებანი). — ჟურნ. „რევოლუციის მატიანე", № 2, 1923, გვ. 70.

26 ვ. ი. ლენინი, რუსეთის მუშათა ბუნდოვანი სიტყვის წარსულიდან. — თხზულებანი, ტ. 20, გვ. 297.

თბილისშიც და თბილისს გარეთაც, მთელ ამიერკავკასიაში. სადაც კი „ჯგუფის“ წევრები მოხვდებიან.

III. ეს უკანასკნელი შესაძლოა გაფართოვდეს იმ იშვიათ შემთხვევებში. როცა მუშათა წრეების მოწყობისას და მათი მეცადინეობის სწორად წარმართვისას აღმოჩნდებიან ახალი ამხანაგები, თითქმის სავსებით მომზადებულნი და ჩვენი სოლიდარულნი, ამასთან, რა თქმა უნდა, კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშებს უკვე ვუყენებთ უმაღლესი და საშუალო ტიპის ინტელიგენტობის რაიმე განსაკუთრებულ მოთხოვნებს. ჩვენ მხოლოდ ის მიგვაჩნია საჭიროდ, რომ ჩვენი ჯგუფის წევრმა იცოდეს რუსული წერა-კითხვა (არარუსმა, თავისი ეშობლიურის გარდა) და იყოს ჩვენი გადაწყვეტილებების აქტიური განმახორციელებელი.

IV. ორგანიზაციის მხრივ ჯგუფი კონსპირაციულია, მისი შემადგენლობა არალეგალურია.

V. ჯერჯერობით არალეგალურად არაფერს არ ვცემთ, პროპაგანდა და აგიტაცია ზეპირია იშვიათი გამონაკლისის გარდა, როცა მივმართავთ ჰექტოგრაფირებას.

VI. თუ კი რამ შესაძლებელი იქნება, ლეგალურად გამოსცენ (ოღონდ მარქსისტული და არა ძველი ნაროდნიკული ან ახალი ნაროდნიკული „სოციალიზმის“ ხასიათისა). ისინი, ვინც ორგანიზაციულად ვერ შეეგუება იატაკქვეშეთში [მუშაობას] და იდეოლოგიურად [არ] იქნება საკმარისად მომზადებული, მაგრამ მაინც თანაუგრძნობს მარქსიზმს, მოემზადებიან დამოუკიდებლად და ინდივიდუალურად ან ჯგუფებად სკოლებში თუ სკოლებს გარეთ.

VII. როცა საჭირო და შესაძლებელი იქნება, წრის წევრი გამოვა ლეგალურ პრესაში მხოლოდ მთელი ჯგუფის ან მისი „ბიუროს“ თანხმობით.

VIII. „ჯგუფი“ ინტერნაციონალურია, უკავშირდება მთელი რუსეთის, მეტადრე ამიერკავკასიის ასეთსავე ჯგუფებს, თუ მათ ჩვენი „ჯგუფისაგან“ დამოუკიდებლად ჩამოაყალიბებენ მარქსიზმის სულისკვეთებით“[27].

მ. ცხაკაია ამას დასძენს, რომ ჯგუფს ჰქონია სალარო, შემდგარი ყოველთვიური საწევრო ანარიცხებისაგან და შემოწირულებათაგან, აგრეთვე ერთი კონსპირაციული ბინა, სადაც ჯგუფის წევრებს ეკრძალებოდათ ვინმე უცხოს მიყვანა[28]. საწევრო ანარიცხების აკრეფის ფაქტებს სხვებიც ადასტურებენ მოგონებებში.

წესდებას თუ ჩავუკვირდებით, ვნახავთ, რომ მასში ასახულია ზოგიერთი საპროგრამო მოთხოვნაც (მუხლი II, VIII).

თბილისის კონფერენციას აურჩევია ჯგუფის მუდმივი ბიურო, როგორც ამას მ. ცხაკაია ამბობს, სამი კაცის შემადგენლობით: მ. ცხაკაია, ეგ. ნინოშვილი და სტ. დანდუროვი.

ამრიგად, აქამდე არსებული თანამოაზრეთა ჯგუფი გაფორმდა ორგანიზაციად, რომელმაც მიზნად დაისახა უკვე არა მარტო თვითგანათლება, არამედ მარქსიზმის პროპაგანდა-აგიტაცია მუშათა და ღარიბ გლეხთა მასებში, და მარქსისტული წრეების მოწყობა არა მარტო თბილისის, არამედ მთელი ამიერკავკასიის ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც კი ჯგუფის წევრები მოხვდებოდნენ და

---

27 გ. ზაქარიაძე, საქართველოს პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ისტორიისათვის. — „საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები“, გვ. 226—227.

28 იქვე, გვ. 227.

სადაც კი საკმაო რაოდენობით გაჩნდებოდნენ სათანადოდ მომზადებული მუშები, ე. ი. **გაჩნდებოდა შესაბამისი კონტინგენტი.**

ფ. მახარაძე თავის წიგნში „თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა" წერს, ზესტაფონის კრებას არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლიაო[30]. მაგრამ განა პრაქტიკული შედეგი არ იყო, რომ ზესტაფონის კონფერენციამ საბოლოოდ ჩაიფლავა „ქართველი ნაციონალ-დემოკრატების პარტიის პროგრამის პროექტი" და პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დააარსა საქართველოში. თბილისის კონფერენციის პრაქტიკულ შედეგებზე კი ფ. მახარაძე არაფერს ამბობს. ეტყობა, დ. კალანდარიშვილს და სხვა ამხანაგებს, რომლებსაც ფ. მახარაძესთან მიმოწერა ჰქონდათ, არაფერი უცნობებიათ მისთვის ამის შესახებ ან, უფრო სწორად, ვერ მოასწრეს ეცნობებინათ — 1893 წლის აპრილში ფ. მახარაძე ვარშავაში დააპატიმრეს არალეგალური ლიტერატურის შემოზიდვის საქმესთან დაკავშირებით.

ზესტაფონისა და თბილისის კონფერენციების პრაქტიკული შედეგი იყო ის, რომ ორგანიზაციის წევრებმა გაძლიერებით იწყეს ახალი იდეების ქადაგება ქართული პრესის ფურცლებზე. სწორედ ამ კონფერენციების შემდეგ იყო გამოქვეყნებული ეგ. ნინოშვილის პუბლიცისტური წერილები და ბელეტრისტული ხასიათის ნაწარმოებები, რამაც საფუძველი მისცა გ. წერეთელს ეთქვა, 90-იანი წლებიდან ახალმა პროგრესულმა სიომ დაჰბერა და ქართულ **ლიტერატურაში გამოჩნდა** (ხაზი ჩემია. — **რ. ბ.**) არაჩვეულებრივი მიმართულების თითო-ოროლა ახალგაზრდაო. გ. წერეთელმა და ქართულმა საზოგადოებამ მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ ლიტერატურაში გამოჩენილ ამ ახალგაზრდებს უკვე სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ჰქონდათ დაარსებული.

ასეთ ვითარებაში ნათელი ეფინება კიდევ ერთ გარემოებას, სახელდობრ, იმას, თუ რატომ მიიღეს ასე ადვილად სახელწოდება „მესამე დასი" „ლიტერატურაში გამოჩენილმა არაჩვეულებრივი მიმართულების თითოოროლა ახალგაზრდამ". საქმე ის არის, რომ თბილისის კონფერენციამ დაადგინა დარჩენილიყვნენ კონსპირაციულ ორგანიზაციად. ეს დადგენილება არც ერთ წევრს არ დაურღვევია, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დავაარსეთო არავის უთქვამს. მაგრამ როცა მათი ორგანიზაცია „მესამე დასად" მონათლეს, მიიღეს ეს სახელი, მით უმეტეს, რომ იგი სრულიად უწყინარი ჩანდა.

მესამედასელებმა თავიანთი პროგრამა საჯაროდ გამოაცხადეს მხოლოდ 1894 წლის 8 მაისს, ეგ. ნინოშვილის დაკრძალვაზე, თბილისის კონფერენციიდან ერთი წლისა და სამი თვის შემდეგ.

ეგ. ნინოშვილის დაკრძალვაზე საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ზღვა ხალხი ჩავიდა. მათ შორის იყვნენ ლიტერატურული წრეების და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები. ჟურნ. „კვალმა" დაკრძალვაზე გ. წერეთელი წარგზავნა, „ივერიამ" — გრ. ყიფშიძე, „ნოვოე ობოზრენიემ" — სტ. დანდუროვი. ქართველ ქალთა წარმომადგენლად იყო ო. ბეჟანიშვილი-აღლაძისა და სხვ.[31]. ამ მხრივ ეგ. ნინოშვილის დაკრძალვა შეიძლებოდა გამოეყენებინათ „ლიტერატურაში გამოჩენილი, არაჩვეულებრივი მიმართულების თითოოროლა ახალგაზრდას" თავიანთი პროგრამის გამოსაცხადებლად. ეს ერთგვარად განსვენე-

---

30 ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ე. თბილისის ორგანიზაციის 30 წლის არსებობა, მოსამზადებელი ხანა (1870—1890), გვ. 21.

31 კ. დ ო ნ ა ძ ე. ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება, თბილისი, 1963, გვ. 93.

ბული ხელმძღვანელისათვის მიცემული ფიციც იქნებოდა. და აი, ეგ. ნინოშვილის ცხედართან საზოგადოების წინაშე სიტყვას ამბობს სილ. ჯიბლაძე.

სიტყვები სხვებმაც წარმოთქვეს, მაგრამ „კვალმა" მხოლოდ ორის სიტყვა გამოაქვეყნა: გ. წერეთლისა და ს. ჯიბლაძისა. ამასთან გ. წერეთლის სიტყვა გამოაქვეყნა ეგ. ნინოშვილის დაკრძალვის შესახებ რეპორტაჟში, ხოლო ს. ჯიბლაძის სიტყვა უფრო გვიან და საგანგებო სათაურით. რუბრიკის სათაურია „ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) გარდაცვალების გამო", ქვემოთ ფრჩხილებში და წვრილი შრიფტით წერია „(სიტყვა თქმული სილ. ჯიბლაძის მიერ)" და შემდეგ მსხვილი შრიფტით აწყობილია „მესამე დასის პროგრამა"[32].

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ რაკი მესამედასელთა მიერ პროგრამის მიღება დაგვიანდა, ორგანიზაციამ გადაწყვიტა ესარგებლა ხელსაყრელი მომენტით და სილ. ჯიბლაძეს დაავალა პროგრამული სიტყვით გამოსვლა. უთუოდ ამიტომ იყო, რომ „კვალმა" სილ. ჯიბლაძის სიტყვას მსხვილი შრიფტით წააწერა „მესამე დასის პროგრამა". სულ ორი კვირა იყო, რაც გ. წერეთელმა ეს სიტყვები — „მესამე დასი" — საჯაროდ იხმარა, ეგ. ნინოშვილი 8 მაისს დაკრძალეს. ხოლო სილ. ჯიბლაძის სიტყვა ანუ „მესამე დასის" პროგრამა 22 მაისს გამოქვეყნდა.

სილ. ჯიბლაძე თავის გამოსვლაში ამბობდა: „აწინდელ ცხოვრების ახალმა მიმდინარეობამ უკვე ამოსილა, გაასწორა ყოფილი ჯურღმული — უფსკრულ ორივე წოდებათა (თავადაზნაურობისა და გლეხობის. — **რ. ბ.**) შორის, შერეკა ორივე ერთს ბანაკში, აუგო წესი ძველ ბატონ-ყმობას და მის ნაცვლად ამოაცურა ახალი, დროთა ვითარების მიხედვით, არა ნაკლები სამარცხვინო და სათაკილო"[33], ე. ი. ბატონებიც და ყმებიც. მცირე ნაწილის გარდა, რა თქმა უნდა, გააღატაკა და მის ნაცვლად კაპიტალი გააბატონაო. „ჩვენი ახალი ბატონი ის ნივთიერებაა, რომელსაც ფულს ეძახიან. ამ ახალი კერპის ვახურებულ თითებზე იხრაკება შეუბრალებლად ურიცხვი მსხვერპლი, მის წინაშე იდრეკენ მუხლს ძველი ყმაცა და ბატონიც, მის უდაურ უფლებაში გადადის ყოველგვარი შრომის იარაღი და აქედან ყველა შრომის წარმომადგენელნი, მის ყურმოჭრილ მონად ხდება — თვით მეცნიერებაც კი. ამ ახალმა ბატონ-ყმობამ კარგი ხანია დაამთავრა ზრდა მოწინავე ერთა შორის, სადაც საშინელი ბრძოლა გამოიწვია. ჩვენში კი, თუმცა ის ახალდაბადებულია, ბავშვია, მაგრამ სამაგიეროდ ეს ბავშვი საუცხოო თვისებისაა — შესანიშნავის სისწრაფით იცის ზრდა"[34].

როგორც ვხედავთ, მესამედასელთათვის თითქმის გარკვეულია, თუ რას წარმოადგენს კაპიტალი, გარკვეულია, რომ იგი ჩვენში უკვე იშვა და სწრაფად იზრდება, გარკვეულია ისიც, რომ „ჩვენი აწინდელი ცხოვრება წარმოადგენს ორს ახალ, ერთიმეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს. ერთი მხრით ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელნი, მეორე მხრით — მუქთახორა, ბურჟუა-კაპიტალისტები. პირველთა ხვედრია აუტანელი შრომა-გარჯა, მეორეთა კი — დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა"[35]. ეს ყველაფერი გარკვეულია და სილ. ჯიბლაძე კ. მარქსის სიტყვებით მოუწოდებს საზოგადოებას: „ამ უკუღმართობის დასამარცხებლად არის, ერთის მეცნიერის სიტყვით რომ

[32] გაზ. „კვალი", № 22, 1894 წლის 22 მაისი.

[33] იქვე.

[34] იქვე.

[35] იქვე.

ვთქვათ, ორსულად ახლანდელი ჟამთა ვითარება. ამ მშობიარობის დასაჩქარებლად და გასაადვილებლად იღვწიან და უნდა იღვწოდნენ კიდევაც საუკეთესო წარმომადგენელნი ახალი თაობისა"[36]. ეჭვი არ არის, ამ ახალი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებად სილ. ჯიბლაძე ეგ. ნინოშვილს და მის ირგვლივ ძდგარ ახალგაზრდებს გულისხმობდა, რადგან იქვე განაგრძო „ეს ჭეშმარიტება შეიგნო და მისკენ ჰქონდა მიმართული თავისი ქნარი ჩვენს შესანიშნავს ნიჭის მქონე ინგოროყვასაცო"[37].

ეგ. ნინოშვილის დაკრძალვის შემდეგ მ. ცხაკაიას, სილ. ჯიბლაძეს, დ. კალანდარიშვილს და ის. რამიშვილს მოულაპარაკნიათ, რომ მესამედასელები სათათბიროდ დარჩებოდნენ დიმიტრი კალანდარიშვილის მამასთან ექვთიმესთან ნიგოითში და მართლაც, მეორე დღეს, 9 მაისს 16 კაცმა თავი მოიყარა ექ. კალანდარიშვილის სახლში და იმსჯელა ისეთ უახლოეს ამოცანებზე, როგორიც იყო საზღვარგარეთ წასულ მესამედასელთათვის დახმარების აღმოჩენა, საზღვარგარეთიდან ახალი არალეგალური ლიტერატურის შემოზიდვა, პრესაში საჯაროდ გამოსვლა და ძველ თაობასთან ბრძოლის გამართვა, ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის კრიტიკა და „მესამე დასის" პროგრამის პროპაგანდა. კრებას განუხილავს გ. წერეთელსა და „კვალთან" დამოკიდებულების საკითხი და საჭიროდ უცვნია „კვალის" გამოყენება მარქსიზმის პროპაგანდისათვის[38].

აქ უადგილო არ იქნება თუ ვიტყვით, რომ „კვალთან" ურთიერთობის საკითხი ჯერ კიდევ ეგ. ნინოშვილის სიცოცხლეში წამოჭრილა. ზესტაფონის კონფერენციის შემდეგ გაჩნდა მოთხოვნილება ჰქონოდათ საკუთარი ორგანო. მაგრამ ამას დიდ ხარჯთან ერთად სჭირდებოდა რედაქციის ისეთი შემადგენლობა, რომელიც მუდმივად თბილისში იქნებოდა, თბილისში კი მუდმივად არც ერთს არ ეცხოვრებოდა, რადგან შენიშნულები იყვნენ. გადაწყვიტეს დაკავშირებოდნენ „კვალს". გ. წერეთელთან მოსალაპარაკებლად სამნი წასულან: ეგ. ნინოშვილი, ა. წითლიძე და ნ. კურდღელაშვილი. მ. ცხაკაიას უარი უთქვამს მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე, ჟურნალს არ დასთმობს და ჩვენ მასთან საერთო გზა არა გვაქვს. წმინდა გიორგის მიმდევარი კაციაო. მ. ცხაკაია უთუოდ იმას გულისხმობდა, რომ მაშინდელ „კვალში" კარგა დიდი დოზით ქვეყნდებოდა კლერიკალური ხასიათის წერილები. მ. ცხაკაია მართალი გამოდგა. გ. წერეთელს „კვალის" გადაცემაზე ცივი უარი უთქვამს, თუმცა დეპუტაცია კარგად მიუღია და გულუხვ მასპინძლობასაც შეჰპირებია ჟურნალის ფურცლებზე[39].

მაგრამ რატომ აირჩიეს მესამედასელებმა მაინცდამაინც „კვალი"? იმიტომ ხომ არა, რომ „კვალი" თავის საპროგრამო წერილში „ჩვენი გულის პასუხი" საზოგადოებას აღუთქვამდა, „ყოველსავე მოვლენაზე უტყუარ და საფუძვლიან სიტყვას" შეგაწევთო[40]. ალბათ ამიტომ და კიდევ იმიტომაც, რომ ეგ. ნინოშვილი ასე ახასიათებდა „კვალს": „რაც შეეხება საზოგადოდ ჩემს ნაწერებს, მე

36 გაზ. „კვალი", № 22, 1894 წლის 22 მაისი.

37 იქვე.

38 პარტიული არქივი (თბილისი), ფ. 8, აღწ. 6, ს. 274, ფურც. 155—156; ლ. გ ო რ გ ი ლ ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბილისი, 1961, გვ. 265.

39 ნ. კ ო ნ დ ღ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ჩემი შეხვედრა ე. ნინოშვილთან. — ჟურნ. „დროშა", № 23, 1929.

40 „ჩვენი გულის პასუხი". — გაზ. „კვალი", № 1, 1893 წლის 3 იანვარი.

ყოველთვის მსურველი ვიქნები, რომ „კვალში“ დაიბეჭდოს: თუნდა კიდეც შიმართულებაში ვერ მოვეწყვეთ და ჩემი პუბლიცისტურ-კრიტიკული სტატიების ბეჭდვაც აღარ ინებოს „კვალმა“, ბელეტრისტულ ნაწარმოებს მაინც ყოველთვის მივაწოდებ, სანამ კი ეს გაზეთი ისურვებს ჩემი მოთხრობების ბეჭდვას. მაგრამ იმიტომ კი არა, რომ „კვალი“ ახალგაზრდობის ორგანოა („კვალი“ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ დამატების სახით გამოდიოდა. — **რ. ბ.**). შეიძლება, ბევრ ახალგაზრდობასთან მე საერთო არა მქონდეს რა. მე მხოლოდ პატივს ვცემ „კვალის“ მეთაურთ“[41]. აქ უნდა დავძინოთ კიდევ, რომ მაშინდელ საქართველოში არც იყო ქართული ჟურნალ-გაზეთების ისეთი სიმრავლე (რუსულად დაახლოებით ოთხი ათეული დასახელების სხვადასხვა პერიოდული გამოცემა გამოდიოდა). „კვალის“ გარდა გამოდიოდა კიდევ „ივერია“, „საქართველოს კალენდარი“ (წელიწდეული), ქუთაისში ყოველკვირეული გაზეთი „მეურნე“ და ორი სასულიერო ორგანო: „მწყემსი“ ყვირილაში (ზესტაფონში) და „საქართველოს საეკლესიოს სასულიერო მოამბე“. ეს იყო და ეს. მართალია, 1894 წლის იანვრიდან გამოდის „მოამბეც“, მაგრამ სავსებით ნათელია, რომ ამათგან მესამედასელთ მხოლოდ „კვალზე“ შეეძლოთ თავიანთი არჩევანის შეჩერება.

„კვალის“ ფურცლებზე გ. წერეთლისა და სილ. ჯიბლაძის სიტყვების გამოქვეყნების შემდეგ გაზეთმა სახე იცვალა. ჯერ იყო და „მესამე დასის“ გამოჩენისათვის შეუტიეს „კვალს“ „ივერიამ“ და „მოამბემ“. შემდეგ ამ დავაში თანდათან ამოტივტივდა საქართველოში კაპიტალიზმის არსებობის საკითხი. საერთოდ რაც არ უნდა დაბეჭდილიყო „კვალისა“ და მესამედასელების წინააღმდეგ, ყველგან საკითხი ეხებოდა კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში. კაპიტალიზმის უარყოფით უნდოდათ „ივერია“ — „მოამბის“ პუბლიცისტებს დაემტკიცებინათ, რომ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული იდეები ვერ პოვებდნენ ნიადაგს. მაგრამ ცხოვრებას თავისი ობიექტური კანონზომიერება აქვს. საქართველოში სოციალ-დემოკრატიულმა იდეებმა ღრმად გაიდგეს ფესვი და ამაში დიდი წვლილი შეიტანეს მესამედასელებმა. მათ „კვალის“ ფურცლებიდან ამხილეს ხალხოსანთა კონცეფციების უსაფუძვლობა, გამანადგურებლად გააკრიტიკეს „ივერია“ — „მოამბის“ პუბლიცისტები და გზა გაუწმინდეს მარქსიზმს საქართველოში.

---

41 ეგ. ნინოშვილი, გიორგი წერეთელს. — თხზულებათა სრული კრებული. ტ. II, თბილისი, 1960, გვ.292.

გიული ალასანია

საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქათიბ ჩელების ცნობათა შუქზე

XVII საუკუნის ცნობილი თურქი მწიგნობარი ქათიბ ჩელები (ჰაჯი ხალიფა) ავტორია მრავალი ნაშრომისა მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან. მათგან ოთხ თხზულებაში მოიპოვება საყურადღებო ცნობები საქართველოს შესახებ. ვინაიდან ერთ-ერთი ნაშრომი ჩვენთვის ჯერ-ჯერობით მიუწვდომელია, დაწვრილებით შევჩერდებით სამზე და შეეცდებით ვაჩვენოთ მათი მნიშვნელობა ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესასწავლად.

I. არაბული „ფეზლექე"[1] ანუ „ყამთააღმწერლობისა და ისტორიულ გადმოცემათა დარგში საუკეთესო გამოთქმების მოკლე თხრობა" (ფეზლექეთ აკვალ ალ-ახიარ ფი ილმ ალ-თარიხ ვალ ახბარ), 1641 წელს არის შედგენილი. იგი ქათიბ ჩელების არაბულ ენაზე დაწერილი ერთ-ერთი პირველი ნაშრომია. „ფეზლექე" მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულებაა, რომლის მესამე ნაწილი მოიცავს მოვლენებს ჰიჯრიდან ავტორის დრომდე. სამწუხაროდ, ეს თხზულება არ არის გამოცემული, ხოლო მისი ერთადერთი ხელნაწერი (დაცულია სტამბოლის ბაიაზედის საჯარო ბიბლიოთეკაში) არასრული სახითაა შემონახული. მართალია, ჩვენ არ გვქონდა საშუალება გავცნობოდით საკუთრივ არაბულ „ფეზლექეს", მაგრამ მასზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან ამავე ავტორის თურქული „ფეზლექე" და ქრონოლოგიური თხზულება „ისტორიათა მოწესრიგება" (თაკვიმ ათ-თავარიხ), ან როგორც მას თვითონ ქათიბ ჩელები უწოდებს — „არაბული „ფეზლექეს" სარჩევი" (فهرس)[2]. ეს სამი ნაწარმოები ხშირად ერთსა და იმავე ისტორიულ ფაქტებს აშუქებს და თითქმის ყოველთვის საერთო წყაროებს ემყარება.

II. შედარებით მეტად ცნობილია ქათიბ ჩელების ქრონოლოგიური ნაშრომი „ისტორიათა მოწესრიგება"[3]. ავტორს ის 1648 წ. (2 თვეში) დაუწერია და დიდ ვეზირ მეჰმედ ფაშასათვის უძღვნია. თხზულების ასეთ მცირე ვადაში დაწერა იმით უნდა აიხსნას, რომ იგი მოკლედ გადმოგვცემს არაბული „ფეზ-

---

[1] არაბული „ფეზლექეს" შესახებ იხ.: O. ,S. G ö k y a y, Kâtip Çelebi, Hayatı-,Sahsiyeti-eserleri, «Katip Çelebi, Hayatı ve eserleri Hakıknda incelemeler», გვ. 40—43.

[2] كاتب چلبى تقويم التواريخ، قسطنطينيه، ١١٤٦, გვ. 2 (შემდეგში: ქ ა თ ი ბ ჩ ე ლ ებ ი, თაკვიმ ათ-თავარიხ).

[3] ქრონოლოგიურ თხზულებაზე იხ.: Fr. B a b i n g e r, Stambuler Buchwesen im 18 la' rhundert, Leipzig, 1919, გვ. 16; Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre werke, Leipzig, 1927, გვ. 196; M. T. G ö k b i l g i n, Kâtip Çelebi'nin kronolojik eseri: Takvimüttevarih, «Kâtip Çelebi Hayatı ve eserleri hakkında incelemeler», Ankara, 1957, გვ. 101.

ლექეს“ შინაარსს. თუმცა, როგორც ქათიბ ჩელები განმარტავს, ეს სამუშაოც საკმაოდ შრომატევადი ყოფილა. თავდაპირველად მას ორი ვარიანტი შეუდგენია. პირველი 3 ნაწილისაგან შედგებოდა და ხელნაწერის თითოეულ გვერდზე გადმოცემული იყო 50 წლის ამბები. მეორე ვარიანტში, 10 ნაწილს რომ შეიცავდა, ყოველ გვერდზე 10 წლის მოვლენები იყო აღწერილი. შემდეგ ავტორმა კიდევ ორჯერ გადაამუშავა ნაშრომი. პირველად მას ყოველ გვერდზე 5 წლის მოვლენების აღწერა მოუთავსებია, ბოლოს კი სიმარტივისათვის ცხრილებზეც უარი უთქვამს და ჩვეულებრივად სტრიქონებად დაუწერია. თხზულება მოიცავს ისტორიულ მოვლენათა ქრონოლოგიას 1058 (1648) წლამდე, დაწერილია ძირითადად სპარსულ ენაზე, ოღონდ შესავალი და დამატებები გადმოცემულია თურქულად. ქათიბ ჩელები ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ყოველი ცნობა სხვადასხვა წყაროშია დაძებნილი და ამდენად ყოველმხრივ დადგენილი და სარწმუნოა. შესავალში ავტორი ასახელებს თხზულების ზოგიერთ წყაროს. ესენია, პირველ რიგში, ჯენაბის და მალიქ ალ-მუაიადის, ანუ აბულ-ფიდას ისტორიები, იბნ სუპბის შაფიტების „თაბაკათი“, მასუდის ისტორია, ულუღ-ბეგის ასტრონომიული ცხრილები და სხვ.

ქათიბ ჩელების გარდაცვალების შემდეგ თხზულება გააგრძელეს სხვა ავტორებმა. მეჰმედ შეიხმა აღწერა 1059—1144 (1649—1731/2) წლების ამბები. 1733 წელს „თაკვიმ ათ-თავარიხი“ სტამბოლში გამოსცა იბრაჰიმ მუთეფერიკამ, რომელმაც გარდა იმისა, რომ შეავსო 2 წლის მოვლენათა ქრონოლოგია 1146 (1733) წლამდე, წიგნს წაუმძღვარა ქათიბ ჩელების ბიოგრაფია და შესავალი. დაბოლოს, ალი სუავიმ მოიყვანა მოვლენათა ქრონოლოგია 1147 წლიდან 1277 წლამდე (1734/5—1812). უკანასკნელმა ძირითადი თხზულება თავის გაგრძელებასთან ერთად დაბეჭდა პარიზში 1291 (1874/5) წელს. „ისტორიათა მოწესრიგება“ რამდენიმეჯერ ითარგმნა სხვადასხვა ენაზე. კერძოდ, ცნობილია მისი თარგმანები იტალიურ, ფრანგულ და ლათინურ ენებზე.

ქათიბ ჩელების ქრონოლოგიურმა ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა. თავის დროზე დიდმა ვეზირმა მეჰმედ ფაშამ ამ თხზულებისათვის მის ავტორს მეორე მოადგილის — ხალიფას თანამდებობა უბოძა. ი. ჰამერის აზრით ქათიბ ჩელების ეს თხზულება რომ არ არსებობდეს, ოსმალეთის ისტორიით დაინტერესებული პირისათვის ბევრი რამ გაუგებარი დარჩებოდა[5].

III. თურქული „ფეზლექე“ წარმოადგენს არაბული „ფეზლექეს“ დამატებას და შეიცავს მოვლენებს 1000 (1591) წლიდან 1065 (1654) წლამდე. ამ თხზულების მრავალი ხელნაწერი არსებობს, რომელთაგანაც ერთ-ერთი უძველესი (დათარიღებული 1675/6 წლით) ინახება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში. თხზულება გამოცემულია სტამბოლში 1286—87 (1869/70—1870/71) წლებში 2 ტომად[6]. ქათიბ ჩელების „ფეზლექე“ მრავალმხრივ საყურადღებო წყაროა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა თვალსაზრისით ის შეისწავლეს ვ. დ. სმირნოვმა, ა. ტვერიტინოვამ, მ. ალეკბერლიმ, ა. ფაფაზიანმა, თურქმა მეცნიერმა ო. გო-

[4] O. S. Gökyay, Kâtip Çelebiden seçmeler, Ist., 1968, გვ. 244.

[5] I. Hammer, Geschichte des Osmanischen Reiches, t. 6. Pest, 1827—1835, გვ 45.

[6] فذلكة كاتب چلبى، جلد ١، ٢، استانبول, ١٢٨٦, ١٢٨٧ (შემოკლებით: ქათიბ ჩელები, ფეზლექე).

ქაიმ[7]. ინტერესი ამ წყაროსადმი განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ავტორი აღწერილი მოვლენების უმრავლესობის თვითმხილველი და თანადამხდურია, ხოლო დანარჩენი ნაწილებისათვის სანდო წყაროებით სარგებლობს. ქათიბ ჩელები ასახელებს იმ ავტორებს, ვისი ნაშრომებიც გამოიყენა თხზულების წერის დროს. ესენია: ჰასან ბეი-ზადე (მითითებულია „ფეზლექეს" ტ. I, გვ. 71, 126), იბრაჰიმ ფეჩევი (ტ. II, გვ. 93, 118, 122), ყარა ჩელები-ზადე აბდულ აზიზ ეფენდი (ტ. II, გვ. 328), ატაი ნევი-ზადე (ტ. I, გვ. 373), აბდულ კადირ ეფენდი (ტ. I, გვ. 151). ჯერაჰ-ზადე (ტ. I, გვ. 83, 238), ფირი ფაშა-ზადე ფახრი (ტ. II, გვ. 255, 262, 266, 277). მანვე ისარგებლა ედირნელი მეჰმედის (გარდაიცვალა 1640 წ.) ნაწარმოებით „ისტორიათა და მოვლენათა რჩეული" (ნუჰბათ ათ-თავარიხ ვალ-ახბარ).

თავის მხრივ „ფეზლექე" წარმოადგენდა წყაროს მომდევნო ხანის მემატიანეთათვის. მაგალითად, ცნობილია, რომ თურქი მეისტორიე მუსტაფა ნაიმა (1655—1711) იყენებდა „ფეზლექეს"[8], ხშირად სიტყვასიტყვით იწერდა და ბოლოდ ზოგჯერ უმატებდა მას სხვა წყაროების მონაცემებს.

IV. 1648—1657 წლებში დაწერილი „ჯიჰან-ნუმა" კოსმოგრაფიულ-გეოგრაფიული ტიპის თხზულებაა[9], სადაც ყოველი ქვეყნის აღწერა მოკლე ისტორიული მიმოხილვით მთავრდება. სხვა ნაშრომების მონაცემებთან ერთად მხედველობაში მისაღებია „ჯიჰან-ნუმას" ისტორიული ცნობებიც ქათიბ ჩელების შენიშვნის გათვალისწინებით, რომელიც არ გამორიცხავდა შეცდომების შესაძლებლობას და თავის გასამართლებლად განმარტავდა: „ჩემს თხზულებაში თუ ზოგიერთი უზუსტობა ან ნაკლი იქნება, არ არის გასაკვირი რადგან ყველა ქვეყნის მდგომარეობა, სამეფო და დივანის საქმეები წიგნებში არ წერია, ისე აღვწერე, როგორც ისტორიებში ვნახე. თუ ვინმე თავისი ქვეყნის შესახებ შეცდომას იპოვის, მაცნობოს და ნაკლი შემატყობინოს"[10]. „ჯიჰან-ნუმას" ცნობები მით უფრო საჭიროებს კრიტიკულ მიდგომას, რომ, როგორც ახლა გამორკვეულია[11], იგი შევსებული და გაგრძელებულია მოგვიანო ავტორების მიერ და ხშირად ერთმანეთის საპირისპირო ცნობებსაც შეიცავს.

ქვემოთ ქრონოლოგიური რიგით განხილული იქნება ქათიბ ჩელების ზოგიერთი ცნობა საქართველოს შესახებ.

ბუნებრივია, თავის თხზულებებზე მუშაობის დროს ქათიბ ჩელები მრავალ ნაშრომს ეყრდნობა, მაგრამ შესავალში მოცემული სიები უმრავლეს შემ-

---

[7] В. Д. Смирнов, Кучибей Гёмюрджинский и другие османские писатели XVII века о причинах упадка Турции, СПб., 1873; А. С. Тверитинова, Восстание Кара-Языджи Дели Хасана в Турции, М., 1946; М. Л. Алекберли, Борьба украинского народа против турецко-татарской агрессии во второй половине XVI—перв. половине XVII веков, Саратов, 1961; O. Gökyay, დასახ. ნაშრომები; А. А. Папазян, Труды Катиба Челеби как источник по истории Армении ((XVIIв). Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата ист. наук, М., 1967.

[8] В. Д. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 13; A. Refik, Kâtip Çelebi, Istanbul, 1932, გვ. 27—28; Asaf Hâlet Çelebi, Naima, hayatı, sanatı, eserleri, Ist., 1953, გვ. 10; А. С. Тверитинова, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

[9] كتاب جهان نما الكاتب چلبى، قسطنطينيه، ١١٤٥ (შემდეგში ქათიბ ჩელები, ჯიჰან-ნუმა).

[10] O. Gökyay, Kâtip Çelebiden seçmeler, გვ. 119.

[11] გ. ალასანია, ქათიბ ჩელების „ჯიჰან-ნუმა" და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, „ქართული წყაროთმცოდნეობა", IV, თბ., 1972.

[8]. „მაცნე", ისტორიის... სერია, 1973, № 2.

თხვევაში არ ამოწურავს გამოყენებულ წყაროებს. ამავე დროს, მათი გარკვევა სასურველია ცნობის სანდოობისა და, საერთოდ, ქათიბ ჩელების მიერ წყაროების შერჩევის პრინციპის დასადგენად. სხვადასხვა ავტორების მონაცემებთან შეჯერებით ირკვევა, რომ ქრონოლოგიურ თხზულებაში მას, სხვათა შორის, გამოუყენებია XIII ს-ის არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის ნაშრომიც „თარიხ ალ-ქამილ". ამის დასასაბუთებლად საკმარისია მოვიყვანოთ ზოგიერთი ისტორიული მოვლენის თარიღი, რომლებიც მთლიანად დაემთხვა იბნ. ალ-ასირის ცნობებს:

წელი 147 (764/5): ურჯულო თურქების თავდასხმა ქალაქ თბილისზე;
წელი 238(852/3): ბუღას თავდასხმა თბილისზე და დაწვა;
წელი 514(1120/1): ურჯულო ქართველებისა და ხაზართა თავდასხმა თბილისის ციხეზე.
წელი 556(1160/1161): ამირ სალიკის დამარცხება საქართველოსთან ბრძოლაში.
წელი 557 (1161/2): ქართველების დამარცხება ისლამის მოსახლეობისაგან.
წელი 561 (1165/6): ქართველების თავდასხმა აზერბაიჯანზე.
წელი 601 (1204/5): ქართველთა ლაშქრის თავდასხმა აზერბაიჯანზე.
წელი 605(1208/9): ქართველების მიერ არჭეშის ციხის დარბევა.
წელი 622(1225): ქართველების თავდასხმა აზერბაიჯანზე[12].

ხშირად ერთი და იგივე ფაქტი ქათიბ ჩელების რამდენიმე თხზულებაშია მოხსენიებული. მაგალითად, ცნობა ამირ სალიკის დამარცხებისა და დატყვევების შესახებ „თაკვიმ ათ-თავარიხის" გარდა მოტანილია „ჯიჰან-ნუმაშიც", მაგრამ დათარიღებულია არა 556, არამედ 559 წლით. ეს ცნობა სხვა მასალებთან ერთად გამომცემელ იბრაჰიმ მუთეფერიკას დაუმთავრებელი „ჯიჰან-ნუმას" გაგრძელებისას XVII ს-ის ავტორის აბუ ბექრ იბნ ბაჰრამ ად-დიმიშკის (გარდ. 1691 წელს) „დიდი გეოგრაფიიდან" ამოუღია. ცნობის ავტორი თარიღის გამოკლებით იმასვე იმეორებს, რასაც იბნ ალ-ასირი:

სალიკიეს სახელმწიფო არზრუმში 556(1160/61) წ. ვაჩნდა. 559(1164) წ. [მის გამგებელს] ქართველებთან დიდი ბრძოლა ჰქონდა. [რომელშიც] თვითონ და მისი დიდებულები ტყვედ ჩაცვივდნენ. რადგან მისი და შაჰ ბანოვან-ხათუნი მეუღლე იყო შაჰარმენის სახელით ცნობილ ხლათის გამგებელ სუქმან ბინ იბრაჰიმ ბინ სუქმანისა, [უკანასკნელმა] ქართველებს დიდი საჩუქრები ვაუგზავნა და ამირ სალიკი ვაათავისუფლა. შემდეგ მეპმედ ბენ ამირ სალიკი არზრუმის ვალი ვასდა[13].

შესაძლებელია აბუ ბექრს მართლაც ჰქონდა ხელთ ისეთი წყარო, რომლის მიხედვითაც ქართველებმა 559 (1164) წ. ილაშქრეს არზრუმში. ჩვენ ამგვარი წყარო ვერ მოვიძიეთ და 559 წლის დამადასტურებელი არც ერთი ცნობა არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ, იბნ ალ-ასირისა და ქათიბ ჩელების თარიღს — 556 წ., მხარს უჭერს XVI ს-ის ავტორის შერეფ ხან ბითლისის ისტორიაც. ვინაიდან სხვაობა აბუ ბექრისა და იბნ ალ-ასირის ცნობებს შორის მხოლოდ თარიღშია, გამორიცხული არ არის, რომ „ჯიჰან-ნუმას" აღნიშნული ადგილი იბნ ალ-ასირიდან მომდინარეობდეს და თარიღის გადმოტანისას იყოს დაშვებული უნებლიე შეცდომა.

წელი 606(1209/10): საქართველოს მალიქის დატყვევება ხლაოში[15].

---

[12] თაკვიმ ათ-თავარიხ; გვ. 37, 44, 67, 51, 72, 76, 77, 79.; Материалы по истории Азербайджана Тарих ал-Камиль ибн ал-Асира, пер. Жузе, Баку, 1940, გვ. 34, 68, 123, 126, 126, 127, 128, 134, 151.

[13] ჯიჰან-ნუმა, გვ. 427.

[14] Шараф-хан Бидлиси, Шараф-наме, Перев. В. И. Васильевой, М., 1967, გვ. 220.

[15] თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 76.

საქართველოს მალიქის ქვეშ იგულისხმება ივანე მხარგრძელი, რომელიც როგორც ცნობილია, მართლაც ჩავარდა ტყვედ ქართველების ხლათზე გალაშქრების დროს. ასეთი ცნობა ბევრ წყაროში გვხვდება, მაგრამ ამ ფაქტის დღემდე არსებული ერთადერთი თარიღი, აბულ-ფიდას 607(1210/11) წელი ჯერ კიდევ საკამათოა, თუმცა კი გაზიარებული ქ. პატკანოვის და ივ. ჯავახიშვილის მიერ[16]. ა. ტერ-გრიგორიანს და ბ. სილაგაძეს მიაჩნიათ[17], რომ ქართველების ხლათზე ლაშქრობა 1210/11 წლებზე უფრო ადრე უნდა ყოფილიყო. მართლაც, თუ ამოვალთ არჭეშის აღების იბნ ალ-ასირისეული თარიღიდან (605—1208/9 წ.), არაბი ისტორიკოსის ამ ცნობაში კი ეჭვი არავის შეუტანია[18], მაშინ იმავე იბნ ალ-ასირისა და კირაკოზ განძაკეცის[19] მიხედვით, არც ხლათის გარემოცვა უნდა იყოს დიდად დაშორებული აღნიშნულ მოვლენას. ჩვენ არ ვიცით რა წყარო უდევს საფუძვლად ქათიბ ჩელების ცნობას, მაგრამ მისი თარიღი, ცხადია, უფრო მისაღები ჩანს, ვიდრე აბულ-ფიდას 607 წელი.

ქრონოლოგიურ თხზულებაში გვხვდება ცნობა, დათარიღებული 1440/41 წლით:

> წელი 841 (1440/41): მირან-შაჰის თავდასხმა საქართველოზე[20].

როგორც ცნობილია, მირან-შაჰი თემურ-ლენგის უფროს ვაჟს ერქვა. 1393 წელს თემურმა მას „ჰულაგუ-ხანის ტახტი" და ირანის ნაწილი უბოძა. მაგრამ მალე ჩამოართვა მას ეს ქვეყნები და დაუტოვა მხოლოდ არანი, მუღანი, სომხეთი და საქართველო[21]. წყაროებში არა ჩანს, რომ მირან-შაჰს საქართველოში ელაშქროს, ხოლო ქართველი მემატიანე ამგვარ ფაქტს გადაჭრით უარყოფს, როდესაც თემურის მემკვიდრეების შესახებ აღნიშნავს, რომ: „ვერღარა შესძინეს ძეთა მისთა ქართლად მოსვლა, რამეთუ იყო ურთიერთას შინა შური და ჴდომა"[22]. ქათიბ ჩელების 841 (1440/41) წლის ცნობაში მოხსენიებული მირან-შაჰი არც შეიძლება იყოს თემურ-ლენგის ვაჟი იმის გამო, რომ უკანასკნელი დაიღუპა 1408 წ. შავბატკნიან თურქმანთა მეთაურ ყარა-იუსუფთან ბრძოლაში[23]. წყაროები 1440 წლის სულ სხვა მოვლენაზე მოგვითხრობენ. სომეხი ისტორიკოსის თომა მეწოფეცის გადმოცემით, 1440 წელს საქართველოში შემოიჭრა შავბატკნიან თურქმანთა სახელმწიფოს გამგებელი ჯაჰან-შაჰი, რომელმაც აიღო სამშვილდე, თბილისი, ხოლო მოსახლეობას ხარაჯის გადახდა და-

---

[16] История монголов по армянским источникам, вып. II. Пер. и объясн. К. П. Патканова, С.-Петербург, 1874, გვ. 121; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 281, 282.

[17] К и р а к о с Г а н д з а к е ц и, История, Пер. с древнеарм. Т. Тер-Григоряна, Баку, 1946, გვ. 574; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, „საქართველო რუსთაველის ხანაში", თბ., 1966, გვ. 123.

[18] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 280; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

[19] ი ბ ნ ა ლ - ა ს ი რ ი, გვ. 134; К и р а к о с Г а н д з а к е ц и, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

[20] თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 105.

[21] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 108, თბ., 1964, გვ. 377—378.

[22] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 339.

[23] И. П. П е т р у ш е в с к и й, Государство Азербайджана в XV в., «Сборник статей по истории Азербайджана», I, Баку, 1949, გვ. 157.

კისრა[24]. მსგავსი ცნობა ზუსტი თარიღის მითითების გარეშე მოიპოვება XVII ს-ის ავტორის ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარის თხზულებაშიც[25]. უდავოა, რომ ქათიბ ჩელების „ქრონოლოგიაში" გადამწერთა მიერ დაშვებულია შეცდომა და მასში მირან-შაჰის ნაცვლად ჯაჰან-შაჰი უნდა იკითხებოდეს. ცნობა მით უფრო საყურადღებოა, რომ ქართული წყაროები ჯაჰან-შაჰის ამ შემოსევას 1444 წლით ათარიღებენ[26].

წელი 887 (1482/83) — სულთან იაყუბის თავდასხმა საქართველოზე[72].

თეთრბატკნიან თურქმანთა გამგებლის იაყუბის საქართველოზე ლაშქრობის თარიღად ქართულ წყაროებში 1486 წელი მოჩანს[28], რაც არ ეთანხმება ირანელ მემატიანეთა ცნობებს. ქართული და სპარსული წყაროების (XV—XVI სს. ავტორების ფადლალაჰ იბნ რუზბეჰანის, ჰასან რუმლუს, აჰმედ მოჰამედ ალ-ყაფარი ალ-ყაზვინის) ურთიერთშედარებისა და ანალიზის საფუძველზე რ. კიკნაძე მიდის დასკვნამდე, რომ იაყუბი 1482 წლის შემოდგომაზე შემოესია საქართველოს[29]. როგორც ვნახეთ, ქათიბ ჩელებიც ასევე ათარიღებს თეთრბატკნიან თურქმანთა ამ შემოსევას.

XVI ს-ის 40-იანი წლებიდან ოსმალეთის ხელისუფლება თანმიმდევრულად ატარებდა სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიაზე ოსმალური მმართველობისა და წესების დანერგვის პოლიტიკას. ერთ-ერთი ნაბიჯი ამ მიზნისაკენ 1549 წლის აგვისტოში ოსმალეთის მეორე ვეზირ აჰმედ ფაშას სარდლობით ჩატარებული ლაშქრობაა. ქათიბ ჩელები აჰმედ ფაშას თავდასხმის აღწერისას „ჯიჰან-ნუმაში" ზოგიერთ უზუსტობას უშვებს. პირველ რიგში მას, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ ოსმალეთის ჯარმა მთელი საქართველო დაიპყრო. ამაზე ლაპარაკობს ამ ცნობის მოთავსება საქართველოსადმი მიძღვნილ თავში, იმერეთის, სამეგრელოს, გურიისა და კახეთის აღწერის შემდეგ და არა იქ, სადაც საუბარია სამცხე-საათაბაგოზე. კახეთის, სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის მოხსენიების შემდეგ ქათიბ ჩელები განაგრძობს: „სწავლულთა წიგნებში არ არის დაწვრილებით აღნიშნული, თუ რამდენი ციხე და ქალაქია ხსენებულ ვილაიეთებში (ე. ი. კახეთში, სამეგრელოში, გურიასა და იმერეთში — **გ. ა.**). ამიტომ მოკლედ, რამდენადაც „გამარჯვებების წიგნებშია" მოთხრობილი, ეს არის: „როდესაც სულთან სულეიმან-ხანი 953—5 წლებში ალყას მირზასთან ერთად აღმოსავლეთის ლაშქრობაში წავიდა, ვეზირი აჰმედ ფაშა საქართველოში გამოგზავნა"[30]... შეცდომის მიზეზი ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ ოს-

---

[24] Фома Мецопский, История Тимур-ланка, Баку, 1957, გვ. 83; ვ. გაბაშვილი, თურქმენები, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან", თბ., 1957, გვ. 227.

[25] ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარი, უკეთესთაგან უკეთესი (ისტორია) (XVIIს), გამოსცა ე. ფუთურიძემ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", თბ., 1942, ნაკვ. II, გვ. 88.

[26] ქართლის ცხოვრება, ნაწ. II, ს.-პეტერბურგი, 1854, გვ. 239; თ. ჟორდანია, ქრონიკები, წ. II, ტფ., 1892, გვ. 255, 256; პარიჟის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველოჲსა, გამოც. ზ. ჭიჭინაძის, თბ., 1909, გვ. 6.

[27] თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 110.

[28] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 142, 143, 144.

[29] რ. კიკნაძე, საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს-ის მეორე ნახევარში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VII, თბ., 1964, გვ. 126.

[30] ჯიჰან-ნუმა, გვ. 406.

მალეთის ხელისუფლება საერთოდ აზვიადებდა ამ ლაშქრობის შედეგებს. ამ პერიოდში სულთანი სულეიმან I საფრანგეთის მეფე ჰენრიჰ II-ს ატყობინებდა: „საქართველოს დაპყრობის შემდეგ ჩვენ ტრიუმფალურად დავბრუნდით ჩვენს დედაქალაქში“-ო[31]. არაზუსტადაა ნაჩვენები თვითონ ლაშქრობის თარიღიც: 953—5 წლები. ცნობილია, რომ აჰმედ ფაშას ლაშქრობას ადგილი ჰქონდა 1549 წელს. ეს თვითონ ქათიბ ჩელებიმაც კარგად იცის და სწორედ ამიტომ ამ მოვლენას ქრონოლოგიურ თხზულებაში 956 წლით ათარიღებს[32]. იბრაჰიმ ფეჩევის ისტორიიდან ირკვევა, რომ სამცხეზე თავდასხმა 955 წელსაც მომხდარა არზრუმის მირმირანის მეჰმედ ფაშას მეთაურობით[33]. ქათიბ ჩელების ტექსტი ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს ავტორს ეს ორი ლაშქრობა გაუერთიანებია და ორივე აჰმედ ფაშასათვის მიუწერია. მირმირან აჰმედის მიერ დაპყრობილ ციხეებს ქათიბ ჩელები აჰმედ ფაშას ლაშქრობას უკავშირებს: „მან (აჰმედ ფაშამ) რომ ციხეები დაიპყრო, ესენია: ბარაქანი, გორმაქი, ფარნაქი, სუმაღარი, ახა“[34]... ხოლო შემდეგ ჩამოთვლის იმ ციხეებს, რომლებიც ფეჩევის უკვე აჰმედ ფაშას მიერ დაპყრობილად მიაჩნია. ერთგვარი სხვაობა ამ ორი ავტორის მონაცემებს შორის გვავარაუდებინებს, რომ ქათიბ ჩელების აქ ფეჩევის თხზულებასთან ერთად სხვა წყაროებიც უნდა გამოეყენებინა.

ის, რომ ქათიბ ჩელების აზრით, აჰმედ ფაშამ მთელი საქართველო დაიპყრო, ნათლად ჩანს ავტორის ქრონოლოგიური თხზულებიდანაც:

> წელი 956(1549) თორთუმის, ახჩაყალას, დაუდ-ხანის ვილაიეთის და საქართველოს სხვა მხარეების დაპყრობა აჰმედ ფაშას მიერ[35].

რას უნდა ნიშნავდეს ცნობაში მოხსენიებული „დაუდ-ხანის ვილაიეთი“? დაუდ-ხანი, სიმონ I-ის ძმა, 1562—1578 წლებში ქართლის ბატონად იყო[36]. 1578 წლის აგვისტოს თბილისის დასაპყრობად მოსულმა ლალა-მუსტაფა ფაშამ მას წერილიც კი გაუგზავნა და დამორჩილება მოსთხოვა. საპასუხოდ დაუდ-ხანმა თბილისი გადაწვა და ლორეს გაეშურა[37]. ამგვარად, ჩვენი აზრით, ქათიბ ჩელების „დაუდ-ხანის ვილაიეთი“ უნდა გულისხმობდეს ქართლს, მისი 1562—1578 წლების გამგებლის სახელის მიხედვით. როგორც ვხედავთ, ავტორს ლალა მუსტაფა ფაშას დროს მომხდარი ფაქტი შეცდომით 1549 წლის ამბებში აქვს მოთავსებული და, პირიქით, იქ, სადაც ლაპარაკია ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობაზე, საქართველოს დაპყრობილი მხარეებიდან ქათიბ ჩელები მხოლოდ თბილისს მოიხსენიებს:

---

[31] მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XVIIსს), თბ., 1971, გვ. 65.

[32] თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 122.

[33] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გამოსცა ს. ჯიქიამ, თბ., 1964, გვ. 26, 27.

[34] ჯიჰან-ნუმა, გვ. 406; ფ ე ჩ ე ვ ი, გვ. 27.

[35] თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 122.

[36] ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ, გვ. 65; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს-ში, თბ., 1958, გვ. 31.

[37] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113; قره چلبی زاده عبد العزیز، روضة الابرار ١٢٤٨ استانبول (შემდეგში: ყ ა რ ა ჩ ე ლ ე ბ ი ზ ა დ ე) გვ. 460.

წელი 986(1578/9) — ყიზილბაშთა სერასკერის თოქმაქ-ხანის დამარცხება, დაპყრობა თბილისის, შემახის, შირვანისა და ურჯულოების დამარცხება დიდ ბრძოლაში"[38].

ლალა ფაშას ლაშქრობის მცდარი თარიღია მოცემული „ჯიჰან-ნუმაში". „როდესაც 988 წელს ვეზირი მუსტაფა ფაშა მივიდა იმ ადგილას, აღადგენინა ყარსის ციხე, მისი ერთი კედელი, მეჩეთი და აბანო თხრილით", „988 წელს ვეზირი მუსტაფა ფაშა სულთან მურად ხანმა შირვანის დასაპყრობად გაგზავნა"[39].

წელი 1009(1600/1601): საქართველოს გამგებლის სიმონის მოსვლა თებრიზის ეალის ჯაფარ ფაშასთან[40].

სიმონის დატყვევების ამბავი შეტანილია „ფეზლექეშიც" და იქაც 1009 წლით არის დათარიღებული. ქათიბ ჩელების წინამორბედი ყარა ჩელები-ზადე ამ ფაქტს 1008 წლით ათარიღებს[41]. ნაიმა, რომელიც სიტყვა-სიტყვით იწერს ქათიბ ჩელების, ამ შემთხვევაში მას არ ეთანხმება, აღნიშნულ ცნობას 1008 წლის მოვლენებში ათავსებს, ხოლო 1009 წლის ამბებში შემდეგ განმარტებას იძლევა: „გასულ წელს აღწერილი საქართველოს მმართველის სიმონის სტამბოლს დატყვევებული ჩამოსვლა და მისი იედიკულეში მოთავსების ამბავი „ფეზლექეში" ამ წლის ამბად არის მოტანილი"[42]. თარიღებს შორის ასეთი სხვაობის მიუხედავად, ქათიბ ჩელების ცნობა არ არის მოკლებული საფუძველს, ვინაიდან 1599 წლის შემოდგომაზე დატყვევებული სიმონი ჯაფარ ფაშას ერთხანს თებრიზში ჰყოლია, ხოლო სტამბოლში, 1600 წლის 21 ივნისს ჩაუყვანია[43].

ქრონოლოგიურ თხზულებაში ასახულია საქართველოს ისტორიის სხვა მოვლენებიც, რომლებზედაც ჩვენ ამჟამად არ შევჩერდებით:

წელი 598(1201/1202): სალიკიეს სახელმწიფოს მოსპობა არზრუმში... დიდი მიწისძერა ისლამის ქვეყნებში, დამარცხება სულეიმან-სულჩუკისა ქართველებთან ბრძოლაში[44];

წელი 612(1215/16): ქართველი ჯარის თავდასხმა აზერბაიჯანზე;

წელი 618(1221/2): მონღოლთა თავდასხმა საქართველოზე;

წელი 788(1386), 802(1399/1400), 806(1403/4) წლების თემურ-ლენგის ლაშქრობები საქართველოში;

წელი 926(1519/20) — შაჰ ისმაილის თავდასხმა საქართველოზე;

წელი 991 (1583) ფერჰად ფაშას თავდასხმა ერევნისა და დმანისის ციხეებზე;

წელი 992 (1584) — ფერჰად ფაშას თავდასხმა საქართველოს ციხეებზე ლორზე და გორზე[45] და სხვ.

---

[38] თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 132.

[39] ჯიჰან-ნუმა, გვ. 407, 408.

[40] თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 129.

[41] ყ ა რ ა ჩ ე ლ ე ბ ი - ზ ა დ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 488.

[42] ს. ჯ ი ქ ი ა, ეპიზოდი XVI ს-ის საქართველოს ისტორიიდან, „მასალები, საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 31, თბ., 1959, გვ. 53, 57.

[43] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, სიმონ I ოსმალეთთან ურთიერთობის ზოგიერთი თარიღის დაზუსტებისათვის, „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები", I, გვ. 123.

[44] ლაპარაკია რუქნადდინის მიერ არზრუმის აღებასა და ბასიანის ბრძოლაზე. ეინაიდან ბასიანის ბრძოლის თარიღი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი, ამ საკითხს ცალკე სხვა დროს შევეხებით.

[45] თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 76, 77, 78, 98, 100, 116, 125.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქათიბ ჩელების ქრონოლოგიური თხზულების თარიღები ძირითადად სწორია, თუმცა თვითონ ცნობებს ზოგჯერ აკლია სიზუსტე და სისრულეც; რაც შეეხება „ჯიჰან-ნუმას", მასში მოცემული თარიღები ყოველთვის არ შეიძლება სანდოდ იქნეს მიჩნეული.

როგორც უკვე ითქვა, თურქულ „ფეზლექეში" დაწვრილებით არის აღწერილი ოსმალეთის ისტორიის ძირითადი მოვლენები 1594 წლიდან 1655 წლამდე. ოსმალეთის მიერ ამ წლებში გამართული მრავალრიცხოვანი ბრძოლებიდან ყურადღებას იპყრობს ირან-ოსმალეთის ომების აღწერა, „ფეზლექე" მოგვითხრობს ამ ომების მესამე ეტაპზე. აქ მნიშვნელოვანი ცნობები გვხვდება საქართველოზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე, რადგან ომის მთავარ ასპარეზს ამჯერადაც ამიერკავკასიის ქვეყნები წარმოადგენდნენ. ქათიბ ჩელები ომის დაწყებას სხვადასხვაგვარად ათარიღებს. „ფეზლექეს" მიხედვით ბრძოლა 1012 (1603) წელს განახლდა[46], ხოლო „თაკვიმ ათ-თავარიხში" მითითებულია 1010 წელი (1601 წლის 2/VII—1602 წლის 20/VI)[47].

სალმასის გამგებელი ქურთი ღაზი ოსმალეთის სულთანს გადაუდგა, კარნი იარუკის ციხეს შეაფარა თავი და შაჰ აბასს I-ს მორჩილება აღუთქვა. შაჰმა მიიღო მისი მორჩილება და „თაჯი, ხმალი და სარტყელი გაუგზავნა". ღაზიმ შაჰს „მტრებთან ბრძოლაში დახმარება სთხოვა და ოსმალეთთან შუღლისაკენ წააქეზა"[48]. ქათიბ ჩელებიმ კარგად იცის, რომ ქურთი გამგებლის მიმართვა შაჰისადმი მხოლოდ საბაბი იყო ომის დაწყებისათვის, ვინაიდან შაჰი „დიდი ხანია ჩასაფრებული იყო და ხელსაყრელ მომენტს ელოდა"[49]. სუფიანის მახლობლად თებრიზელებთან პირველი შეტაკების დროს ოსმალები დამარცხდნენ. ქათიბ ჩელების გადმოცემით, ოსმალეთის მხარეზე განსაკუთრებით გაბედულად იბრძოდნენ ნახჭევნისა და ახალციხის ბეგლარბეგები მაჰმუდ ფაშა და ხალილ ფაშა[50]. სუფიანთან გამარჯვების შემდეგ შაჰ-აბასი თებრიზის ციხეს მიადგა და „სიცოცხლის შენარჩუნებისა და ქონების ხელშეუხებლობის" პირობით ალყაშემორტყმულებს დანებება შესთავაზა[51]. ომის მსვლელობის დაწვრილებით გადმოცემისას ქათიბ ჩელები ვერ აღწევს თავს ოსმალო მემატიანეთათვის დამახასიათებელ ტენდენციურობას. მოწინააღმდეგეებს იგი „უწმინდურებს", „ერეტიკოსებს" უწოდებს, შაჰს კი — „გაიძვერას", „გზადაბნეულს", „უმადურს" და ა. შ. ქათიბ ჩელები სიამოვნებით უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ, როდესაც თებრიზელები ალყის 22-ე დღეს მართლაც დანებდნენ, შაჰმა დანაპირები არ შეასრულა და სასტიკად გაუსწორდა მოსახლეობას. ამავე დროს ქათიბ ჩელები იძულებულია აღიაროს, რომ ოსმალეთის ბატონობით არც თუ ისე კმაყოფილი მოსახლეობა ორდუბადის, ჩულჰას, ოლუნჯასა და ჯეანშირის ციხეების დაპყრობაში შაჰ აბასს თვითონ უწყობდა ხელს[52].

---

[46] ფეზლექე, ტ. I, გვ. 202.

[47] თაკვიმ ათ-თავარიხ, გვ. 122. როგორც ჩანს, 1602 წელს ირან-ოსმალეთის ომის განახლების თარიღად არა მარტო ქართული წყაროები მიიჩნევდნენ (ვ ა ხ უ შ ტ ი, ქრონიკონები, ქართლის ცხოვრება, II, სპბ., 1854, გვ. 246).

[48] ფეზლექე, ტ. I, 203, 204.

[49] იქვე, გვ. 204.

[50] იქვე, გვ. 206.

[51] იქვე, გვ. 207.

[52] იქვე, გვ. 208, 209.

ოქტომბერ-ნოემბერში ნახჭევნის დაპყრობის შემდეგ ყიზილბაშები ერევნის ციხეს მიადგნენ. ერევნის ხანგრძლივი ალყის აღწერაში (1603 წლის 17 ნოემბრიდან 1604 წლის 11 ივნისამდე) ვხვდებით ცნობებს ქართველებზე, კერძოდ, სიმონ I-ის ძე გიორგიზე და ალექსანდრე კახთა მეფეზე. 1603 წელს, როდესაც შაჰმა ოსმალეთთან ბრძოლა განაახლა, სიმონის ძე გიორგი და კახთა მეფე ალექსანდრე შაჰს მიემხრნენ. ქართველი მემატიანე სიამაყით გადმოგვცემს: „მაშინ მოვიდა ყაენი შაბაზ აღებად ერევნისა და იკმო მან მეფე გიორგი და პატრონი კახეთისა ალექსანდრე. შუელად და აღებად ერევნისა და წარვიდენ ორნივე ესენი სპითა თჳსითა... უმეტესად ყოველთა ქართველთა მოიჭირვეს და გარდავიდნენ გალავნებში და იომეს დიდად და, სანამდი ყიზილბაშნი შეეიდოდეს, ქართველთა აიღეს სიმაგრენი, უჩუენეს ძალი და მოჭირვება ყაენსა და აღიღეს ციხე“[53].

ქართული წყაროს ცნობა, როგორც ჩანს, არ უნდა იყოს გაზვიადებული. ქათიბ ჩელებიც გადმოგვცემს, რომ შაჰის მიერ გამოგზავნილი პირი ალყაშემორტყმულებს დანებებას ურჩევს, ვინაიდან საქართველოს გამგებლის სიმონის ვაჟი გიორგი და ზაგემის გამგებელი თავისი ჯარებით შაჰს შეუერთდნენ[54]. შაჰისათვის გიორგი და ალექსანდრე საკმაოდ ანგარიშგასაწევი მოკავშირეები იყვნენ, რაც კარგად ჩანს მისი მეჯლისის აღწერიდანაც: „შაჰი მის ბუთვნილ ადგილზე დაბრძანდა, ხალიჩაზე. მარცხნივ მოისვა ლევანდ-ხანი (ე. ი. კახეთის მეფე — **გ. ა.**) — ალექსანდრე, მარჯვნივ კი — სიმონის ვაჟი, მაწანწალა გიორგი. მათ შემდეგ ისხდნენ თებრიზის ბეგლარბეგი ალი ფაშა, ქურთი ღაზი და სხვა მეთაურები“[55].

„ფეზლექეს“ ამ ნაწილისათვის ქათიბ ჩელები ცნობებს კრეფს ჯერაჰ-ზადეს ნაშრომიდან, რომლის ხელნაწერები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის და რომლის შინაარსი მხოლოდ ქათიბ ჩელებისა და ნაიმას ისტორიების მიხედვით ვიცით[56].

საქართველოსთან დაკავშირებული შემდეგი ცნობა „ფეზლექეში“ 1024 (1617) წლის მოვლენებშია მოთავსებული. აღნიშნული ქვეთავი დასათაურებულია ამგვარად: „ჯარის გაგზავნა საქართველოს დასაცავად“ და შემდეგს მოგვითხრობს:

> ქრნილის? (كرنيل) გამგებელმა წერილი გამოგზავნა, [რომელშიც] იტყობინებოდა, ირანის შაჰი საქართველოს ვილაიეთების დაპყრობას აპირებსო. გაიგზავნა ბრძანება [იმის შესახებ], რომ ბათუმის ბეგლარბეგი ომარ ფაშა ეიალეთის ჯარით, ჩილდირის ხიდის ბეგი, არფალიკის წესით სანჯაყის მფლობელი საფარ ფაშა, საქართველოს მხარეთა გამგებლები და ამირები — გურიელის, დადიანის და ბაში აჩიკის მალიქები მათ **ჰუქუმეთებში** მდგომი ჯარებით და მთლიანად არზრუმის ეიალეთისა და ტრაპიზონის იანიჩრების მეთაურები და დაღესტნის გამგებელი ამ საზღვრისათვის დასახმარებლად დავნიშნათ, დაუყოვნებლივ გაელაშქრათ და ხსენებულ სერასკერთან მისულიყვნენ დასაცავად[57].

ზუსტად ასეთსავე ცნობას იმეორებს ნაიმა, ოღონდ მასთან كرنيل-ის მაგიერ كريل იხსენიება, რაც შემდეგ გაგებულ იქნა როგორც „გურილ“ —

---

[53] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის რედ. თბ., 1940, გვ. 106.
[54] ფეზლექე, ტ. I, გვ. 210.
[55] იქვე, გვ. 238.
[56] Fr. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke, გვ. 145.
[57] ფეზლექე, ტ. I, გვ. 384.

გურიის გამგებელი[58]. რისთვის უნდა გაეგზავნა გურიის გამგებელს ოსმალეთის სარდლობისათვის ამგვარი შინაარსის წერილი? ირან-ოსმალეთის ისტორიაში იყო შემთხვევები, როდესაც ოსმალეთს ჰქონდა განზრახვა, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობისა, მაგრამ ირანს არასოდეს განუცხადებია პრეტენზია გურიაზე. ჩვეულებრივ, უკეთეს შემთხვევაში ირანს დიდ მიღწევად მიაჩნდა, როდესაც ოსმალეთი სცნობდა მის უფლებას აღმოსავლეთ საქართველოზე. 1610 წელს შაჰ აბასმა, როგორც იქნა მოახერხა ისევ მოეპოვებინა უფლება აღმოსავლეთ საქართველოზე, ანუ ქართლზე, კახეთზე და აღმოსავლეთ მესხეთზე. 1614, 1616, 1617 წლებში შაჰ აბასი რამდენიმეჯერ შემოესია აღმოსავლეთ საქართველოს. ქართლ-კახეთის მეფეები ლუარსაბი და თეიმურაზი იძულებული იყვნენ დახმარება ოსმალეთის სულთნისათვის ეთხოვათ. 1617 წლის 15 ივნისს ხალილ ფაშამ სტამბოლი დატოვა და ირანის წინააღმდეგ სალაშქროდ გაეშართა. აგვისტოში ოსმალეთის ლაშქარი დიარბექრში ჩავიდა. სწორედ დიარბექრში დგომის დროს ხალილ ფაშამ მიიღო წერილი საქართველოს ერთ-ერთი გამგებლისაგან. როგორც აღვნიშნეთ, არც მანამდე და არც შემდეგ შაჰ აბასის მოქმედებაში არ შეინიშნება არავითარი ცდა გურიის დაპყრობისა. ამ ლაშქრობების დროს მისი თარეშის ობიექტი კვლავ აღმოსავლეთ საქართველო იყო. და ოსმალეთისადმი ამგვარი მიმართვის ინიციატორი უფრო მოსალოდნელია, რომ ყოფილიყო კახეთის, ან ქართლის და არა გურიის გამგებელი. გრაფიკულადაც كرتيل (ან თუნდაც كريل) უფრო მეტად كرتيل — ქართლს უახლოვდება, ვიდრე გურილს — كريال ან كورل (ქათიბ ჩელებისთან გურია ჩვეულებრივ كورل ფორმით არის წარმოდგენილი). დავუშვათ, ქართლის გამგებელმა მართლაც მიმართა ოსმალეთის ხელისუფლებას, მაგრამ რა საჭირო იყო აგვისტოში დიარბექრში უზარმაზარი ლაშქრით ირანელებთან საბრძოლველად ისედაც გამზადებულ ხალილ ფაშასთვის იმის შეტყობინება, რასაც ყიზილბაშები იმავე წლის ადრე გაზაფხულიდან ახორციელებდნენ? ხომ ცნობილია, რომ შაჰ აბასი 1617 წლის ადრე გაზაფხულზე შეიჭრა საქართველოში და გამოუსწორებელი ზარალი მიაყენა კახეთს. გარდა ამისა, თუ მართლა დაეგზავნათ ბრძანებები ბათუმის და ჩილდირის ბეგლარბეგებს და საქართველოს სხვა გამგებლებს იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ დახმარებოდნენ სერასკერს, რა იყო იმის მიზეზი, რომ ოსმალებს 1618 წლის მაისამდე არავითარი ზომა არ მიუღიათ ირანელების წინააღმდეგ? ჩვენი აზრით, ქათიბ ჩელების მოტანილი ცნობა ლოგიკურად არ უკავშირდება ამ წლის მოვლენებს.

აღსანიშნავია, რომ ავტორი სხვაგანაც მოიხსენიებს ქართლის გამგებელს كرتيل حاكمى[59] და ამჯერად მხედველობაში ჰყავს გიორგი სააკაძე. ამ დამთხვევამ უნებურად მოგვაგონა ოსმალეთის სულთნის მიერ მოურავის სახელზე გაცემული სიგელი. ვ. ჩოჩიევის აზრით, სიგელი გაცემულია ოსმალეთის სულთან მურად IV-ის მიერ 1625 წელს[60], ანუ მარტყოფის ბრძოლის შემდეგ.

---

[58] მ. სვანიძე, დასახ. ნაშრ; გვ. 271; გვ. 58, تاريخ نعيما، جلد II، استانبول ١١٤٨

[59] ფეზლექე, ტ. II, გვ. 67.

[60] ვ. ჩოჩიევი, ოსმალეთის სულთნის მურად IV-ის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელის თარიღის შესახებ, სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 1959; ტ. VII, გვ. 101—105. სიგელი მოთავსებულია ფერიდუნ ბეის კრებულში და გამოცემული და თარგმნილია

ამ სიგელში, ისევე, როგორც ქათიბ ჩელებისთან, მოურავი ქართლის გამგებლად (كرتيل حاكمى) მოიხსენიება. სიგელის შინაარსი თითქმის იგივეა, რაც ქათიბ ჩელების ზემოთ მოტანილი ცნობისა და, ვფიქრობთ, იმავე მოვლენებს ეხება. სიგელში ნათქვამია:

> ქართლის მპყრობელ მოურაე ხანისადმი გაცემული უზენაესი წყალობის წიგნის პირია.
>
> დაწერილებითი და ერცელი წერილი გამოვიგზავნია. (წერილების) შინაარსით მაცნობებ, რომ უბედურ ყიზილბაშს სწადია მაგ მხარეები დააზარალოს და... გზადაბნეული შაჰის... განზრახვასა და ფუჭ ოცნებას შეადეენს საქართველოს ქვეყნების დაპყრობა... ვინაიდან ხსენებული საზღვრისათვის დახმარების აღმოჩენა ჩვენს რელიგიურ და სახელმწიფო საქმეებში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, ამიტომ შენს მეშველად დაინიშნოს ყველა: აწ ბათუმის ბეგლარბეგი წარჩინებული ემირთა-ემირი ომერი... ვილაიეთის ჯარით, ჩილდირის ხიდის ბეგი (ხაზგასმა ჩვენია — **გ. ა.**) მურთაზა, არფალიკის წესით თავისი სანჯაყის მფლობელი საფარი და საქართველოს მხარეების მმართველები და ემირები, მათ განკარგულებაში მყოფი ლაშქრითურთ. ზემოხსენებული ომერი,... მაგ. საზღვრების კარგი მცოდნე, გამოცდილი და სახელმოხვეჭილია, ამიტომ ზემოხსენებული ჯარების მთავარსარდლად დაინიშნოს იგი. ყველა ესენი დაუყოვნებლივ დაიძრანო ოავიანთი ადგილებიდან, გაემართონ და შენ შემოვიერთდნენ.

საყურადღებოა ს. ჯიქიას შენიშვნა იმის შესახებ, რომ ჩილდირის ხიდის ბეგი ყველა სხვა წყაროში „ჩილდირის ბეგად“ მოიხსენიება[61]. ქათიბ ჩელები მას ჩილდირის ხიდის ბეგს უწოდებს, რაც სხვა ნიშნებთან ერთად გვაფიქრებინებს, რომ „ფეზლექეს“ ავტორს ხონთქრის სიგელი უნდა ჰქონდეს გამოყენებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან ჩვენ მიგვაჩნია, რომ ქათიბ ჩელების ცნობა ასახავს 1625 წ. ვითარებას და 1617 წლის მოვლენებში შეცდომით არის მოთავსებული. ფაქტიურად აქ ლაპარაკია „ქართლის გამგებელ“ გ. სააკაძეზე და მის მიმართვაზე სულთნისადმი 1625 წელს.

„ფეზლექეში“ აღწერილია 1034 (1625) წლის ამბავი ყარჩიღა-ხანის დამარცხებისა და მარტყოფის ველზე ყიზილბაშთა ლაშქრის ამოყლეტის შესახებ[62]. ამ ფაქტზე ი. ფეჩევიც მოგვითხრობს[63], მაგრამ ქათიბ ჩელების ცნობა გაცილებით უფრო ვრცელია, ვინაიდან მას, ჩანს, ფეჩევის გარდა სხვა წყაროებიც გამოუყენებია. როგორც ფეჩევი, ასევე ქათიბ ჩელები მოგვითხრობენ, რომ ბრძოლის შემდეგ მოურავის შვილი ზოგიერთი დიდებულის თანხლებით სულთნის ბანაკში მივიდა[64]. მარტყოფის ბრძოლის შემდეგ გიორგი სააკაძემ დახმარებისათვის მიმართა ოსმალებს, მაგრამ, ვინაიდან ოსმალები ამ პერიოდში არ იყვნენ მომზადებული შაჰ-აბასთან დიდი ბრძოლისათვის, უარი მიიღო. ქათიბ ჩელები აღნიშნავს: „რადგან ჰაფიზ ფაშა ბაღდადზე იყო მივლენილი, ამ მხარეში გაგზავნაზე არ დათანხმდა“[65]. ოსმალეთის სარდლობამ მხო-

---

ს. ჯიქიას მიერ (ს. ჯ ი ქ ი ა, ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943).

[61] ს. ჯ ი ქ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 238.

[62] ფეზლექე, ტ. II, გვ. 67.

[63] ს. ჯ ი ქ ი ა, იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 83.

[64] ქართველების ჩამოსვლის თარიღად იბრაჰიმ ფეჩევისთან მითითებული 27 რამაზანი ქათიბ ჩელებისთან გადატანილია 21 რამაზანად, ნაიმაც ამასვე იმეორებს, რაც ჩვენი აზრით, გადაწერის დროს დაშვებული შეცდომა უნდა იყოს. ფეჩევის, როგორც ამ ამბის თანამონაწილის ცნობა ყველაზე მეტად უნდა იყოს ახლო სინამდვილესთან.

[65] ფეზლექე, ტ. II, გვ. 68.

ლოდ ის მოახერხა, რომ, ისქანდერ მუნშის ცნობით[66], 1625 წელს მურთაზა ფაშას მეთაურობით სამცხეში ჯარი გაგზავნა და ახალციხე დაიპყრო. „ფეზლექეში“ არაფერია ნათქვამი ამ ფაქტის შესახებ, ამის ნაცვლად სულ სხვა ცნობაა მოტანილი. აღსანიშნავია, რომ „ფეზლექეს“ სწორედ ეს ადგილი ქათიბ ჩელების რაღაც სხვა წყაროს მიხედვით აქვს გამართული, ყველაფერი დანარჩენი კი ფეჩევის თხზულებიდან აუღია. ჩანართი აბზაცი მოგვითხრობს, იმის შესახებ, რომ თითქოს, როდესაც ჰაფიზ ფაშამ უარი თქვა საქართველოზე გალაშქრებაზე, „მარჯვენა და მარცხენა ბოლუქებიდან 2000-მდე ყულის შვილი აღრიცხეს მათ აღებთან ერთად და ბათუმის ბეგლარბეგი ომარ ფაშა გურჯისტანის სერასკერად დანიშნეს. გარკვეული რაოდენობის იანიჩრები და ყულის შვილები ხსენებულ სარდართან გაგზავნეს და იმ საზღვარზე მყოფ ბეგებს ებრძანათ, საქართველოს ამირებს დაუკავშირდით და სარდარი რომ მოვა და იმ მხარეს (ე. ი. ირანს) მიაღწევს, მტრის ქვეყანა გაანადგურეთ და აოხრეთო. ყაითაყის მფლობელ უსმი-ხანსაც წერილი გაუგზავნეს, დაღესტნის ჯართან მზად იყავით და მაგ მხარიდან მტრის ქვეყანას დაესხითო“[67].

მეტად საყურადღებო ცნობაა. ქათიბ ჩელების მიხედვით ისე გამოდის, ოსმალებს მაინც გადაუდგამთ რაღაც ნაბიჯები ქართველების დასახმარებლად, თუმცა, როგორც იგივე ავტორი თითქოსდა სინანულით შენიშნავს, „ხსენებულ წელს იმ მხარეში იმდენად კარგი საქმე არ გაკეთებულა“. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ეს ცნობაც ძალიან ჰგავს სულთან მურად IV-ის მიერ გ. საკაძისათვის მიცემული სიგელის სათანადო ადგილს. გურჯისტანის სერასკერად ისევ ბათუმის ბეგლარბეგი ომერი ჩანს, ხოლო დაღესტნისა და საქართველოს გამგებლებს ებრძანებათ მას შეუერთდნენ. სრულიად აშკარაა, რომ აქაც იმავე ვითარებაზეა საუბარი. და თუ ეს ასეა, მაშინ ქათიბ ჩელების მიხედვით, ხონთქრის მიერ მოურავის სახელზე გაცემული სიგელი 1625 წლით შეიძლება დათარიღდეს, ე. ი. სწორედ ისე, როგორც მას ათარიღებს ვ. ჩოჩიევი[68].

1036 (1626/7) წელს სტამბოლში ჩავიდა შაჰ აბასის ელჩი თაჰმასბ ყულიხანი, რომელმაც 1555 წლის ზავის პირობების აღდგენა და შაჰის შვილისათვის ბაღდადის გადაცემა ითხოვა. როგორც ქათიბ ჩელები გადმოგვცემს, სულთანი ამ პირობებზე არ დათანხმდა და ხალილ ფაშას ჯარის შეკრება უბრძანა. ამავე დროს კახეთის მეფეს თეიმურაზსაც ბრძანება გაეგზავნა, შენც რაც ძალები გყავს, შეაგროვე და მოიყვანე, საქართველოს სხვა გამგებლებთან გაერთიანდი და მტრის მოგერიებას ეცადეო“[69]. ქათიბ ჩელები არ მიუთითებს ელჩის ჩამოსვლის თვეს, მაგრამ წინა მოვლენების მიხედვით[70], ამ ფაქტს 1627 წლის სექტემბერში უნდა ჰქონოდა ადგილი.

უდავოა, რომ 1627 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის რაღაც მოლაპარაკება მოხდა. ქართული წყარო იმასაც კი ამბობს, რომ „ხონთქარი მაშინ ყეენის

---

[66] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. ვ. ფუთურიძის გამოცემა, თბ., 1969 გვ. 132, 133.

[67] ფეზლექე, ტ. II, გვ. 68.

[68] მ. სვანიძის აზრით, სიგელი გაცემულია ოსმალეთის სულთან მურად IV-ის მიერ 1626 წელს, კერძოდ, ბაზალეთის ომის წინ (მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 288).

[69] ფეზლექე, ტ. II, გვ. 97.

[70] იქვე, გვ. 96.

გარიგებული იყო"[71]. ამის საფუძველზე აკად. ნ. ბერძენიშვილმა ივარაუდა: „1627 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ზავი დაიდო და აღმოსავლეთ საქართველო ისევ ირანის სამფლობელოდ იქნა ცნობილიო"[72]. როგორც ჩანს, ირან-ოსმალეთის ურთიერთობის ეს ფაქტი მთლად ზუსტად არ არის ასახული ქართულ წყაროში. ვ. ჩოჩიევის აზრით, თუმცა 1627 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება შედგა, ისინი ვერავითარ შეთანხმებამდე ვერ მისულან[73]. ჩვენთვის მთავარი ისაა, რომ მხარეთა შეხვედრას მართლაც ჰქონია ადგილი და ამ მხრივ ქათიბ ჩელების ცნობის ეს ადგილი სავსებით მისაღები ჩანს. ეჭვს ბადებს ცნობის მეორე ნაწილი, რომელიც ეხება თეიმურაზისა და ოსმალეთის ურთიერთობას.

ზემოთ უკვე ვნახეთ, რომ სხვადასხვა და ზოგჯერ, ალბათ, უთარიღო ცნობებით სარგებლობის გამო, ქათიბ ჩელები „ფეზლექეში" ყოველთვის ვერ იცავს მოვლენათა ზუსტ თანმიმდევრობას. 1623 წელს შაჰ აბასმა ბაღდადი დაიპყრო, ბაღდადის დაპყრობის შემდეგ, მისივე ბრძანებით, ამირგუნე-ხანმა თავისი ჯარებით სამცხეში ილაშქრა და ახალციხეც აიღო, ბაღდადის დაპყრობის ცდა კი უშედეგოდ დამთავრდა. 1627 წელს ყიზილბაშებმა მურთაზა ფაშას კვლავ წაართვეს ახალციხე. ამ ფაქტს ქათიბ ჩელები და ფეჩევი თითქმის ერთნაირად აღწერენ: „ახალციხიდან მომჩივანი მოვიდა, [მან] გვაცნობა, რომ 1000-მდე ირანელმა ახალციხეს ალყა შემოარტყა და დახმარება ითხოვა"[74]. ოსმალებს დასახმარებლად ჯარი შეუკრებიათ და არზრუმის გამგებელ აბაზა ფაშასათვის უბრძანებიათ მას შეერთებოდა. სწორედ ამ დროს აბაზა ფაშა აუჯანყდა ოსმალეთის ხელისუფლებას და ირანელთა მხარეზე გადავიდა. მისი დახმარებით ყიზილბაშებმა ადვილად დაიბრუნეს ახალციხე. ასეთი იყო ვითარება, როდესაც ირანის შაჰის ელჩი სტამბოლში ჩავიდა. რა თქმა უნდა, არც ბაღდადის და არც ახალციხის მიცემაზე სულთანი არ დათანხმდა. მაგრამ ირანთან ბრძოლამდე მან უპირველეს ამოცანად აბაზა ფაშას ამბოხების დათრგუნვა მიიჩნია და ამისათვის ჯარის მეთაურად ხალილ ფაშა დანიშნა. ასე რომ, ქათიბ ჩელების ცნობა ხალილ ფაშას ირანელთა წინააღმდეგ გაგზავნის შესახებ უკვე ერთგვარ შეუსაბამობაშია ამ მოვლენათა სქემასთან. ფაქტიურად, ხალილ ფაშა გაგზავნეს არა ირანის, არამედ აჯანყებული აბაზა ფაშას წინააღმდეგ. ისიც უნდა ითქვას, რომ ხალილ ფაშა სხვათა შორის, დიდხანს არ დარჩენილა აღნიშნულ თანამდებობაზე და აბაზა ფაშას აჯანყების ჩაქრობაც ხუსრევ ფაშას მოუხდა.

ახლა, რაც შეეხება ცნობის მეორე ნაწილს, სადაც თეიმურაზიც იხსენიება. გიორგი სააკაძისა და თეიმურაზს შორის მომხდარი უთანხმოების შემდეგ მოურავი, როგორც მოსალოდნელი იყო, ოსმალეთში გადავიდა, ხოლო თეიმურაზი აშკარად ირანის მომხრე გახდა. ამის შესახებ ისქანდერ მუნში მოგვითხრობს: „როცა თეიმურაზსა და მოურავს შორის განხეთქილება მოხდა... მოურავი ოსმალეთში წავიდა, [ხოლო] თეიმურაზი „უმეცრების ძილისაგან გამოფხიზლდა და, თავისი წინანდელი მოქმედება..., ინანა... პირობა დასდო, რომ თუ ხელ-

[71] ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 162.

[72] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, ს. ჯანაშიას რედ. თბ., 1946, გვ. 345.

[73] ვ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან", გვ. 355.

[74] ფეზლექე, ტ. II, გვ. 95; ფ ე ჩ ე ვ ი, გვ. 86.

მწიფის წყალობა და შევრდომა მოევლინებოდა, თავის სიცოცხლეში აღარ ასცდებოდა მონობისა და მორჩილების გზას"[75]. ისქანდერ მუნშის მიხედვით, ირანის ელჩის ჩამოსვლის დროისათვის თეიმურაზი უკვე ყიზილბაშთა მხარეზეა. თეიმურაზის დაზავებას ირანელებთან ინგლისის საელჩოს სამხედრო წარმომადგენელი თ. ჰერბერტიც ადასტურებს. მისი ცნობის მიხედვით, 1627 წლის თებერვალში შირაზში გამართული ნადიმის ერთ-ერთი დამსწრე თეიმურაზია, „დამწუხრებული მეფე საქართველოსი, სახელოვანი პიროვნება, იარაღში გამოცდილი და მტკიცე ქრისტიანი"[76].

ამგვარად, 1627 წლის სექტემბრისათვის თეიმურაზის ურთიერთობა ოსმალეთის ხელისუფლებასთან გამორიცხული ჩანს, თუ არ დავუშვებთ იმას, რომ თეიმურაზი, თუმცა აშკარად ირანელების მხარეზე იყო, ფარულად არც ოსმალებთან წყვეტდა კავშირს. მაგრამ ამგვარი ვარაუდისათვის ქათიბ ჩელების და ნაიმას ცნობების გარდა[77] (რომელსაც გადაწერილი აქვს იგივე სიტყვასიტყვით) ჯერჯერობით საბუთი არ მოგვეპოვება.

მაშ რა საფუძველი აქვს ქათიბ ჩელების ზემომოტანილ ცნობას? წყაროებიდან ირკვევა, რომ თეიმურაზს მართლაც მიუღია მონაწილეობა ხალილ ფაშას ერთ-ერთ ლაშქრობაში. მაგრამ ეს იყო არა 1627 წელს, არამედ გაცილებით ადრე. 1618 წელს ოსმალეთის ჯარი ხალილ ფაშას წინამძღოლობით ყიზილბაშთა წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა. თუმცა შეტევის მთავარი მიმართულება სამხრეთ აზერბაიჯანი იყო, ხალილ ფაშას ევალებოდა აგრეთვე საქართველოსაკენ გაჭრა, თბილისის დაკავება და თეიმურაზის აღდგენა ტახტზე. ამ ლაშქრობაში მონაწილეობა მიუღია თეიმურაზსაც თავისი ჯარით[78]. ჩვენი აზრით, ქათიბ ჩელების სწორედ ეს მოვლენა შეცდომით აქვს მოთავსებული 1627 წლის ამბებში.

„ფეზლექქეში" გვხვდება რამდენიმე ცნობა გიორგი სააკაძეზე. პირველად ქათიბ ჩელები მას მარტყოფის ბრძოლის აღწერის დროს მოიხსენიებს, ხოლო შემდეგი მონაცემები უკვე დაკავშირებულია გ. სააკაძის მოღვაწეობასთან ოსმალეთში და, როგორც ჩანს, ძირითადად საკუთარი დაკვირვებების საფუძველზეა დაწერილი[79].

„ფეზლექეს" 1042 (1632/33) წლის ცნობა გვაუწყებს:

> იმ წელს ირანის შაჰმა საქართველოზე ჯარი გაგზავნა. როდესაც „ყიზილბაშებმა საქართველოს მიაღწიეს, თეიმურაზმა [მათ] წინააღმდეგობა ვერ გაუწია და უკან დაიხია. ირანის ჯარმა საქართველო მთლიანად დაიპყრო და ხალხი დაამორჩილა. შემდეგ მობრუნდნენ და თებრიზში გაჩერდნენ. როდესაც სტამბოლს მოახსენეს [ირანელებს] განკ

---

[75] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 140, 141.

[76] Herbert Thomas, Travels in Persia, ed. by W. Foster, London, 1928, გვ. 78; ბ. გ ი ო რ გ ა ძ ე, XVII ს-ის დასაწყისის პორტუგალიელი ელჩის დონ ანტონიო დე გოვეას რელაციონი საქართველოზე, „საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები", I, თბ., 1970, გვ. 92.

[77] ნ ა ი მ ა, ისტორია, ტ. II, გვ. 412.

[78] დაწვრილებით იხ. მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, გვ. 273.

[79] ფეზლექე, ტ. I, გვ. 68. გვ. 100, 115, 116. ქათიბ ჩელების ცნობები გ. სააკაძეზე შეტანილი აქვს ნაიმას თავის ისტორიაში და ქართულ ენაზე ძირითადად თარგმნილია. ამიტომ ჩვენ აქ მათი განმეორება საჭიროდ აღარ მივიჩნიეთ (ს. ჯ ი ქ ი ა, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1943, გვ. 207—217; ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, მუსტაფა ნაიმას ცნობები გ. სააკაძის შესახებ, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის", ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 253—264).

ზრახული აქვთ მთელი ჯარით ერევანზე ლაშქრობაო, საზღვრის ბეგებს ბრძანებები გაეგზავნათ, მურთაზა ფაშა მარდინის მახლობლად სულთნის საზაფხულო რეზიდენციაში გადავიდა და ეიალეთის ჯარი მოიწეია. სხვებიც მოემზადნენ და ერევნის პირდაპირ გაჩერდნენ[80].

ყიზილბაშთა ამ ლაშქრობის მთავარი მიზანი ირანიდან გამოგზავნილი როსტომის (ხოსრო-მირზას) ქართლის ტახტზე დასმა იყო და ცნობაც იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც დაკავშირებულია მისი გამეფების თარიღთან. ქათიბ ჩელებისთან მითითებული არ არის, რომელ თვეში მოხდა ირანელთა ლაშქრობა საქართველოში, 1042 წელი კი მოიცავს პერიოდს 1632 წლის 19 ივლისიდან 1633 წლის 7 ივლისამდე. ცნობაში აღნიშნულია, რომ საქართველოდან დაბრუნების შემდეგ ყიზილბაშებმა ერევანზე ლაშქრობა განიზრახეს. ზუსტად იგივე ამბავი გამეორებული აქვს ნაიმასაც[81] იმ განსხვავებით, რომ მასთან ერევნის ნაცვლად ვანი იხსენიება, რაც უფრო სწორი უნდა იყოს, ვინაიდან საქართველოზე ლაშქრობას მალე სწორედ ვანის დაპყრობა მოჰყვა. ქართული წყაროს მიხედვითაც ირანის ლაშქარი დიდხანს არ დარჩენილა საქართველოში, რადგან „ყაენისაგან ბრძანება მოუვიდა — სარდალი თავისის ლაშქრითაო ვანის ციხეზედ წავიდესო"[82].

„ფეზლექესა" და ფ. გორგიჯანიძის ცნობებიდან გამომდინარე, საქართველოსა და ვანზე ყიზილბაშთა თავდასხმები არ უნდა ყოფილიყო დიდად დაცილებული ერთმანეთს.

რაკი იმავე „ფეზლექეს" მიხედვით, ვანის ლაშქრობა 1043 წლის მუჰარამის თვეში, ე. ი. 1633 წლის ივლისში მოეწყო"[83], ირანელთა შემოსევასაც საქართველოში იმავე 1633 წლის პირველ თვეებში შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი.

ქართულ წყაროებში როსტომის გამეფების თარიღად ნაჩვენებია 1632, 1633 და 1634 წელი[84], მაგრამ ისტორიოგრაფიაში რატომღაც 1632 წელია გავრცელებული. ამგვარი დათარიღება, ჩვენი აზრით, არ არის სათანადოდ დასაბუთებული. თვით ის გუჯარიც კი, რომელიც საფუძვლად დაედო მიღებულ დათარიღებას[85], უფრო 1633 წელს უჭერს მხარს, ვიდრე 1632-ს (1648 წელს როსტომი აღნიშნავს: „დაიწერა ესე გუჯარი მეფობისა ჩუენისა მეათექვსმეტესა"...[86]). განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმას, რომ ამ ამბის თანამედროვე და თვითმხილველი თეიმურაზი წერდა, ირანელები საქართველოს ზამთარში შემოესივნენო[87]. მეორე ცნობის მიხედვით ზუსტდება, რომ სარდალი როსტომ-

[80] ფეზლექე, ტ. II, გვ. 151.

[81] ნაიმა, ისტორია, ტ. III, გვ. 146.

[82] ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ხ. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე", ტფ., 1925, II, გვ. 239—240.

[83] ფეზლექე, ტ. II, გვ. 153.

[84] თ. ჟორდანია, ქრონიკები II, გვ. 449, 450; ჯ. ოდიშელი, მცირე ქრონიკები, თბ., 1968, გვ. 32, 48, 62.

[85] ივ. ჯავახიშვილი, „ქართველი ერის ისტორია", IV, გვ. 370.

[86] თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 464.

[87] М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений 1615—1640, Тб., 1937, გვ. 116. როგორც ვთქვით, მუსტაფა ნაიმა თავის ისტორიაში თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ქათიბ ჩელების „ფეზლექეს". ნაიმას ცნობები გაანალიზებული აქვს ვ. ჩოჩიევს, რომელმაც თეიმურაზის წერილისა და ნაიმას 1042 წლის ამ ამბის შედარების შედეგად აღნიშნა, „ირანელების შემოსევა უნდა მომხდარიყო 1632 წლის მიწურულს ან 1633 წლის დასაწყისში, ე. ი. 1632—33 წლების ზამთარში" (ვ. ჩოჩიევი, „ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო", გვ. 363).

ხანი[88] 130000 კაცით შემოესია საქართველოს, ხოლო 1633 წლის 18 თებერვალს თეიმურაზი იმერეთში გახიზნულა".

ამგვარად ქათიბ ჩელების ცნობების სხვა წყაროთა მონაცემებთან შეჯერებით ირკვევა, რომ როსტომი ქართლში გამეფდა 1633 წლის დამდეგს. აღსანიშნავია ისიც, რომ როსტომ მეფის ყველაზე ადრინდელი ორენოვანი საბუთი დათარიღებულია 1633 წლის 26 მარტით[89].

ყიზილბაშთაგან ქართლის ტახტზე დასმული როსტომი საქართველოში თავისი მომხრეების ძებნას შეუდგა და არჩევანი სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანზე შეაჩერა. დადიანისა და როსტომის კავშირმა ოსმალეთის ხელისუფლება ძლიერ შეაშფოთა, ვინაიდან ეს ნაბიჯი დადიანის ირანთან დაახლოების პერსპექტივას სახავდა. 1043 წლის ზილჰიჯეს 5-ში (1634 წლის 2 ივნისს) ჩილდირის ბეგლარბეგი საფარ ფაშა ხალილ ფაშას ატყობინებდა, ხოლო ხალილ ფაშა თავის მხრივ, ოსმალეთის სულთანს მოახსენებდა:

> დადიანი და ვურიელი (ورى) შეთანხმდნენ და ირანისაკენ იბრუნეს პირი. დადიანმა თავისი ქალიშვილი [90] შაჰის მიერ ზავემისა და ქართლის გამგებლად დანიშნულ ხოსრო მირზას მისცა. აჩიკ ბაშსა[91] და თეიმურაზს არ უნდოდათ ვზის მიცემა [იმისაოვის რომ] ხსენებული [დადიანის] ქალიშვილი იმერეთზე გაეტარებინათ. ერთი მხრიდან ხსენებული ხოსრო... 30000-ზე მეტი ყიზილბაშით და მეორე მხრიდან დადიანი და ვურიელი... იმერეთისაკენ გაემართნენ და [თეიმურაზსა და იმერეთის მეფეს] თავს დაესხნენ. მათ შორის დიდი ხოცვა-ჟლეტის შემდეგ, წმინდა ვანგებით დადიანმა გაიმარჯვა[92].

„ფეზლექეს" მიხედვით მარიამი ქართლში 1634 წლის მაისში ჩამოუყვანიათ. ამ ფაქტს ისქანდერ მუნშიც 1634 წლით ათარიღებს[93]. იგივე გაიზიარა ივ. ჯავახიშვილმაც[94]. არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც. კ. გრიგოლიას მიხედვით, მარიამი ქართლში 1633 წელს მოიყვანეს[95]. საყურადღებოა, რომ ეს მოსაზრება გამოთქმულია სიონის ტაძრის ერთ-ერთ გუჯარზე დაყრდნობით, რომელიც არ იძლევა საფუძველს ამგვარი დასკვნისათვის. 1634 წლით დათარიღებული გუჯარის მიხედვით, მარიამი „თარხნობისა წიგნს" უბოძებს „სიონთა ღვთისმშობელს ყმათ", რომლებიც მას პირის სანახავად მიართვეს[96]. თუ დედოფალმა პირის სანახავად მირთმეული „თბილელი და სათბილელო ყმა" 1634 წელს გაათარხნა, აშკარაა ის ქართლში უფრო ადრე უნდა ყოფი-

---

[88] აქ იგულისხმება როსტომ-ხან საკაძე, ირანის სახელოვანი სპასალარი, რომელიც მოუძღოდა როსტომ მეფისათვის გამოყოლილ ირანელთა ლაშქარს. მის შესახებ დაწვრილებით იხ. ელ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ირანის სპასალარი როსტომხან საკაძე, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები", თბ., 1966; გვ. 288—293; მ. თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902, გვ. 125.

[89] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ, თბ., 1955, გვ. 85.

[90] ქათიბ ჩელები მარიამს შეცდომით მიიჩნევს ლევან დადიანის ქალიშვილად.

[91] იგულისხმება იმერეთის მეფე გიორგი.

[92] ფეზლექე, გვ. 158.

[93] B. D o r n, Beitrage zur geschichte der kaukasischenländer und völker, aus morgenländischen quellen, mémoires de l'academie impériale des sciences de Saint Pétersbourg, Sixième série, St-Pétersbourg, 1840, გვ. 427.

[94] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 376.

[95] კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, თბ., 1971, გვ. 24.

[96] თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთი, ფოთი, 1903.

ლიყო მოყვანილი"[97], — აღნიშნა კ. გრიგოლიამ და რაკი ეს ფაქტი დაკავშირებულია მარიამისეული „ქართლის ცხოვრების" გადაწერის თარიღთან, ამდენად მისი შედგენის ქრონოლოგიური ჩარჩოც 1633—1645 წწ-ით განსაზღვრა[98].

როგორც შევნიშნეთ, მარიამის ქართლში მოსვლის თარიღია 1634 წლის მაისი. აქედან გამომდინარე, მარიამისეული ქართლის ცხოვრების შედგენის შესაძლებელი პერიოდი 1634 წლიდან 1645 წლამდე უნდა ვივარაუდოთ.

---

[97] კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 115.

[98] კ. გრიგოლიამ გადაათარიღა ე. თაყაიშვილისეული მიღებული დათარიღება 1638—1646 წწ. (Е. Т а к а й ш в и л и, Описание рукописей Общества распространения грамотности грузинского населения, II, вып. I, Тифл., 1906, გვ. 34.

გივი ელიავა

ქართა (აგვარა) სამეგრელოში

მესაქონლეობა სამეგრელოში მეურნეობის ერთ-ერთი ტრადიციული და დაწინაურებული დარგია, რომლის განვითარებას ხელს უწყობდა შესანიშნავი საზაფხულო და საზამთრო საძოვრების არსებობა. ზამთარში საქონლის გამოსაკვებად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ჭალადიდის მასივებს, რომელთაც დღესაც იყენებენ ამ მიზნით; ხოლო მთიდან ბარში და პირუკუ საქონლის გადარეკვის დროს სარგებლობენ კურზუს, ბალდის და ჯორწყუს ტყიან-ველიანი საძოვრებით. ამ ადგილებში საქონელს აბალახებენ გაზაფხულის მიწურულს, როდესაც ჯოგი გადაჰყავთ ბარიდან მთაში, და შემოდგომის დამდეგს, როცა მთიდან ბარში ეშვებიან.

მთასა და ბარში საძოვრების სეზონური გამოყენების შესახებ პროფ. ს. მაკალათია წერს: „აქაური ჯოგი ზაფხულობით მთაშია: **დვირაში, კემლაკეს**არში და ოცალუეში (ტეხურის სათავეში, აგარაკ ლებარდეს მახლობლად). საქონელი მეგრელებს ზაფხულობით გადაჰყავთ, აგრეთვე, რაჭაში, ბაღდადში და გურიაში... შემდეგ ჯოგებს ბარისაკენ მიერეკებიან და ზამთრობით საქონელი უყენიათ: ჭალადიდში, სირიაჩქონში, აჯამეთში, ხორგა-ხეთაში"[1].

როგორც მუდმივ, ისე სოფლის განაპირა სანახირო საძოვარზე საქონელი დღისით დგას, ხოლო ღამით შეჰყავთ საგანგებოდ შემოკავებულ სადგომში, რომელიც შედარებით მოფარებული და დაცული ადგილია. ასეთი სადგომი მოსახლეს კარმიდამოშიც აქვს და საქონელი ვიწრო ორლობეთი შედის შიგ. კარმიდამოს ამ ნაწილს ბარში ქ ა რ თ ა ს ეძახიან, ხოლო მთაში — ა გ ვ ა რ ა ს. ი. ყიფშიძის განმარტებით, აგვარა საქონლის სადგომი ბოსელია (Скотный двор, хлев), ხოლო ქართა — საზაფხულო ბოსელი (летний хлев)[2]. ნ. თოფურიას ცნობით, „ზაფხულის პირობებში საკარმიდამო ეზოს გვერდით ან უკან საქონლისათვის შემოღობილი ადგილი ჰქონდათ, რომელიც ქართას ან აგუარას სახელით იყო ცნობილი"[3].

აგვარა ან ქართა რამდენიმე განყოფილებადაა გატიხრული. მწყემსების გადმოცემით, მთაში ამ შემოკავებულ, გამაგრებულ და განყოფილებებად დანაწილებულ სამეურნეო ნაგებობას კ ა რ ე ს უწოდებენ საერთოდ. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგან კარე მწყემსთა სადგომ ნაგებობასაც ჰქვია, ზოგჯერ კი მას ჯ ი ხ ურ ს ა ც უძახიან.

პროფ. ალ. რობაქიძე ტერმინებს კ ა რ ე ს ა და ს ა კ ა რ ე ს ფართოდ იმოწმებს. მისი დაკვირვებით, „მეურნეობის ამ დამხმარე ბაზის მნიშვნელო-

---

[1] ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 191—192.

[2] И. К и п ш и д з е, Грамматика мингрельского языка, გვ. 152, 341.

[3] ნ. თ ო ფ უ რ ი ა, საქონლის საზამთრო და საზაფხულო სადგომები დასავლეთ საქართველოში, კრებ. „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები" („მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", ტ. XV), თბ., 1970, გვ. 22.

ბაზე მიუთითებს ტოპონიმიკური მასალა, რომელშიც მსგავსად გვხვდება ქვარცხსაკარე, მიქაძე კარე, მათეშ კარე. ბასას კარე, ტუკის კარე, აგის კარე" და ა. შ.[4].

კარეს (აგვარას) შემოსადენ ნაწილს, სადაც ერთად შემოდის საქონელი, საკუთრივ ა გ ვ ა რ ა ს უწოდებენ. აგვარაში საქონელი იწველება. ამის შემდეგ იგი ნაწილდება სახეების მიხედვით და იკავებს თავის კუთხეს, თავის საღამურ სადგომს, რომელსაც თ, ფ ეწოდება. ყველა სახეობის საქონელს, წვრილფეხობასაც, თავისი თ, ფ აქვს.

ამგვარად, ეს შემოღობილი არე ორ ნაწილად იყოფა: თ. ფ და ა გ ვ ა რ ა. შემოღობილის წინა ნაწილში არის ჯ ი ხ უ რ ი, სადაც მწყემსი ცხოვრობს. მას ერთ მხარეზე ო გ ი ნ ე — სახბორე აქვს მოწყობილი, ხოლო მეორე მხარეს მცირე ჯიხურია მიდგმული ძაღლისათვის (ოჯოღორე). როგორც ვხედავთ, კ ა რ ე რთული სამეურნეო ერთეულია, რომელშიც შედის თ. ფ, ა გ ვ ა რ ა და ჯ ი ხ უ რ ი.

საინტერესო ჩანს სახელწოდება თ, ფ. ამ სიტყვის ფონეტიკური აღნაგობა გვაფიქრებინებს, რომ იგი ტ, ბ-ს სახეშეცვლილი ფორმა შეიძლება იყოს. ასეთი ცვლილება სავსებით კანონზომიერი მოვლენაა ქართულისათვის: ტფილისი — თბილისი, ტბილი — თბილი ან მეგრ. ტ, ბ. „ხმოვნით დაწყებული სუფიქსის დართვისას ტაბ-ს დაუკარგავს ა-, უნდა მიგვეღო ტბ. აქედან ასიმილაციით(?) მივიღეთ ტფ (ძველ ქართულში გვქონდა ტფ-ილი. გან-ტფ-ა)"[5]. — წერს აკად. ა. ჩიქობავა.

როგორც ვხედავთ, თ, ფ ასიმილაციის გზით შეიძლება ტ, ბ-დან იყოს წარმოქმნილი. ასეა თუ ისე, აშკარაა, რომ თ, ფ სხვა არაფერი შეიძლება იყოს. თუ არა თბილი, ტ, ბ (მეგრულად — თბილი) ადგილი, სადაც ღამე დგომა და დაწოლა შეეძლო საქონელს. საკუთრივ აგვარა, ან შემოღობილის ცენტრალური ნაწილი, დიდია. თანაც წველისა და შემოდენის დროს საკმაოდ ატალახებულ-აშლილია. ასეთ ადგილას საქონელი ვერ ისვენებს თბილად. ამიტომ იგი უფრო სუფთა და მოფარებულ ადგილს ეძებს. იქ იღამებს გამოყოფილად. რადგან ძროხა ხარებთან და ცხენებთან ვერ მოისვენებს. ასევე, ხარიც ცალკე გამოყოფას ირჩევს, უფრო თავისუფალ საწოლს ეძებს. ცხენიც თავის საკუთარ საბეკში დგება, ცხვარიც, თხაც და ა. შ. ამ გამოყოფას მწყემსიც უწყობს ხელს, იგი ერთგვარ ჩვევასაც ნერგავს საქონელში.

ამგვარად, ამ ერთიანი სამეურნეო ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში, კერძოდ, აგვარაში, რომელიც გარეზღუდით გამიჯნულია სხვა განყოფილებებისაგან და საკმაოდ ვრცელ ფართობს მოიცავს, საქონელს წველიან, ითვლიან, მკურნალობენ, სინჯავენ და სხვ. შემდეგ საქონელი თავთავის თ. ფ-საკენ მიდის.

ამ ერთიან სამეურნეო ნაგებობას, როგორც აღვნიშნეთ, მთაში კ ა რ ე ს ეძახიან. აგვარა, ალბათ, მოგვიანებით უნდა დარქმეოდა მთელ ნაგებობას. ბარში ქართა მახორობის, კარმიდამოს ნაწილიცაა, ოღონდ, უფრო თვალსაჩინოდ გამოყოფილი. ქართა იმერეთსა და გურიაშიც ამავე მნიშვნელობით იხმარება. რაჭაში, ქვემო იმერეთში, გურიაში (იგულისხმება გურიის მთიანეთი) ქ ა ლ თ ა, ქ ა ლ ტ ა და ქ ა რ თ ა გვხვდება, აგვარა კი არ დასტურდება. მაგ-

---

[4] ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მეფუტკრეობა გურიაში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", ტ. V, თბ., 1951, გვ. 37.

[5] ა. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938, გგ. 327.

რამ ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ უნდა ნიშნავდეს, რომ ქართულში მსგავსი ტერმინი არ გვქონია. იოანე ბაგრატიონის ლექსიკონში ვკითხულობთ: „ა გ ვ ა რ თ ა არის საძროხე გომი სადგურად ზამთრობით მინდორში თუ ტყეში აშენებული“[6]. რ. ხარაძეს და ალ. რობაქიძეს აგვართა ფიქსირებული აქვთ გურიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც. „გურიაში იგი აგვართას სახელით არის ცნობილი. ლანჩხუთის რაიონში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალით, აგვართა ტყიან ჭალებში იმართებოდა და მიზნად ისახავდა საქონლის გამოკვებას ზამთრის მანძილზე, ე. ი. აგვართა მესაქონლეობის ინტერესებში ეწყობოდა, თუმცა აქვე სიმინდის ყანასაც იმართავდნენ და სათიბსაც. ხელსაყრელ პირობებში აქ დაზამთრებულნი მისდევდნენ ნადირობას, მეთევზეობას და მეფუტკრეობას“[7].

როგორც ვხედავთ, ტერმინი აგვარა ქართულისათვის უცხო ლექსიკურ ერთეულად არ ჩანს. მეგრულში მტკიცედ ზის ლექსიკური ერთეული გ ვ ა რ თ უ ა — დაზვინვა, დახორავება, დაყორვა, შემოკავება. აქედან არის ნაწარმოები: გეშავგვართუნქ, გეშავგვართათ, ქუდუოგვართანქ, დოვგვართუნქ, ქუდაგვართი (ამოვგვართავ, ამოვაკავოთ, დავზვინავ, ზვინებად დავდგამ, დავზვინე). ჩანს, გვართუა დაზვინვაა, დაყორვაა, ხოლო ეშაგვართუა — ამოღობვა, ამოყორვა, შემოკავება. ასეთი მნიშვნელობით იხმარება ეს სიტყვები მთელს სამეგრელოში, ბარის თუ მთის სოფლებში.

ისმის კითხვა: იმერულ და მეგრულ ლექსიკაში ასე მტკიცედ შემორჩენილი ერთეული ქ ა რ თ ა ც გ ვ ა რ თ ა დ ა ნ ხომ არ არის წარმოქმნილი? ფონეტიკური მსგავსება, გარდამავალი ხშირობა ასეთ შესაძლებლობას არ გამორიცხავენ. ე. ი. გ ვ ა რ თ ა — შემოკავებული, გამაგრებული ადგილი, ხომ არ არის იგივე ქ ა რ თ ა? ან პირუკუ, ხომ არ მოხდა ქ ა რ თ ა ს გ ვ ა რ თ ა დ გარდაქმნა?

ტერმინ k a r t-თან დაკავშირებით, რომელიც ოსურში ე ზ ო-ს მნიშვნელობით იხმარება, კ. აბაევი აღნიშნავს, რომ იგი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ტერმინი, რომელიც წარმოადგენს ოსური, ზოგი კავკასიური და უგრო-ფინური ენების საერთო კუთვნილებას. მისი სიტყვით ამ ტერმინის წარმომავლობის დ ა მ ა ხ ე რ ე ბ ე ლ ი ა ხ ს ნ ა ა რ ა რ ს ე ბ ო ბ ს; მ ა გ რ ა მ ა რ ა რ ი ს გ ა მ ო რ ი ც ხ უ ლ ი, რომ სკვითურ-სარმატულ სამყაროს შეესრულებინა შუამავლის როლი უგრო-ფინურ და კავკასიურ სამყაროთა შორის[8].

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ტერმინი ქართულიდან უნდა მომდინარეობდეს. დღეს აფხაზურში ამ ტერმინის ასე მტკიცედ არსებობაც შეიძლება ქართულის ნიადაგზე დაფუძნების და ქართველობასთან და ქართულ ენასთან ურთიერთობის შედეგი იყოს. ამ მხრივ საინტერესო ფაქტად შეიძლება დავასახელოთ ისიც, რომ ა გ ვ ა რ თ ა აფხაზურ ეთნოგრაფიულ სინამდვილეშიც გვხვდება. ალ. რობაქიძეს იგი დამოწმებული აქვს ბზიფის აფხაზეთშიც[9]. ისიც საყურადღებოა, რომ ა გ ვ ა რ ა ქვის ზღუდეს, ქვით შემოზღუდულ სადგომს წარ-

---

[6] დ ა ვ ი თ დ ა ი ო ა ნ ე ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ე ბ ი ს ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., 1967, გვ. 183.

[7] რ. ხ ა რ ა ძ ე, ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი ძველად., თბ., 1964, გვ. 97.

[8] В. И. Абаев, ИЭСОЯ. I. М.-Л., 1958, 586—587; შდრ. ა ლ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960, გვ. 39.

[9] „აქა-იქ ტერმინ აგვარას-თან პარალელურად, მაგრამ უფრო ვიწრო მნიშვნელობით აგვართა-ც გვხვდება“ (ა. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, მეფუტკრეობა გურიაში, გვ. 38).

მოადგენდა მესაქონლე აცნებ-ის საცხოვრისში, რომელთაც ლეგენდარულ, მითიურ ხალხად მიიჩნევენ და აღნიშნავენ, რომ მითი ამ ზღუდეებს „აცანგვარას“ უწოდებს. აცანები ან ცანები, შ. ინალ-იფას მიერ მოტანილი გადმოცემების, ლეგენდების, მითების საფუძველზე, პირველყოფილი მესაქონლე ხალხი ყოფილა, რომელსაც მესაქონლეობის მაღალი კულტურა ჰქონია. ისინი თხების პირველ სახალხო სელექციონერებად ითვლებიან[10].

ცაა (ცაავა) გვარია სამეგრელოში. ეს გვარი თხების (ც, ა) სახალხო სელექციონერად ითვლება დღესაც. თვით გვარს ც, ა-დან წარმომდგარად თვლიან, რაც კნინობითი არაა. მათი გამოყვანილი თხები XIX საუკუნეშიც დიდად ფასობდა სამეგრელოსა და იმერეთის ბაზრებში.

ცანა (ცანავა) მრავალრიცხოვანი ქართული გვარია. ეცანე, ცანათი, ეცე მათი დასახლების აღმნიშვნელი ტოპონიმებია სამეგრელოში. რაც დამოწმებულია ლიტერატურაში (ი. ყიფშიძე, ა. ღლონტი და სხვები).

ამასთან, გვარა გორაა. გორა ზღუდედ ითვლება იმერეთში. სამიქაოში. მარანში, ქოლობანშიც კი, მეზობლებს შორის მიჯნას, ზღუდეს მიწის გორებით ავლებენ. ეს ჩემი მეგორავეაო, ამბობენ, ე. ი. ჩემი გორას მომიჯნავეა, ჩემი მეზობელიაო. ამრიგად, გორას, გვარას, გვაჲას გათვალისწინებაც აგვარაზე დაკვირვების დროს, არ უნდა იყოს ინტერეს მოკლებული.

ამ მხრივ მრავალი სხვა საინტერესო ვარაუდიც ისახება, მაგრამ მათი განხილვა შორს წაგვიყვანდა. ერთი რამ ცხადია: ლექსიკური ერთეული აგვარა და გვართუა ქართული ერთეულებია, რაც ხალხების საუკუნოვანმა ურთიერთობამ საზიარო გახადა. აფხაზურში გვხვდება აგვარა და მთიან სამეგრელოშიც მესაქონლეთა შორის ეს ტერმინია გავრცელებული ქართას გვერდით. „რამდენადაც „ქართლში“ „აკროპოლის“, ქალაქის, ციხე-სიმაგრის, გალავანშემოვლებული ადგილის მნიშვნელობა შეიძლება ვიგულისხმოთ, მისი სემანტიკური სიახლოვე დასავლურქართულ „ქართა“-სთან, რაც შემოზღუდულ ადგილს ნიშნავს, ვფიქრობთ, აშკარაა“[11]. ამრიგად, ქართა ძველი ქართული ტერმინი ჩანს, რომელიც საფუძვლად დაედო „ქართლის და „ქართის“ შექმნას.

მაშასადამე, ქართა ქართული ტერმინია, სავსებით გასაგები ქართველი კაცისათვის. აქაც საქონელს წველიან, უვლიან და ღამით აყენებენ. მაგრამ იგი ბარის სოფლებში ყველა კარმიდამოს შემადგენლობაში არ გვხვდება. მეურნეს, ვისი ძირითადი საქმეც მიწის დამუშავებაა და საქონლის ჯოგი არა ჰყავს, ჯოგსადგომი ნაგებობაც არ გააჩნია. მაგრამ, ვისაც საქონელი მცირე რაოდენობით მაინც ჰყავს, ქართაც აქვს, ოღონდ მარტივი შედგენილობისა. ასეთ ქართში ერთ მხარეს ხშირად ოთხ ბოძზე დაყრდნობილი, ორფრთიანი სახურავით გადახურული ღია ფარდული დგას, რომელსაც ჩხანჭის ეძახიან. აქ თავს აფარებს საქონელი წვიმისა და უამინდობის დროს. ქართას ღობის გაგრძელებაზე მოწყობილია ოღეჯე (საღორე), ობატე (საბატე), მარაკა (ქაბარკა) — თხის დასამწყვდევი მცირე ჯიხური. ყველა ეს ჯიხური ძი-

---

[10] Ш. Д. Инал-Ипа, Страницы исторической этнографии абхазов, Сухуми, 1971, გვ. 122, 140.

[11] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 239. ამ საკითხს აყენებდა პროფ. ს. კაკაბაძეც (იხ. მისი, ქართული სახელმწიფოებრიობის ვენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე“, I, თბ., 1924, გვ. 5).

ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ (ᲓᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘᲡ/ᲒᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ)

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲙᲚᲔᲑᲘᲡ (ᲛᲔᲤᲔᲡᲐᲠᲗᲘ)

1970 Წ.



ასხში გ. სხულუხიას ეკვარას
(კარეს) გეგმარი. 1959 წ.

ძირითადად ორფრთიანი სახურავით გადახურული ნაგებობაა და კარი ქართის ღობეში აქვს დატანებული, საიდანაც ღამით შეჰყავთ; ხოლო დილით გამოჰყავთ ღორები, ბატები, თხები.

ვინც ბარად ძირითადად მესაქონლეობას მისდევს; მის ნაგებობათა კომპლექსში ქ ა რ თ ა უფრო რთული შედგენილობისაა და მნიშვნელოვანი ადგილიც უჭირავს. თ, ფ აქ უკვე აუცილებელია. მაგალითად, კესა ჩიქოვანი (სოფ. კეთილარი) აღნიშნავდა, რომ ქართაში საქონელი სახეობის მიხედვით თავის სადგომზე, თავის კუთხეში დგება. ამასვე ადასტურებს ნაესაკაოში მცხოვრები ყოფილი მესაქონლე, 85 წლის ფილიმონ გაბუნიაც. მაშასადამე, თ. ფ მთაშიც და ბარშიც ქართას (აგვარას) შედგენილობაში შედიოდა.

საქონლის სადგომის ასეთი შედგენილობა და ფუნქცია დასავლეთ საქართველოში მესაქონლეობის უძველესი ტრადიციისა და მდიდარი კულტურის არსებობის დამადასტურებელია.

Т. А. ЧИКОВАНИ

ФОРМЫ ПОСЕЛЕНИЯ НА ЦЕНТРАЛЬНОМ МАЛОМ КАВКАЗЕ

В этнографической науке, наряду с другими вопросами одним из важнейших и наиболее актуальным является вопрос о формах поселения. Поселение по своему содержанию непосредственно, органически связано с хозяйством и ландшафтом[1]. Кроме того, как уже доказано, поселение является одним из важнейших источников в деле изучения общественного быта того или иного народа[2]. Общеизвестно, что любая форма поселения состоит из ряда домов. И поэтому, тот, кто изучает жилище, для полной картины обязан коснуться и поселения, где непосредственно развивается жилище.

В исторический, на территории Центрального Малого Кавказа переплетались жизненные интересы не только народов Закавказья, но и некоторых могущественных государств Передней Азии и Ближнего Востока. Об этом много написано, и поэтому мы здесь не будем повторять уже неоднократно сказанное. Но, чтобы не быть голословным, мы со своей стороны добавим, что наряду с другими фактами, подтверждением такого огромного интереса служат и остатки материальной культуры неместного происхождения — постоялые дворы, культовые сооружения, мосты и старые укрепления, которые непосредственно свидетельствуют о пребывании в этих краях иноземных захватчиков.

На территории этого края в свое время проходили торговые пути международного значения, которые играли огромную роль в политической, экономической и культурной жизни не только народов Закавказья, но и в целом Кавказа, и отчасти в жизни народов Передней Азии и Ближнего Востока[3].

Кроме этого, на территории Закавказья и поныне существуют старые проселочные и вьючные тропы[4], которыми на протяжении многих веков пользовалось население данного края. Проживающие здесь народы — грузины, армяне, азербайджанцы и другие посредством этих дорог и троп развивали свои межсоседские культурно-экономические взаимосвязи. Поэтому, в силу такого исторического переплетения судеб, тем более интересным становится изучение жилища и поселения народов Центрального Малого Кавказа.

---

[1] М. В. Витов, О классификации поселения, С Э № 3, 1953; Его же, Гнездовой тип поселения на русском о севере, С Э № 2, 1955; А. И. Робакидзе, К вопросу о форме поселения в Сванетии, КСИЭ, вып. XXIX, 1958; Его же, К вопросу о формах поселения в Аджарии, труд БНИИ, т. I, Батуми, 1960 (на груз. яз.); Его же, Поселение как источник изучения общественного быта, М., 1964; М. Насирли, Сельские поселения и крестьянские жилища Нахичеванской АССР, Баку, 1959; С. Гаджиева, М. Османов, А. Пашаева, Материальная культура даргинцев, Махачкала, 1967.

[2] А. Робакидзе, Поселение как источник изучения общественного быта.

[3] Л. Чилашвили, Город Рустави, Тб., 1958 (на груз. яз.), стр. 184—206; Э. Сихарулидзе, Торговые пути Закавказья по данным арабских источников IX—Хвв. «Вопросы истории Ближнего Востока», Тбилиси, 1963 (на груз. яз.), стр. 179—187.

[4] Н. А. Бердзенишвили, Дороги Грузии в эпоху Руставели, Тб., 1966, (на груз. яз.), стр. 65—67, 71—79.

В горных районах Малого Кавказа, в отличие от равнины, формы поселения, наряду с хозяйством большей частью определяет рельеф, топография местности. Исходя из этого фактического положения, нашей целью является на новом этнографическом материале показать старые и новые формы сельских поселений. Наряду с этим, выяснить вопрос, как влияет рельеф, топография местности на форму поселения. Но прежде чем перейти к изучаемому вопросу мы кратко коснемся географической среды Центрального Малого Кавказа.

Данная область Малого Кавказа, которая одновременно является и Центральным Закавказьем охватывает смежные районы трех Закавказских республик. На стыке этих республик расположены пограничные районы Грузии, Армении и Азербайджана: Болнисский, Дманисский, Марнеульский (Грузинская ССР); Алавердский, Иджеванский, Красносельский, Ноемберянский, Калининский, Шамшадинский (Армянская ССР); Казахский, Кедабекский, Дашкесанский, Таузский (Азербайджанская ССР).

Территория Центрального Малого Кавказа с западной стороны граничит с восточными отрогами Джавахетского хребта. С юга — Базумским хребтом, а юго-востока Шахдагским, или Севанским хребтом. Что касается северной и северо-западной части, здесь естественной границей является сперва р. Кура, а потом р. Храми.

Уровень высоты грузинской части данной территории Малого Кавказа колеблется в основном между 100—1500 м над уровнем моря[5]. Но кроме этого, некоторые микрорайоны этой области доходят до 2500 м, где и сосредоточены высокогорные пастбища — альпийские луга.

Природные ландшафты Малого Кавказа в достаточной степени разнообразны. Кроме равнины здесь можно выделить следующие природные единицы: **зона предгорий,** с климатом переходным от субтропического — сухого, к умеренно-влажному. Верхняя граница этой зоны доходит до 900 м от уровня моря[6]. **Зона горно-лесная,** с широколиственными лесами (дубово-грабовым и буковым). Границы этой зоны представлены 900—1200 м.м.[7]. **Нагорная равнина;** верхняя граница колеблется между 1700—1800 мм. От Грузии в эту зону входят горные долины Гомарети, Зуртакети, Бедены, Кция-Цалка[8]. С нагорной зоны непосредственно начинается **субальпийская зона,** которая распространяется до 2400—2500 м. Потом идет **альпийская зона.** Эти две последние зоны издревле славились своими тучными лугами, которые являются первоклассной базой для развития скотоводства.

По данной области Малого Кавказа протекают реки Машавера, Алгети, Храми, Дебеда (Бердуджи), Акстафа-чай-Агстев, Тавузчай-Тавуш и Дзегам-чай, которые кроме Машавера и Дебеда являются правыми притоками р. Куры. Что касается Машавера и Дебеда они в свою очередь являются также правыми притоками Храми.

Из этих рек самой большой является Храми, которая протекает на территории Грузии и около границы Грузии и Азербайджана, у знаменитого Красного моста («Гатехили хиди»), впадает в Куру. Так же, только на территории Грузии протекают Машавера и Алгети (Тетрицка-

---

[5] Д. Уклеба, Природные условия и ресурсы Нижнего Картли, труды ин-та географии им. Вахушти, т. IX, Тбилиси, 1956, стр. 88 (на груз. яз.).

[6] Д. Уклеба, Указ. работа, стр. 118; Грузия, М., 1967, стр. 59—60; Армения, М., 1966, стр. 255.

[7] Д. Уклеба, Указ. работа, стр. 119; Грузия, там же; Армения, там же.

[8] Там же, стр. 121.

ройский, Дманисский, Болнисский и Марнеульский районы). В отличие от этих рек все остальные свою жизнь начинают в горах Армении. Например, р. Дебеда свои истоки берет в Лорэ-Памбак. Она сперва проходит Армению — Алавердский и Ноемберянский районы, и после этого уже на территории Грузии, в Марнеульском районе впадает в Храми. Также в Армении начинаются реки Акстафа-чай-Агстев и Тавуз-чай-Тавуш. Первая из них начинается с Севанского перевала, где она берет свое начало, проходит ущелье Дилижан-Иджеван и после этого уже на равнине Казахского района (Азербайджан) впадает в Куру. Тевуш-Тавуз-чай начинается из Мургузского хребта, проходит Шамшадинский район и на территории Азербайджана (Тавузский район) сливается с Курой. Что касается Дзегам-чай она начинается и кончается на территории современного Азербайджана. Дзегам-чай сливается с Курой в Шамхорском районе.

В ущельях и долинах этих рек, которые с обеих сторон впадают множество горных речушек сосредоточены народы Центрального Малого Кавказа:Азербайджанцы, Армяне и Грузины.

Данная область отличается пестротой населения, разнообразием сельского хозяйства и неровным рельефом. Здесь глубокие ущелья, лесистые горные долины и альпийские луга переплетены между собой. Входящий в нее каждый район имеет свои особенности. Например, если основная часть Казаха и Тауза являются типичными низменными плоскостями, этого нельзя сказать в отношении Дманисского или Калининского районов, которые являются почти целиком субальпийским нагорьем. В этих районах основную площадь составляют горные долины и субальпийские луга[9]. Остальные же районы, входящие в эту область — Шамшадинский, Красносельский, Алавердский, Ноемберянский (Армянская ССР); Кедабекский и отчасти Дашкесанский (Азербайджанская ССР); Болнисский и отчасти Марнеульский характеризуются изрезанным рельефом, сравнительно небольшими горными долинами и лесными массивами[10].

В этой области Малого Кавказа в общем преобладает симбиозное сельское хозяйство. Но если возьмем по отдельности, то в некоторых районах наблюдается преобладание скотоводства, а в других — полеводство, или же садоводство. Для примера возьмем Ноемберянский район. Этот район по своим естественно-климатическим условиям больше всего соответствует садоводству. И поэтому не удивительно, что Ноемберян в последнее время стал садоводческим районом. Но кроме этого в Ноемберяне довольно хорошо развито полеводство и скотоводство; выращивают высококачественную пшеницу, кукурузу и разводят племенной скот. Здесь же надо добавить, что низменная часть этого района — Дебедское ущелье является своего рода субтропиками Армении[11]. «Здесь вдоль правого берега Дебеда тянется полоса пышно-зеленеющих садов. Могучие кипарисы, густые заросли граната, хурмы и инжира, стройные ряда деревьев душистого благородного лавра, миндаля, маслин...»[12]. Кроме этих отраслей, в настоящее время здесь неплохо развито виноградарство, бахчеводство, табаководство. Но ведущее положение, как уже отмечали, занимает фруктовое садоводство.

---

[9] Д. Уклеба, Указ. работа, Грузия, стр. 59—60; Армения, стр. 255.

[10] Там же, Армения, стр. 58—59; Грузия, стр. 169—170.

[11] Там же, Армения, стр. 241—242.

[12] Там же, Армения, стр. 241.

Почти все вышеперечисленные районы Центрального Малого Кавказа в географическом отношении можно разделить на три зоны: **низкогорье, среднегорье и субальпийский луговой ландшафт**[13]. В субальпийской зоне, как правило, ведущей отраслью всегда является скотоводство, после которого второе место занимает полеводство, где ведущей культурой после революции стал картофель.

В среднегорье и низкогорье преобладает симбиозное хозяйство с преимущественной отраслью, которая является специфичной особенностью для данного района. К примеру, возьмем Дманисский район (Грузинская ССР), который в географическом отношении является типичным среднегорьем. Если в целом возьмем этот район в хозяйственном отношении, покажется симбиозным. Здесь одинаково хорошо развито и скотоводство и полеводство. Но, несмотря на это Дманисский район официально считается скотоводческим. Правда, большинство местного населения занимается полеводством (культивизация хлебных злаков и картофеля), но по масштабу территории занятой животноводством в сельском хозяйстве преобладает эта последняя отрасль.

В некоторых уголках этого района (например, Гомаретская долина и долины Машаверского ущелья), население занимается в основном полеводством. Так что, почти на одном и том же микрогеографическом поясе существуют разные по климатическим условиям уголки. Доказательством этому являются долины Гомарети и Зуртакети Дманисского района. В территориальном отношении одна является продолжением другой. Между этими долинами протекает только одна горная речушка Шавцкаросцкали, которая является правым притоком р. Храми. В хозяйственном отношении Зуртакетская долина годна в основном только для скотоводства. И поэтому не случайно, что здесь с древних времен было развито животноводство. А рядом, в Гомаретской долине, в силу микроклиматических и почвенных своеобразий, крестьяне издревле занимаются полеводством. Гомаретская пшеница и поныне славится в Квемо-Картли. Это касается конкретно взятого района. А так, вообще, почва и климат Центрального Малого Кавказа издревле благоприятствовал развитию разнопрофильного сельского хозяйства. Сельскохозяйственные продукты этого края пользуются доброй славой[14].

В связи с особенностями рельефа, сельские поселения этого края характеризуются разнообразием форм. Например, если в Болнисском, Марнеульском, Казахском, Таузском и отчасти Дманисском и Калининском районах деревни и села расположены преимущественно на ровных местах, этого нельзя сказать в отношении других районов. В остальных районах они расположены, главным образом, в ущельях и на склонах гор[15], вблизи естественных источников воды.

«Поселения, содержащие памятники материальной культуры пережили время своего возникновения и существуя на протяжении длительного периода, сохраняют следы породившей их общественно-экономической среды»[16]. Поэтому и не удивительно, что в некоторых уголках

---

[13] Д. Уклеба, Указ. работа, Грузия, стр. 59—60; Армения, стр. 55—61.

[14] Народы Кавказа, М., 1962, т. II, см. соответствующие разделы.

[15] Т. Чиковани, Грузинское народное жилище, Тб., 1960 (на груз. яз.), стр. 21; Т. Чиковани, Из истории народного жилища Закавказья, Тб., 1967 (на груз. яз.), стр. 89, 102—103, 129—132; К. Каракашлы, Материальная культура азербайджанцев, Баку, 1964, стр. 43—56.

[16] А. Робакидзе, Поселение как источник изучения общественного быта, стр. 1.

Малого Кавказа, спорадически сохранились почти до наших элементы старых форм поселения.

В прошлом, в 20-х годах XX века, в этих краях азербайджанские, армянские, грузинские и греко-урумские села обычно состояли из нескольких десятков дворов и имели преимущественно скученную планировку. Для внутрисельского общения служили узкие и кривые улочки. Крестьяне Центрального Малого Кавказа имели небольшие усадьбы, которые главным образом состояли из одного маленького дворика с фасадной стороны домов. Сады и огороды в большинстве случаев находились за селом, и они были разбиты преимущественно вдоль рек. Кроме этого, в армянских и грузинских, а иногда в азербайджанских селах сады и огороды были расположены непосредственно в комплексе жилых и хозяйственных построек. Но здесь же надо оговориться, что это обстоятельство нельзя считать характерным явлением для всех деревень данного края.

Что касается пахотных угодий, они были сосредоточены вокруг села, а иногда и на расстоянии от него. Сенокосы и пастбища, как правило, всегда находились далеко от деревни. В дореволюционном периоде некоторая часть сельских сенокосов и пастбищ принадлежала общинникам, которые в течение одного или двух лет перераспределяли между родами, а эти последние в свою очередь между отдельными семьями. Наряду с общинниками были государственные и такие крестьяне, которые жили на собственных землях помещиков. В отличие от общинников, которые в данное время уже составляли меньшую часть землепользования государственных и «помещичьих крестьян», было регламентировано государственной казной и помещиками[17].

Относительно общего облика деревни можно сказать следующее: каждая из них главным образом распространялась вокруг церкви или мечети, поблизости которых всегда находились кладбища. В больших селах было несколько майданов, кузниц, духанов и родников. При возможности в селении было проведено несколько родников.

В деле определения формы поселения вместе с другими элементами немалую роль играла питьевая вода, **родник.** Все горные и предгорные селения Центрального Малого Кавказа, за исключением некоторых предгорных селений Марнеульского (Грузинская ССР), Казахского и Тавузского (Азербайджанская ССР) районов, питьевой водой все снабжены хорошо. Во всех селениях издревле были проведены родниковая вода, которая снаружи выходила в центральных местах: около майдана, у границ жилых кварталов, поблизости от кузниц, а иногда у мечети или церкви. Все народы проживающие на Центральном Малом Кавказе большое значение придавали благоустройству родниковых колонок. Родниковая колонка у армян и у грузин преимущественно имела форму маленькой базилики, внутри с нишеобразным проемом. В просме были один или два глазка для труб, откуда вытекала прозрачная родниковая или ключевая вода. Колонки для родников всегда сооружали из хорошо обработанного камня и украшали резным орнаментом. Так что, родниковая каменная колонка была своего рода памятником материальной культуры. В больших селах один родник, естественно, не удовлетворял потребность населения и поэтому в нескольких местах был прове-

---

[17] С. Егиазаров, Исследование по истории учреждений в Закавказье, ч. I, Сельская община, Казань, 1889, стр. 120; А. Ерицов, Экономический быт государственных крестьян Казахского уезда, Ельзаветпольской губернии, «МЭБГКЗ», т. II, вып. III, Тифлис, 1886, стр. 215—221; К. Т. Каракашлы, Материальная культура азербайджанцев стр. 36—57.

ден водопровод. Водоснабжение и его устройство было общесельским делом.

Также составными частями поселения являются церковь, внутрисельские коммуникации и ограды. Церковь в дореволюционной деревне являлась главным ориентиром поселения. Около церкви проходила основная дорога, связывающая одну деревню с другой, и поэтому поселение разрасталось преимущественно вокруг этого ориентира.

В тех деревнях, которые были расположены в более ровных и открытых местах, население стремилось поселиться на видном, центральном месте. А такими хорошими местами были центр селения и обе стороны главной дороги, от которой уходили узкие улочки в разные стороны деревни. Двери домов с землянной кровлей выходили прямо в закоулки внутрисельских коммуникаций. Так было во время преобладания жилищ со ступенчато-венцообразным перекрытием или обыкновенных домов с земляной кровлей, т. е. до начала второй половины XIX в., так оставалось почти до коллективизации сельского хозяйства.

Ограда или забор, которые в этом крае были продуктом капиталистического образа жизни для дореволюционной деревни, были весьма характерными элементами. По нашим этнографическим материалам, здесь, до начала второй половины XIX в. можно сказать, что не очень были распространены забор-ограда. А если существовали, то только для ограждения помещичьих усадьб. Крестьянские дворы (если имелись), сады и огороды не были огорожены. Они были размежены только с помощью какого-нибудь ориентира или межевого камня. Во время крепостничества ограда или забор для крестьянского хозяйственного быта был не требуемым элементом, так как земельные угодья и деревни в основном принадлежали дворянскому сословию. Поэтому крестьянам нечего было отгораживаться друг от друга. Но после проникновения в сельскую жизнь капиталистических элементов (в этих краях он произошло уже в начале 70-х годов XIX в.) свое слово сказала и ограда. С этого периода ограда стала необходимым элементом в хозяйственной жизни крестьян данного края. Этот процесс совпал с началом проникновения в строительство домов нового типа. Так что, новшество в домостроительстве в хозяйственном быту вошли с забором.

Одним из основных компонентов поселения является кладбище, которое характерно для всех сел Малого Кавказа. В больших селах с населением свыше пятьсот-шестьсот домов всегда функционировали два-три кладбища, где каждая фамилия имела свои родовые участки. В таких селах, кроме основной церкви, существовали и кладбищенские. Мусульманское население, как все остальные, для кладбища выбирали всегда хорошие места, но в отличие от христиан, они устраивали вдали от мечети.

В некоторых армянских[18] и грузинских селах почти до коллективизации существовали и родовые кладбища, которые были расположены недалеко от патронимических кварталов.

Начиная с зрелого феодализма христианское население Грузии (Квемо-Картли, Месхет-Джавахети, Триалети) и Армении (Гугарк и в некоторых других провинциях) на могилу покойника клали плитообразные большие камни. На надгробных плитах с помощью рельефной резбы, кроме астральных знаков — солнечный диск, Луна, звезды) и зооморфных фигур графически изображали и профессиональную при-

[18] Э. Карапетян, Родственная группа «азг» у армян, Ереван, 1966, стр. 59—64; 138—140.

надлежность усопшего. Например, на надгробном камне землепашца, кроме человеческой фигуры изображали плуг, ярмо, а иногда и быков. Пастух изображался всегда с буркой, посохом и с собакой. Кузнец с принадлежностями кузни. Война в полном вооружении. Ткача с ткацким станком и т. д. Эта древняя традиция в какой то мере и по сей день продолжает бытовать среди грузинского и армянского сельского населения указанных провинций.

На магометанских кладбищах, как известно, в силу канонов исламской религии, всякое художественное изображение всего живого или мертвого категорически запрещалось, тем более на надгробных плитах, т. е. стеллаобразных камнях. На этих камнях разрешалось только делать текст-надпись религиозного характера, с указанием рода и фамилии усопшего. После коллективизации в грузинской части Центрального Малого Кавказа, на стеллаобразных надгробных камнях азербайджанцев появились графические изображения разных предметов быта: кинжал, ножница, ружье, швейная машина, плуг, детская люлька и т. д. С помощью этих предметов азербайджанцы давали знать кто покоится под данным камнем, мужчина или женщина. На надгробных камнях под которым покоился прах мужчины, изображались кинжал, ружье, плуг или какой-нибудь другой предмет, который подчеркивал мужское достоинство. На женских надгробных камнях были выбиты те предметы, с которыми имела дело женщина: ножницы, швейная машина, или детская люлька. Кроме этого, кое где наблюдается и существование изображение профессии покойника. Но здесь же можно сказать, что на азербайджанских надмогильных камнях не встречаются изображения разной профессии. Если на надмогильных камнях есть такое изображение, то оно только указывает на то, что здесь покоится пастух. Эта культурно-историческая грузинская традиция полностью не освоена азербайджанским населением Грузии.

Что касается азербайджанского населения Армении и Азербайджана, там эта «новая традиция» еще не вошла в быт». А если где-нибудь и встречаются кое-какие признаки, это в первую очередь указывает на то, что данная культурная традиция постепенно расширяет границы своего ареала.

В связи с кладбищем и культом покойника в некоторых селениях армянской части Центрального Малого Кавказа наблюдается распространение новой традиции. Как известно, к сожалению, до сих пор бытует ничем не оправданная традиция поминок, которая иногда тяжелым бременем ложится на семью покойника. Армянские, как и грузинские крестьяне устраивают поминки после похорон покойника, на сороковой день и на годовщину смерти. В последнее время в некоторых армянских селах Центрального Малого Кавказа на территории кладбища односельчане сообща строят специальные, навесообразные продолговатые помещения для поминок. Так же специально для поминальной цели сообща покупают посуду и инвентарь, который хранится в том же помещении. Нередко в таких поминальных помещениях устраивают и печку-плиту. И таким образом на кладбищах появляются дома-столовые. Теперь каждая семья, имеющая усопшего, поминки устраивает не у себя дома — на квартире, а на кладбище.

Относительно ухода за кладбищами можно сказать, что дело лучше поставлено у армян и азербайджанцев, чем у грузин. Сельские кладбища эти два народа всегда огораживают каменной стеной и следят, чтобы скот или кто-нибудь другой не осквернил память усопших...

В последнее время на грузинских и армянских сельских кладбищах постепенно появляются надмогильные памятники городского характера, что можно объяснить безусловно не только городским влиянием, но и зажиточной и культурной жизнью колхозников.

До революции, в особенности до XX в. в этих краях еще продолжали преобладать крестьянские жилища с земляной кровлей, т. е. дома с верхним светом, которые в основном имели полуподземную форму[19]. Такие жилые и хозяйственные постройки азербайджанцев, айрумов, армян, грузин и урумов имели комплексный характер и все они были развиты в горизонтальном плане. До XX в. во всех селениях (кроме русских и немецких) Центрального Малого Кавказа еще существовала традиция патрономического расположения домов. Представители каждой большой фамилии старались поселиться отдельно, и таким образом, в деревне они образовывали обособленные кварталы[20]. В каждый такой квартал входило пять-шесть комплексов жилых и хозяйственных построек, которые все до единого освещались верхним светом. В силу такого обстоятельства форма поселения носила скучено-квартальный характер. Так что, в тех селениях, которые характеризуются сложным, изрезанным рельефом и, где преобладали дома с верхним светом, то до XX в. наблюдался только один тип поселения. Этот тип поселения имел **скученно-квартальную форму.**

Как известно, в сложном изрезанном месте поселения, где все же встречаются гребни гор, менее пологие и относительно ровные места. Раньше, когда, внутри селения ровные места еще не были целиком освоены крестьяне для своего местожительства естественно, выбирали такие места. Но со временем относительно ровные места постепенно сократились и новые семья, выделившиеся из отцовского дома для постройки своего жилища свободные места искали уже на окраине деревни. В связи с быстрым приростом населения, который более интенсивно проходил среди азербайджано-армянского населения, все больше и больше чувствовалась нехватка свободных участков для нового поселения. До революции новые семьи, естественно, не могли поселиться на чужих родовых землях. Наряду с этим и в связи с окончательным разложением пережиточно существовавших больших семей, крестьяне Центрального Малого Кавказа уже в начале 90-х годов XIX в. приступили к строительству более маленьких по площади домов, наподобие «горбатой землянки».

До начала вышеуказанного процесса, в одной и той же деревни в силу сложного, изрезанного и неровного рельефа существовали и террасообразные поселения со средней скученностью домов.

Террасное поселение наблюдалось в тех селах и деревнях, которые в основном были расположены на пологих склонах гор. В этом случае тоже действовал принцип патрономического планирования домов. Если местность давала возможность, крестьяне свое жилище строили вдоль, чуть выше или чуть ниже отцовского дома. Таким образом, получалось террасное поселение, где плоская земляная кровля одного дома служила маленьким двором для другого. Такие дворики, которые плотно прилегали друг к другу одновременно исполняли функции улочек.

Таким образом разраставшиеся скученные кварталы, которые постепенно принимали облик ярусного амфитеатра, характерными были в основном для горных селений Армении.

[19] Т. Чиковани, Из истории народного жилища Закавказья, стр. 14.

[20] Э. Карапетян, Армянская семейная община, Ереван, 1958, стр. 34—39; К. Каракашлы, Материальная культура азербайджанцев, стр. 40—42; Т. Чиковани, Из истории народного жилища Закавказья стр. 261.

В горных районах Главного Кавказа в формировании поселения с ранне-феодального периода значительную роль играл фактор обороны. Каждый населенный пункт был сильно укрепленным, где система обороны слагалась из отдельных домов-крепостей[21]. Каждый дом-крепость самостоятельно осуществлял оборонительные функции. На Малом Кавказе с ранне-феодального периода защиту населения от внешних врагов осуществляло государство. Для этой цели в ущельях и на холмах гор построены оборонительные сооружения, которые были защитными рубежами местного населения. Так что строительство домов-крепостей в пределах сел Малого Кавказа не было характерным явлением.

В связи с быстрым приростом населения крестьяне Центрального Малого Кавказа до революции остро нуждались не только в пахотных угодьях; им также не хватало новых участков для строительства своих домов. Поэтому неимущие крестьяне в конце XIX и в начале XX вв. вынуждены были строить для себя более маленькие дома площадью, чем раньше, во время бытования пережиточно существовавших больших неразделенных семей. Земельный вопрос, как и все остальные, раз и навсегда окончательно разрешил советский строй. С начала же победы коллективизации каждая нуждавшаяся семья в месте приусадебного участка на окраине села безвозмездно получила и участок для нового местожительства вследствие чего, в первую очередь расширились границы сел и возникли новые формы поселения.

После 30-ых годов те семьи, которые обосновались на гребневых местах селений, образовали одностороннее гребневое поселение.

Интересно, что аналогичная форма поселения была исторически характерной для Западной Грузии, в частности для Аджарии[22].

В создании гребневого поселения, как и в других формах непосредственную роль играла солнечная ориентация домов. В таких поселениях, как и в других формах, каждая семья, которая имела свои жилые и хозяйственные комплексы в планировании и расположении домов уже не действовала моногенно-квартальная, т. е. патрономическая традиция расселения. Теперь во всех селах Малого Кавказа выходцы из разных моногенных кварталов живут вдоль или с обеих сторон одной новой улицы. Или же представители одного рода расселены, рассредоточены в разных концах родной деревни. Такого рода внутрисельское расселение никому уже в глаза не бросается; такая межсоседская жизнь стала обычным явлением. Аналогичное произошло и с родовыми кладбищами. Сейчас своих покойников все хоронят на общесельском кладбище.

В настоящее время дом с усадьбой, т. е. конкретно взятый комплекс жилых и хозяйственных построек, который огорожен каменной стеной или деревянным забором, кроме этих в себе объединяет фруктовый сад, огород и двор. Этот последний в большинстве случаев разделен на две части; один из них является двором хозяйственного значения, а другой расположен с фасадной стороны дома и всегда содержится в чистоте. На хозяйственном дворе сосредоточены вспомогательные помещения — хлев, свинарник и курятник. В одной и той же деревне, в относительно ровных местах где проведены сравнительно прямые и широкие улицы, крестьяне расселились с обеих сторон, т. е. поселение получило улочный

[21] А. Робакидзе, Поселение как источник изучения общественного быта, стр 7.
[22] А. Робакидзе, К вопросу о формах поселения в Аджарии, стр. 14.

характер. В этой форме поселения дома и усадьбы колхозников расположены так, как в гребневом.

Несмотря на схожую хозяйственную жизнь и одинаковое географическое расположение изрезанного рельефа и однообразие новой строительной культуры в деле расположения домов в отношении улиц до сих пор наблюдаются некоторые особенности национально-религиозного характера. Так, например, если дома христианских народов — армян и грузин в отношении улиц в основном состоят из фасадной стороны, этого нельзя сказать про азербайджанцев. Дома азербайджанских колхозников по старой традиции, в которой немалую роль сыграл ислам, в некоторых отдаленных селах все еще носят следы замкнутого образа жизни. Правда, редко, но все еще можно встретить такие деревни, где дома в отношении улиц стоят спиной или же торцом. Но в остальном, как по внешнему облику, так и внутреннему расположению дома и усадьбы очень мало различий между теми народами, которые сейчас проживают в этом крае.

Планомерная застройка сел нарушила старую традицию поселения, поквартальное размещение отдельных фамилий. В настоящее время в селах Малого Кавказа почти нигде не встречаются кварталы моногенного характера. Здесь раз и навсегда исчезла традиция моноквартальной жизни, которая еще в наше время, до 30-х годов, где-то все же мешала внутрисельскому общественному развитию. Современное сельское население смежных районов Грузии, Армении и Азербайджана размещено по городскому, вдоль или с обеих сторон новых улиц, в домах новейшего типа, рядом друг с другом живут семьи разных фамилий.

Стремление сельского населения Малого Кавказа к более культурной и зажиточной жизни с особой силой дало знать себя после второй мировой войны. С этого периода колхозников этого края уже не устраивало не только жилище старого типа, сохранившееся кое-где в качестве пережитка, но и те новые, которые были построены во время коллективизации.

В деле строительства домов новейшего типа и повышения благосостояния и домашне-бытовых условий решающую роль сыграли новые социально-экономические сдвиги. После внедрения передовой агротехники и освоения более эффективных и плодовитых сельскохозяйственных культур, проведения новых ирригационных каналов, электрофикация, расширение сети шоссейных дорог, установления регулярного автобусного сообщения между селами и городом, а также интенсивного строительства культурно-просветительных учреждений постепенно дали свои плоды. И поэтому не удивительно, что дома новейшего типа колхозников этого края почти не отличаются от городских. Здесь же надо добавить, что сельские дома, в некотором отношении по внешнему облику, размеру жилплощади и по многим другим признакам часто превосходят своего городского собрата. Что касается хозяйственно-бытовых условий, и в этом отношении мало отличается сельская жизнь от городской. Водопровод, канализация, стиральная машина, газ, телевизор, холодильник, не говоря уже об электричестве и радио, вот те качественно новые элементы культурной сельской жизни, без которых уже не может представить себя колхозное крестьянство Центрального Малого Кавказа.

Г. В. ПИПИЯ

ГЕРМАНО-ТУРЕЦКОЕ СОПЕРНИЧЕСТВО В ЗАКАВКАЗЬЕ В 1918 ГОДУ

В результате антинародной, контрреволюционной политики меньшевиков, дашнаков и муссаватистов в 1918 году Закавказье стало объектом германо-турецкой интервенции.

Германские империалисты давно вынашивали планы установления своего господства в Закавказье. Их привлекало прежде всего его стратегически важное положение на пути из Европы в Азию, оно им представлялось удобным плацдармом для распространения своего влияния на Персию, Закаспье и Афганистан.

Особое же значение германские империалисты, разумеется, придавали захвату экономических ресурсов Закавказья. Азербайджанская нефть, грузинский марганец, медь Армении составляли для них внушительную притягательную силу.

Немаловажное место в империалистических планах захвата Закавказья, как известно, занимали также и антисоветские, контрреволюционные цели.

В осуществлении всех этих замыслов германские империалисты намеревались использовать возможности Османской империи, в связи с чем поощряли в 1918 году ее вторжение в пределы Закавказья. Они рассчитывали оторвать Закавказье от России с помощью турок, заплатив им за это согласием на некоторое территориальное приобретение за счет Закавказья, и тем самым облегчить себе установление в крае своего господства.

Однако военно-феодальная верхушка султанской Турции и правящая младотурецкая клика думали совершенно иначе. Известно, что они, исходя из пантюркистских и панисламистских идей, имели свои, особые виды на Закавказье. Поэтому, естественно, проявляли крайнее недовольство активным вмешательством Германии в кавказские дела. Правящие круги кайзеровской Германии, будучи сильно раздражены этим, выступили против стремления Турции захватить побольше территории Закавказья. Конечно, не потому, что ее беспокоили интересы народов данного края, а из-за опасения, что у нее отберут эту важнейшую экономическую и стратегическую базу.

Документы и материалы, хранящиеся в архивах ГДР, свидетельствуют, что в то время между союзниками возникли серьезные противоречия, которые вызвали острую борьбу за влияние в Закавказье.

Еще до начала войны в весьма неопределенной форме Турции были обещаны кавказские территории, но в Германии никогда не намеревались девать их в той части края, где были сосредоточены важнейшие природные ресурсы. Освобождение от русских войск Карса, Ардагана и Батума, чего Германия добилась во время Брест-Литовских переговоров, была данью, выплаченной Турции в счет обещанных ей кавказских

территорий. В соответствии же с секретным соглашением от 27 апреля 1918 года, о разделе сфер влияния в Закавказье заключенным в Константинополе между Германией и Турцией, последней отводилась еще часть Армении с железнодорожной линией Александропол-Джульфа[1]. Германия пошла на эту уступку с определенной целью — направить военные усилия Турции против английских войск в Северной Персии, предоставив ей возможность облегчить переброску войск по железной дороге до Джульфы и дальше на Тавриз. Однако на установление владычества Турции в Закавказье она никогда не давала согласия. Касаясь этого вопроса, Людендорф в своих воспоминаниях говорит следующее: «Я одобрительно относился к турецким предприятиям, поскольку они отвечали интересам общего развития войны. Но они не должны были отвлекать Турцию от ее прямых военных задач или затруднять нам вывоз сырья с Кавказа, который, как мы ожидали, должен был дать нам существенное облегчение. Задачей Энвера являлась борьба с Англией, и прежде всего на палестинском фронте. Я постоянно ясно указывал ему на это по телеграфу. Теперь представлялся также случай нанести удар англичанам в Северной Персии. Этому способствовала железнодорожная линия от Батуми через Тифлис на Тавриз. В Северной Персии турки могли иметь превосходство над англичанами. Если бы при этом удалось поднять против Англии население Азербайджана, то это сыграло бы большую роль. Я бы охотно оказал поддержку всему, что могло бы привести к такому результату, но Энвер и турецкое правительство больше думали о своих панисламистских целях на Кавказе, чем о войне с Англией. С этим вопросом связывались очень реальные цели, главным образом, выходы, связанные с использованием закавказского сырья, что германское военное хозяйство не получило бы при этом ничего, это было понятно каждому, кто имел представление о деловых приемах турок. Ввиду этого мы поневоле оказались в противоречии с целями, которые преследовали турки[2]».

Об этом же свидетельствуют записи фон Бранденштейна после Мекленбург-Шверинского герцогства при императорском дворе. 22 мая он записал в свой дневник: «Турция после захвата Батума мечтает о создании Кавказско-Турецкого государства, в то время как у нее имеются все основания направить все свои усилия против англичан в Месопотамии. Мы старались умеренно повлиять на турецкие военные цели, но безрезультатно»[3].

Германские империалисты, после объявления независимости Закавказья и отказа его контрреволюционного правительства признать Брест-Литовский мирный договор, сами с большой охотой начали бы наступление на Закавказье, чтобы прибрать его к своим рукам. Однако в то время германское командование не могло выделить нужное количество войск. Как известно, это был период, когда Германия, желая добиться быстрой победы, весной 1918 года предприняла большое наступление на западном фронте. На востоке же значительные силы были привлечены для захвата Украины и юга России. Германским империалистам не оставалось ничего другого, как полагаться на наступление турок. А пока турецкие войска наступали на Закавказье, кайзеровская Германия полным ходом вела дипломатическую подготовку

---

[1] См. Центральный архив Германии в Потсдаме, фонд 1-ДР, док. 4967, 4679, 6470, 5871.

[2] Людендорф, Мои воспоминания, т. II, стр. 187—188.

[3] Шверинский областной архив, док. № 23, лл. 349—351.

необходимых условий для установления своего господства в Грузии. Она, с одной стороны, поощряла агрессию турок, а с другой — стремилась ограничить ее определенным рубежом, чтобы не упустить свою добычу.

Вторжение турок, происки дипломатии кайзеровской Германии и недальновидная внешняя политика буржуазно-националистического правительства меньшевиков, дашнаков и муссаватистов привели к распаду Закавказья на составные части, которые становятся поодиночке добычей иноземных захватчиков.

После того как немцы завладели Грузией, они опять-таки, не имея достаточных военных сил, хотели использовать турецкие войска для захвата остальной части Закавказья, но только с участием немецких соединений и под руководством немецких офицеров.

Турки не были согласны с такой ролью и стремились действовать самостоятельно, чтобы урвать побольше территорий и добычи в Закавказье. Жажда захвата заставила их бросить в поход на Кавказ войска, которые следовало бы использовать против основного противника в Палестине и Месопотамии.

Противоречия между турками и немцами особенно обострились после захвата турками Баку. Как известно, немцы намеревались предпринять совместное наступление на город, однако турки не стали ждать, пока те подтянут нужное количество войск, и сами перешли в наступление. Это вызвало в Германии открытое недовольство, которое еще больше усилилось после того, как туда стали поступать сведения о действиях турок в Баку. Еще до занятия города муссаватистское правительство Хан-Хойского по указке турок издало декрет, запрещавший вывоз из Азербайджана всех зерновых, хлопка, шерсти, шелка и изделий из них, а также скота и мясопродуктов[4]. После занятия Баку турки потребовали, чтобы муссаватистское правительство запретило продажу, равно как и сдачу в аренду нефтяных промыслов. Немцам становилось ясно, что турки вознамерились единолично завладеть всеми нефтяными источниками Азербайджана.

Насколько немцы были возмущены действиями турок в Баку, видно из письма офицера связи немецкого генштаба Варнеке своему шефу в Берлин. Он писал из Тифлиса: «Баку захвачен турками. Заводы уцелели лишь возле станционного здания города. Значительное количество цистерн и резервуаров повреждено. Нефтепровод Баку—Батум разрушен на протяжении 25 верст. Турки никого не пропускают в город через Кюрдамир. Они продвигаются и к другим районам Азербайджана. Азербайджанцы, даже те, которые раньше были на стороне турок, ненавидят их теперь. Мы должны выждать, так как положение на будущее выглядит для нас очень плохо. Нефтепровод проходит через несколько республик Закавказья, а это означает борьбу. Причем, конечно, и русские возмутся за меч из-за Баку, как только они будут в силе. Мы, немцы, терпим неудачу оттого, что сами отдали ключ от Баку туркам без всяких условий. Мы не можем наложить вето на наши же товары, которые турки захватывают, а затем продают по спекулятивным ценам»[5].

Несмотря на союзнический долг, турки не разрешали немецким торговым представительствам закупку различных продуктов на оккупированных ими территориях. Декрет правительства Хан-Хойского рас-

[4] См. Центральный архив Германии в Потсдаме, фонд 1-ДР, док. 5871.

[5] Центр. архив Германии в Потсдаме, фонд 1-ДР, док. 9465.

пространялся и на немцев. Даже для того, чтобы провезти через Азербайджан товары, необходимо было вмешательство немецких военных властей. Так, например, представитель имперского экономического ведомства в Батум в начале июня докладывал, что с трудом удалось уговорить турок взять для нужд Германии нефть с батумских нефтеочистительных заводов, и то по высоким ценам. В частности, он же отмечает, в каком состоянии находилось население оккупированного турками Батуми: «В городе ощущается недостаток продуктов. Турки в свое время вывезли их, а теперь население платит за них десятикратные цены». Весьма характерна также оценка, данная этим представителем Германии положению в Закавказье. «Здесь происходит закулисная борьба за владычество на Кавказе, — сказано в его докладе, — и исход ее неизвестен. Турецкое командование настаивает на том, чтобы быстрее захватить запасы нефти. Еженедельно отсюда отходят шхуны, груженные нефтью, в Трапезунт и другие гавани Турции»[6].

Представитель Брэильского информационного центра Германии майор Хей в своем докладе писал, что в соответствии с соглашением от 27 апреля Батум и близлежащие районы представляют сферу влияния Турции, и там задача представителей Германии заключалась лишь в том, чтобы осуществлять наблюдение за ходом закупок товаров для Германии и их отправкой, а также контролировать деятельность турок. «Следует отметить, — продолжал он, — что закупку товаров из-за политики турок мы вынуждены каждый раз согласовывать с константинопольским правительством... Надо учесть, что пока турки господствуют в Батум, его значение как портового города для Кавказа утрачено, а Поти возместить его не может, хотя и в интересах Германии переоборудовать его»[7].

Германия была недовольна тем, что Турция сама начинала налаживать торговлю в Закавказье. В июле 1918 года Имперское ведомство экономики специально поставило вопрос перед министерством иностранных дел Германии, не следует ли запросить турецкое правительство в связи с тем, что оно односторонне стремится наладить торговлю с кавказскими республиками[8].

Одновременно глава немецкой делегации в Грузии фон Кресс телеграфировал министерству иностранных дел, что «турки, вопреки соглашению от 27 апреля, закупают всевозможные товары вне сферы их влияния», и просил принять меры нажима на Турцию[9].

Особое недовольство политикой турок на Кавказе выражали представители торгово-промышленных кругов. Так, в июне 1918 года дирекция Европейского торгового общества обратилась в министерство иностранных дел со следующим письмом: «По полученным нами сообщениям, турки контролируют железную дорогу на Тавриз, не ясно, то ли с целью охраны, то ли с целью захвата. При всех обстоятельствах это Германии невыгодно, ибо наши закупки в Армении и Тавризе серьезно затрудняются. Турки намерены запретить проезд гражданам других государств, тогда как в тех районах находится значительное количество запасов нужного Германии сырья. Европейское торговое общество просит предпринять соответствующий демарш в отношении Турции»[10].

---

6 Центр. архив Германии в Потсдаме, фонд 1-ДР, док. 6273.

7 Там же, док. 5620.

8 Там же, док. 4443—18.

9 Там же, до. 4679.

10 Центральный архив Германии в Подсдаме, фонд 1—А, док. 3450—18.

Министерство иностранных дел было серьезно озабочено обострением отношений с Турцией. Этому вопросу было посвящено несколько совещаний ответственных лиц. На турецкое правительство был произведен соответствующий нажим. О настроениях в МИД Германии посол Саксонского королевства сообщил своему правительству 6 июня 1918 года следующее: «В министерстве иностранных дел очень недовольны и обеспокоены самовольным продвижением турок на Кавказе. Видимо, они хотят захватить для себя всю Грузию и остальные части Кавказа. С германской стороны сейчас делается все для того, чтобы сдержать турок. Удастся ли это — еще вопрос! Кавказ, с которым мы легко и удобно смогли бы сообщаться через Румынию, дал бы Германии ценные возможности в области экономического освоения. Однако при турецкой бесхозяйственности этому краю был бы нанесен большой вред»[11].

Посол Мекленбург-Шверинского герцогства фон Бранденсал, также возмущенный политикой Турции в Закавказье, записал в свой дневник: «Здесь, видимо, опять не было своевременной согласованности и взаимодействия между министерством иностранных дел и высшим командованием»[12].

В связи с обострением обстановки в Закавказье и затруднением доставки товаров оттуда по вине Турции ведомство военного снабжения специально командировало в Тифлис в июне 1918 года своего эксперта Тило Вестерхагена с задачей изучить выход из положения и наметить мероприятия, которые могли бы обеспечить бесперебойную доставку сырья и товаров из Закавказья.

В своем докладе Вестерхаген писал: «Германо-турецкие интересы в Закавказье серьезно сталкиваются. Турки всячески воздействуют на население через свою агентуру с целью привлечения его на свою сторону против Германии. Подобные попытки делаются особенно среди их единоверцев, проживающих на Кавказе. Общее стремление турок заключается в дальнейшем продвижении на Восток для захвата Туркестана. Германия, которая после войны, очевидно, будет отрезана от морей, должна уже теперь особенно стремиться на Юго-Восток и экономически господствовать на Кавказе, в Туркестане, Персии, а также в Афганистане, где имеется сырье, столь необходимое Германии»[13].

Серьезные противоречия между турками и немцами возникли в Закавказье по вопросу о контроле над железными дорогами, поскольку каждая из сторон стремилась завладеть ими.

На специально созванной 21 августа в генеральном штабе Германии конференции одно из центральных мест занимал вопрос о железных дорогах и других притязаниях Турции в Закавказье.

Все без исключения участники конференции выражали серьезное беспокойство захватнической политикой Турции на Кавказе и требовали принятия неотложных мер, чтобы приостановить расширение там турецкого влияния.

«Конкуренция Турции должна быть исключена, мы должны препятствовать ей. Турки обещали умереть свои притязания, однако словам турок верить нельзя, это пустые обещания. Только тогда, когда мы займем путь Тифлис—Баку и Тифлис—Джульфа, мы сможем проводить в

[11] Sächsisches Landshauptarchiv, Dresden, Nr. 208 v. Bl. 327—a.

[12] Шверинский областной архив, д. № 23, л. 385.

[13] Центр. архив Германии в Потсдаме, фонд 1—ДР, док. 6472.

жизнь в полной мере нашу точку зрения», — записано в протоколе конференции[14].

В связи с создавшимся положением по дипломатической линии на Турцию был произведен соответствующий нажим. Однако относительно принятия более жестких мер воздействия на турецкое правительство в самой Германии мнения разделились. Военные и стоящие за их спиной представители крупного капитала выступали за решительные меры, в то время как многие сотрудники МИД и аппарата рейхсканцлера предлагали действовать более осторожно, хотя бы ради выполнения союзнических обязательств. В этом отношении характерен представленный в МИД доклад посла Германии в Константинополе, который, кстати говоря, проливает свет и на то, как рассматривали немцы Грузию, чего стоили их обещания, данные меньшевистскому правительству и, наконец, как заблуждались те «государственные деятели» из меньшевистского правительства, которые всерьез верили, что представляют правительство суверенного государства, поскольку империалистическая Германия признала их. Вот выдержка из этого доклада посла: «Турки всегда были народом-захватчиком,и они не могут себе представить, что можно вести войну и ради других целей. Сейчас, когда русские — их наследственный враг — повержены, они хотят использовать ситуацию, не задумываясь о будущем. Когда же в Батуме схватили турок за руку, они сначала так и не поняли, что мы можем посчитаться с разбитой Россией. **Для турок с самого начала Кавказ был законным призом победы...** (подчеркнуто мною—Г. П.). Они нас упрекают в том, что мы встали на сторону грузин и армян против турок и что мы сами преследуем политические цели на Кавказе. С большим трудом удалось теперь в какой-то степени затушевать это впечатление. И если даже наши некоторые немецкие господа в чрезмерном пылу зашли далеко в своих планах в отношении Закавказья, ведь никто и не думал серьезно о том, чтобы в угоду совершенно ненадежной Грузии и полностью проантантовски настроенной Армении лишиться испытанного турецкого союзника. Правда, обе народности—христиане, однако мы всегда сохраняли перед богом беспристрастность. Принимая во внимание наших союзников, нам, по моему мнению, необходимо не показывать вида, будто мы стоим на стороне Грузии и Армении. Мы должны нашу позицию определять исключительно нашими экономическими интересами. Я уверен, что нам будет легче достигнуть наших экономических целей вместе с Турцией, а не вопреки ей. Если мы возьмем сторону народов Кавказа, то рискуем сесть между двумя стульями»[15].

Из этого документа явствует, что свои требования к туркам об ограничении захватнических устремлений в Закавказье германские империалисты предъявляли под предлогом защиты интересов народов Закавказья. Однако турки понимали истинные цели своих союзников и выражали тем большее возмущение.

Одним из наглядных проявлений германо-турецкого соперничества в Закавказье явилось заключение Германией 27 августа добавочного договора с Советской республикой[16] без ведома Турции. В стамбуле об этом стало известно лишь в начале сентября. Сообщение о подписа-

---

[14] Центральный архив Германии в Потсдаме, фонд 1—ДР, док. 7394—18, л. 1.

[15] Саксонский областной архив, док. № 2080, лист 324, а также Шверинский областной архив, док. № 23, листы 437, 439—440.

[16] См. Документы внешней политики СССР, т. I, Госиздат, Москва, 1959., стр. 427—445.

нии Германией втайне от турок договора относительно бакинской нефти вызвало бурную реакцию в правящих кругах султанской империи. Там негодовали больше всего из-за того, что в договоре не нашли отражения интересы Турции. Германия была обвинена в измене союзническому долгу. Назревал серьезный конфликт между союзниками. Правительство Германии, однако, с учетом ухудшения общего положения страны сочло за благоразумие успокоить турецкого союзника, отложив до поры до времени решение вопроса — чье влияние должно преобладать в Закавказье. Каким образом намеревались решить этот вопрос германские империалисты, видно из докладной записки одного из представителей Германии в Закавказье фон Майеркорта имперскому ведомству экономики, датированной 25 сентября 1918 года. Вот некоторые выдержки из этой записки: «Непонятно, каким образом мы сможем соблюдать наши экономические и политические интересы, учитывая нашу политику (на Кавказе — Г. П.) до сих пор. У каждого знатока местных условий нет ни малейшего сомнения в том, что современное двоевластие на Кавказе (т. е. господство и турок и немцев. — Г. П.) означает только высасывание страны. Кавказ не должен управляться одновременно различными державами. Самоуправление в этом случае я не принимаю во внимание, поскольку это марионеточные правительства. Взаимные препоны приведут к катастрофам, а грабительская политика турок — к разорению оккупированных ими обширных территорий...

По моему мнению, Германский рейх должен решить, хочет ли и должен ли он далее защищать на Кавказе свои интересы. В положительном случае он, однако, должен немедленно настолько укрепить свою позицию, чтобы добиться господствующего положения во всем Кавказе. Я не единственный, кто полагает, что при радикальных мерах с нашей стороны турки признают себя побежденными... И в этом случае девиз должен был бы звучать следующим образом: «Действовать, а не вести переговоры»[17].

Но в то время, когда фон Майеркорт писал об этом, военные и экономические ресурсы Германии были настолько истощены, а ее военно-политическое положение было настолько тяжелым, что прибегать к решительным санкциям, да и то против собственного союзника, не представлялось никакой возможности.

Германо-турецкое соперничество на Кавказе было на руку Антанте, ибо оно объективно ослабляло блок центральных держав. Поскольку на этот период падает некоторое снижение активности англичан в Палестине и Месопотамии, можно сказать, что они в какой-то мере поощряли решительные действия Турции в Закавказье, способствуя тем самым еще большему углублению ее противоречий с Германией.

Рассматривая все аспекты германо-турецкого соперничества в Закавказье в 1918 году в целом, можно заключить, что оно явилось одним из проявлений наступления кризиса империалистической политики кайзеровской Германии в отношении Закавказья.

---

[17] Центральный архив Германии в Потсдаме, фонд Г—ДР, док. 9439.

იზოლდა სამსონია

ტანსაცმლისათვის განკუთვნილი ქსოვილების დამზადების ხალხური წესები აჭარაში

ძველად აჭარაში ტრადიციული ტანსაცმლისათვის ფართოდ იყენებდნენ მატყლის, სელის, კანაფისა და აბრეშუმის ქსოვილებს. რომელთა დამზადების რთული ხელოვნება ხალხურ ფეიქრობაში ახლო წარსულამდე იყო შემონახული. წარმოების ამ ერთ-ერთი უძველესი დარგის ღრმა ისტორიულ ტრადიციებსა და მის კულტურულ-ყოფით თავისებურებებზე კარგად მიუთითებს მდიდარი ეთნოგრაფიული ლიტერატურა, სამუზეუმო ფონდები, ისტორიული წყაროები და განათხარი ქსოვილების ნაშთები.

სამოსლისათვის განკუთვნილი ქსოვილების დამზადების ხალხური შრომითი ჩვევები და საწარმოო გამოცდილება აჭარაში ყველაზე უკეთ ოჯახურ წარმოებაში იყო დაცული. მართალია სამოსლის დასამზადებლად აჭარაში ადგილობრივ ტექსტილურ ნაწარმთან ერთად შემოტანილი ქსოვილებიც იყო გავრცელებული, მაინც მოსახლეობის მწარმოებლური ფენები ხალხური კოსტუმისათვის უპირატესად შინაურ ქსოვილებს იყენებდნენ, ეს კი, თავის მხრივ, ერთგვარად აპირობებდა ხალხური ფეიქრების ცალკეული დარგების მეტნაკლებ სიცოცხლისუნარიანობას აჭარის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, განსაკუთრებით კი მატყლისა და სელის დამუშავებას.

ქსოვილებიდან აჭარაში გამოყენებული იყო შალის, აბრეშუმის, სელის, კანაფისა და ბამბის ქსოვილი. ამასთან აღსანიშნავია, რომ შალის ქსოვილებს უმეტესად მამაკაცის ზედა სამოსლის დასამზადებლად იყენებდნენ (ქალის ფ ე შ ტ ე მ ლ ე ბ ი, სარტყლები, თ ო რ ე ბ ი, ბ ა ღ ე ბ ი, წინდებიც მატყლის ნართისაგან იქსოვებოდა). ტანსაცმლისათვის გამოიყენებოდა როგორც საჩიანი, ისე უსახო ქსოვილები. აბრეშუმის, წმინდა სელისა და აგრეთვე კანაფნარევი და ბამბანარევი ტილოები პირველ რიგში საცვლებისათვის ყოფილა განკუთვნილი.

სელ-კანაფის, ბამბისა და აბრეშუმის ნართთან შედარებით ტანსაცმლისა და მისი ცალკეული ელემენტების დასამზადებლად უპირატესობა მაინც შალის ნართს ეკუთვნოდა.

შალის ქსოვილების ფართო დაწინაურებასა და მის შინასაბაზრო დანიშნულებაზე მიუთითებენ თ. სახოკია[1], ჟ. მურიე[2], ა. ფრენკელი[3], ზ. ჭიჭინაძე[4].

---

[1] თ. ს ა ხ ო კ ი ა, მოგზაურობანი, გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი. თბ., 1950, გვ. 227.

[2] ჟ ა ნ მ ა ს ი ე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, ბათუმი, 1962, გვ. 28.

[3] А. Ф р е н к е л ь, Очерки Чурук-су и Батума, Тиф., 1879, გვ. 24.

[4] ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფ., 1913, გვ. 87, 166.

მატყლისაგან ქსოვდნენ მამაკაცის ზედა სამოსელს — ჩ ო ხ ა-შ ა ლ ს. მისგან ამზადებდნენ ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის ისეთ ძირითად ელემენტებს, როგორიც არის ყაბალახი, სარტყელი, ფეშტემალი, წინდები, ხელთათმანები, ხვანჯრები, აგრეთვე ცხენის საფენები, ხურჯინი და სხვ. თუ სელ-კანაფის საცვლები შედარებით ადრე გამოვიდა ხმარებიდან, მატყლის ნაწარმმა თავისი მნიშვნელობა უფრო დიდხანს შეინარჩუნა.

ჩოხა — აჭარელი მამაკაცის ძირითადი ჩასაცმელი იყო. იგი მეტად მოხერხებული იყო მწყემსებისთვის წლის ყველა დროს. ერთი ჩოხის შეკერვას 15—20 ადლამდე ქსოვილი სჭირდებოდა, რაც განპირობებული იყო ქსოვილის ვიწრო განით. ნაქსოვის ორი სახე არსებობდა: ცალმაგი და ორმაგი. ორმაგად ნაქსოვი შალისაგან „სანამუსო“ (გარეთ ჩასაცმელი) ჩოხა იკერებოდა. დიდი მოწონება ჰქონდა ორმაგად ნაქსოვ შალის ყაბალახს.

მატყლის დამუშავება ნართად საკმაოდ შრომატევადი საქმე იყო. მატყლს სჭირდებოდა გარეცხვა, გაჩეჩვა, დართვა, დაძახვა და სხვ. მატყლს უმეტესად მშრალად ინახავდნენ. ზოგჯერ იცოდნენ მისი დანამვაც. დანამულ მატყლს ცვანძებად დაახვევდნენ და კედელზე ჰკიდებდნენ. გარეცხილ და გამშრალ მატყლს ხელით გაწეწვის შემდეგ გადაახარისხებდნენ საჩეჩელზე. რის შემდეგაც სამი ხარისხის მატყლი მიიღებოდა: გ რ ძ ე ლ ყ უ რ ი (საუკეთესო ხარისხის მატყლი), მ ო კ ლ ე ყ უ რ ი და კ ვ ი რ ტ ლ ი. საჩეჩელზე კეთდებოდა წ ყ ვ ი ლ ე ბ ი, ფ თ ი ლ ე ბ ი. გაჩეჩილ მატყლს ფთილებად ინახავდნენ წყვილების ხერტალზე (თითისტარი) დართვამდე.

მატყლის დამუშავება და შალის ქსოვილების დამზადება ქალის საზრუნავს შეადგენდა. ამიტომ ცდილობდნენ გოგონა ბავშვობიდანვე რთვა-ქსოვის საქმეს კარგად დაუფლებოდა. ქსოვილების დამზადების ხელოვნების ცოდნა კარგი ქალობის ერთ-ერთ ნიშანდობლივ თვისებად ითვლებოდა.

ოჯახის წევრთათვის ტანსაცმლის დამზადება ზოგჯერ ერთი ოჯახის ძალღონეს აღემატებოდა. დიდი რაოდენობით მატყლის დამუშავების დროს (ჩეჩვა, რთვა, ძახვა და სხვ.) იწვევდნენ ქალების ნადს, რომელსაც „ხერტლის ნადი“ ეწოდებოდა. ნადს, რომლის შემადგენლობა 15—20 ქალს შეადგენდა იწვევდნენ უმეტესად შემოდგომაზე ან ზამთრობით. ნადი ეხოლოდ საუკეთესო მრთველებისაგან შედგებოდა. მუშაობა ღამის საათებში მიმდინარეობდა. ერთი საუკეთესო მრთველი ერთ ღამეში 25—30 ფთილას ანუ ერთ ხერტალს დაართავდა. მაჭახლის ხეობის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ნადის თითოეულ მონაწილეს წინა დღით ნადის პატრონი, კარი-კარ ჩამოვლით, კალათით 5—10 ფთილას დაურიგებდა და ისინი წინასწარ შეუდგებოდნენ რთვას მეორე დღისათვის ხერტლის მალე ავსების მიზნით. ეს წესი რთვაში ურთიერთდახმარების თავისებურ ფორმას წარმოადგენდა. ხერტლის ნადზე ადგილი ჰქონდა გართობა-მხიარულებას, რასაც მუშაობის წახალისების მიზანიც ჰქონდა[5]. ზოგჯერ ნადს მატყლის ჩეჩვაშიც იწვევდნენ.

[5] ხერტლის ნადზე გავრცელებული ცეკვა იყო „ფათიკო“. ეს ცეკვა ქორწილის დროს სრულდებოდა. ამ სანახაობის დროს ზოგჯერ ქალები მამაკაცის ტანსაცმელში გამოეწყობოდნენ და პირიქით მამაკაცები ქ ლის ტანსაცმელს იცვამდნენ. ცეკვა „ფათიკოს“ ა. მსხალაძე ბერიკაობის ნაირსახეო-



ჭახრაკი, ს. სტეფანაშვილები.
ხულოს რაიონი.



ჭახრაკი. ს. შუბანი.
შუახევის რაიონი.



დოლაბი. ს. შუბანი
შუახევის რაიონი.



საფეიქრო. ს. ჩიქუნეთი.
ხელვაჩაურის რაიონი.



თავსაფარა ს. ძირკვაძეები.
ხულოს რაიონი.



სარტყელი. ს. ყიფჩაური.
ხულოს რაიონი.



თალაბულუსი. ს. დიდაჭარა.
ხულოს რაიონი.



თალაბულუსის არშია. ს. დიდაჭარა
ხულოს რაიონი.

შრომითი ურთიერთდახმარების ეს წესი მოწმდება აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში „საქმის საღამოს“ (ხევი), „მჩეჩელნის“ (ხევსურეთი), ხოლო შაფსუღებში „ხაპუს“ სახელწოდებით[6].

რთვა-ქსოვისათვის შესაბამისი მრავალფეროვანი იარაღები არსებობდა. შატყლის დასაჩეჩად იხმარებოდა ს ა ჩ ე ჩ ე ლ ი, ძაფის დასართავად და დასაძახად ხ ე რ ტ ა ლ თ ა ნ ერთად გამოიყენებოდა ჭ ა ხ რ ა კ ი, საქსელავი დ ო ლ ა ბ ი, საქსოვად — ს ა ფ ი ო ქ რ ო // საფეიქრო // ქ ს ე ლ ი, თ ო რ ი ს ყ დ ა.

ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ჩიქუნეთში ჩვენ მიერ დამოწმებული საფეიქრო შედგება ოთხი ბოძისა (ბარჯგი), ორი ან ოთხი დგიმისა, მაქოქისა, სავარცხლისა, ლივრისა და საფეხეებისაგან. ქსოვილის ხარისხი დამოკიდებული იყო როგორც ნართის ხარისხზე. ასევე სავარცხლის კბილების სიხშირეზე (წმინდაკბილებიანი სავარცხლით წმინდა ქსოვილი იქსოვებოდა). ორმაგი ქსოვილის მისაღებად სავარცხელში წყვილი ძაფების გატარება ხდებოდა. ორმაგად იქსოვებოდა ჩოხა-შალი, სარტყელი, ყაბალახი, ფეშტემალი. ორმაგი ქსოვილის ქსოვისას სათვალავთა მეტი რაოდენობა იყო საჭირო. ვიდრე ცალმაგი ქსოვის დროს.

უფრო ხშირად ერთი ფერის სადა ქსოვილებს ქსოვდნენ, მაგრამ იცოდნენ ზოლებიანი შალების ქსოვაც სარტყლისა და ფეშტემლისათვის. ფერადი შალების ქსოვის დროს საქსელავად იყენებდნენ წინასწარ შეღებილ სხვადასხვა ფერის ძაფებს.

თორის ყდა ვერტიკალური საქსოვი დაზგის ნაირსახეობაა. მასზე მხოლოდ თორები (ყდის თორი) იქსოვებოდა აბრეშუმის ძაფისაგან. ყდის თორის ქსოვის თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ თანმიმდევრულად საქსელავის ყოველი მომდევნო ძაფი მარჯვნიდან მარცხნივ ხელის თითების საშუალებით ყოველ მესამე ძაფზე ჯვარედინად გამოინასკვება და ერთი რიგის დამთავრების შემდეგ თითების ადგილას ხის გრძელი ფირფიტა-ლაფიტა გაეყრება. ყოველი 3-4 რიგის შემდეგ პირველ ლაფიტას გამოიღებდნენ, დანარჩენებს კი დააჩოჩებდნენ, მიაბეჭებდნენ. ყდაზე ამგვარად ნაქსოვი თორი ბადისებრი გამოდიოდა.

ყდის თორის სიგრძე და სიგანე დამოკიდებული იყო საქსელავის სიგრძესა და სათვალავის რაოდენობაზე. ერთი სათვალავი 4 ძაფია. დიდ თორებს 15-20 სათვალავამდე ქსელავდნენ. ყდის თორს ხანშიშესული ქალები და მამაკაცები ხმარობდნენ. ახალგაზრდები ხმარობდნენ მუხლზე ნაქსოვ თორებს. ამ შემთხვევაში ქსელი მუხლზე იმართებოდა. მისი ერთი ბოლო მრგვალ ხეზე მაგრდებოდა. ქსელის პირის გაღება მასზე გამობმული ძაფების აწევ-ჩამოწევით წარმოებდა. ზოგჯერ ქსოვისას მხოლოდ მასრას ხმარობდნენ მაქოქის გარეშე, მისაბეჭავად ხმარობდნენ ხის ბრტყელ ფირფიტას.

ბად მიიჩნევს. მის მიერ ს. ხიხაძირში (ხულოს რაიონი) ჩაწერილი მასალით ნადზე ქალების მიერ სრულდებოდა „ხერტლის ნადის სიმღერა“:

ხერტალმა ხელი დამგალა
ხერტალგასატეხელმა,
ბიძაშემმა არ გამათხუა
კისერმოსატეხელმა.

(ა. მსხალაძე, აჭარის საოჯახო საწესჩვეულებო პოეზია, ბათუმი, 1960, გვ. 93).

[6] გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, ქართულ-ადიღეური ეთნოგრაფიული პარალელები ხალხურ ფეიქრობაში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XII—XIII, თბ., 1963, გვ. 368.

საინტერესოა ქსოვილების თელვის ტექნიკაც. შალის მოსათელავად საგანგებო შალის სათელავები არსებობდა, მაგრამ როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ მანამდე შალის თელვის პროცესი ფეხით სრულდებოდა. ერთ-ერთი ასეთი შალის სათელავი აღწერილი აქვს ნ. კახიძეს, რომელიც მაჭახლის ხეობის სოფ. სკურდიდში მიუკვლევია[7]. აქვე დახასიათებულია თელვის პროცესი. სათელავები მზადდებოდა წიფლის, თელის, ცაცხვის ხისაგან. იგი ორი ნაწილისაგან შედგებოდა: ჯერა და საგორებელი. ჯერა წარმოადგენდა ოთხკუთხედად ამოჭრილ ღარს, საგორებელი კი — მრგვალ მორს. ჯერას ძირზე, ხოლო საგორებელს ქვედა კუთხეზე სპეციალურად კბილები აქვს გაკეთებული, რომელთა საშუალებითაც ხდება შალის თელვა. შალის ქსოვილი მოთელვის წინ დაიკეცებოდა რამდენიმე ფენად, ჩადებდნენ ხის ჯერებში და შემდეგ დროდადრო ნელ-თბილ წყალს ასხამდნენ და საგორებელს გაატარ-გამოატარებდნენ. შალის თელვა დაახლოებით 4-5 საათს გრძელდებოდა. თელვას რამდენიმე კაცი ემსახურებოდა, რომლებიც დროდადრო ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. შალის თელვა ძნელ საქმეს წარმოადგენდა და უმეტესად მამაკაცების მიერ სრულდებოდა, მოთელილ შალს ლამბებს გააცლიდნენ, მრგვალ ჯოხზე დაახვევდნენ. გაასწორებდნენ და გააშრობდნენ. გაშრობის შემდეგ შალი იღებებოდა. შალი, რომელიც მოთელვამდე 20 ადლი იყო, მოთელვის შემდეგ 18—19 ადლამდე ჩამოდიოდა, ე. ი. ითელებოდა.

საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, მაგალითად, ზემო რაჭაში[8], სამეგრელოში[9] (ხობის რაიონი) შალის სათელავად იყენებდნენ ჩელტს, ხოლო რაც შეეხება აჭარული შალის სათელავს, მისი მსგავსი მთიულეთშიც[10] დასტურდება.

ხალხში დღემდეა შემონახული ცნობები ძველად სელის ტილოს დამზადებისა და მისი საცვლებად გამოყენების შესახებ. სელის ქსოვილი დიდი ღირსება-უპირატესობით სარგებლობდა, რადგან ის იყო სახმარად მსუბუქი, გრილი და გამძლე. სელისაგან დამზადებული მამაკაცის პერანგის ერთი ნიმუში დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში (კოლ. 12—13/5). პერანგი მუზეუმის ფონდში შესულია 1913 წელს, აჭარელი მამაკაცის კოსტუმის კომპლექსთან ერთად და ყურადღებას იპყრობს თავისი თარგით. სახელო ცალკე კი არაა დამზადებული და პერანგის ტანთან მიდგმული, არამედ იგი ჩადგმული გვერდის გაგრძელებას შეადგენს[11].

სელის ტილოს მნიშვნელობაზე მიუთითებს ისიც, რომ აჭარაში ისევე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, მიცვალებულს ახვევდნენ სელისაგან დამზადებულ ტილოში — სუდარაში. ძველი რწმენით, ასეთ ტილოში გახვევა სამადლო საქმედ ითვლებოდა. სელის ქსოვილის მნიშვნელობა ადამიანის ჯანმრთელობისათვის ძველთაგანვე იყო ცნობილი. „სამოსელი სელისაგან რომელი იქნების სწორი არის სიგრილითა და ნოტიოთა და სიხმელითა არის საკმელთა კერძოთაგან. არგებს და ამოაშრობს ნოტიოსა და ოფლსა ტანისაგან და იხ-

[7] ნ. კ ა ხ ი ძ ე, აჭარის მთიანი ხეობის ძველი და ახალი სამეურნეო ყოფა და კულტურა (მაჭახლის ხეობა), სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1967, გვ. 377—378.

[8] შინამრეწველობის მასალები, 1935, ქსოვა-ღებვა, სოფ. ნოღა, ზ. რაჭა, გვ. 23.

[9] იქვე, გვ. 14—15.

[10] იქვე, გვ. 102.

[11] გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, ქსოვილების დამზადების ისტორიიდან საქართველოში, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, 1956, ტ. XIX-ბ, გვ. 176.

მარების წამალთა შიგა და ერგების ტანზედა რომე წყლული იყოს, და ამოაშრობს მასა წყლულსა და გამოზრდის მისსა ხორცსა"[12].

ცნობილია, რომ სელს საქართველოში აშენებდნენ საბოჭკოედ (ქსოვილების დასამზადებლად) და საზეთედ[13]. აჭარაში სელის მოყვანა მხოლოდ საბოჭკოე მიზანს, ქსოვილების დამზადებას ემსახურებოდა. სელს ზეგან ადგილებში თესდნენ, გაზაფხულზე და შემოდგომაზე. შემოდგომაზე სელის თესვა საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული. პ. ჟუკოვსკის დაკვირვებით, შემოდგომის სელს აშენებდნენ დასავლეთ საქართველოში, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, ბალკანეთში და მცირე აზიის ზღვის სანაპირო რაიონებში. აქ, სუბტროპიკულ რაიონებში სელი თავისუფლად იზამთრებდა[14].

დიდი ყურადღება ექცეოდა სელის მოსაყვანი ნაკვეთის კარგად დამუშავებასა და დაფარცხვას. კარგ ადგილზე დათესილი სელი მაღალი იზრდებოდა და ბოჭკოც გამძლე და ხარისხიანი ჰქონდა. სელის დამწიფებას ღეროს გაწითლებით ატყობდნენ. სელს ხელით გლეჯდნენ. გაზაფხულზე დათესილ სელს შემოდგომაზე იღებდნენ, ხოლო შემოდგომაზე დათესილ სელს აუღებლად ტოვებდნენ, გამოზამთრების შემდეგ სელის ღერო უკეთ გაირჩეოდა. სელს მიწაზე გაშლიდნენ, სადაც ტოვებდნენ დაახლოებით ათი დღე-ღამის განმავლობაში. ამ ხნის მანძილზე სელი გ ა ჩ ი თ ე ბ ა (გახმება), შემდეგ გაცეხვავდნენ ფეხებით ან ჯოხებით. გამხმარ სელს არჩევდნენ უმეტესად ზამთარში, როდესაც ქალები სამეურნეო საქმიანობისაგან შედარებით თავისუფალნი იყვნენ. ბოჭკოს გახდის გაადვილების მიზნით კონებად შეკრულ სელს ერთი-ორი დღის განმავლობაში წყალში დაალბობდნენ. ღეროების გადატეხის შედეგად მიღებულ ბოჭკოს პირში ჩაიდებდნენ და ხერტალზე მიამაგრებდნენ, რაზეც ხდებოდა სელის ნართის დართვა. ერთი ხერტლის დართვას ერთი დღე სჭირდებოდა. ამოხვეული ნართისაგან მ უ რ გ ვ ე ბ ს აკეთებდნენ, მისგან კი ლ ა ნ დ ე ბ ს. ერთი მურგვისაგან ორი ლანდი გამოდიოდა. ახლად დართული სელის ნართი უხეში იყო. ამიტომ დარბილებისა და გათეთრების მიზნით ნაცარგარეულ საპნიან წყალში ხარშავდნენ. გამზადებულ ლანდებს ან მუხლებზე გადაიდებდნენ ან სპეციალურ ხელსაწყოზე, რომელსაც ო გ ვ ა დ ო // ო გ ო დ ო ეწოდებოდა. ნართი იქსოვებოდა ჰორიზონტალური ტიპის საქსოვ დაზგაზე — ქსელზე.

სელის გვერდით კანაფის ნართსაც დიდი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო მნიშვნელობა ჰქონდა. მისგან ქსოვდნენ ტილოს (ასეთ შემთხვევაში კანაფი მისაქსოვად იხმარებოდა, ზოგჯერ მას ბამბის ნართი სცვლიდა).

კანაფი აპრილ-მაისში ითესებოდა, წელიწადში ერთხელ. ჩრდილობ ადგილებში დათესილი კანაფი მაღალი იზრდებოდა. კანაფის მ ო დ ე დ ლ ვ ა[15] ხდებოდა შუა ზაფხულში, ხოლო აღება — შემოდგომაზე. მსგავსად სელისა კანაფსაც ხელით გლეჯდნენ, ჩრდილში ახმობდნენ, წყალში ან თოვლში ალბობდნენ და შემდეგ არჩევდნენ. ნართის დამუშავება სელის ნართის მსგავსად ხდებოდა.

კანაფისა და სელის ნართისაგან ქსოვდნენ საცვლებს, ტომრებს, გრეხდნენ ქალამნისა და თხილამურების თოკებს. ქსოვილს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და

---

[12] ქ ა ნ ა ნ ე ლ ი, უსწორო კარაბადინი, თბ., 1940, გვ. 422.

[13] გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 177; ლ. მ ო ლ ო დ ი ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1968, გვ. 11, 12.

[14] П. М. Ж у к о в с к и й, Культурные растения и их сородичи, М., 1964, გვ. 451—454.

[15] მწვანე თესლიან მამალ კანაფს ნათესიდან ამოარჩევდნენ და ამოგლეჯდნენ, რასაც მოდედლვას უწოდებდნენ.

სამეგრელოს მსგავსად, იყენებდნენ ბალიშების, ლეიბების გადასაკრავად, პირსახოცებად და სხვ.

სელისა და კანაფის ტექსტილური დამუშავების სირთულეზე კარგად მიუთითებს ზედა მაჭახელში გავრცელებული ერთი წეს-ჩვეულება, რომელიც ეთნოგრაფ ნ. კახიძის მიერ ასეა ჩაწერილი: გოგონას რთვა-ქსოვის შესწავლის დასაწყისში დასართავად აძლევდნენ სელისა და კანაფის ნართს. როცა მრთველი კვირისტავს გაავსებდა, ოჯახის უფროსი ქალი გოგონას „კისერს წააღუნიებდა" და მასზე კეცის ან კრამიტის ნატეხს დაადებდა, ამ უკანასკნელზე ნართს მოათავსებდა და ცეცხლით დაწვავდა. ამ წეს-ჩვეულების შესრულება რთვა-ქსოვის დამწყები გოგონების ხელსაქმეში გაწაფვას გულისხმობდა. ხალხში გავრცელებული რწმენის თანახმად, თუ მის დართვას გოგონა ისწავლიდა, მას მატყლის დართვა აღარ გაუჭირდებოდა[16].

აჭარაში მისდევდნენ მეაბრეშუმეობასაც, მაგრამ მას სელისა და კანაფის მოყვანასთან შედარებით მცირე ადგილი ეჭირა. ზოგ შემთხვევაში აბრეშუმის ნართი შემოჰქონდათ.

აბრეშუმის ნართისაგან მზადდებოდა სარტყლები, თ ა ლ ა ბ უ ლ უ ს ი ს ა რ შ ი ე ბ ი, საფულე ქისა, თ ო რ ე ბ ი, ყაითანი, ჯიბის საათის ყ ა ბ ი, ფ ე ჩ ე, თ ა ვ ჩ ი თ ი // თ ა ვ ს ა ჭ ი რ ა. ეს ნივთები საოჯახო მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ხმარდებოდა. აბრეშუმისაგან იკერავდნენ მთლიან ტანსაცმელსაც, მაგრამ აბრეშუმის ძაფს უფრო მოსართავ-გასაწყობად ხმარობდნენ. ნაწარმს ამზადებდნენ როგორც წმინდა აბრეშუმის, ასევე ბამბანარევი აბრეშუმის ქსოვილისაგან. წმინდა აბრეშუმისაგან ნამზად ნივთებს მისი სიძვირისა და სილამაზის გამო დიდი მოწონება ჰქონდა.

განსაკუთრებით მუშავდებოდა თავჩითი, რომელიც აჭარელი ქალის თავსაბურავის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენდა. მას ქსოვდნენ ბადისებურად, რისთვისაც სპეციალურ საქსოვ ფირფიტებს იყენებდნენ. აბრეშუმის პარკისაგან ბოჭკოს მიღება საკმაოდ შრომატევადი იყო. წინასწარ გადაარჩევდნენ პარკს ხარისხისა და ფერის მიხედვით. საღ პარკს მზეზე გაიტანდნენ, სადაც ტოვებდნენ რამდენიმე საათის განმავლობაში. ამ დროს ხდებოდა ჭუპრის ამოხოცვა პარკში. ამის შემდეგ, ქვაბში წყალს აადუღებდნენ და გადარჩეულ პარკს ჩაყრიდნენ, ხერტლის წვერით მოურევდნენ, ძაფს თავს მოუძებნიდნენ და ოგვადოზე მოახვევდნენ. ამ საქმეში დაოსტატებული ქალი თვალით გაზომავდა აბრეშუმის ძაფის სისქეს და სასურველ ზომაზე დააყენებდა. ოგვადოს სისტემატური დაბრუნების საშუალებით ძაფი ჯვარედინად დაეხვევა მასზე ოგვადოდან ძაფს ლანდებად ამოახვევდნენ, რომელთაც მისივე ძაფით თავს და ბოლოს დაუმაგრებდნენ, რომ არ დაშლილიყო. თავისუფალ დროს ხდებოდა მიღებული ძაფის დართვა, დაძახვა და ქსოვა.

ასეთი წესით მიღებული ძაფი საუკეთესო ხარისხით გამოირჩეოდა და ზოგჯერ მას გამოხარშვა არც სჭირდებოდა. სხვა შემთხვევაში ლანდებს საპნიან ნაცარწყალში გამოხარშავდნენ. ხარშვის პროცესი 10 წუთს გრძელდებოდა, რის შედეგადაც აბრეშუმი სინაზესა და ბრწყინვალებას იღებდა. გამშრალ ლანდებს მურგვებად ახვევდნენ.

---

16 ნ. კ ა ხ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 377—378.

ამ წესით მუშავდებოდა აბრეშუმის ბოჭკო საქართველოს სხვა კუთხეებში (იმერეთი, გურია, სამეგრელო, კახეთი)[17].

აბრეშუმის ძაფის დაძახვა ხერტალზე ხდებოდა, დაძახვის წინ ძაფს დანამავდნენ (დარბილების მიზნით ცოტა წყალს მოასხურებდნენ), ცალწვერად დართულ ძაფს თითისტარზე ორწვერად, ან სამწვერად დაძახავდნენ და ნართს ქსოვილისათვის ამზადებდნენ. დაძახულ ძაფს იყენებდნენ აგრეთვე მოსაქარგავად.

წუნი და „დომფალი" პარკიდან „ყაჭის ძაფს" ღებულობდნენ. ასეთ გადარჩეულ პარკს დარბილების მიზნით ნაცარწყალში ხარშავდნენ და გაშრობის შემდეგ გაწეწავდნენ (გ ა ღ ე ნ კ ა ვ დ ნ ე ნ) საჩეჩელზე. ყაჭის ძაფი გამოიყენებოდა პირველ რიგში საქსოვი დაზგის — საფეიქროს დგიმის დასამზადებლად, ხვანჯრებისა და ყაითნების მოსაქსოვად, ხირხის „დასალიანდაგებლად", ლეიბებისა და საბნების შესაკერად. მოქსოვილ ნივთებსაც საპნიან წყალში გამოხარშავდნენ.

მზადდებოდა ბამბანარევი აბრეშუმის ნაწარმიც, რომელიც წმინდა აბრეშუმის ქსოვილთან შედარებით მეორეხარისხოვნად ითვლებოდა. ბამბა შემოჰქონდათ დამუშავებული სახით. აბრეშუმნარევი ქსოვილების დასამზადებლად ბამბის ძაფს მისაქსოვად იყენებდნენ.

ხალხურ ფეიქრობაში იყენებდნენ აგრეთვე თხის ბეწვს, რომელსაც ოხისური ეწოდება. თხის ბეწვისაგან ძირითადად ქსოვდნენ წინდებსა და ხელთათმანებს, წნავდნენ სხვადასხვა დანიშნულების თოკებს.

ქსოვილების ღებვა წარმოებდა მცენარეულ საღებავში, ხშირად მცენარეული და მრეწველური საღებავის ნაერთით. მცენარეული საღებავებიდან აჭარის მოსახლეობა იყენებდა ენდროს, საწერ ბალახს, კაკლის ნაჭუჭს, თხმელის ქერქს, ნარინჯ ყვავილსა და ლილა მიწას.

ხალხური დაკვირვებით, შეღებილ ქსოვილს რიგი უპირატესობანი გააჩნდა. იგი რბილდებოდა, ბრწყინვალება ეძლეოდა და მოქნილი ხდებოდა. ღებვის ხარისხი დამოკიდებული იყო საღებავების შემზადებისა და ღებვის ხალხური წესების ღრმა ცოდნაზე. ყოველ სოფელს ჰყავდა დახელოვნებული მღებავები, რომელთათვისაც ცნობილი იყო მთელი რიგი უბრალო და საზრიანი რეცეპტები და ხშირად ისინი საიდუმლოდაც კი ინახავდნენ მათ და „თაობიდან თაობაში გადაეცემოდა როგორც უძვირფასესი საგვარეულო საკუთრება"[18]. სოფლის საუკეთესო მღებავები არ ზოგავდნენ თავიანთ ცოდნასა და გამოცდილებას მაღალი ხარისხის საღებავების შემზადებისათვის. ხშირად ისინი იღებდნენ დაკვეთებსაც იმ პირთაგან, რომელთაც ღებვა არ შეეძლოთ. ისინი უსასყიდლოდ, საფასურის გარეშე ღებავდნენ ქსოვილებს ნათესავებისა და მეზობლებისათვის. ღებვა წარმოებდა სპილენძის ან თიხის ჭურჭელში. შეღებვის პრინციპი ყველა ფერისათვის ერთნაირი იყო.

მცენარეულ საღებავში შეღებილი ქსოვილი დიდხანს ინარჩუნებდა თავის ფერს და მდგრადი იყო ფაბრიკულ საღებავთან შედარებით.

ზემოთ მოყვანილი ეთნოგრაფიული მასალისა და ლიტერატურული წყაროების ანალიზი საშუალებას იძლევა მიღებულ იქნას შემდეგი დასკვნა: აჭა-

---

[17] ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, თბ., 1957, გვ. 28—34.

[18] ვ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს., 1962, ტ. 5, გვ. 384.

რელთა ტანსაცმლისათვის გამოსაყენებელი მასალის მრავალგვარობა, მისი დამზადების ტექნოლოგია, საღებავების დამზადებისა და ქსოვილების შეღებვის წესი წარმოაჩენს აჭარაში ხალხური ფეიქრობის განვითარებულ დონეს, მის ძველთაგან მომდინარეობას და მსგავსებას საქართველოს სხვა კუთხეებში არსებულ ამავე რიგის მასალასთან.

И. Н. САМСОНИЯ

НАРОДНЫЕ СПОСОБЫ ИЗГОТОВЛЕНИЯ ТКАНЕЙ ДЛЯ ОДЕЖДЫ В АДЖАРИИ

Резюме

Юго-Западная Грузия с древних времен славилась изготовлением высококачественных тканей. Народное ткацкое производство в Грузии имеет глубокие исторические корни и своими начальными формами непосредственно связано с производящим хозяйством древней Грузии.

В конце XIX и начале XX века в Аджарии народ располагал богатым производственным опытом и трудовым навыком по текстильной обработке шерсти и прядильных растений — льна, конопли, хлопка и др. Из льна, конопли и хлопка изготовляли ткани для белья. Мужская одежда, носки, башлыки, женские пояса (сарткели), фартуки (пештемали) и др. изготовлялись из шерсти, а шелковая нитка, в основном, шла на украшение одежды. Для изготовления тканей издревле применялись ткацкие станки — горизонтальный («сапиокро»//ксели) и отчасти вертикальный (торис кда), чесалки (сачечели), веретено (хертали).

Окрашивали ткани, в основном, устойчивыми растительными красками.

Данные этнографических материалов по Аджарии вносят существенный вклад в изучение ткацкого дела древней Грузии.

პ უ ბ ლ ი კ ა ც ი ა

რევაზ კიკნაძე

ახალი მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის

ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულება პირველხარისხოვანი წყაროა XVII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორიის შესასწავლად. აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „რაკი ფარსადან გორგიჯანიძეს სპარსეთის სამეფო კარზე დიდი ადგილი ეჭირა და საქართველოს საქმეებიც ზედმიწევნით უნდა სცოდნოდა, ამიტომ მისი თხზულების უკანასკნელ ნაწილს საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და ძვირფას ცნობებს გვაძლევს“[1]. არანაკლებ საყურადღებო მასალა მოიპოვება ფარსადანის ნაშრომის იმ ნაწილში, სადაც სპარსული წყაროების გამოყენებით მოთხრობილია საქართველოს ისტორია XIV საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან მოკიდებული XVII ს-ის პირველი ნახევრის ჩათვლით. ივ. ჯავახიშვილის თქმით, ფ. გორგიჯანიძემ „თითქმის ორი საუკუნის წინათ შეასრულა ის შრომა, რომელიც ხელმეორედ აკადემიკოსებმა ბროსსემა და დორნმა გასწიეს სპარსელ ისტორიკოსთა ცნობების შეკრებით საქართველოს შესახებ“[2].

ჩვენს ისტორიოგრაფიაში გავრცელებული იყო შეხედულება, თითქოს ფ. გორგიჯანიძის საისტორიო ნაწარმოების ე. წ. მეორე ნაწილი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ემყარება და XII საუკუნის დამლევისა და XIII ს-ის საქართველოს ისტორიას გადმოგვცემს, მოკლებული იყოს ყოველგვარ მეცნიერულ ღირებულებას. მაგრამ, როგორც ამ ბოლო ხანებში გაირკვა, ფარსადანს, როცა ის სეფიანთა სახელმწიფოს სატახტო ქალაქ ისფაჰანში წერდა თავის თხზულებას, ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ისეთი ნუსხა, რომელიც რიგ ადგილებში უფრო ვრცელი, სრული და უკეთ შენახული ყოფილა, ვიდრე ამჟამად ცნობილი ნუსხებია[3]. გამორიცხული არ არის აგრეთვე, რომ მას დამატებით სხვა წყაროებითაც ესარგებლა[4]. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ XIV საუკუნის ანონიმური ავტორის, ჟამთააღმწერლის თხზულების დღეს ცნობილი ტექსტის ზოგიერთი აშკარად ნაკლული ადგილი ფ. გორგიჯანიძესთან უფრო სრულად არის შემონახული[5]. წინამდებარე ნაშრომში რამდენიმე ასეთი „ჩანართი“ ცნობა ქვეყნდება მცირე შენიშვნებით.

---

[1] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 288.

[2] იქვე, გვ. 297.

[3] თუმცა კი, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ადგილი ფარსადანის ნუსხაშიც უიმედოდ ყოფილა შერყვნილი.

[4] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, კიდევ ერთი ქართული წყარო ლაშა გიორგის ისტორიისათვის, კრებ. „საქართველო რუსთაველის ხანაში“, თბ., 1966.

[5] ერთი საამისო მაგალითისათვის იხ. რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ჟამთააღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1971. № 4.

* * *

ჟამთააღმწერელი საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს მონღოლთა სამსახურში დაწინაურებულ მედროვეთა — სადუნ მანკაბერდელისა და მისი ვაჟის ხუტლუ-ბუღას თავგადასავალს. ფარსადანი ძირითადად იმეორებს ამ ცნობებს, მაგრამ ამავე დროს საყურადღებო დეტალებით ავსებს ჟამთააღმწერლის თხრობას (მეტადრე ხუტლუ-ბუღას შესახებ).

დავით ლაშას ძის გარდაცვალების შემდეგ, „მეფე დიმიტრი მცირე იყო, და არა ძალ-ედვა მეფობა. ამისთჳს უმრავლესნი წარვიდეს და მსახურებდეს ყაენსა, რამეთუ ვერცა დავით მეფემან სწუართნა ერისთავნი, შიშისათჳს ყაენისა“, — მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი[6]. ასეთი ვითარება, როგორც ჩანს, კარგა ხანს გაგრძელებულა. მართალია, მოგვიანებით („ვითარცა აღიზარდა მეფე დიმიტრი“), „დარბაისელნი ქართველნი და სომხითარნი და ჰერ-კახნი მეფეს წინაშე იყვნეს“[7], მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ქართველი დიდებული როდი ემორჩილებოდა ახალგაზრდა მეფეს. ყოველ შემთხვევაში, 1284 წელს, როცა უკვე სავსებით მოწიფულმა დემეტრემ ქართველთა რაზმით დახმარება გაუწია ილხან აჰმედ თეგუდარს (1282—1284) მისივე ძმისწულის არღუნის წინააღმდეგ ბრძოლაში, „ყაენმან დიდად დაუმადლა მეფესა თანახლება ხუარასანს, და პატივიცა უყო დიდი, და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი მოსცნა“[8]. დაახლოებით ამასვე იმეორებს ფ. გორგიჯანიძეც, მაგრამ იქვე უმატებს საყურადღებო ცნობას, საიდანაც ირკვევა, რომ სადუნ მანკაბერდელის სიკვდილის შემდეგ ამირსპასალარად დანიშნული ხუტლუ-ბუღაც არ ემორჩილებოდა თურმე მეფეს, განდგომია მას და ილხანის კარზე იმყოფებოდა. ამის გამო დემეტრემ, როგორც ჩანს, ჩამოართვა ხუტლუ-ბუღას ადრე მისთვის ბოძებული მამისეული მამული და მხოლოდ შერიგების შემდეგ დაუბრუნა.

ყაენმან დიდად დაუმადლა მეფესა ხორასანს თანხლებისათვის და მოსცა მთავარნი საქართველოსანი, რომელნიც არ მორჩილებდეს ყაენის შიშით მეფესა. მაშინ სადუნის შვილი ხუტლუ-ბუღა[9] მოსცეს ჴელთ მეფესა, დააპატიმრა. და ევედრა მეფესა ფიცით ერთგულობასა და იაჯა უვნებლობასა. და უსმინა სახვეწარი მეფემან დემეტრემ, მისცა საფიცარი უვნებლობისა და ქვეყანანი მისის მამის ნაქონი, სადუნისა[10].

* * *

შემდეგი „ჩანართი“ ადგილი ფ. გორგიჯანიძის თხზულებისა 1288 წლის ამბებს ეხება და რამდენსამე მნიშვნელოვან ცნობას შეიცავს.

---

6 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბ., 1959, გვ. 268. შდრ. ფ. გორგიჯანიძე: „მეფე დემეტრე ყმაწვილი დარჩა მამასა და გარიგების შეძლება არა ჰქონდა. ამისთვის უფროსიერთთ თავგამზიდავობა დაიწყეს და ყაენის კარს წავიდნეს და ყაენს ემსახურებოდენ. ვერც დავით მეფემ გამოსცვალის ყაენის ში[ში]თ მეფეთა და ერისთავთა თავიანთ ადგილითა“ (საქართველოს მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნწ. H ,2140, ფ. 85v).

7 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 273.

8 იქვე, გვ. 285.

9 ფ. გორგიჯანიძის ხელნაწერში, „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეული ნუსხის მსგავსად, გვხვდება „ხუტულ ბუღა“. ჩვენ ვასწორებთ „ხუტლუ-ბუღა“-დ, ოღონდ ცალ-ცალკე აღარ აღვნიშნავთ ყველა შემთხვევას.

10 ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 93v—94r.

რაშიდ ად-დინი მოგვითხრობს, რომ 687 წ. რაბი ალ-ავალის თვის ბოლო დღეს (1288 წ. 4 მაისს) ქ. ბილასუვარში მყოფ არღუნ-ხანს (1284—1291) ამბავი მოუტანეს, თამა თოყთა-მურთადი დარუბანდიდან გამოვიდა და ურტაღები და ვაჭრები გაძარცვაო. არღუნი მეორე დღესვე დაიძრა მის წინააღმდეგ. მან მტკვარი გადალახა, 9 მაისს შემახაში მივიდა და რამდენიმე ამირი და უფლისწული გაგზავნა მეწინავედ. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ მათ ამბავი მოიტანეს, მოწინააღმდეგე უკან გაბრუნდაო[11]. ამგვარად, რაშიდ ად-დინის მიხედვით, ბრძოლა ჩრდილოეთის ულუსის მბრძანებლისა და ილხანის ჯარებს შორის ამჯერად საერთოდ არ მომხდარა. ყამთააღმწერელი კი მოგვითხრობს, რომ არღუნმა გამდგარ დარუბანდელთა წინააღმდეგ გაილაშქრა და მეფე დემეტრეც თან წაიყვანა. დარუბანდელები „ვერ წინააღუდგეს" და ერთ ციხეს შეაფარეს თავი. არღუნმა ქართველებს უბრძანა თურმე ციხის აღება. ქართველებმა ძლიერად იბრძოლეს „და წარუღეს ციხე, და თავადნი მათნი დაჴოცნეს[12], და წარმოიღეს ტყუე და განძი და დედაწული მათი ურიცხჳ, და ციხე დაწუეს"[13]. ყოველივე ამას ხედავდა ილხანი, მაგრამ „თჳთ მეფისა აქუნდა მტერობა", ამიტომ, მადლობისა და წყალობის ნაცვლად, „სთხოვა ჯაჭჳ სახელოვანი და მსწრაფლ მიანიჭა მეფემან, და წარმოვიდეს შინა"[14]. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, „ცხადივ დიდი ქება ბრძანა ყაენმან ქართველთა, მაგრა გულსშიგ ავი იყო მეფისა. ჯაჭვი სთხოვა, რომელიც მეფეს ტანს ეცვა სახელო[ვა]ნი. და ფიცხლავ გაიხადა[15] მეფემან და თვითან მიუტანა ყაენსა"[16].

ამის შემდეგ ყამთააღმწერელი პირდაპირ ბუღა ჩინგსანგის სიკვდილით დასჯის ამბავს მოგვითხრობს, ფარსადანი კი ჰყვება, თუ როგორ გამოსთხოვა ხუტლუ-ბუღამ მეფის აბჯარი („ჯაჭვი") ილხანს და აღწერს დემეტრეს, ხუტლუ-ბუღას, ბუღა ნოინისა და არღუნ-ხანის ურთიერთობის ამბებს.

ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა შენიშნა, რომ ბუღას დასჯის ამბის გადმოცემისას ყამთააღმწერლის თხზულებაში „რამდენსამე ადგილას აზრის მიმდინარეობას ნახტომები ემჩნევა... ცხადი ხდება, რომ აქ შუაში ბევრი რამ უნდა აკლდეს"[17]. მართლაც, სრულიად გაუგებარია, რატომ „მიავლინა ყაენმან ნოინი" თავისი ერთგული ბუღას შესაპყრობად და რატომ „ბრძანა განუკითხავად მოკლეა მისი და ძისა მისისა"[18]. ფ. გორგიჯანიძესთან შესაბამისი ადგილი სრულად არის დაცული და საყურადღებო ცნობები მოიპოვება როგორც საქართველოს, ისე ირანის ისტორიისათვის.

რა სცნა ხუტლუ-ბუღამ მანკაბერდელმან[19], რომე მეფის ჯაჭვი ყაენმან გამოართვა, იმან ყაენს სთხოვა და ყაენმან მას უბოძა ჯაჭვი იგი. იწყინა

---

[11] Рашид-ад-дин. Джами ат-таварих. III. Баку, 1957. სპარსული ტექსტი. გვ. 207—208; რუსული თარგმანი. გვ. 120.

[12] ფ. გორგიჯანიძე მათ სახელებსაც გვამცნობს: „აიღეს ციხე და დაირჩინეს თავადნი მათნი, ჩიმაქარ და ბაან, მთავარი დარუბანდისა, დაჴოცეს და ქონება და ტყვენი მათნი წამოიღეს და ციხე დასწვეს" (დასახ. ხელნაწერი, ფ. 94v—95r).

[13] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 286.

[14] იქვე.

[15] ხელნაწერში: გაიხადადა.

[16] ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 95r.

[17] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბ., 1965, გვ. 223.

[18] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 286—287.

[19] ხელნაწერში: მანკაბურდელმან.

მეფემან, მივიდა ჩინქაშან ბუღასთანა, შესჩივლა ხუტლუ-ბუღას ურჩობისაგან და უმეტესობისაგან, რომ არ დარიდა მეფის ჯაჭვის თხოვნას. რა მეფის საჩივარი გაიგონა ჩინქაშან ბუღამან, მოვიდა, ყაენს მოაკსენა. ყაენმან ხუტლუ-ბუღა მეფეს ხელთ მისცა და გაგზავნა საქართველოში პატიმრად. შემოეხვეწა მეფესა და შეშინდა და უვნებლობისათვის დმანისი მეფეს უძღვნა. და მეფემ შეიწირა და ფიცით უბრძანა და ნიშანიც უბოძ[ა] უვნებლობისა. და სხვანი მოკვლას ურჩევდეს, და არვის დაუჯერა და შეუნდო დანაშავები, და ტკბილის გულით შეიწყალა, მისცა საფიცარი და მეორეთ; ნიშანი უვნებლობისა.

გამოიარა შვაზედ მცირედი ხანი და ერთპირათ ნო[ი]ნები გაუავდენ ჩინქაშან ბუღასა, დაუწყეს ბეზღობა სიმართლისათვის[20]. თავს არ შეიდვა ამისთვის ვითაც, რომე არც თვითონ უზემდა ძალს თემსა და ქვეყანასა, სოფლებსა და ქალაქებსა, და არც ყაენს აქნევინებდა და ვერცა ნო[ი]ნები უზემდეს მისის შიშითა. ამისათვის გაუავდნენ ნო[ი]ნები, აბეზღებდეს ყაენსთანა. სცნა ხუტლუ-ბუღამან, დაივიწყა ფიცი, ძმით მივიდა სამცხეს, მთავარსა ბექასასა. მან კეთილათ შეიწყალა, ასული მისი ცოლათ მისცა[21] და მზესიძეთ[22] სახლსა მისას ამყოფა.

მოაკლეს პატივნი ჩინქაშან ბუღასა[23], სცნა ეს ბექამან და გაგზავნა კაცი არღუნ ყაენსთანა და სთხოვა ციხე-ქალაქი ხუტლუ-ბუღასათვის მამის მისის ნაქონი მათი. მოსცეს დმანისი და თელავი, და მეფეს წა[ა]რთვეს ავაქის ნაქონი მამულნი[24], ისიც ხუტლუ-ბუღას მისცეს. აბეზღ[ე]ბდეს ყაენსთან მეფესა; სთხოვა ათასი ჯორი, სამასი ათასი აქლემი, ჯოგი და ნახირი, ცხვარი; ჯაჭვი და იარაღი სხვაც მრავალი. და ამებს ჩინქაშან ბუღის ჯავრით იქმოდეს ამისთვის, რომ ეგების მეფეს დანაშავებულობა უპო[ო]ნ რამე და საყვედური ჩინქაშან ბუღას დაადვან.

---

20 რაშიდ ად-დინის ცნობით, ბუღა ნოინი მეტისმეტად გაამაყდა თავისი მაღალი მდგომარეობისა და სიმდიდრის გამო, აღარავინ არაფრად მიაჩნდა და აგდებულად ექცეოდა არღუნ-ხანის დაახლოებულ ამირებსაც კი. ამით განაწყენებული ამირები დაემდურნენ ბუღას, აბეზღებდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ სახელი გაეტეხათ მისთვის ილხანის წინაშე (Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 209—210; რუსული თარგმანი, გვ. 121).

21 თუ ეს ცნობა სარწმუნოა, მაშინ გამოდის, რომ ხუტლუ-ბუღას დემეტრე მეფის ცოლისდა შეურთავს.

22 უთუოდ საინტერესო ჩანს ფ. გორგიჯანიძის მიერ „ზე-სიძის“ თავისებური გააზრება. ამ სიტყვის შესახებ იხ. ა. შანიძე, ასული და ჩემი ძეო, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1964, 25.XII, № 52.

23 მრავალგზის დაბეზღების შედეგად ილხანს მართლაც გული ააყრევინეს ბუღაზე, აღარ ენდობოდა და ავადმყოფობის შემდეგ სახელოც ჩამოუმცრო მას (Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 210—211; რუსული თარგმანი, გვ. 122).

24 1284 წელს დემეტრე ილხანის ტახტზე ახლად ასულ არღუნს ეახლა. მან „კეთილად შეიწყნარა, და მოსცა ყოველი სამეფო მისი და სახლი ავაგ ათაბაგისა, რომელი აქუნდ› საჰიბ-დივანს“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 285).

აქა მეორეთ დაბეზღება ჩინქაშან ბულისა ყაენსთანა მეფის მოყვრობისათვის

ნო[ი]ნებმან მოახსენეს არღუნ ყაენსა, შენი წახდენა უნდაო [ბულას], ყაენათ სხვა უნდა დასვასო[25]. მარტის ათორმეტს იქნება ნავრუზობა და შორ მყოფნი თავადნი იმ დღეობას ყაენის კარს მოვლენ[ო]. ამ დღეს ყაენის ბძანებით ნო[ი]ნები დაესხნენ თავს ჩინქაშან ბულასა, დაიჭირეს, თვითან ყაენს მოჰგვარეს და მისი ქონება და სახლი აუკლეს. გაუკითხავად ბრძანა ყაენმან მოკვლა ჩინქაშან ბულისა. მოჰკვეთეს თავი მამა-შვილთა და ყველგან ა[ა]ოკრეს კერძი მისი[26].

როგორც ვნახეთ, ბულა ჩინგსანგის შესახებ ფარსადან გორგიჯანიძის მიერ დამატებით მოწოდებული ცნობები დასტურდება რაშიდ ად-დინის მასალებითაც. ამდენად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მისი სხვა მონაცემებიც (კერძოდ, ხუტლუ-ბულას შესახებ) ასევე სარწმუნო უნდა იყოს.

ბულა ნოინის სიკვდილით დასჯის შემდეგ „წარავლინეს ყოველგან კაცი, საბერძნეთს, შამს და ხუარასანს, და მრავალნი დიდნი ნოინნი მოსწყჳდნეს“[27]. დემეტრეც გამოიძახეს ურდოში. იქ მას მოსთხოვეს, „რათა აღწეროს ყოველი სიმდიდრე მისი, საჭურჭლე, ზროხა და ცხოვარი, და ყოველი საქონელი მისი“[28]. დემეტრემ „აღწერა, რაცა აქუნდა სიმდიდრე ფრიადი, წარმოგზავნეს კაცნი და წარიღეს ყოველნი“. ამის შემდეგ ქამთააღმწერელი დასძენს, — „ხოლო იტყჳან ამასცა: ხოჯა-აზიზის შვილი, რომლისა მამა მოეკლა მეფესა დავითს, ხუტლუ-ბულა და იგი, ორნივე მტერობად შეითქუნეს მეფისა“[29]. ფ. გორგიჯანიძე ქამთააღმწერლის ცნობას უმატებს მნიშვნელოვან განმარტებას, საიდანაც ირკვევა, რომ ხუტლუ-ბულა ხოჯა-აზიზის შვილიშვილი ყოფილა დედის მხრით და ამიტომაც მტრობდა დემეტრეს. „ასეც ითქვა, — შენიშნავს ფარსადანი, — ხოჯა-

---

25 ბულას მართლაც ჰქონია განზრახული არღუნ-ხანის ტახტიდან ჩამოგდება და მის მაგიერ უფლისწულ ჯუშქაბის დასმა (Рашид-аддин, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 212; რუსული თარგმანი, გვ. 122—123).

26 ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 95r—95v. ქამთააღმწერელთან: „და ვითარცა გარდაკდეს ქამნი მრავალნი და რაჟამს წელიწდისა თავი მოიწევის, რომელსა ურდსინგად უწოდეს, რომელ არს ენითა მათითა, რომელი იქმნების მარტსა ათხუთმეტსა...“ (ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., ტფილისი, 1906, გვ. 735). ამის გამო ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „უეჭველია „ვითარცა გარდაკდეს ქამნი მრავალნი“-ს შემდგომ უნდა მოთხრობილი ყოფილიყო ის გარემოება, რომელმაც ბულას შეპყრობის განკარგულება გააცემინა ყაენს. მარიამ დედოფლისეული ქ-ცის ხელთნაწერსა და სხვებშიაც კი ამაზე არაფერია ნათქვამი და ზემომოყვანილ სიტყვებს უშუალოდ მოსდევს ნაკვეთი „და რა ქამს წელიწდისა თავი მოიწევის“ და შემდეგი, რომელიც არც გრამატიკულად და არც აზრით წინადადების წინა ნაწილს არ უდგება“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 223). ფ. გორგიჯანიძის თხზულების ხელნაწერში გამოვლენილი თხრობა ბულა ჩინგსანგის შესახებ სავსებით ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას.

27 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 287.

28 იქვე, გვ. 289.

29 იქვე. ივ. ჯავახიშვილის აზრით, „თანამედროვეებს, შესაძლებელია, ხუტლუბულაზე უფრო მეტი საფუძველი ჰქონოდათ, ეჭვი შეეტანათ, რათგან ყველამ იცოდა, თუ რამდენად ნაწყენი იყო იგი, როცა მამის, სადუნ მანკაბერდელის, სიკვდილის შემდეგ, ათაბაგობა დეზრეტრე II-ემ მას კი არა, როგორც ის მოელოდა, არამედ მის ერთ-ერთ მეტოქეთაგანს, ტარსაიჭ ორბელს უწყალობა“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 226).

აზიზ რომ მეფეს მოეკლა, მისი შვილი იელ-ხუტლუ[30] და ხუტლუ-ბუღა ამისთვის იყვნენ მეფის მტერნი, იელ-ხუტლუ[30] დედის ძმა იყო ხუტლუ-ბუღასი, მესისხლობით მტერნი იყვნენ მეფისა"[31].

1289 წლის 12 მარტს საქართველოს მეფე დემეტრე II მონღოლებმა სიკვდილით დასაჯეს ურდოში. ილხანმა არღუნმა დავით ნარინის ვაჟს „ვახტანგს ნოსცა მეფობა ყოველისა საქართველოსი, და დაჲ თჳსი ოლჯათ ცოლად"[32]. ვახტანგ მეფემ „აღიყვანა პატივსა ათაბაგობისასა და ამირსპასალარობისასა ხუტლუბუღა, და მიუბოძა ორივე ჴელი და განგება სამეფოთა"[33]. ამას ჟამთააღმწერელთან მოსდევს დემეტრე II-ის შვილების ამბავი, ფარსადანი კი დამატებით რამდენსამე ცნობას გვაწვდის ხუტლუ-ბუღას შესახებ.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ხუტლუ-ბუღას ნიჭისა და სხვა თვისებების შესახებ, რომლითაც მისი მამა სადუნ მანკაბერდელი იყო დაჯილდოვებული, ცნობები არ მოგვეპოვება"[34]. ახლა, ფ. გორგიჯანიძის წყალობით, ზოგიერთი ახალი შტრიხი ემატება ხუტლუ-ბუღას დახასიათებას:

და ამ ვახტანგ აიყვანა პატივსა ათაბაგობისასა [და] ამირსპასალარობა ხუტლუ-ბუღას უბოძა, ორივ საჴელო დიდი. და არიგებდა ხუტლუ-ბუღა საქმეთა სამეფოთა, მაგრამ იყო კაცი ამაყი და აპარტავ[ა]ნი და უმეტესობას მოყვარე. დიდთა საქმეთა შემბედავი. ამისთვის სძულდა სრულ ქართველთა, ნამეტნავად ამისთვის უფრო, რომ მეფის დემეტრეს მოკვლაში ერია[35].

უნდა ითქვას, რომ ხუტლუ-ბუღა დიდხანს როდი დარჩა ვახტანგის ერთგული. „ხუტლუ-ბუღასათვის, ეტყობა, თვით ვახტანგ მეფისთანა სათნო ადამიანთანაც კი ხანგრძლივი შეთანხმება ადვილი არ იყო", — შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი[36]. ორი წელიც არ იყო გასული, რომ „ინება ხუტლუ-ბუღა, რათა დავით მეფე ყოს"[37]. დემეტრე II-ის უფროსი ვაჟი დავითი მამის სიკვდილის შემდეგ „დაშთა თათართა შინა ტაჩარ ნოინისთა[38], ჭირთა და იწროებათა შინა"[39]. ახლა ხუტლუ-ბუღა ვახტანგს გადაუდგა და მისი გამეფება მოინდომა. ჟამთააღმწერ-

---

30 ხელნაწერში: იელ ხუტლე.

31 ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 97r.

32 ივ. ჯავახიშვილის აზრით, „რამდენად მართალია ჩვენი ისტორიკოსის ცნობა ვახტანგისათვის ოლჯათის ცოლად მიცემის შესახებ, ჯერ კიდევ გამოსარკვევია, რადგან არც ერთ სხვა წყაროში ამგვარი ცნობა არ მოიპოვება" (ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 234). სათანადო ცნობა აქვს რაშიდ ად-დინს, რომელიც წერს, აბაღა-ხანის მეექვსე ქალიშვილი (ე. ი. არღუნის და) ოლჯეითეი ცოლად მისცეს საქართველოს მეფის დავითის ვაჟს (**Р а ш и д-а д-д и н, Джами ат-таварих.** III, სპარსული ტექსტი, გვ. 99; რუსული თარგმანი, გვ. 66). ასევეთვე ცნობას გვაწვდის სტეფანოს ეპისკოპოსიც (**Армянские источники о монголах.** М., 1962, გვ. 42).

33 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 293.

34 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, XI—XV საუკუნეები, თბ., 1949, გვ. 161. იქვე ავტორი შენიშნავს, რომ „შურისმაძიებლობით ის თავის ყოველად ძლიერ მშობელს არ ჩამოუვარდებოდა". შდრ. აგრეთვე, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 226.

35 ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 99r.

36 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, XI—XV საუკუნეები, გვ. 173.

37 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 294.

38 როგორც ჩანს, იგულისხმება თოღაჩარი, არღუნ-ხანის ერთ-ერთი უფროსი ამირი.

39 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 293.

ლის ცნობით, „ტაჩარ თანა-შეეწეოდა დავითს, და ოვსთა მეფის ძე, სახელით ფარეჯან, იგიცა ძლიერად შეეწეოდა დავითს“. მიუხედავად ამისა, მას მაინც არ მისცეს მეფობა, რადგან „სხუათა მთავართა ქართველთა არა სთნდა მეფობა დავითისი, რამეთუ მტკიცედ დგეს ერთგულობასა ზედა ვახტანგისსა“[40].

ამგვარად, ყამთააღმწერლის მიხედვით, ქართველ დიდებულთ თითქოს მხოლოდ იმიტომ არ სურდათ დავითის გამეფება, რომ ვახტანგის ერთგულნი იყვნენ. ფ. გორგიჯანიძეს კი მიაჩნია, რომ „უფროსიერთ არ უნდოდათ მეფობა დავითისა მათისავე შეცოდებისათვის, ამისთვის მოუდგნენ ვახტანგს ერთგულათ, არ მიაცემინეს მეფობა დავით[ი]სათვის“. როგორც ჩანს, ამის შემდეგ ხუტლუ-ბუღასა და ფარეჯანს საქართველოში ვახტანგთან დაბრუნების პირი აღარ ჰქონდათ. ამიტომ „დარჩნეს ხუტლუ-ბუღა და ფარენჯან ოსი დავითსთანა“[41].

* * *

არღუნის სიკვდილის შემდეგ მონღოლმა უფლისწულებმა და ნოინებმა მისივე უმცროსი ძმა ქეიღათუ მოიყვანეს რუმიდან, „დასუეს ტახტსა და ჰელთ უგდეს ყოველი საყაენო“[42]. ყამთააღმწერელი ამის შემდეგ ვახტანგის მეფობის ამბავს ყვება, ფარსადანი კი გვამცნობს, რომ ქეიღათუმ „ელგან ნო[ი]ნის შვილი, სიქანდურის ძმა აღბუღა მჴედართმთავრად ქნა, არღუნისაგან დაჩაგრულნი გაამდიდრა ამისთვის, რომე არღუნს თავისი ნათესავნი სრულ ამო[ე]წყვიტათ, სხვაც მრავალნი უბრალონი დაეხოცა“[43]. აღსანიშნავია, რომ ელგაი („ელგონ“) ნოინის შვილებს შორის მართლაც იყვნენ შიქთურ („სიქანდურ“) და აღბუღა. ეს უკანასკნელი ქეიღათუს უფროსი ამირი და სიმამრიც იყო[44].

ქეიღათუ (1291—1295) ილხანად დაჯდა 690 წ. რაჯაბის თვის 24-ში (1291 წ. 23 ივლისს). მისი გამეფებისთანავე „განდგა ქალაქი საბერძნეთისა ტუნღუზალო“[45]. ქეიღათუმ „მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა“, დავით დემეტრეს ძე იახლა და რუმს მიაშურა. ფ. გორგიჯანიძის სიტყვით, ქეიღათუმ „დავით, ძე მეფის დემეტრესი, თან წაიყვანა მცირის ფარეჯანის[46] ოსითა, ერთგულნი მეფისა დავითისა“[47].

---

40 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, XI—XV საუკუნეები, გვ. 294.

41 ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 99r.

42 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 295.

43 ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 99v.

44 Рашид-ад-дин. Джами ат-тавэрих, I. 1. М., 1965. სპარსული ტექსტი. გვ. 136, 139; Рашид-ад-дин. Сборник летописей, I. 1. М.-Л., 1952, გვ. 94, 95; Рашид-ад-дин. Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 231; რუსული თარგმანი, გვ. 132.

45 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296. მ. ბროსე და ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდნენ, რომ ყამთააღმწერელმა აჯანყებული ნოინის სახელი მიიჩნია ქალაქის სახელწოდებად, რადგან ასეთი ქალაქი მცირე აზიაში თითქოს არ არსებობს (Histoire de la Géorgie, I, გვ. 611, შენ. 2; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 237—238). ქალაქი ტონღუზალო || ტონღუზლუ (თანამედროვე დენიზლი, ანტიკური ლაოდიკეა) იხსენიება სპარსულ, არაბულ და სომხურ წყაროებშიც. ტონღუზალოს აჯანყების საკითხს ჩვენ სხვა დროს შევეხებით საგანგებოდ.

46 ხელნაწერში: ფარანჯის.

47 ყამთააღმწერლის შემდგომი თხრობიდანაც ჩანს, რომ ფარეჯანი იმ დროს საქართველოში არ იმყოფებოდა: „ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა, იწყეს ოვსთა ოკრებად, ჴოცად და რბევად, და ტყუენვად ქართლისა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296; იხ. აგრეთვე, გ. თოგოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, სტალინირი, 1958, გვ. 198).

ქამთააღმწერლის ცნობით, რუმს გალაშქრების წინ ქეიღათუმ „შეევედრა ტახტი და ცოლი მისი და ხათუნნი ნოინსა ელგონს. ხოლო ხუტლუ-ბუღა და სხუანი მთავარნი საქართველოსანი დაუტევნა მუღანს, რამეთუ ეშინოდა გამოსლვისათვის ბერქალნთასა"[48]. 1291 წ. ამბებში ელგა ნოინის ხსენება, რა თქმა უნდა, ანაქრონიზმია. თვით ქამთააღმწერლის თხზულებიდანაც ვიცით, რომ ელგა იმ დროს კარგა ხნის გარდაცვლილი იყო[49]. ფ. გორგიჯანიძე შესაბამის კონტექსტში იხსენიებს ელგა ნოინის შვილს სიქანდურს, გვარად ჯალაირს[50]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ელგას მართლაც ჰყავდა შვილი, სახელად შიქთურ („სიქანდურ"). ამავე დროს ცნობილია ისიც, რომ როდესაც ქეიღათუმ რუმს გამგზავრება გადაწყვიტა, თავის სრულუფლებიან მოადგილედ ირანში მართლაც შიქთური დანიშნა[51]. ოღონდ ეს შიქთური ელგა ნოინის შვილი კი არა, ერთ-ერთი უხუცესი მონღოლი ნოინი იყო და ჯერ კიდევ ჰულაგუ-ხანს ემსახურებოდა. ქეიღათუს დროს იგი უკვე ძაბუნი მოხუცი იყო და ამირთა წინამძღოლად ითვლებოდა[52]. შიქთურ || სიქანდური ქამთააღმწერელთანაც რამდენიმეჯერ იხსენიება ბარაყ-ხანთან ბრძოლის აღწერაში (1270 წ.)[53].

ივ. ჯავახიშვილი გაკვირვებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ რუმის ლაშქრობაში ქეიღათუმ უფლისწული დავითი წაიყვანა თან, ხოლო ვახტანგ მეფეს ქამთააღმწერელი საერთოდ არ იხსენიებს ამ ამბებში. მკვლევარს მიაჩნდა, რომ „ვერავითარი გამამართლებელი მოსაზრება ვერ მოეძებნება ვახტანგ მეფის შესახებ ქამთააღმწერელის დუმილს იქ, სადაც რუმის გამდგარი ქალაქის დასამორჩილებლად გალაშქრებაზე აქვს მას საუბარი"[54].

ჩვენი აზრით, ვახტანგის მოუხსენებლობა ამ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივია და იმით უნდა აიხსნას, რომ ქეიღათუს საერთოდ არ გაუწვევია საქართველოდან არც მეფე და არც აქაური ლაშქარი. როგორც ვნახეთ, დავითიც, ხუტლუ-ბუღაცა და ფარეჯანიც ურდოში იმყოფებოდნენ იმ დროს და სწორედ ისინი იხსენიებიან სათანადო კონტექსტში. დავითი და ფარეჯანი თან წაიყვანა ილხანმა, ხოლო ხუტლუ-ბუღას ჩრდილოეთიდან გადმოსასვლელი გზის დაცვა დაავალა. აღსანიშნავია ისიც, რომ, ფარსადანის მიხედვით, რუმში ლაშქრობის დროს დავითს საერთოდ არ ხლებიან ქართველები, მას მხოლოდ ოსთა მცირე რაზმი ჰყოლია თან[55].

ქეიღათუმ 1291 წ. 31 აგვისტოს გადაწყვიტა რუმის მხარეში გამგზავრება[56], ტონღუზალოს აჯანყების ჩაქრობას თითქმის ხუთი თვე დასჭირდა[57], ირანში კი ილხანი მომდევნო, 1292 წლის გაზაფხულზე დაბრუნდა[58]. ამასობა-

---

48 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296.

49 იქვე, გვ. 254.

50 ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 100r.

51 Рашид-ад-дин. Джами ат-таварих. III. სპარსული ტექსტი. გვ. 234; რუსული თარგმანი, გვ. 134.

52 იქვე, სპარსული ტექსტი, გვ. 233; რუსული თარგმანი, გვ. 133.

53 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 282, 283, 284.

54 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 238.

55 ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 100r.

56 Рашид-ад-дин. Джами ат-таварих. III. სპარსული ტექსტი. გვ. 234; რუსული თარგმანი, გვ. 134.

57 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 296.

58 Рашид-ад-дин. Джами ат-таварих. III. სპარსული ტექსტი. გვ. 236; რუსული თარგმანი, გვ. 135.

ში, როგორც ჩანს, ვახტანგი გარდაიცვალა, „სამ წელ ოდენ მეფე ყოფილი“[59], და ქეიღათუმ დავითს უბოძა საქართველოს მეფობა. ამავე დროს, „მოსცა ყაენმან დაჲ მისი ოლჯათ, რომელი ვახტანგს ცოლად ესუა“[60].

მერე ქამთააღმწერელი ჰყვება დავითის მეფობის დასაწყისისა და ოსებთან ურთიერთობის ამბებს, ხოლო რატი სურამელსა და ოსთა შორის შეტაკების აღწერის შემდეგ გვამცნობს: „ხოლო მოვიდა მწოდებელი ყაენ თუქალისი წინაშე დავით მეფისა. და წარვიდა დავით წინაშე თუქალისა, რომელი იდგა მთათა არარატისათა... დაამტკიცეს ერთობა, და წარმოვიდა მეფე შინა, და მისცა დმანისი, რომელ აქუნდა ხუტლუბუღას, ძმასა მანგასარისსა“[61]. მომდევნო აბზაციდან ირკვევა, რომ აღწერილი ამბავი ხდება უკვე ბაიდუს ილხანობაში, 1295 წელს.

ქამთააღმწერლის ზემოთ მოტანილ ცნობაში რამდენიმე უზუსტობაა. ჯერ ერთი, თუქალი არ ყოფილა ყაენი[62]. იგი ერთ-ერთი მონღოლი ნოინი იყო. ცოლად ჰყავდა არღუნ-ხანის ასული ოლჯეი-თემური. არღუნის გარდაცვალების შემდეგ მხარს უჭერდა ილხანის ტახტზე ბაიდუს დასმას. მეორეც, სრულიად გაუმართლებელია თხზულებაში არაერთგზის ნახსენები და მკითხველისათვის კარგად ნაცნობი ხუტლუ-ბუღას, უცნობი პირის, მანგასარის მეშვეობით გაცნობა („რომელ აქუნდა ხუტლუბუღას, ძმასა მანგასარისსა“). თანაც ქამთააღმწერლის ცნობიდან კარგად არ ჩანს თუ ვინ ვის მისცა დმანისი („და წარმოვიდა მეფე შინა, და მისცა დმანისი“). უნდა ითქვას კი, რომ მონღოლ ნოინს, რომელსაც საქართველო მხოლოდ სადგომად ჰქონდა მიჩენილი, არც ექნებოდა უფლება ამირსპასალარ-ათაბაგისათვის ჩამოერთმია ქალაქი და მეფისათვის ებოძებინა ის. და ბოლოს, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ხუტლუ-ბუღა იმ დროს უკვე ორი წლის მკვდარი იყო.

მცირე ხნის შემდეგ, როცა უფლისწულმა ყაზანმა და მისმა მომხრეებმა ბრძოლა გააჩაღეს ბაიდუს წინააღმდეგ, ამ უკანასკნელმაც შეკრიბა ლაშქარი. თუქალიც სასწრაფოდ გაემართა მის დასახმარებლად, „ვერღარა მიიცადეს მეფე“ დავით. „აქაცა დაიცვა ღმერთმან, რომე არა დახუდა“, — შენიშნავს ქამთააღმწერელი[63]. სიტყვა „აქაცა“ გვაფიქრებინებს, რომ ადრეც ყოფილა მსგავსი შემთხვევა, როცა დავითი ილხანთა სახელმწიფოში ამტყდარ შინაურ ბრძოლას გადაურჩა. სამწუხაროდ, „ქართლის ცხოვრების“ დღეს ცნობილ

---

59 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 295.

60 იე. ჯავახიშვილი ამ ცნობის გამო შენიშნავდა, რომ „ოლჯათ მართლაც აბაღა ყაენის ასული, მაშასადამე ქეღათუს და იყო, მაგრამ სპარსული წყაროების ცნობებით ის ჯერ თუქალის, მერმე ყუთლუღის ცოლად ყოფილა, ხოლო ვახტანგ მეფეზე და დავითზე რომ გათხოვილიყო, ამაზე იქ არაფერია ნათქვამი“ (ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 339). ეს მსჯელობა მთლიანად ემყარება მ. ბროსეს შენიშვნას (Histoire de la Géorgie, I, SPb., 1849, გვ. 612, შენ. 3. იხ. აგრეთვე, ვ ა ხ უ შ ტ ი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოც., ტფილისი, 1885, გვ. 262, შენ. 1). უნდა ითქვას, რომ მ. ბროსესა და ივ. ჯავახიშვილს მხედველობაში ჰყავთ არა აბაღას, არამედ არღუნის ასული, რომელიც მართლაც ჯერ თუქალს ჰყოლია ცოლად, ხოლო შემდეგ ყუთლუღშაჰს (იხ. Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 198; რუსული თარგმანი, გვ. 115). ქამთააღმწერლის ცნობაში კი დასახელებულია აბაღას ასული, ე. ი. არღუნისა და ქეიღათუს და (იხ. ზემოთ შენიშვნა 32).

61 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 298.

62 ყაენი ჰგონიათ თუქალი ვახუშტისა და იოანე ბაგრატიონსაც.

63 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 298.

არცერთ ნუსხაში ეს ადგილი აღარ არის ისევე, როგორც არაფერია თქმული ხუტლუ-ბუღას სიკვდილზე, ქეიღათუს მოკვლასა და ბაიდუს გაილხანებაზე და ა. შ.[64] მაგრამ, როგორც ირკვევა, „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ ხელნაწერს სრულად შემოუნახავს შესაბამისი მონაკვეთი, ამ ხელნაწერით უსარგებლია ფარსადან გორგიჯანიძეს და მისი წყალობით შესაძლებელი ხდება გავიცნოთ ქამთააღმწერლის თხზულების ნაკლული ადგილის შინაარსი.

აქა სუნბატ ბუღა[65] **ნამეტნავად გამდიდრებულიყო, ვითაც მეფენი იქცეოდა.** მრავალი სოფლები და ქვეყანანი მეფის დავითისაგან [მიეღო, ყაენ]მანც მისცა. **და [მეფე] უფროსიერთს ხანს კარზედ იყვის. ამისათვის სთმობდა საქმესა და ნაქმარსა ხუტლუ-ბუღისასა.** და ურდოს მიმავალი [დავით] **უკმოიქცა, მივიდა სასლსა და სამეფოსა თავისასა და გაგზავნა** კაცი ყაენსთან, **მისწერა თუ, „დავანებე ყოვლი სამეფო ჩემი ხუტლუ-ბუღასა, მოველი ყაენისაგან, რომ ჩემი მეფობა მას უბოძოს და მე მას ვემსახურები“.** ამისათვის, **რომე** ყაენის **შიშით ვერა** სცვლიდნენ **მეფენი** ერისთავთა. მიაწია **მოციქულმან**[66] ყაენს წინ **და** მოახსენა **მეფის** დანავედრი **სიტყვანი** ყაენსა. **ხუტლუ-ბუღა** იქ **ყოფილიყო** და ყაენს **საქართველოში** გაეგზავნა **და** სამეფო ყოველი **მისთვის** მიებარებინა. **რა** მოვიდა **მოციქული** მეფისა, **გამოგზავნეს** კაცი, **მოსწივეს** შამქორსა; **ხუტლუ-ბუღა** შეიპყრეს, **მიიყვანეს** ყაენსთანა, **და** მეფეც კარს იკმეს, **რომ** მათი საქმე **გაბრჭონ. მივ[ი]და** مეფე **ბილაღანს** და **იქ** დახვდა **ხუტლუ-ბუღა, რომელსაც** შეეწ[ე]ოდა ნო[ი]ნი **დიდი** აღბუღა.

რა ნახა ყაენმან **მეფე** დავით, **დიდი** პატივნი **მიაპყრო** და **მეფემანც** მრავალი **საჭურჭლე** ძვირფასისა **მიართვა:** ჭურჭელნი ოქროსა და ვერცხლისანი, სარტყელი **იგი** ზეით **თქმული** ძვირფასისა, **რომელსაც** გაჰკვირდა ყაენი[67].

გაიარა ცოტა დღენი, ისმეს სამდივნოსა **მეფე** და **ხუტლუ-ბუღა.** და აჩინეს **სიტყვის** მთქმელათ **ბურსელი ხუტლუ**[68]. **მრავალს** იტყოდენ [ო]რნიკე. **სცნა** აღბუღამა ნო[ი]ნმან, **რომელი** იძლეოდა **მას ხუტლუ-ბუღა.** ადგა ნო[ი]ნი **დივნით,** თან **წაიტანა ხუტლუ-ბუღა,** დაიხსნა იქით. **რა** სცნა ყაენმან, **რომ** აღბუღა **ხუტლუ-ბუღას** კერძია, **თვით** მასთან **იპყრა** აღბუღა. **აიყარნეს** თავრეზითა **და** სიანქოს[69] **მივიდნენ,** სად **იყო** სადგმური **დიდის** ჰალაქუ-ხანისა, **რომელიც** სახლათ **და** პალატათ ჰქონებოდა ქაიხოსროვ ქემწიღესა. **იქ** იყენენ **ორ** თვეს **და** ყაენი ეშურებოდა **ხუტლუ-ბუ-**

---

64 იხ. რ. კიკნაძე, ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის ქამთააღმწერლის თხზულებაში, „ქართული წყაროთმცოდნეობა“, IV, თბ., 1973, გვ. 40, შენ. 22.

65 მართალია, ხელნაწერშია „სუნბატ ბუღა“, მაგრამ შემდგომი თხრობიდან აშკარა ხდება, რომ საუბარია ხუტლუ-ბუღას შესახებ.

66 ხელნაწერში: მოციქულინ.

67 ამ ძვირფას სარტყელს მართლაც იხსენიებენ ადრე ქამთააღმწერელი და ფ. გორგიჯანიძე (აგრეთვე ვახუშტი და იოანეს). დაეითმა რომ საქართველოს მეფობა მიიღო, ბექამ „წარმოუვლინა ძე თჳსი პირმშო, სამცხის სპასალარი სარგის, და ყოველი ნამარხეი. რომელ აქუნდა მეფის დიმიტრისაგან შეეედრებული, და სარტყელიცა იგი დიდფასისა“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 297; შდრ. ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 100v).

68 ხელნაწერში: ხუტლე.

69 ილხანთა ამ საზაფხულო სადგომის შესახებ იხ. რ. კიკნაძე, ერთი გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის ქამთააღმწერლის თხზულებაში.

ღისა და აღბუღის ჯავრის ამოყრასა. ყაენმან სანადიროთ წასვლა მოინდომა; ბრძანა არ წასვლა სანადიროსა ხუტლუ-ბუღისა ყაენსთანა.

[ხუტლუ-ბუღამ] ჰკითხა აღბუღასა, წავიდეს შორს ადგილსა, ნო[ი]ნს ვისმესთანა, რათა[70] ოქრო მოიღოს მისგან. და ერთი მისანდო კაცი გაატანა. დაიცა დრო და გაპარვით წავიდა საქართველოს ამისთვის, რომ ყაენის რისხვას ელოდა. მის[ი] გაპარვა აღბუღას დააბრალეს და, რასაც იმას სთხოვდეს, აღბუღას და[ა]ბრალეს და კიდეცა აზღვევინეს. გაგზავნეს კაცი ხუტლუ-ბუღასთანა, რომ მოიღოს ოქრო, და თან გაატანეს საკელათ ყურუმში. მივიდნენ საქართველოში, რომ სად იყო სადგმური ნო[ი]ნისა. თქვა ყმამან აღბუღისამან: უგზოთ რასთვის მივდივართო, რომე შეიპყრა ყაენმან აღბუღა. ამის მთქმელს ფიცხლავ კელები შეუკრეს და პირიც აუკრეს. იქნა ღამე, და მართალს გზას არ მიდიოდნენ: უთკრა კაცმან ყურუმშისამან: არ არის გზა ეს საქართველოსიო. არ ვიცი, განგებ იქთო თუ გზას დამცდარკართო. მე თქვენთვის ავი არ მინდაო. არ დაუჯერეს ნათქვამი. გათენდა, ადგა ქარი მცირე და გარდაპყარა ნისლი. და ნახეს თავიანთ ბარგთან გამოქცეული თათარი ერთი, პყრობილთაგან გამოპარული. მიეიდა თათრებსთანა, დაიწყო აღბუღის კაცების დაჭირვა. და ხუტლუ-ბუღა გაიქცა[71] სამასის კაცითა. ასრე იქნა ხუტლუ-ბუღის წახდენა და აოკრება მისი; მოაკვდინეს და აიღო ფასი, რაც მას დემეტრე მეფისათვის ექნა. სხვაც აქონდა, რომე ვალს გარდასდა უნდა. ამ ხუტლუ-ბუღასაც ამას წინად ორნივე ძმანი აბულეთიძენი დაეხოცა[72]. ახლა იხმო ყმანი და უთჴრა მათ: თუ შეეებმით, ყველას დაგვხოცენო, თუ არადა. მარტო მე მამკელენო. მაწ, სჯობს, ჩივსცე თავი ჩემიო და თქვენ შვიდობით იხსნათო. აღარ გაიძრეს კელი. ხუტლუ-ბუღა და ყმანი მისნი შეიპყრნეს თათართა, მიუსხეს ქუღათო ყაენსა. უბრძანა მეფესა: აპა, რომელიც გიქადე, რომ შენ მოგცემო ხუტლუ-ბუღასაო. მეფემ თაყვანი სცა და გარეთ გამოვიდა.

შეიქნა ღამე, ადგა ყაენი და მივიდა ლაშქრით. იყო ეს ქუღათ ყაენი ღვინის მოყვარული, მსუბუქი და ცრუ, მამათა ბოროტი, კაცთაგან საძულველი. ნახა კარავში სანთელი ანთებული. იკითხა, კარავი ვისი არისო? მოახსენეს: ხუტლუ-ბუღას ყმანი არიანო. თავიანთ რჯულის წესით ილოცვიდეს; მსახურთ-უხუცეს[ი] ხუტლუ-ბუღისა ოთარი[73] ხატს ეაჯებოდეს ღამისთევითა და საკმეველითა. ბრძანა გამოყვანა ოთარისა. მოიყვანეს ყაენს წინ. ეუბრძანა: შენ კაცოო, რათ გამაპარე ხუტლუ-ბუღაო? ოთარმან მოასსენა: ისმინე თქმული ჩემიო, ბედნიერ ყაენოო. მე გაზდილი ვარ ხუტლუ-ბუღისაგანო; თვით უბრალო არისო. მე გაგაპარეო. მე ვარ შემცოდეო, არაფუ ისიო. რა ესმა ყაენს ნათქვამი ოთარის, ბძანა მოკვლა ოთარისა.

---

70 ხელნაწერში: რათ რათ.

71 ხელნაწერში: ხუტულ ბუღის გაქცევა.

72 „ორნივე ძმანი აბულეთის ძენი, სადუნისაგან გარდმოხვეწილნი, ხუტლუ-ბუღამ დახოცა“ (ფ. გორგიჯანიძე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 92v. იხ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 281—282: Из истории князя Стефана Орбелиан. История монголов по армянским источникам. I, СПб., 1873, გვ. 49; Из „Летописи“ Степаноса Епископа. Армянские источники о монголах, М., 1962, გვ. 38).

73 ხელნაწერში: საბასი და ოთარის. ფ. გორგიჯანიძის მიერ „საბას“ და, ცოტა ქვემოთ, „სუნბატის“ უადგილოდ ხსენება მოწმობს, რომ მის მიერ გამოყენებულ ხელნაწერშიც ზოგი რამ დამახინჯებული უნდა ყოფილიყო.

მოჰკვეთეს თავი. სცნა სიკვდილი ოთარისა მეფემან და სუნბატისა, ეწყინა და შექმნა ტირილი და მოიგონა ნამს[ა]ხური მათი.

და ყაენმან წინ იხმო ხუტლუ-ბუღა და უბრძანა: შენ აღბუღის სიტყვით წამიხველო? და მან პასუხი[74] არ გასცა. მოსცეს მეფეს დავითს ჯელთა და უბრძანა მოკვდინება ხუტლუ-ბუღისა. და ის შემოეხვეწა მეფესა. რომ არ მოჰკლ[ა]ს. მეფემა უბძანა: არ მინდა მოკვლა შენიო. მაგრა ბრძანება გამოსულა ყაენისაო, თუ არადა, მეწყალვიო სიმხნისა და სიჭაბუკისათვისო. გაუწყდა ღონე [ხუტლუ-ბუღას], ილოცა და ეზიარ[ა]. ღა თვითან მეფემ[75] შემოჰკრა ჯმალი და ორად გაჰკვეთა[76]. დაილია საქმე ხუტლუ-ბუღასი. შვილი არა ჰყვანდა, სამი ძმა დარჩნეს. უბრძანა [მეფემ] წაღება თავიანთ სასაფლაოსა[77], მიიტანეს გესამ[ა]ნიას და ოთარი — სამცხეს.

ცოტას ხანს უკან ყაენმან მეფე გაისტუმრა და ყოველი ნაქონი ხუტლუ-ბუღასი მეფეს მისცა, და მოვიდა დმანისს და არიგებდა საქართველოსა.

ამ ჟამს მოვიდნენ ქართლსა დიდნი ნო[ი]ნებნი თუქალი და ყონჩიბალი, რომ დასთვალონ[78] საქართველო. სცნა მეფემ მოსვლა მათი ჰერეთს[79], წინ მიეგება, რომლისათვის დიდად მადრიელნი იყვნენ ნო[ი]ნები. და მოვიდნენ ქართლსა, რომე დასთვალონ ქვეყანანი საქართველოსანი. ამ დროს იმერეთით ანბავი მოუვიდა, რომ წამოვიდა ლაშქარნი აფხაზეთისა თქვენად საბრძოლათო. სწრაფათ აიყარნენ და თრიალეთ[ს] ავიდნეს [ამ] ა[მ]ბვით. ღმერთმან დაიხსნა ქვეყანა.

და შემოდგომად მეფე წავიდა ურდოსა, ყაენს წინ მივიდა ბილაღანს. იხილა ყაენმან მეფე, იამა და გაიკარა და დიდი პატივი სცა. მოახსენეს: უკუგიდგა თუქალიო, ღალატით მოკვლა სწადიან თქვენიო, რომ ყაენათ მოიყვანოს ბიძაშენი ბაიდუქ. მაშინ უბრძანა ყაენმან მეფეს დავითს: ვიციო, რომ გაქვს ჩემი სიყვარულიო, ვითაც რომე მიყვარხარო და ამოვაგდე მტერი შენიო, საცა იყვნენო. აწე შენც სწრაფად მიდი სამეფოსა თქვენსაო, თქვენის ლაშქრით ადრე მამეშველეო, რომ მინდა მივიდე ორგულსა და უკუდგომილს თუქალს ზედანო. ფიცხლავ რა მოვიდა, ლაშქარი შემოიყარა [დავითმა] და ადრე მოვიდა ქუღათს ყაენს წინაშენ. მაგრამ თუქალმან დაასწრო და[ა]ესხა ქუღათოს ყაენს თავსა და დაიჭირა, თავსაკრავით და[ა]რჩო[80]: ნო[ი]ნი იგი დიდიც მო[ა]კვდინა აღბუღა ყონჩი-

---

74 ხელნაწერში: პას პასუხი.

75 ხელნაწერში: მემეფემ.

76 რაშიდ ად-დინის ცნობით, სადუნ ქართველის ვაჟი ხუტლუ-ბუღა სიკვდილით დასაჯეს 692 წ. შა'ბანის თვის მიწურულს — 1293 წ. აგვისტოს დამდეგს (Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 238; რუსული თარგმანი, გვ. 136).

გაუგებარია, რას ემყარება ლ. ბაბაიანის მტკიცება, რომ თითქოს ხუტლუ-ბუღა სომეხ და ქართველ ფეოდალთა ანტიმონღოლურ მოძრაობას მეთაურობდა და ამის გამო დასაჯეს სიკვდილით (Л. О. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII—XIV вв., М., 1969, გვ. 165).

77 ხელნაწერში: სასფლოვასა.

78 ხელნაწერში: დასთვალოს.

79 ხელნაწერში: ჰერათს.

80 რაშიდ ად-დინის მიხედვით, ეს მოხდა 1295 წ. 24 მარტს (Рашид-ад-дин, Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 244; რუსული თარგმანი, გვ. 139).

ბალმა[81] და ალინაყის შვილი ბუღაც[82]. გაგზავნეს კაცი ბაიდუქს წინ, რომელიც იყო ჰალაქუ-ხანის შვილი, აბაღას ძმა უმცროსი, რომელიც ქრისტიან შექნილიყო, ნ[ე]სტორიანთ რჯული დაეჭირა[83].

აქა თუქალი დაესხა ქუღათოს ყაენსა, დაიჭირა, და[ა]რჩო და ბიძამისი ბაიდუქან[84] ყაენათ დასვა

მიართვეს ტახტი და საყაენო მორთულობა და ქონება, გაუგზავნეს ელჩი მეფეს დავითს და დაუმადლეს, რომ არ დახვდა ქუღათოს სიკვდილსა. მ[ღ]ოთის წყალობით დაფარული იქნა მეფე და სპანი მეფისანი. თუ დასწრებოდენ, ქართველთ საქმე წამხდარი იყო[85].

მოვიდა მაწვეველი თუქალისა, წავიდა მეფე თუქალსთანა, რომელიც ართაჰნის მთას იდგა. იხილა თ[უ]ქალმან მეფე დავითი, დიდი პატივი სცა. შეჰფიცეს ერთმანერთსა სიყვარულისათვის, და[ა]მტკიცეს ფიცი ერთობისა; თავისი და მოსცა, რომელიც ედგა ხუტლუ-ბუღასა ძმასა მანგასარს. მანც მეფეს თავისი და მოსცა, და წამოვიდა შინ[86].

* * *

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ფ. გორგიჯანიძეს ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ერთი და ისიც ნაკლული და დამახინჯებული ხელნაწერი, ვერ მოუხერხებია მისი გარჩევა და ამის გამო არაერთი შეცდომა მოსვლია[87]. განსაკუთრებით ბევრი შეცდომა გვხვდება ფარსადანის თხზულების იმ ნაწილში, რომელიც „ისტორიათა და აზმათა“ მიხედვით არის გამართული. ეს გასაგებიც არის, რადგან თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებამ საერთოდ მეტად დამახინჯებული სახით მოაღწია ჩვენამდე[88]. ყამთააღმწერლის ტექსტიც არ ყოფილა დაზღვეული შეცდომებისაგან და ერთი ხელნაწერის ამარა დარჩენილ ფარსადანს ყოველთვის ვერ მოუხერხებია მისი სწორად გაგება. ზემოთ მოტანილი ვრცელი ნაწყვეტიდანაც ჩანს, რომ ჩვენი ავ-

---

81 ხელნაწერში: ყონჩიბალი. რაშიდ ად-დინის ცნობით, აღბუღა ყუნჩუყბალის (ყონჩიბალის) მოთხოვნით დასაჯეს სიკვდილით ბაიდუს მომხრე ამირებმა 1295 წ. მაისის თვეში (Рашид-ад-дин. Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 291; რუსული თარგმანი, გვ. 163).

82 ხელნაწერში: ბუღამ. ყამთააღმწერელიც აღნიშნავს, რომ ალინაყის შვილის ყურუმჩის „ძმა ბუღა მოეკლა თუქალს“ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 298).

83 ბაიდუ ჰულაგუ-ხანის შვილიშვილი იყო, მისი მეხუთე ვაჟის თარაღაის ძე (Рашид-ад-дин. Джами ат-таварих, III, სპარსული ტექსტი, გვ. 11; რუსული თარგმანი, გვ. 17—18). ცნობა ბაიდუს ქრისტიანობის შესახებ სტეფანოს ორბელიანთანაც გვხვდება (История монголов по армянским источникам, I, გვ. 56).

84 შესაძლებელია, უნდა იყოს ბ ა ი დ უ ქ ო უ ნ (ყამთააღმწერლის განმარტებით, ქ ო უ ნ მონღოლურად ვაჟიშვილს ნიშნავს. — ქართლის ცხოვრება, II, გვ. 223; იხ. აგრეთვე. Б. Я. Владимирцов, Общественный строй монголов, Ленинград, 1934, გვ. 61).

85 ამ სიტყვების შემდეგ გასაგები ხდება, რას გულისხმობს ყამთააღმწერელი, როცა დავითის შესახებ შენიშნავს, „აქაცა დაიცვა ღმერთმან, რომე არა დახუდა“-ო.

86 ფ. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, დასახ. ხელნაწერი, ფ. 101г—103г.

87 ს. ქ ა ქ ა ბ ა ძ ე, ფარსადან გიორგიჯანიძის ისტორია, „საისტორიო მოამბე“, II, ტფილისი, 1925, გვ. 202.

88 ფ. გორგიჯანიძის დამოკიდებულებას „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტთან ჩვენ საგანგებოდ განვიხილავთ სხვა ნაშრომში.

ტორის მიერ გამოყენებულ წყაროში ყველაფერი ერთნაირად გამართული და გასაგები არ იყო. ამის გამო ფარსადანთანაც გვხვდება ზოგიერთი ბუნდოვანი, გაუგებარი ადგილი, შეცდომა და ა. შ. მაგრამ, ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ აქვე მოტანილია ახალი საყურადღებო მასალა, რომლის ერთი ნაწილი (განსაკუთრებით ის, რაც ილხანთა სახელმწიფოს ისტორიას ეხება) სხვა წყაროებითაც დასტურდება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებულია შეხედულება, რომ დემეტრე II-ის მიერ მისი მეფობის პირველსავე წლებში სადუნ მანკაბერდელისათვის იძულებით მიცემული მნიშვნელოვანი სავაჭრო და სახელოსნო ცენტრი დმანისი მხოლოდ 1295 წელს დაუბრუნა თუქალ ნოინმა დავით VII-ს[89]. ეს მოსაზრება ემყარება ყამთააღმწერლის თხზულების სათანადო ადგილს. მაგრამ, როგორც ვნახეთ, ყამთააღმწერლის თხრობა სწორედ ამ ნაწილში არასრული, ნაკლული და ბუნდოვანია. კერძოდ, მისი ცნობიდან („და წარმოვიდა მეფე შინა, და მისცა დმანისი, რომელ აქუნდა ხუტლუბუღას, ძმასა მანგასარისსა") სულაც არ გამოდის, რომ თუქალმა დავითს დაუბრუნა დმანისი.

ახლა, ფ. გორგიჯანიძის მიერ შემონახული ცნობების საფუძველზე ირკვევა, რომ დმანისი რამდენიმეჯერ გადასულა ხელიდან ხელში. ჯერ კიდევ 1288 წელს ხუტლუ-ბუღამ, თავის დახსნის მიზნით, „უვნებლობისათვის დმანისი მეფეს უძღვნა". მცირე ხნის შემდეგ, როცა „მოაკლეს პატივნი ჩინქაშან ბუღასა", ბექა ჯაყელის თხოვნით, არღუნ-ხანმა ხუტლუ-ბუღას დაუბრუნა დმანისი და თელავი. და ბოლოს, ხუტლუ-ბუღას სიკვდილით დასჯის შემდეგ, 1293 წელს, ილხანმა ქეიღათუმ მთელი მისი ქონება დავით VII-ს უბოძა. ის „მოვიდა დმანისს და არიგებდა საქართველოსა".

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ყამთააღმწერლის ცნობაში თუქალ ნოინის მიერ დავითისათვის დმანისის დაბრუნების თაობაზე რამდენიმე უზუსტობაა. ფ. გორგიჯანიძისა და ყამთააღმწერლის თხზულებათა სათანადო ადგილების შედარებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ XIV ს-ის ავტორის დღეისათვის ცნობილ ტექსტში თითქოს ორი სხვადასხვა ცნობაა გაერთიანებული. ყამთააღმწერლის მიხედვით, თუქალმა დავითს მისცა დმანისი, რომელიც ეკუთვნოდა ხუტლუ-ბუღას, მანგასარის ძმას. ფარსადანი კი გვამცნობს, რომ თითქოს დავითმა მისცა თუქალს თავისი და, რომელიც მანამდე ცოლად ჰყოლია მანგასარს, ხუტლუ-ბუღას ძმას[90]. ხოლო თუქალს, თავის მხრით, თავისი და მიუცია მეფისათვის და არა დმანისი. ბუნებრივად ისმება კითხვა: ყამთააღმწერლის სიტყვები — „და წარმოვიდა მეფე შინა, და მისცა დმანისი", ხომ არ უნდა გავიგოთ

---

89 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, XI—XV საუკუნეები, გვ. 175—176; დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 277.

90 თუ ეს ცნობა დავითის დას რუსუდანს ეხება, მაშინ გამოდის, რომ ბუღა ჩინგსანგისა და მისი ვაჟის სიკვდილით დასჯის შემდეგ დაქვრივებული რუსუდანი ხუტლუ-ბუღას ძმას შეურთავს; 1295 წელს ის თუქალს მიათხოვეს, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ (ქართლის ცხოვრება, II, გვ. 299) საქართველოში დაბრუნდა და თაყა ფანასკერტელს მისთხოვდა (ე ლ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962, გვ. 85, 102, 136—137; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანას ეპილოგი, თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963, გვ. 752—753). ანდა, შესაძლებელია, ამ ცნობაში იგულისხმებოდეს დავითის მეორე ღა, ჯიგდა, რომელიც დემეტრე II-ს მონღოლ ქალთან შეეძინა.

ისე, რომ დავით მეფემ თუქალს „მისცა და მისი“?[91] ეს მათ უმეტეს საფიქრებელია, რომ როგორც გაირკვა, ხუტლუ-ბუღა იმ დროს ორი წლის მოკლული იყო[92] და მას ვეღარაფერს ჩამოართმევდნენ, დმანისი კი უკვე დავით მეფეს ეკუთვნოდა.

აქამდე სხვადასხვა წყაროებით ცნობილი იყო, რომ მონღოლებმა ორჯერ ჩაატარეს საქართველოში აღწერა XIII საუკუნის 50-იან და 70-იან წლებში. ფ. გორგიჯანიძემ შემოგვინახა ცნობა, საიდანაც ირკვევა, რომ მონღოლი ნოინები თუქალი და ყუნჩუყბალი (ყონჩიბალი) 1294 წლის პირველ ნახევარშიც მოსულან საქართველოს აღსაწერად. მაგრამ ამჯერად მათ ვერ შესძლეს აღწერის ჩატარება, რადგან დასავლეთ საქართველოდან ლაშქრის წამოსვლის ამბავი შეიტყვეს და იძულებული შეიქნენ გასცლოდნენ იქაურობას. „ღმერთმან დაიხსნა ქვეყანა“, — შენიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე. ეს სიტყვები კიდევ ერთხელ მოწმობს თუ რაოდენ მძიმე შედეგები მოსდევდა მოსახლეობისათვის ქვეყნის ყოველ ახალ აღწერას.

როგორც ვხედავთ, ფარსადან გორგიჯანიძემ შემოგვინახა უნიკალური მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის, რომელიც ნაწილობრივ უცხოური წყაროებითაც დასტურდება. ამდენად, ფ. გორგიჯანიძის თხზულების ე. წ. მეორე ნაწილს დიდი მნიშვნელობა ენიჭება როგორც „ქართლის ცხოვრების“ („ისტორიათა და აზმათა“, ჟამთააღმწერლის ნაშრომის) სამეცნიერო ტექსტის დადგენის, ისე აღებული ხანის საქართველოს ისტორიის საკითხების კვლევის საქმეში.

---

91 ამ ვარაუდს მხარს უჭერს წინადადებაში ნახმარი „მისცა“ (თუ დავითისათვის ბოძებაზე იქნებოდა საუბარი, მოსალოდნელი იყო „მოსცა“).

92 როგორც ითქვა, რაშიდ ად-დინის ცნობით, ხუტლუ-ბუღა სიკვდილით დასაჯეს 1293 წ. აგვისტოს თვის პირველ რიცხვებში (იხ. ზემოთ შენიშვნა 76). პ. ინგოროყვას აზრით, ხუტლუ-ბუღა 1296 წელსაც ცოცხალი იყო (პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, გვ. 583, 705, 757).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

სპარსეთის ყურე ბრიტანეთის იმპერიალიზმის პოლიტიკაში

Г. Л. Бондаревский, Английская политика и международные отношения в бассейне Персидского залива (Конец XIX — начало XX в.), Москва, 1968, «Наука».

იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკამ საერთაშორისო დაძაბულობის საშიშ კერად გადააქცია ახლო აღმოსავლეთი. ამ დაძაბულობათა ერთ-ერთ კვანძს სპარსეთის ყურის ქვეყნები წარმოადგენენ.

ფრიად მნიშვნელოვანია ამ რეგიონის ეკონომიური ღირებულება, ვინაიდან იგი ნავთობის ერთ-ერთ ძირითად მიმწოდებელს წარმოადგენს კაპიტალისტური სამყაროსათვის. 1969 წელს, მაგალითად, სპარსეთის ყურის ქვეყნებში მოპოვებულ იქნა 539,6 მლნ ტონაზე მეტი ნავთობი[1]. ამ რეგიონზე მოდის, კერძოდ, დასავლეთ ევროპაში ნავთობის იმპორტის 60%, იაპონიის მიმართ კი ეს ციფრი 90% აღწევს[2].

სწორედ ამიტომ ეჯახება აქ ესოდენ მწვავედ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ინტერესები. მათ აქ გიგანტური კაპიტალი აქვთ დაბანდებული: ამერიკელ ნავთობის მაგნატებს 5 მილიარდამდე დოლარისა, მათ ინგლისელ კონკურენტებს კი 2 მილიარდ დოლარზე მეტი[3].

ძალზე დიდია ამ რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობაც. სწორედ აქაა განლაგებული იმპერიალისტური სახელმწიფოების უკანასკნელი საყრდენები არაბულ ქვეყნებში: ინგლისის ბაზები ბაჰრეინზე, მასკატსა და ომანში, აშშ სამხედრო-საჰაერო ბაზა დაჰრანში და სხვ. ეაშინგტონს ალბათ, ძალზე გაუჭირდებოდა, აგრესიის განგრძობა ინდოჩინეთში ამ რეგიონიდან ექსპორტირებული ნავთობის გარეშე.

XX საუკუნის 60-იან წლებში ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობა სპარსეთის ყურის სანაპიროებზედაც აზვირთდა. დასავლეთგერმანელი პუბლიცისტი კ. ფონ იმჰოფი სამართლიანად მიუთითებდა: „ევროპის ძველი კოლონიური ქვეყნები და მათი ამბიციები აღარ განსაზღვრავენ განვითარების სახესა და მარშრუტს ნილოსსა და განგს შორისო"[4]. მით უმეტეს, როცა 1970 წლის ივნისში ინგლისის ახალმა, კონსერვატიულმა მთავრობამ უხეშად უკუაგდო ლეიბორისტული მთავრობის კურსი და დემონსტრატულად თქვა უარი ამ რეგიონიდან ჯარების გაყვანაზე. ბოლოს და ბოლოს, სპარსეთის ყურის ქვეყნების უდიდესმა აღშფოთებამ იძულებული გახადა ინგლისის მთავრობა 1971 წლის მარტში ოფიციალურად დაედასტურებინა ინგლისის „წასვლის" განზრახვა წლის ბოლოსათვის, მაგრამ საგარეო საქმეთა მინისტრის ა. დაგლას-ჰიუმის მიერ წამოყენებული გეგმა სხვა არაფერი იყო, თუ არა ინგლისის ოდნავ შენიღბული „დარჩენა" ამ რაიონში.

ვითარება კიდევ უფრო გაართულა განხეთქილებამ არაბული ემირატების ფედერაციაში, რომელიც 1968 წლის თებერვალში გამომჟღავნდა. 1971 წლის აგვისტოში ბაჰრეინმა, ხოლო სექტემბერში კატარმა უარი თქვეს ფედერაციაში შესვლაზე და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ისრაელის აგრესიამ გამოიწვია აქამდე

---

[1] «Statistisches Jahrbuch 1971 der Deutschen Demokratischen Republik», Berlin, 1971, Anhang, გვ. 37.

[2] «U. S. News and World Report», 10. 4. 1972. აბუ-ზაბის პატარა სამთავრო, რომელშიც 1970 წელს 33 მლნ. ტონა ნავთობი მოიპოვეს, წლიურად 120 მლნ გირვანქა სტერლინგის მოგებას იღებს და 60 ათასი მოსახლით კაპიტალისტურ სამყაროში ერთ სულზე საშუალო შემოსავლის განაკვეთით პირველი ადგილი უჭირავს. ცხადია, რომ ეს ფანტასტური სიმდიდრე ემირებისა და შეიხების ხაზინის შევსებას ხმარდება და არა ხალხს.

[3] «Международная жизнь», 1970, № 9, გვ. 93.

[4] K. von Imhoff, Duel im Mittelmeer, Freiburg, 1968, გვ. 23.

მტრულად განწყობილი საუდის არაბეთისა და ეგვიპტის დაახლოება[5]. 1971 წლის ნოემბრის მიწურულში ირანმა თვითნებურად დაიკავა სამი კუნძული, რომლებიც სპარსეთის ყურეში შესავალს აკონტროლებენ. ამის საპასუხოდ ერაყმა გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა ირანთან და ინგლისთან.

დასასრულ, იმავე წლის 2 დეკემბერს. სპარსეთის ყურის ექვსმა მცირე სამთავრომ ფედერაციის საბოლოო ჩამოყალიბება გამოაცხადა. მაგრამ ნათელი გახდა, რომ ინგლისთან დაღებული ხელშეკრულება ამ სამთავროებში ფეოდალიზმის კონსერვაციას ემსახურება და საშუალებას აძლევს ბრიტანულ სამხედრო ძალებს კვლავაც დარჩნენ ამ რეგიონში.

* * *

ცხადია, რომ სპარსეთის ყურეში შექმნილ ვითარებას არ შეეძლო არ გაემახვილებინა ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება ამ რეგიონში ბრიტანეთის გავლენის დამკვიდრების ისტორიისადმი. ამ ისტორიის გაშუქებას ისახავს მიზნად პროფ. გ. ბონდარევსკის მონოგრაფია.

ბურჟუაზიული ისტორიული ლიტერატურა ძირითადად ეგზოტიკურ ფერებში გეიხატაედა სპარსეთის ყურის ქვეყნების ისტორიას. ამ ყაიდის თხზულებებში (თ. ლიტლის, თ. მარსტონისა და სხვათა მონოგრაფიები)[6], ფსევდომეცნიერული ობიექტურობა მხოლოდ ნიღაბია საკუთარი ქვეყნის კოლონიური საქმოსნობის რეაბილიტაციისა. დასახელებული ავტორები დაბეჯითებით ცდილობენ კეთილმყოფელებად, ცივილიზატორებად წარმოგვიდგინონ კოლონიზატორები, წარმოგვიდგინონ დიდი ბრიტანეთი მონათვაჭრობისა და ირან-თურქეთის დრომოჭმული ფეოდალური ბატონობისაგან ამ რეგიონის „განმათავისუფლებლად“.

მეორენი, როგორც მაგალითად ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატი ჯორჯ კერზონი, რომლის გახმაურებული მონოგრაფია „სპარსეთი და სპარსული საკითხი“ რამოდენიმე წლის წინათ მეორედ გამოიცა[7], გაცხარებით მოუწოდებდნენ „ბრიტანულ ტბად“ გადაექცია სპარსეთის ყურე; ამგვარ პრეტენზიებს ამართლებდნენ არ არსებული „რუსული საფრთხით“.

[5] «Guardian», London, 2. 9. 1970.

[6] T. Little, South Arabia: Arena of Conflict, London, 1968; Th. E. Marston, Britain's Imperial Role in the Red Sea Area, 1800—1878, Hamden, 1961.

[7] G. Curzon, Persia and the Persian Question, Vol. I—II, London, 1966.

პროფ. გ. ბონდარევსკის ნაშრომი უაღრესად ფუნდამენტური გამოკვლევაა. იგი ეყრდნობა რუსეთის საგარეო პოლიტიკის არქივის, სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული და სამხედრო-საზღვაო ფლოტის არქივების გამოუქვეყნებელ მასალებს. მასში უხვადაა გამოყენებული ინგლისის, საფრანგეთისა და გერმანიის საპარლამენტო აქტები, საგარეოპოლიტიკური დოკუმენტების ოფიციალური პუბლიკაციები, იმდროინდელი პრესა[8]. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ავტორის ყურადღების გარეშე არ დარჩენილა არცერთი საბჭოთა და უცხოური მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც საკითხს შეეხება, თვით უახლესი გამოკვლევებიც კი სხვადასხვა უცხოელი ავტორისა[9].

პროფ. გ. ბონდარევსკი ხაზგასმით მიუთითებს, რომ უზარმაზარი კოლონიური იმპერიის განმტკიცება და გაფართოება წარმოადგენდა იმ ძირითად ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავდა ბრიტანეთის იმპერიალიზმის არსს XIX—XX საუკუნეთა მიჯნაზე. იგი გვიჩვენებს როგორ მიაღწია ბრიტანეთის იმპერიალიზმმა გავლენის მონოპოლიური სფეროს შექმნას მეტად რთულ რეგიონში, სადაც დიდ სახელმწიფოთა მისწრაფებანი ირან-თურქეთისა და საკუთრივ პატარ-პატარა არაბული ემირატების ჰიპერტროფირებულ ამბიციებს ეჯახებოდა, რაც საკმაოდ რთულ დიპლომატიურ კვანძს ჰქმნიდა სპარსეთის ყურეში.

ნაშრომში აღნიშნულია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ინგლისის შეღწევა დაიწყო სპარსეთის ყურის ქვეყნებში, მას ძირითადად პოლიტიკურ-სტრატეგიული მოტივები განაპირობებდა: ძლიერი იმპერიალისტური კონკურენტების, პირველ რიგში ახალი მტაცებლის — გერმანიის იმპერიალიზმის არ დაშვება ინდოეთისაკენ მიმავალ უმნიშვნელოვანეს საზღვაო გზებზე.

[8] «The Parliamentary Debates»; «The Imperial Gazetteer of India»; «Die Grosse Politik der Europaischen Kabinette 1871 — 1914»; «British Documents on the Origines of the War»; «Documents Diplomatiques Français», I-e Serie; etc.

[9] R. Kumar, India and the Persian Gulf Region 1858—1907, Delhi-Bombay, 1965; E. Monroe, Britain,s Moment in the Middle East 1914—1956, Baltimore, 1963; J. B. Plass, England zwischen Russland und Deutschland, Hamburg, 1966; B. C. Busch, Britain and the Persian Gulf 1894—1914, Bewerley—Los Angeles, 1967; R. Holden, Farewell to Arabia, London, 1968; etc.

ავტორი ახასიათებს ინგლისელი კოლონიზატორების **დიპლომატიურ მეთოდებს, რომელთა** მეშვეობითაც უზრუნველყოფილ იქნა ყურის სანაპიროზე მდებარე ქვეყნების დამორჩილება. ამ მიზნით ისინი იყენებდნენ სხვადასხვა სახის პროტექტორატს, რაც საშუალებას აძლევდა ბრიტანელ იმპერიალისტებს შეენიღბათ და განემტკიცებიათ საკუთარი პოზიციები იქ არაბული ემირატებისა და საშეიხოების მოჩვენებითი დამოუკიდებლობის შენარჩუნებით.

მაგრამ მხოლოდ დიპლომატიური მეთოდებით როდი შემოიფარგლებოდა ბრიტანელი კოლონიზატორების საქმიანობა სპარსეთის ყურეში. იგი წარმოადგენდა შანტაჟისა და ტერორისების, სიცრუის, მუქარისა და უშუალო ინტერვენციის საოცარ შენადნობს. კაბალურ სესხებს. საიჯარო სისტემას, საგარეო ვაჭრობასა და სატრანსპორტო კავშირებზე მონოპოლიურ უფლებებს განამტკიცებდა კოლონიზატორთა კავშირი ფეოდალურ ელიტასთან.

ავტორის უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს ინგლისის კოლონიური პოლიტიკის შინაგანი მამოძრავებელი ძალების ღრმა ანალიზი. იგი გვიჩვენებს, რომ სპარსეთის ყურეში კოლონიური ექსპანსიით დაინტერესებული იყო ბრიტანეთის მმართველი კლასების ერთ-ერთი უძლიერესი ჯგუფი, რომელსაც იგი პირობითად „შუაღმოსაელურს“ უწოდებს. ამ ჯგუფში შედიოდნენ უმსხვილესი საზღვაო და სავაჭრო კომპანიები, ბანკები, გენერალიტეტის ნაწილი, ოსტ-ინდოეთის კომპანიის ყოფილი მესვეურები და ინდოეთში ინგლისის ხელისუფლების უმაღლესი მოხელენი, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ ინდოეთის საქმეთა დეპარტამენტში. ამ ჯგუფის ხელში გროვდებოდა უზარმაზარი მოგება სპარსეთის ყურის, შუა აზიის ზოგი ქვეყნისა და ინდოეთის მონოპოლიური ექსპლუატაციისაგან.

მონოგრაფიაში საინტერესოდ არის განხილული „შუაღმოსაელური“ დაჯგუფების კავშირები მსოფლიოს უდიდეს ნავთობმომპოვებელ კომპანიებთან XX საუკუნის დასაწყისში, **ასევე** ინგლისის მმართველი წრეებისა და ფინანსური კაპიტალის სხვა დაჯგუფებებთან — „ჩინურთან“ და „სამხრეთაფრიკულთან“. შევნიშნავდით მხოლოდ, რომ სასურველი იქნებოდა ავტორს ცალკე გამოეყო და ასევე გაეანალიზებინა „ჩრდილოაფრიკული“ დაჯგუფების საქმიანობაც, რომელიც ეგვიპტესა და სუდანს უწევდა ექსპლუატაციას და რომელთანაც კონფრონტაციის გარეშე მონოპოლისტური გიგანტების ჭიდილის სურათი ერთგვარად ნაკლულად გამოიყურება.

პროფ. გ. ბონდარევსკი დაწვრილებით იკვლევს დიდი სახელმწიფოების პოლიტიკას აღნიშნულ რეგიონში, აშუქებს ინგლის-თურქეთისა და ინგლის-ირანის ურთიერთობათა რთულ კომპლექსს. შესანიშნავად არის გახსნილი საიდუმლოება მითის წარმოშობისა „რუსეთის მუქარის“ შესახებ სპარსეთის ყურის ქვეყნების მიმართ. ბრიტანელმა იმპერიალისტებმა კარგად იცოდნენ, რომ ასეთი შესაძლებლობისათვის XX საუკუნის დასაწყისში ძალზე სათუო საფუძველი არსებობდა, მით უმეტეს რუსეთის საგარეოპოლიტიკური პერეორიენტაციის პირობებში შორეული აღმოსავლეთისაკენ. მაგრამ ამ მითს მოხერხებულად იყენებდნენ საკუთარი კოლონიალისტური ექსპანსიის შესანიღბავად.

პირველწყაროებზე დაყრდნობით ავტორი სრულიად სამართლიანად ამტკიცებს, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულში ლონდონი ესწრაფოდა ოსმანთა იმპერიის გაყოფას, ცხადია, თავის სასარგებლოდ — არაბული პროვინციების მიტაცებით.

ფრიად საყურადღებოა ავტორისეული კელევა სიუჟეტებისა, რომლებიც ბრიტანეთის იმპერიალიზმის ირანულ პოლიტიკას გვიხასიათებენ. შეიძლება ხაზგასმით ითქვას, რომ ფორინ ოფის-ის (ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს) და „შუაღმოსაელური“ დაჯგუფების გათვლებში სპარსეთის ყურის არაბულ სამთავროებში ფეხის მოკიდება უფრო შორსმიმავალი გეგმების პრელუდია იყო, ვიდრე საბოლოო მიზანი. შემდგომი აქტი ამ რეგიონში გათამაშებული დრამისა თვით ირანში ინტერვენცია უნდა ყოფილიყო, რის გეგმებს ესოდენ გულმოდგინედ ამზადებდა დიდი ბრიტანეთის ელჩი თეირანში ჰარდინგი და იმპერიალისტური ექსპანსიის ერთ-ერთი უაქტიურესი ადეპტი, სუდანის დამპყრობელი ლორდი კიტჩენერი.

უდავოდ მისასალმებელია პროფ. გ. ბონდარევსკის მიერ სპარსეთის ყურის დასავლეთ სანაპიროს არაბული სამთავროების — ომანის, მასკატის, კატარის, კუვეიტისა და სხვ. ისტორიის კელევა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში დღემდე გამოუქვეყნებელ პირველწყაროებს — ბაღდადში, ბასრაში, ბუშირში, ჯიდასა და ბომბეიში რუსეთის კონსულების მოხსენებებს ეყრდნობა. საქმე იმაშია, რომ ამ ქვეყნებისა და ხალხების ისტორია ან ძალზე სუსტადაა შესწავლილი, ან მეტად ტენდენციურად. ავტორი აქ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის მიმართ არა მარტო სერიოზული კრიტიკოსის როლში გვეელინება, არამედ — ისტორიული ჭეშმარიტებისათვის გზის გამკელეის როლშიც.

მონოგრაფიაში, მაგალითად, სრულიად საფუძვლიანად არის დარღვეული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ტენდენციური სქემა აღნიშნული არაბული სამთავროების ურთიერთობისა

დიდ სახელმწიფოებთან, კერძოდ, ინგლისთან. ამ სქემის მიხედვით კუვეიტის მმართველი წრეები თვით იყვნენ, თითქოს, ინიციატორები ინგლისის პროტექტორატის დამყარებისა კუვეიტზე. პროფ. გ. ბონდარევსკი კი ამტკიცებს, რომ კუვეიტის შეიხი მუბარაკი აქტიურად გამოდიოდა ბრიტანეთის ექსპანსიის წინააღმდეგ და 1907 წელს ოფიციალურადაც მიმართა რუსეთის საიმპერატორო მთავრობას დახმარების თხოვნით. ამ მიმართებით ავტორი დაწვრილებით გვიხატავს რუსეთ-ინგლისის დიპლომატიურ ბრძოლას სპარსეთის ყურის პრობლემის გარშემო, რაც გარკვეული თვალსაზრისით 1907 წლის რუსეთ-ინგლისის ცნობილ ხელშეკრულებაშიც აისახა. აქვე ავტორი ნიშანდობლივ სურათს იძლევა ინგლისის მმართველი წრეების დიპლომატიური ინტრიგებისა ომანის ხალხის დასამორჩილებლად.

გაუმართლებლად გვეჩვენება წიგნში საგნობრივი და სახელთა საძიებლების გამოტოვება, აგრეთვე ისიც, რომ თუნდაც ერთ, მოკლე პარაგრაფში არაა მოცემული საკითხის გარშემო არსებული ლიტერატურის დახასიათება. ცალკეული კრიტიკული შენიშვნები ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის ზოგადი ტენდენციურობის აღნიშვნასთან ერთად, ცხადია, ვერ შეავსებენ ამ ნაკლს.

მაგრამ ეს წვრილმანი შენიშვნები ვერ ამცირებენ პროფ. გ. ბონდარევსკის, ცნობილი საბჭოთა მკვლევრის, ახალი მონოგრაფიის მაღალ მეცნიერულ ღირსებებს. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ რეცენზირებული ნაშრომი საბჭოთა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ საუკეთესო შენაძენს წარმოადგენს.

ნოდარ კიკვაძე

ЦЕННОЕ ПОПОЛНЕНИЕ КАВКАЗОВЕДЧЕСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

В последнее время в изучение этнографии чеченцев и ингушей грузинскими учеными сделан серьезный вклад. В 1968 году опубликован второй том Кавказского этнографического сборника, полностью посвященного этнографии горной Ингушетии[1]. Готовится к печати сборник статей, в котором рассмотрены вопросы культуры и быта горной Чечни.

Недавно вышел в свет IV том Кавказского этнографического сборника, содержащий статьи по различным вопросам этнографии Грузии и Кавказа: кавказоведческие проблемы грузинской этнографии, характер и значение изображений быка на Триалетских вешапах и вешапоидах, памятники материальной культуры Тушети и Чечни, формы взаимопомощи у Цалкских урумов, пережитки семейной общины у грузин-горцев Ксанского ущелья, семейный быт Цалкских урумов[2].

Особый интерес вызывает статья А. И. Робакидзе «Кавказоведческие проблемы грузинской этнографии», в которой рассматривается вопрос о состоянии и перспективах этнографического изучения горцев Кавказа, особенно их социальной структуры. Автор опирается на высказывания акад. С. Н. Джанашия, видевшего в фамильных наименованиях горцев Восточной Грузии не родовой, а патронимический признак. Развивая это положение на новом этнографическом материале, автор подчеркивает значение проблемы особенностей патронимической организации горцев Кавказа и необходимость ее дальнейшего исследования наряду с вопросом этногенеза,

---

[1] См. рецензии: В. Виноградов, Память веков—народу, «Грозненский рабочий», 15. I. 69; № 12; Г. Гулиев, Г. Гейбулаев, А. Мамедов, Ценная и полезная книга, «Агитатор», ж. отдела агитации и пропаганды ЦК КП Азербайджана, 23. XII. 68; Г. Тогошвили, Продолжение традиции, «Литературная Грузия», 31. I. 69 (на груз. яз.); Л. Чибиров, Исследование грузинских этнографов, «Советская Осетия», 4. XI. 71; А. Г. Трофимова, Кавказский этнографический сборник, II, Очерки этнографии горной Ингушетии, СЭ, № 4, 1971, 168 и след.

[2] Кавказский этнографический сборник (Тбилиси), IV, издание «Мецниереба», Тб., 1972.

культурно-исторических связей, роли и места пережиточных явлений в общественной жизни народов Кавказа.

Интересно наблюдение автора над грузинскими художественными произведениями, составляющими т. н. горскую литературу, в частности произведений хорошо известных у народов Северного Кавказа. Ал. Казбеги и Важа-Пшавела, которые содержат «вполне определенное проявление общей закономерности, характерной для всех литератур колониальных народов — противопоставление собственной нарастающей буржуазии и навязаньому извне колониальному режиму картины быта и нравов» населения высокогорных районов» и которые «отражают сходные черты в культуре и быту народов Кавказа вообще, сходство в образе жизни между горцами Грузии и Северного Кавказа» (7—8).

Действительно идея родственного происхождения коренных народов Кавказа способствовала в прошлом объединению их в борьбе с иноземными захватчиками, объединяет сейчас в борьбе за построения нового, социалистического общества. Примеры этому мы находим как в прошлом наших народов, так и особенно в настоящем.

Касаясь первого периода становления советской этнографии в Грузии, автор пишет о краеведческих работах С. И. Макалатия: «Научная ценность указанных работ по мере социалистического переустройства современного быта, постепенно возрастает, ибо многие факты из этнографического прошлого Грузии, зафиксированные в первые годы развития советской этнографии, в настоящее время либо канули в вечность в результате безжалостной, на первых порах не всегда оправданной ломки старого, либо подверглись трансформации под натиском нового» (стр. 9). Это говорит в пользу переиздания работ С. И. Макалатия на русском языке, что окажет большую помощь этнографам и историкам в разработке общекавказских проблем.

В освещении особенностей социальной структуры народов Кавказа, по мнению А. И. Робакидзе, важную роль играет система композиции. Значение данного положения тем более важно, что оно может быть применено к той категории этнографических источников, которые до сих пор недостаточно разработаны, хотя они могут дать картину развитого общества на Кавказе, в то время как некоторые авторы все еще придерживаются теории нескончаемого родового строя, который якобы был характерен для некоторых народов Северного Кавказа до недавнего прошлого.

Опираясь на большой литературный материал и новые данные полевых исследований, А. И. Робакидзе выявляет специфический характер института рабства у народов горного Кавказа, который служил интересам не рабовладельческих, а феодальных отношений (стр. 16).

В статье «Из истории материальной культуры Тушети и Чечни» А. И. Шавхелишвили по-новому подходит к разрешению этой проблемы. Он широко пользуется систематическим сопоставлением всех основных элементов жилых и оборонительных сооружений, одинаково характерных для грузин-горцев и вайнахов, в результате чего ему удается выявить как общекавказские так и локальные их особенности. Тщательно изучив способ кладки, технику обработки камня, отдельные архитектурные детали и основные функции жилых комплексов тушин и чеченцев, автор приходит к правильному выводу о том, что чеченское трехэтажное строение с двухскатной крышей «своей функцией, конструкцией и другими деталями хозяйственного назначения, можно считать пережиточной формой жилища раннефеодального периода» (стр. 59). Вместе с тем автор приводит богатую терминологию, связанную с отдельными элементами жилого комплекса. Все это вместе взятое дает основание автору восстановить картину семейного быта чеченцев, который характеризовался бытованием некоторых традиций семейной общины, пережиточно сохранившихся у чеченцев так же, как у других народов горного Кавказа.

Касаясь вопроса очага, А. И. Шавхелишвили приводит ценные сведения, отражающие культ очага и надочажной цепи, ранее существовавший и у чеченцев. Эти сведения еще раз доказывают несостоятельность утверждения некоторых авторов о том, что «у чеченцев, в отличие от осетин, не было культа очага и надочажной цепи»[3].

---

[3] Народы Кавказа, I, М., 1960, стр. 359.

Нельзя не отметить и некоторые противоречия, которые, по нашему мнению, прокрались в рассуждения автора относительно происхождения башенной культуры вайнахов. Так, напр., касаясь некоторых терминов, автор пишет: «... в степах имеются отверстия для света машикIули» (по цоватушински). Далее автор пишет, что хотя и существует мнение, якобы «машикIули оборонительного сооружения чечено-ингушского происхождения», можно предполагать, что «... в качестве специального термина в литературу вошло цоватушинское слово м а ш г у и л а». Для того, чтобы показать несостоятельность этого положения, А. И. Шавхелишвили, приходится обратиться к вопросу о генезисе башенной культуры на Кавказе.

Во-первых, данные этнографической литературы (Л. П. Семенов, И. П. Щеблыкин, Г. К. Кокиев, С. И. Макалатия, А. И. Робакидзе) говорят о том, что в Ингушетии были известны мастера и даже целые фамилии, славившиеся строительством башен и склепов не только у себя на родине, но и далеко за ее пределами. Имеются предания об ингушских мастерах, строивших башни в Осетии и Грузии[4]. Более того, «... боевые пирамидальные башни не известны в Балкарии, Карачае, Дагестане и Северной Осетии»[5], а в горной Грузии они не так совершенны по своей форме как это имеет место в Ингушетии. В Ингушетии же этот тип башен имеет более изящные, законченные формы и распространены повсеместно; ими обильно насыщены почти все селения Ингушетии. В одном селении Эрзи их насчитывается не менее девяти. Это лишает нас возможности согласиться с мнением А. И. Шавхелишвили относительно того, что башни Грузии служили образцом массового строительства в Чечне и Ингушетии. Это тем более, что вайнахским башням предшествовали жилые и полубоевые башни, по своей конструкции и форме восходящие к подземным склепам, датируемым VI веком[6]. Это дает основание с уверенностью говорить о том, что цоватушинский термин машигуила не мог проникнуть в вайнахские языки в качестве специального термина, ибо в таком случае надо было бы признать, что очагом зарождения этого типа башен была Чечено-Ингушетия, а терминология, обозначающая основные элементы этой башни, цоватушинская. Правда, касаясь этого вопроса, А. И. Шавхелишвили, видимо, имел в виду, что цоватушинский язык является ветвью вайнахских языков[7], но и в этом случае он должен был сказать и относительно вопроса о времени и условиях поселения вайнахского этнического элемента на территории Грузии.

Кратко описав территорию расселения, время и условия переселения из своих родных мест — Северо-Восточной Турции — тюркоязычных урумов на современную территорию — Цалкский район Грузинской ССР, Т. А. Чиковани подробно останавливается на описании форм взаимопомощи, бытовавших у них. Отмечая, что термин урум в своей основе связан с понятием Рим, автор отмечает, что он является не этническим, а конфессиональным. Он приводит новые данные, подтверждающие, что если еще недавно под этим наименованием были известны только тюркоязычные греки, грузины и армяне, последние исследования показали, что этническое содержание этого термина расширилось. Ныне под урумами подразумеваются помимо вышеперечисленных этнических групп, также евреи, курды, цыгане и ассирийцы, которые на месте их нынешнего обитания подверглись ассимиляции на местной почве. В этом отношении имеется в виду восприятие пришлыми урумами некоторых местных традиций культуры и быта, в том числе и формы организации труда. Основное место в статье занимают формы взаимопомощи, применяемые во многих сферах общественной жизни, в частности при домостроительстве, обработке земли, уборке урожая и пр.

---

[4] А. А. П л и е в, Дневник этнографической экспедиции в Чечню, тетр. № 2, стр. 28, 1971, тетр. № 3, стр. 46, 1971.

[5] М. Б. М у ж у х о е в, Средневековая материальная культура горной Ингушетии. VIII—XVII вв. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата исторических наук., М., 1972, стр. 12.

[6] Там же, стр. 13.

[7] Р. Э р и с т о в, О Тушино-Пшаво-Хевсурском округе, ЗКОРГО, кн. III, Тиф., 1885, стр. 80—81. В. И. М а р к о в и н, Древности Чечено-Ингушетии, М., 1963, стр. 268.

На богатом этнографическом материале автор выявляет параллели между урумским и местным грузинским материалом, привлекая терминологию в подтверждение своего основного тезиса об особенностях этнических процессов, протекавших в жизни урумов.

Статья Л. Б. Пашаевой «Порядок раздела в семье урумов в прошлом» является частью более обширной монографии, в которой рассматривается вообще семейный быт этой группы населения в Грузии. В отношении урумов семейный быт является малоисследованной проблемой, поэтому материалы, касающиеся в частности имущественно-правового положения членов семьи у урумов, представляют собой определенный интерес. Особое место в статье уделено имущественному положению женщины, ее личному имуществу и приданному, характер которых дает возможность пролить свет на социальную природу урумской семьи, на уровень общественно-экономического развития урумов в прошлом.

Две вышеуказанные статьи Т. А. Чиковани и Л. Б. Пашаевой, написанные на новом полевом материале с привлечением сравнительных данных из быта окружающего их населения, как бы дополняют друг друга, рисуя подробную картину их быта.

Статья В. Дж. Итонишвили посвящена семейному быту горцев Ксанского ущелья. Опираясь на собранный автором новый этнографический материал, он анализирует все основные аспекты семейного быта и приходит к выводу о наличии и здесь, в этом районе горной Грузии традиций семейной общины, которая в пережиточном виде долгое время продолжала бытовать вплоть до развития капиталистических отношений, нанесших окончательный удар архаическим формам семейного быта. Особое внимание, так же, как и в статье Л. Б. Пашаевой, привлекает материал, характеризующий положение женщины, ее имущественно-правовое место в семье. В связи с этим нам кажется особенно важной разработка норм обычного права, регулирующих положение женщины у народов Северного Кавказа, в частности у чеченцев и ингушей. К сожалению, эта проблема трактовалась совершенно неправильно в трудах не только дореволюционных авторов, но и некоторых авторов нашего времени, которые представляли женщину-горянку совершенно бесправной.

В сборнике имеется статья А. Н. Сихарулидзе, посвященная каменным стелам, известным под наименованием вешапов и распространенным на территории Грузии и Армении и связанных с культом плодородия, которая читается с большим интересом, ибо, как известно, отдельные проявления этого культа в виде изображения рыбы бытовали и у других народов Кавказа.

Сборник заканчивается рецензией А. И. Робакидзе на статью известного американского этнолога — Фредерики де Лагуны, в которой дана критическая оценка основных положений одного из ведущих направлений современной американской этнологии.

Заканчивая рецензирование IV тома КЭС (Тбилиси), следует отметить, что различные по тематике статьи подчинены одной общей задаче — выявлению общих и специфических форм культуры и быта народов Кавказа в широком историко-сравнительном плане, что и является основным его достижением.

А. А. ПЛИЕВ

ქრონიკა და ინფორმაცია

საბჭოთა კავშირისა და იტალიის ისტორიკოსთა V კონფერენცია მოსკოვში

1972 წლის 16—18 მაისს მოსკოვში მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირისა და იტალიის ისტორიკოსთა მორიგი V კონფერენცია[1]. კონფერენციის მოწვევის ორგანიზატორები იყვნენ: საბჭოთა კავშირის მხრიდან — საბჭოთა კავშირის ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, სსრ კავშირის ისტორიის ინსტიტუტი და „საბჭოთა კავშირ-იტალიის“ საზოგადოება, ხოლო იტალიის მხრიდან — იტალიის ისტორიკოსთა ეროვნული საზოგადოება და „იტალია-საბჭოთა კავშირის“ საზოგადოება.

იტალიის ისტორიკოსთა დელეგაციაში შეიყოდნენ სხვადასხვა ისტორიოგრაფიული მიმართულების ცნობილი ისტორიკოსები (7 კაცი): პროფესორი ფრანკო ვალსეკი (იტალიელ ისტორიკოსთა ეროვნული საზოგადოების თავმჯდომარე), რომის უნივერსიტეტის პროფესორები პაოლო ბრეეი, რაულ მანსელი, რ. რომეო; პროფ. როდოლფო მოსკა (იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივი); ისტორიკოსი მარქსისტები: ფლორენციის უნივერსიტეტის პროფესორი ერნესტო რაჯონიერი და მესინას უნივერსიტეტის პროფესორი პაოლო ალატრი. გარდა ამისა, კონფერენციასთან დაკავშირებით მოსკოვში ჩამოვიდა იტალიელ ისტორიკოსთა ტურისტული ჯგუფი, რომელიც ასევე მონაწილეობდა კონფერენციის მუშაობაში. მათ შორის იყვნენ ნეაპოლის უნივერსიტეტის პროფესორი ვალდო ძილი, ისტორიკოსი მარქსისტი რ. რიზალიტი, კათოლიკური მიმართულების ისტორიკოსი პროფ. რომეო დე მაიო, იურისტი პიერო კაცოლა (ტურინი) და სხვები.

კონფერენცია გახსნა საბჭოთა კავშირის ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა აკად. ე. ჟუკოვმა. კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წ/კორესპ. ვ. ლაზარევი. მოკლე სიტყვის შემდეგ პროფ. ლ. ჩერეპნინმა სიტყვა მისცა იტალიის ისტორიკოსთა დელეგაციის ხელმძღვანელს პროფ. ვალსეკის. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა და იტალიელ ისტორიკოსთა შეხვედრა ტრადიციული გახდა და ყურადღება მიაქცია ორ მომენტს: ერთია, კონფერენციაზე განსახილველად წარმოდგენილი მეტად აქტუალური საკითხი — რუსეთისა და იტალიის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის დროს და, მეორე ის რომ, წინა კონფერენციებისაგან განსხვავებით, ამ კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდა იტალიელი ისტორიკოსები (ეტორე ჩინელა და სხვები).

როგორც წინა კონფერენციებზე, ასევე ამ კონფერენციის ყურადღების ცენტრში იყო იტალიისა და რუსეთის შუა საუკუნეებისა და ახალი ისტორიის საკვანძო პრობლემები; ასევე, ორივე ქვეყანას შორის ისტორიული ურთიერთობის საკითხები.

პირველ დღეს — 16 მაისს მოსმენილ იქნა ორი მოხსენება: „სახალხო მოძრაობანი იტალიაში XII—XVII სს.“ (მომხსენებელი პროფ.

---

[1] I კონფერენცია ჩატარდა მოსკოვში 1964 წლის 12—14 ოქტომბერს. იხ. Первая конференция советских и итальянских историков, Москва, 12—14 октября 1964 г.; Atti dell Convegno deli storici italiani e sovietici, Mosca, 12—14 Ottobre, 1964, Roma, 1965.

II კონფერენცია ჩატარდა რომში 1966 წლის 28—30 მაისს. იხ. П. В. Волобуев, Ю. А. Писарев, Вторая конференция советских и итальянских историков, «Вопросы истории», 1966, № 10, გვ. 190—193; ი. ტ ა ბ ა ღ უ ა, საბჭოთა კავშირის და იტალიის ისტორიკოსთა მეორე კონფერენცია რომში, „მაცნე“, 1968, № 1, გვ. 363—371.

III კონფერენცია ჩატარდა მოსკოვში. IV კონფერენცია — რომში 1969 წლის 25—26 ოქტომბერს. იხ. Россия и Италия. Материалы IV конференции советских и итальянских историков в Риме 1969 г., Москва, 1972.

რ. მანსელი)[2] და „სახალხო მოძრაობა რუსეთში XVII ს-ში“ (ა. მანკოვი)[3].

რომის უნივერსიტეტის პროფესორი მანსელი იტალიის შუა საუკუნეების ისტორიის სპეციალისტია (მუშაობს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიისა და ასევე კულტურისა და იდეოლოგიის ისტორიის დარგში). თავის მოხსენებაში იგი შეეცადა ეჩვენებინა XII—XVII სს. იტალიის ქალაქებში სახალხო მოძრაობათა ძირითადი შტრიხები, მათი როლი იტალიის ისტორიულ განვითარებაში, მოძრაობათა ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური მიზეზები, მათში რელიგიური მომენტების როლი და გავლენა. მან ასევე განიხილა საკითხი მოთხოვნილებათა, შეხედულებათა და გრძნობების შესახებ, რომლებმაც გაელენა მოახდინეს ამ მოძრაობებზე (ისინი ან იწვევდნენ ამ მოძრაობებს, ან თან სდევდნენ მათ, ან კიდევ ზღუდავდნენ ამ მოძრაობების განვითარებას).

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იტალიის ქალაქები იტალიის ისტორიულ განვითარებაში უკვე XI საუკუნეში ასრულებდნენ გადამწყვეტ როლს. ამ დროს ქალაქები ხდებიან სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ფონად, რომელზედაც ყალიბდება საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვანი მოვლენები. მათ შორის, კერძოდ, სახალხო მოძრაობა.

მომხსენებლის აზრით, ქალაქის ცხოვრებაში მღელვარების პირველი ელემენტები ატარებდნენ რელიგიურ ხასიათს და გამოხატავდნენ ქალაქის ძირითადი ჯგუფების თვითგანმტკიცებისა და თვითგანსაზღვრის მოთხოვნებს. ეს ჯგუფები ქმნიდნენ კომუნებს და უნდოდათ სხვა, როგორც სასულიერო, ისე საერო ჯგუფებისაგან გამიჯვნა, რომელთა ხელშიც აქამდე იყო ხელისუფლება. ეს ახალი ჯგუფები ერთიანდებიან და მხარს უჭერენ ოპოზიციას, პირველ რიგში, ეპისკოპოსის წინააღმდეგ, რომელიც ხშირად ქალაქს მეთაურობდა.

ასეთ მოძრაობას ადგილი ჰქონდა, განსაკუთრებით, მილანსა და ფლორენციაში.

XII საუკუნის იტალიის ქალაქებში სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა ღარიბთა პრობლემა, ადგილი ჰქონდა მათ მოძრაობას. ამასთანავე, იზრდებოდა ღარიბთა რიცხვი, რაც თავისუფალი მუშახელის შერჩევის საშუალებას აძლევდა ვაჭრებს, საწარმოებს, რომლებიც გაჩნდნენ XII საუკ. ბოლოს. იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა ფეოდალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებული გლეხობისა, ან სოფლიდან ქალაქში გაქცეულთა ხარჯზე. პირველ პერიოდში, ცხადია, ეს მასა არ იღებდა მონაწილეობას ქალაქის მმართველობაში, მაგრამ მონაწილეობდა მოძრაობაში. ასე მაგალითად, მათ მონაწილეობა მიიღეს 1215 წელს ფლორენციელი ქალაქელების აჯანყებაში, რომელიც მოეწყო დომინიკანური ინკვიზიტორის რუჯერო კალაკანის წინააღმდეგ.

XIII ს. მყარდება მჭიდრო კავშირი ახალ რელიგიურ ორდენებსა (კერძოდ, ფრანცისკანელთა) და სახალხო მასებს შორის. ღარიბულად ჩაცმული. უფულო, ცუდ ბინებში მცხოვრები ბერები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ხალხთა მასებში.

XIII ს. ბოლოსა და XIV ს. დასაწყისში იზრდება სახალხო მოძრაობა, ძლიერდება ოპოზიცია ეკლესიისა და ფეოდალების მიმართ. ამ დროს ქალაქებში იქმნება ახალი ეკონომიური და სოციალური ვითარება.

ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს იძლევა ფლორენცია, არა მარტო როგორც იტალიის ქალაქებიდან ერთ-ერთი ეკონომიურად ყველაზე უფრო განვითარებული, არამედ არსებული დოკუმენტების სიმდიდრისა და სხვადასხვაობის გამო. საკმარისია დავასახელოთ რემიჯო დე ჯიროლამის ორი ტრაქტატი: „მსოფლიოს კეთილდღეობის შესახებ“ და „საერთო კეთილდღეობის შესახებ“, რომლებშიც ასახულია XIV საუკ. საქალაქო ცხოვრების საერთო სურათი. ასევე აღსანიშნავია „კანონები ღარიბების სასარგებლოდ“. ეს დოკუმენტები, რომელთა რიცხვი უამრავია, აგვიწერენ ქალაქების ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებას. ასეთი დოკუმენტებით მდიდარია ფლორენცია, ლუკა, სიენა, პისტოია.

რაც შეეხება ფლორენციას, მის შესახებ არსებობს გამოკვლევები, რომელთა ავტორებია მინი, როდოლიკო, დორენი, რუტენბურგი, მილსი, ბანტი, ტევენტი, დევისი, ბეკერი, ბრუკერი, მარტინესი. რუბინშტეინი, დე რიკერი. ამ ნაშრომებში ნაჩვენებია XIV საუკუნის ფლორენციის ცხოვრება.

ზემოხსენებული ავტორების ნაშრომებში მეტ-ნაკლებად ლაპარაკია ე. წ. ჩომპის აჯანყებაზე, როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე ფლორენციელ ქალაქელთა მოძრაობაში XIV საუკუნეში.

პროფ. რაულ მანსელი არ იზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ იტალიის ქალაქების ყველა აჯანყება განხილულ იქნას როგორც ტიპიური „ფლორენციელი ინტრიგა“, როგორც ამას წერს ამერიკელი ისტორიკოსი ბეკერი. მანსელის აზრით, „ჩომპის მოძრაობა უნდა განვიხილოთ როგორც აფეთქება, როგორც სოციალური დაძაბულობის კულმინაციური მომენტი.

[2] R. Manselli, Il movimento popolare in Italia XII—XVII secoli, Roma, 1972.

[3] А. Г. Маньков, Народные движения в России в XVII в., Москва, 1972.

რომლის არსებობა არ შეიძლება უარყოფილ იქნას. ეს სოციალური დაძაბულობა მწიფდებოდა ათეული წლების განმავლობაში და სტიმულირებული იყო მთელი რიგი შიმშილიანი წლებით, რამდენიმე მსხვილი ბანკის გაკოტრებით 1347 წელს, ჭირის ტრაგიკული ეპიდემიით 1348 წელს, რომელმაც მოსპო ფლორენციის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი და სხვ.".

XV—XVI სს. იტალიის ქალაქებში ადგილი არ ჰქონდა განსაკუთრებით დიდ მოძრაობებს. 1494 წლის 22—23 დეკემბერს ჩატარდა რეფორმა, რომლითაც ფართოვდებოდა დაბალი ფენის წარმომადგენელთა მონაწილეობა მმართველობაში. მაგრამ 1495 წლის 5 თებერვალს ჩატარდა მეორე რეფორმა, რომლითაც იზრდებოდა მდიდართა პრივილეგია.

სიენაში სახელი გაითქვა პრანდანოს მოძრაობამ. ბრანდანო იყო უბრალო გლეხი, რომელიც 1526 წელს, 38 წლის ასაკში ბერად აღიკვეცა. შემდეგ გაემგზავრა რომში; ქადაგებდა სამღვდელოების გაყოფისა და პაპობის წინააღმდეგ; პაპობისა, რომელიც ძლიერ დაშორდა ქრისტეს მაგალითს. იგი აშკარად გამოდიოდა პაპი კლიმენტი VII-ის წინააღმდეგ. ბრანდანო დააპატიმრეს, ხოლო განთავისუფლების შემდეგ დაბრუნდა სიენაში, სადაც იყვნენ მისი მიმდევრები.

ცნობილია ასევე ფლორენციის აჯანყება მედიჩის წინააღმდეგ 1527 წელს. აჯანყება სიენაში ფლორენციისა და ესპანელების წინააღმდეგ 1552 წელს, ბრძოლები ნეაპოლში ინკვიზიციის წინააღმდეგ და სხვ. ხშირად ამ ბრძოლებში ხალხს იყენებდნენ მისთვის უცხო მიზნებისათვის.

„ჩამოფლეთილთა" მოძრაობა ლუკაში დაწერილებით შეისწავლა ორმა იტალიელმა ისტორიკოსმა: კაროჩიმ 1951 წელს და ბერენგომ 1965 წელს.

XVII საუკ. მოძრაობებიდან გამოირჩევა კამპანელას ამბოხება. კამპანელა იყო ცნობილი ფილოსოფოსი. მან მოაწყო შეთქმულება. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი კამპანელასა და შეთქმულების სხვა მონაწილეებს შორის. მასა არ გაჰყვა კამპანელას. 1601 წელს დაწერილ თავის ლექსში „პლებეის" შესახებ იგი წერდა, რომ პლებეის არ შესწევს უნარი ცნოს თავისი თავი, თავისი შინაგანი ძალა:

> „მას (პლებეი — ი. ტ.) ეკუთვნის ყველაფერი, რაც არის ცასა და დედამიწას შორის,
> მაგრამ მან ეს არ იცის: და თუ ვინმე ამის **შესახებ მას ეტყვის**, ის მას მიწაზე დასცემს და მოჰკლავს".

ასეთივე დასკვნამდე მიდის მეორე სახალხო მოძრაობა — მაზანიელის აჯანყება, რომელიც კარგადაა ცნობილი და დაბეჯითებით შესწავლილი.

1647—1648 წწ. სამხრეთ იტალიას მოეღო. ამბოხებები, რომლებიც ფაქტიურად გლეხთა ომად იქცა. საინტერესოა ამის შესახებ როზარიო ვილარის ნაშრომი, რომელიც 1967 წელს გამოვიდა.

დაბოლოს, დასკვნის სახით, პროფ. მანსელიმ თქვა, რომ სახალხო მოძრაობა კონცენტრირებული სახით გამოხატავს საკუთრივ იტალიის ისტორიას.

მოხსენების გარშემო დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო 12 კაცმა. კამათის მონაწილეებმა (ლ. კოტელნიკოვა, ლ. ბატკინი, ვ. რუტენბურგი, ნ. ბორტნიკი, ვ. სამარინი, ა. როლოვა, მ. აბრამსონი და სხვ.) მიუთითეს მომხსენებელს იმაზე, რომ საჭირო იყო ცნება „populus" (პროფ. რ. მანსელის განსაზღვრით: „ჯგუფი, რომელიც პოლიტიკური ხელისუფლებისადმი არ იყო დაშვებული და რომელსაც სურდა მიეღო მასში მონაწილეობა") არსის უფრო გარკვევით ახსნას; საკმარისი არ არის ვთქვათ, რომ ეს არის პოლიტიკურ ხელისუფლებას ჩამოშორებული ჯგუფი, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს მასში. ამ ჯგუფის წარმომადგენლები შემდგომში ხომ ხდებიან ქალაქების ერთ-ერთი მმართველნი? XI—XIII სს. „populus" — ეს ქალაქის მთელი მოსახლეობაა, გარდა ფეოდალური დიდებულებისა (მაგნატებისა). „Popolo" იყო ინიციატორი და მთავარი მამოძრავებელი ძალა კომუნისათვის, ქალაქის სენიორის (ხშირად ეპისკოპოსი) წინააღმდეგ ბრძოლაში; ასევე ფეოდალურ დიდებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში. XIII საუკ. შუა რიცხვებიდან ადგილი აქვს ქვედა ფენების (popolo) გამოსვლას მდიდრებისა და ფეოდალური ზედა ფენების წინააღმდეგ (ფლორენციაში 1250 წელს).

ვ. რუტენბურგმა, ლ. კოტელნიკოვამ, ნ. ბორტნიკმა არ გაიზიარეს მომხსენებლის თეზისი იმის შესახებ, რომ „ქალაქის ცხოვრებაში მღელვარების პირველი ელემენტები ატარებენ, უეჭველად, რელიგიურ ხასიათს". კამათში გამოსულები ამტკიცებდნენ, რომ ქალაქებში პირველი სახალხო გამოსვლები იყო დამოუკიდებლობისა და კომუნისათვის ბრძოლის პროცესი ეპისკოპოსის, როგორც ქალაქის საერო სენიორისა და არა როგორც სასულიერო მეთაურის წინააღმდეგ: დაქირავებულ მუშათა აჯანყება ბოლონიაში XIII საუკ., პერუჯასა და სიენაში XIV საუკ. და სხვ.

მომხსენებელს მიუთითეს იმაზე, რომ მოხსენებაში არაფერია ნათქვამი აგრარული მოძრაობის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა იტალიაში XII—XVII სს.

მეორე მოხსენება — „სახალხო მოძრაობა რუსეთში XVII საუკუნეში", გააკეთა ლენინგრადელმა ისტორიკოსმა ა. მანკოვმა. იგი თავის მოხსენებაში შეეხო ი. ბოლოტნიკოვის აჯანყებას, მოსკოვის აჯანყებებს (1648, 1662, 1682 და 1698 წწ.), გლეხთა ომს სტეფან რაზინის მეთაურობით და სხვ. მან ილაპარაკა სახალხო მოძრაობათა ბუნებაზე რუსეთში, მათ გამომწვევ მიზეზებზე, მათ მიზნებზე, მონაწილეთა ფსიქოლოგიაზე, შედეგებზე და ისტორიულ მნიშვნელობაზე. მომხსენებელმა დაახასიათა სახალხო მოძრაობა როგორც კლასობრივი ბრძოლის გამოვლინება, რომელმაც თავის სიმწვავით უმაღლეს წერტილს მიაღწია XVII ს-ში.

კამათში გამოსულებმა (ვ. ბუგანოვი, ა. პრეობრაჟენსკი) ილაპარაკეს რუსეთში სახალხო მოძრაობის ორგანიზებულობაზე და იდეურ მომწიფებაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე იტალიელმა ისტორიკოსებმა (რ. მანსელი, პ. ბრეცი, ვ. ძილი, რ. დე მაიო). პროფ. პ. ბრეცემ და ვ. ძილიმ მაღალი შეფასება მისცეს მოხსენებებს და კამათში გამოსულთა მიერ დასმულ საკითხებს. პროფ. ვ. ძილიმ მიუთითა იტალიის შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლისას საბჭოთა ისტორიკოსების ნაშრომების ცოდნის აუცილებლობაზე.

17 მაისს მოსმენილ იქნა პირველი მსოფლიო ომის ისტორიასთან დაკავშირებული 5 მოხსენება: „პირველი მსოფლიო ომი იტალიის ისტორიოგრაფიაში უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში" (პ. ალატრი)[4], „პირველი მსოფლიო ომის საბჭოთა ისტორიოგრაფია" (ვ. ბოვიკინი, ვ. ემეცი, ს. ტიუტიუკინი)[5], „იტალია-რუსეთის ურთიერთობა 1914—1917 წწ." (კ. კიროვა)[6], „რუსეთი და იტალიის საგარეო პოლიტიკა პირველი მსოფლიო ომის დროს (1914—1917 წწ.)" (რ. მოსკა)[7], „იტალიური სოციალიზმი და ციმერვალდის მოძრაობა" (ე. რაჯონიერი)[8].

[4] Paolo Alatri, La Prima Guerra Mondiale nella storiografia Italiana dell'ultimo venticinquennio, Roma, 1972.

[5] В. И. Бовыкин, В. Е. Емец, С. В. Тютюкин, Советская историография первой мировой войны, Москва, 1972.

[6] К. Э. Кирова, Итало-русские отношения в 1914—1917 гг. М., 1972.

[7] Rodolfo Mosca, La Russia e la Politica estera Italiana durante la Prima Guerra Mondiale (1914—1917), Roma, 1972.

[8] Ernesto Ragionieri, Il socialismo italiano e il movimento di Zimmervald, Roma, 1972.

პროფ. პ. ალატრის მოხსენებაში მოცემული პირველ მსოფლიო ომში იტალიის მონაწილეობის შესახებ არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურის ანალიზი მარქსისტული პოზიციიდან. მომხსენებელმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საკითხს იმის შესახებ, თუ როგორაა ასახული იტალიის ლიტერატურაში იტალიის სხვადასხვა პოლიტიკური ძალების პოზიცია იმ კარდინალური პრობლემების მიმართ, რომლებიც იტალიის წინაშე დააყენა პირველმა მსოფლიო ომმა: იტალიის შესვლა ომში, იტალიის მმართველი წრეების პოლიტიკა, სოციალისტური პარტიის პოზიცია, კათოლიკური მოძრაობა და სხვ.

მომხსენებელმა განსაკუთრებით გამოჰყო ლუიჯი ალბერტინის ნაშრომები[9] და მიუთითა იმაზე, რომ იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოსცა დოკუმენტების ერთი ნაწილი, რომელიც შეეხება პირველ მსოფლიო ომს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ომის საკითხებთან დაკავშირებული იტალიის ისტორიოგრაფია უფრო საინტერესოა 1916 წლის მაისიდან, ვიდრე 1914 წლის ივლისის ამბებთან დაკავშირებული ისტორიოგრაფია. ეს გასაგებია, ვინაიდან იტალია ევროპის სხვა ქვეყნებთან განსხვავებით პირველ მსოფლიო ომში ჩაება არა 1914 წელს, არამედ უფრო გვიან — 1915 წლის მაისში.

პირველი მსოფლიო ომის გაჩაღებისთანავე იტალიაში დაიწყო პოლიტიკური კრიზისი. ქვეყანა გაიყო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად: ერთი წინააღმდეგი იყო ომში იტალიის მონაწილეობისა, ხოლო მეორე — მომხრე. მაგრამ მეორე ჯგუფის შიგნითაც სადაო იყო ის, თუ ვის მხარეზე მიეღო ომში მონაწილეობა იტალიას: სამთა კავშირის (რომლის წევრიც იტალია იყო 1882 წლიდან). თუ სამთა შეთანხმების მხარეზე?

იტალიელმა ისტორიკოსებმა შეისწავლეს ამ დაჯგუფებათა შინაგანი მდგომარეობა. ამასთანავე, იტალიის სოციალისტური პარტიის შიგნით შექმნილი სიტუაცია. ეს არა მარტო იმიტომ, რომ ის იყო ერთ-ერთი დიდი პარტია, არამედ იმიტომაც, რომ ის იყო ყველაზე თანმიმდევრულად მებრძოლი ომის წინააღმდეგ. შესწავლილია იტალიის სოციალისტური პარტიის ურთიერთობა ევროპის ქვეყნების სხვა სოციალისტურ პარტიებთან.

1915 წელი და მისი შემდგომი პერიოდი იტალიელი ისტორიკოსების მიერ უფრო შესწავლილია, ვიდრე წინა პერიოდი. ეს ისტორი-

[9] იხ. ი. ტაბაღუა, საბჭოთა კავშირისა და იტალიის ისტორიკოსთა მეორე კონფერენცია რომში, გვ. 369.

კოსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ქვეყნის შინაგან მდგომარეობას, რომელიც, ცხადია, დაკავშირებული იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკასთან, რამდენადაც მზადდებოდა იტალიის შესვლა ომში. ამ მხრივ, საინტერესოა მემუარული ლიტერატურა (სალანდრა, სონინო, ორლანდო, სან ჯულიანო და სხვ.). ზოგიერთი ამ მემუარებიდან, ავტორის თხოვნით, მისი გარდაცვალების შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო (მაგალითად, ორლანდოს მემუარები). ეს ასეც მოხდა.

იტალიაში ადგილი ჰქონდა განუწყვეტელ დავას მთავრობასა (პოლიტიკურ ხელმძღვანელობასა) და სარდლობას შორის. კაპორეტოს (1917 წლის ოქტომბერი) შემდეგ ეს დავა კიდევ უფრო გამწვავდა. რას წარმოადგენდა კაპორეტო? იყო ის სამხედრო კრახი, თუ პოლიტიკური კრიზისი? ეს საკითხი დღემდე წარმოადგენს სადავო საკითხს იტალიელ ისტორიკოსთა შორის.

საბჭოთა ისტორიკოსების (ვ. ბოვიკინი, ე. ემეცი, ს. ტიუტიუკინი) მოხსენება თემაზე: „პირველი მსოფლიო ომის საბჭოთა ისტორიოგრაფია", წაიკითხა პროფ. ვ. ბოვიკინმა. მოხსენებაში მოცემულია საბჭოთა კავშირში პირველი მსოფლიო ომის ისტორიის შესწავლის ფართო სურათი; დახასიათებულია საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების ძირითადი ეტაპები პირველი მსოფლიო ომის პრობლემების შესწავლის საქმეში; ნაჩვენებია ის, თუ რა გაკეთდა ამ დარგში და როგორია პერსპექტივა. მომხსენებელმა უჩვენა, რომ საბჭოთა მკვლევრების (რომლებიც ეყრდნობიან იმპერიალიზმის ლენინურ თეორიას) ყურადღების ცენტრშია ომის წარმოშობის პრობლემა; ომისა, რომელიც წარმოადგენს კაპიტალიზმის განვითარების კანონზომიერ შედეგს, მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრიზისის გამოვლინებას, როცა ჩნდება უფრო მაღალ სოციალურ წყობილებაზე გადასვლის ობიექტური მოთხოვნილება. აქედან, ურთიერთობა ომსა და რევოლუციას შორის. ამასთანავე, პროფ. ვ. ბოვიკინმა აღნიშნა, რომ ბევრი საერთო შეიმჩნევა, როცა ვიხილავთ პირველი მსოფლიო ომის ზეგავლენას რუსეთზე და იტალიაზე.

მომხსენებელმა ასევე მიუთითა, რომ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში რუსეთ-იტალიის ურთიერთობის განხილვისას საჭიროა შესწავლილ იქნას საერთო სიტუაცია, რომელიც იმ პერიოდში შეიქმნა: ურთიერთდამოკიდებულება ევროპის სახელმწიფოებს შორის და სხვ.

პირველი მსოფლიო ომი იყო ისტორიული პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარდამტეხი მომენტი. პირველი მსოფლიო ომის ცეცხლში დაიბადა რუსეთის ორი რევოლუცია — თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციები, რის შედეგადაც ძირეულად შეიცვალა რუსეთის სახე.

ამდენად, პირველი მსოფლიო ომის მთელი ისტორიოგრაფიის წარმოდგენა აქ შეუძლებელი იქნებოდა. ავტორთა კოლექტივმა (ვ. ბოვიკინი, ვ. ემეცი, ს. ტიუტიუკინი) წარმოადგინა საბჭოთა ისტორიოგრაფიის უმნიშვნელოვანესი გამოკვლევები; ამასთანავე, ერთი პრობლემის გარშემო: პირველი მსოფლიო ომი და რუსეთი.

პირველი მსოფლიო ომის ისტორიის შესწავლა საბჭოთა კავშირში დაიწყო მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში. საბჭოთა ისტორიკოსებმა შეისწავლეს ომის პრეისტორია, ომის წარმოშობის მიზეზები, ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ისტორია, ომის მსვლელობა ცალკეული ოპერაციების ჩათვლით; ომი და ეკონომიური პირობები, ომი და მისი შედეგები და სხვ.

თავის მოხსენებაში — „რუსეთი და იტალიის საგარეო პოლიტიკა პირველი მსოფლიო ომის დროს (1914—1917 წწ.)", პროფ. რ. მოსკამ ილაპარაკა იტალიის გადასვლაზე ერთი ბლოკიდან მეორეში და მის მონაწილეობაზე პირველ მსოფლიო ომში.

ავსტრია-უნგრეთის გადაწყვეტილება: საჭიროების შემთხვევაში, გერმანიის მხარდაჭერით გაანადგურებინათ სერბია, რომში გაიგეს 1914 წლის 16 ივლისს. ეს ნიშნავდა იმას, რომ უახლეს დროში მოსალოდნელი იყო საერთო ევროპის ომის დაწყება; ხოლო იტალიის საგარეო პოლიტიკის გადასინჯვის პროცესი, რომელსაც საქმე უნდა მიეყვანა იტალიის ნეიტრალიტეტის გამოცხადებამდე, ხოლო ცხრა თვის შემდეგ კი ერთი ბლოკიდან (სამთა კავშირი) მეორე ბლოკში (სამთა შეთანხმება) გადასვლამდე, რომში ადრე დაიწყო. ეს აზრი მწიფდებოდა ჯერ კიდევ სარაევოს მკვლელობამდე, როცა სამთა კავშირის ხელშეკრულების განახლების შემდეგ ჯოლიტი და სან ჯულიანო აღმოჩნდნენ ავსტრია-უნგრეთის მკაცრი პოზიციის წინაშე იტალიის მიმართ. კერძოდ, ადრიატიკის რაიონში: ტრიესტში, სადაც ავსტრია-უნგრეთი აწყობდა პროვოკაციებს და ალბანეთში, სადაც ავსტრია-უნგრეთს საშიში პოზიცია ეკავა.

სარაევოში ფრანც ფერდინადის მკვლელობამ, რომელმაც მეტად გაამწვავა ისედაც დაძაბული ვითარება, კიდევ უფრო დააჩქარა ზემოაღნიშნული პროცესის განვითარება რომში.

პროფ. რ. მოსკას შეუსწავლია ფლორენციის საარქივო მასალები, რომლებიც შეეხებიან 1916—1917 წწ., კერძოდ, რუსეთში ცარიზმის დაცემისა და დროებითი მთავრობის პერიოდის ამბებს. მან აღნიშნა, რომ იტალიის მთავრობა ეპვის თვალით უყურებდა რუსეთის დროებით მთავრობას, რომელსაც არ შესწევდა უნარი

ემართა სახელმწიფო და ვერ სარგებლობდა ავტორიტეტით ქვეყანაში.

ახასიათებს რა იტალიის პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთა ხელში იყო ქვეყნის საგარეო პოლიტიკა, მომხსენებელი ეხება იტალიის მთავრობასა და სარდლობას შორის ურთიერთდამოკიდებულებას. მაგრამ იქვე მიუთითებს, იმ სიძნელეებზე, რომლებიც გამოწვეულია იმით, რომ იტალიის სამხედრო არქივი დღემდე დაკეტილია; მას მკაცრად იცავენ, რაც საშუალებას არ აძლევს სპეციალისტებს დეტალურად გაეცნონ სამხედრო ხელისუფლების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, განსაკუთრებით კი ომში იტალიის შესვლის შემდეგ.

ბევრი დოკუმენტია გამოქვეყნებული ომის წინა პერიოდზე, საზღვაო ძალების მოქმედებაზე; მაგრამ სახმელეთო ჯარების მოქმედება, ურთიერთობა პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას შორის, საარქიეო მასალების უქონლობის გამო, ჯერ კიდევ ნაკლებადაა შესწავლილი.

საინტერესოა იმის გარკვევაც, თუ რას წარმოადგენდნენ სალანდრა, სან ჯულიანო, ორლანდო, სონინო, იმ დროის იტალიელი ელჩები და სხვ. ვის ინტერესს იცავდნენ ისინი? გამოხატავდნენ თუ არა ისინი ნამდვილად იტალიის საზოგადოებრივ აზრს? მაგალითად, სან ჯულიანო ხშირად მიუთითებს საზოგადოებრივ აზრზე, მაგრამ ის თავის მოქმედებაში ნამდვილად გამოხატავდა საზოგადოებრივ აზრს?

ამასთანავე, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ 1914—1915 წწ. იტალიაში საზოგადოებრივი აზრი, ომისადმი დამოკიდებულების საკითხში, ჯერ კიდევ არ იყო ძლიერი. ხოლო იტალიელი ელჩები იყვნენ იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თითქმის პირადი წარმომადგენლები. დიდ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ღებულობდნენ მმართველ წრეებში, სადაც ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ საზოგადოებრივ აზრს. სალანდრა და სან ჯულიანო (პირველი პრემიერ-მინისტრი, მეორე — საგარეო საქმეთა მინისტრი) ერთად მოქმედებდნენ. მათ ერთად მიიღეს გადაწყვეტილება ომში იტალიის შესვლის შესახებ.

პირველი მსოფლიო ომის წინ რუსეთ-იტალიის ურთიერთობისათვის დამახასიათებელია ის, რომ მათ ბევრი რამ ჰქონდათ საერთო. იტალია რუსეთში ხედავდა ევროპაში წონასწორობის დაცვის გარანტიას. რაც შეეხებოდა ბალკანეთს, აქ კი მათი ინტერესები უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის კ. კიროვას მოხსენება ეხებოდა რუსეთ-იტალიის ურთიერთობას 1914—1917 წწ. მოხსენება მოიცავდა სამხედრო, დიპლომატიურ და რევოლუციურ კავშირებს რუსეთსა და იტალიას შორის პირველი მსოფლიო ომის დროს. ავტორს გამოუყენებია მდიდარი ახალი, მათ შორის საარქივო მასალა. მოხსენებაში ნათლად ჩანს სირთულე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობაში ომის დროს. მოხსენებაში მოცემულია ანალიზი რევოლუციური კრიზისისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც რუსეთში, ისე იტალიაშიც; თებერვლის რევოლუციის გავლენა იტალიაზე; ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკების კავშირი იტალიელ სოციალისტებთან 1914 წლის დასაწყისში და სხვ.

იტალიის მმართველი წრეები მტრულად შეხვდნენ რუსეთის თებერვლის რევოლუციას. ვინაიდან, ეს ხელს შეუშლიდა მათი იმპერიალისტური მიზნების განხორციელებას. მაგრამ იტალიის მშრომელი მასა აღფრთოვანებით შეხვდა ამ რევოლუციას.

მოხსენება თემაზე: „იტალიური სოციალიზმი და ციმერვალდის მოძრაობა (1914—1917 წწ. იტალიური და რუსული სოციალისტური მოძრაობის ურთიერთობის ისტორიისათვის)", გააკეთა იტალიელმა პროფ. ე. რაჯონიერიმ.

მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ლენინიზმის საერთაშორისო მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინის მოღვაწეობას საერთაშორისო არენაზე პირველი მსოფლიო ომის დროს; ციმერვალდის მოძრაობას და მის როლს ევროპაში ანტიმილიტარისტული ძალების გაერთიანებაში; ომის დროს იტალიაში სოციალისტური მოძრაობის თავისებურებას და სხვ.

ზემოხსენებული ხუთი მოხსენების გამო კამათი მიმდინარეობდა 17 და 18 მაისს და მასში მონაწილეობა მიიღო 30-ზე მეტმა ისტორიკოსმა (მათ შორის: პროფ. ა. მანფრედი, ი. კირიანოვი, ტ. კრუპინა, ი. ტაბაღუა, ზ. იახიმოვიჩი, ვ. დალინი, ნ. კოროლიოვი, კ. კობილიანსკი, ა. კორნეევი, ვ. დუნაევსკი, ი. ასტაფიევი, კ. მიზიანო, ი. ტიომკინი, ვ. ნევლერი, ნ. სმირნოვა, ი. გრიგორიევა, ვ. ლიუბინი და სხვ.).

კამათში გამოსულებმა გაამახვილეს ყურადღება ორივე ქვეყნის ეროვნულ-სპეციფიკურ განვითარებაზე, იმპერიალიზმის ლენინური თეორიის მნიშვნელობაზე და სხვ. (კ. მიზიანო, ი. ასტაფიევი, ი. კირიანოვი, ვ. ბოვიკინი და სხვ.).

მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო კონკრეტულ საკითხებსაც: რუსეთისა და იტალიის ისტორიულ განვითარებას აღნიშნულ პერიოდში; რუსეთ-იტალიის ეკონომიური, პოლიტიკური და რევოლუციური კავშირების თავისებურებებს (ა. მანფრედი, ვ. დალინი, ნ. კოროლიოვი, ი. ტიომკინი და სხვ.).

ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მხოლოდ ერთ საკითხზე. კერძოდ, რუსეთ-იტალიის ურ-

თიერთობაზე 1916 წელს, რუსეთის ფრონტის მნიშვნელობაზე იტალიისათვის და იმაზე, თუ როგორაა ეს ასახული იტალიისა და უცხოეთის ლიტერატურაში.

1915 წლის 23 მაისს იტალიამ ომი გამოუცხადა ავსტრია-უნგრეთს, ხოლო 1916 წლის 28 აგვისტოს — გერმანიას. ამრიგად, იტალია შევიდა პირველ მსოფლიო ომში ანტანტის (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი) მხარეზე.

1916 წლის აპრილ-ივნისში გაიშალა მძიმე ბრძოლები ავსტრია-იტალიის ფრონტზე, კერძოდ, ტრენტინოს რაიონში[10]. ჯერ კიდევ 1916 წლის 8 აპრილს იტალიის ხელმძღვანელებმა მიმართეს თხოვნით ანტანტას, კერძოდ, რუსეთს, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე რუსეთის მიერ დაუყოვნებლივ შეტევაზე გადასვლის შესახებ, რათა რუსეთს მიეზიდა ავსტრიის ძალები იტალიის ფრონტიდან.

უფრო ადრე, 1915 წლის 20 ივნისს, საფრანგეთის პრეზიდენტი რაიმონ პუანკარე წერდა, რომ იტალია „ითხოვს რუსეთისაგან დაუყოვნებლივ შეტევას...“[11].

1916 წლის 10 მაისს იტალიის არმიის მთავარსარდლის დეპეშაში რუსეთის არმიის შტაბის უფროსისადმი, ნათქვამი იყო: „... თუ ავსტრიელთა დაწოლა გაგრძელდება იმავე ძალით, ჩვენი მდგომარეობა შეიძლება გახდეს მეტად საშიში და შეიძლებოდა აეძულებინეთ ჩვენ აგვერჩია ახალი პოზიცია კიდევ უფრო შორს ზურგში; ამასთანავე, ეს აბსოლუტურად წაგვართმევდა ჩვენ შესაძლებლობას გადავიდეთ შეტევაზე ერთდროულად რუსებთან და სხვა მოკავშირე არმიებთან ერთად“[12]. „ერთადერთ საშუალებას ამ საშიშროების თავიდან აცილებისათვის წარმოადგენს ავსტრიელებზე ახლავე ძლიერი დაწოლის მოხდენა სამხრეთ რუსეთის არმიათა ჯარებით. მე დაჟინებით ვთხოვ გენერალ ალექსეევს, არა მარტო იტალიის ინტერესებისათვის, არამედ ყველა მოკავშირეებისთვისაც, კეთილინებოს, უკიდურესად აუცილებლობის გამო, დათანხმდეს იტალიის უმაღლესი სარდლობის თხოვნაზე“[13].

იმავე წლის 13 მაისს რომში რუსეთის სამხედრო აგენტთან საუბარში იტალიის მეფემ მიუთითა იმის საშიშროებაზე, თუ რუსები არ შეუტევდნენ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, „მოწინააღმდეგეს საშუალება მიეცემა მიაღწიოს თავის მიზნებს იტალიაში“[14].

21 მაისს გენერალი ეოფრი სწერდა გენერალ ალექსეევს: „... გენერალმა კადორნამ ეს-ეს არის მაცნობა, რომ იტალიის არმიის წინააღმდეგ წარმოებს სერიოზული შეტევა ტრენტინოში და რომ ის იქნებოდა ბედნიერი, თუ რუსების შეტევა დაიწყებოდა რაც შეიძლება უახლოეს დროში“[15].

ავსტრიის ჯარები წინ მიიწევდნენ იტალიის ტერიტორიაზე. 25 მაისს ავსტრიელები 25 კმ-ით იყვნენ დაშორებული ვენეციის დაბლობიდან[16], ხოლო „4 ივნისს ავსტრიის ძალები იმყოფებოდნენ 18 მილზე ვენეციიდან და რკინიგზის მაგისტრალიდან“[17].

რუსეთის მთავარსარდლობამ გაითვალისწინა მოკავშირის კრიტიკული მდგომარეობა და გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დაიწყო შეტევა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე.

1916 წლის 2 ივნისს იტალიის მეფემ მიიღო რუსეთის მეფის საიდუმლო დეპეშა, სადაც ნათქვამი იყო, რომ რუსეთის არმია გადავიდოდა შეტევაზე 4 ივნისს. ასეც მოხდა. 1916 წლის 4 ივნისს რუსეთის ჯარები გენერალ ა. ბრუსილოვის მეთაურობით გადავიდა შეტევაზე სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე.

4—7 ივნისს გენ. ბრუსილოვმა ჩაატარა შესანიშნავი ოპერაცია ლუცკის რაიონში. ავსტრია-უნგრეთის არმია განადგურებულ იქნა. ავსტრიის სარდლობა იძულებული გახდა შეესუსტებინა იტალიის ფრონტი. ასე იქნა ლიკვიდირებული საშიშროება იტალიისათვის ავსტრია-უნგრეთის მხრიდან. „სამხრეთ-დასავლეთის ფრონტმა, — წერდა გენერალ ბრუსილოვი, — შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა — გადაარჩინა იტალია განადგურებისაგან და ომიდან მისი გამოსელისაგან“[18]. ამრიგად, „რუსეთი მიეშველა თავის დასავლეთის მოკავშირეს“[19]. „რუსებს ჰქონდათ სრული წარმატება“ — წერდა ალბერტო ოდონე[20]. რუსების შეტევის შედე-

[10] Dott. Alberto Oddone, Storia della Guerra d'Italia (1915—1918), III ed., Brescia, 1927, pp. 303, 313—324.

[11] R. Poincare, Au Service de la France. Neuf années de souvenirs, vol. VI. Les tranchées, 1915, Paris, 1930, pp. 274, 281.

[12] ЦГВИА, Москва, ф. 2003, д. 55, л. 184.

[13] იქვე.

[14] იქვე, ფ. 254.

[15] იქვე, ფ. 188.

[16] К. Э. Кирова, Революционное движение в Италии 1914—1917 гг., М., 1962, გვ. 247.

[17] Girard Lindsley McEntee, Italy's part in Winning the World War. Prinecton, 1934, p. 43.

[18] А. А. Брусилов, Мои воспоминания, М., 1941, გვ. 207.

[19] Thomas Nelson Page, Italy and the World War, New York, 1920, p. 258.

[20] Dott. A. Oddone, Op. cit., p. 303.

გად, აგრძელებს ის, „სერიოზულად გაუარესდა მდგომარეობა მთელს ავსტრია-გერმანიის აღმოსავლეთის ფრონტზე. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი კრიზისი, რომელიც განიცადეს გერმანელებმა აღმოსავლეთის ფრონტზე“[21].

ასეთი იყო იტალიისათვის რუსეთის ჯარების შეტევის მნიშვნელობა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე 1916 წელს. მაგრამ ზოგიერთი იტალიელი ავტორი არ აქცევს სათანადო ყურადღებას რუსი მოკავშირის როლს იტალიისათვის ამ პერიოდში. უფრო მეტიც, გენერალი კადორნა ცდილობდა შეემცირებინა რუსეთის არმიის შეტევის მნიშვნელობა: 1916 წლის 3 ივნისს მან ბიულეტენში გამოაქვეყნა ცნობა იმის შესახებ, რომ „ავსტრიელთა შეტევა შეჩერებულია“[22], თუმცა „ავსტრიელები აგრძელებდნენ შეტევას და „მძიმე დარტყმებს აყენებდნენ იტალიელებს 5-დან 15 ივნისამდე“[23].

ასეთია ფაქტები. უნდა ითქვას, რომ ამაში არ არის არაფერი დამამცირებელი იტალიის შეიარაღებული ძალების მიმართ. აქ არ არის არც შეურაცხყოფილი და არც შეურაცხმყოფელი. რუსეთ-ავსტრიისა და იტალია-ავსტრიის ფრონტები ხომ ურთიერთდამოკიდებულნი იყვნენ? რუსეთი და იტალია ერთმანეთს შორის იყოფდნენ ავსტრია-უნგრეთის ძალებს (ომში რუმინეთის მონაწილეობამდე). ამიტომ რუსეთისა და იტალიის ჯარების შეტევებს ურთიერთ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა.

იტალიელი ისტორიკოსებიდან რ. რიზალიტიმ თავისი გამოსვლა მიუძღვნა რუსეთსა და იტალიას შორის ეკონომიური ურთიერთობის საკითხებს; ფ. ვალსეკიმ — იტალიის პოლიტიკური წრეების დამოკიდებულებას ომისადმი; რ. რომეომ — იტალიის ფრონტის როლს და რუსეთ-იტალიის ეკონომიურ ურთიერთობას; რ. დე მაიომ — კათოლიკებისა და სოციალისტების დამოკიდებულებას ომისადმი; ტონინიმ — ვენეციის საარქივო დოკუმენტებს რუსეთ-იტალიის საზოგადოებრივ და რევოლუციურ ურთიერთობაზე.

საბოლოო სიტყვით გამოვიდნენ პროფ. პ. ალატრი, რ. მოსკა, კ. კიროვა და ვ. ბოვიკინი. კონფერენციის მუშაობა შეაჯამეს პროფ. ა. ისკანდეროვმა, ლ. ჩერეპნინმა, ვ. ბოვიკინმა, პ. ბრეციმ. მათ აღნიშნეს კონფერენციის მაღალი მეცნიერული დონე, დისკუსიის დროს წამოჭრილი პრობლემატიკის ფართო დიაპაზონი; საქმიანი და კეთილსასურველი ატმოსფერო, რომელშიც ჩატარდა კონფერენცია. როგორც საბჭოთა, ისე იტალიის მხარემ აღნიშნა, რომ კონფერენციამ ხელი შეუწყო სამეცნიერო კავშირების განმტკიცებას ორივე ქვეყნის ისტორიკოსებს შორის. კონფერენციას მაღალი შეფასება მისცა იტალიურმა გაზეთმა „უნიტამ“, რომელმაც თავის ფურცლებზე დაბეჭდა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის პროფ. ა. ისკანდეროვის ინტერვიუ.

19 მაისს იტალიელ ისტორიკოსთა დელეგაცია მიიღო აკად. ე. ჟუკოვმა. საუბრის დროს განხილულ იქნა თემატიკა მომავალი — VI კონფერენციისათვის, რომელიც შედგება იტალიაში (ვენეციაში) 1974 წლის აპრილში.

ილია ტაბაღუა

ეთნოგრაფიული ექსპედიცია ახმეტის რაიონში 1972 წელს

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1971—1975 წწ. ხუთწლიან გეგმაში დიდი ადგილი უჭირავს თუშეთის პრობლემას, რომელსაც სწავლობს კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილება. გეგმის შედგენის დროს გათვალისწინებული იყო თუშეთის ეთნოგრაფიის საკითხების კვლევის განსაკუთრებული მნიშვნელობა ერთი მხრივ, თუშების ყოფისა და კულტურის თაეისებურებათა გამოვლინებისათვის, ხოლო მეორე მხრივ, ქართულ-ვაინახური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის შესწავლისათვის. ასევე გათვალისწინებული იყო პანკისის ხეობის მნიშვნელობა, სადაც საველე მასალის შეგროვება მიმდინარეობდა ჯერ 1965, ხოლო განმეორებით 1970 წელს.

ჩაჩნეთ-ინგუშეთში წარმოებული ნაყოფიერი მუშაობის (1962—1965 წწ.) შემდეგ პანკისის ხეობასა და თუშეთში ეთნოგრაფიული კვლევაძიების დასახეა საესებით შეესაბამებოდა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების პროფილს, მიზანდასახულობასა და პრობლემის გაფართოების პერსპექტივას. ამიტომ, განყოფილებამ და-

---

[21] Ibid.

[22] К. Э. Кирова, Указ. соч., гз. 248.

[23] Girard Lindsley McEntee, Op. cit., p. 43.

ამთავრა თუ არა მუშაობა ოსეთში (1966—1970 წწ.) თანამშრომელთა დიდი უმრავლესობა 1971 წლიდან ჩაება პანკისის ხეობისა და თუშეთის შესწავლაში, რაც საამედო წინაპირობებს ქმნიდა იმისათვის, რომ ზემოხსენებულ რეგიონებში კვლევა ფართო მასშტაბით გაშლილიყო, მაგრამ ისედაც მცირერიცხოვანი განყოფილების მიერ სხვა კუთხეებში (სამეგრელო, სვანეთი, აფხაზეთი) ეთნოგრაფიული ძიების დაწყების ან განახლების გამო თუშეთში მომუშავეთა რიცხვი თითქმის ერთიორად შემცირდა და კვლევა-ძიების მასშტაბიც საგრძნობლად შეიზღუდა. საექსპედიციო მუშაობაში შეტანილი სტრუქტურული ცვლილებების შედეგად იმთავიდანვე დაგეგმილი რეა თემის (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, საცხოვრებელი ნაგებობანი, დასახლების ფორმები, ხალხური მმართველობის სისტემა, საოჯახო ყოფა, საქორწინო წესჩვეულებები, ნათესაობის სისტემა) ნაცელად ამჟამად განყოფილების თემატურ გეგმაში თუშეთის პრობლემიდან დარჩა მხოლოდ ხუთი თემა (მესაქონლეობა, ხალხური მმართველობის სისტემა, საოჯახო ყოფა, საქორწინო წეს-ჩვეულებები, ნათესაობის სისტემა), რომელიც გაპიროვნებულია განყოფილების ხუთ თანამშრომელზე.

მიმდინარე ხუთწლედის პირველ წელს (1971) დამუშავდა პანკისის ხეობის თემატიკა, ხოლო მომდევნო ოთხი წელი (1972—1975) ეთმობა თუშეთის ეთნოგრაფიის საკითხების შესწავლას. მუშაობა ხორციელდება თუშეთის ხეობების (ისტორიულად არსებული ტერიტორიული თემების) მიხედვით ისე, რომ ექსპედიციის საველე საქმიანობა ერთი წლით უსწრებს დაგეგმილი საკითხების კვლევას. ამის შესაბამისად, 1971 წელს ექსპედიციამ მასალები შეაგროვა სოფ. ზემო ალვანში მცხოვრებ წოვა-თუშებში და წოვათაში (წოვა-თუშების ნამოსახლარი)[1], რაც საფუძვლად დაედო 1972 წლის გეგმით გათვალისწინებული საკითხების დამუშავებას. 1971 წელს ექსპედიციაში არ მონაწილეობდა განყოფილების ორი თანამშრომელი (ნ. ჯავახაძე, ლ. მელიქიშვილი), რომელთაც 1972 წლის გეგმის შესრულება ეკალებოდათ ლიტერატურული მონაცემების მიხედვით. მაგრამ ლიტერატურული მონაცემები საამისოდ საკმარისი არ აღმოჩნდა, ისინი ჩაებნენ 1972 წლის ექსპედიციაში და გეგმით სავალდებულო საკითხების შესწავლას საფუძვლად დაუდეს წოვა-თუშებში შეკრებილი მასალა.

ექსპედიციის ძირითად ამოცანას შეადგენდა მასალის შეგროვება 1973 წლის თემატური გეგმით დასახული საკითხებისათვის. მასალის ჩაწერა მიმდინარეობდა უმთავრესად პირიქითი თუშეთის მოსახლეობაში, რომელიც ამჟამად სოფ. ზემო ალვანშია დამკვიდრებული; ნაწილობრივად ხდებოდა წოვა-თუშებში 1971 წელს ფიქსირებული მასალების შევსება-დაზუსტება, ხოლო ექსპედიციის ზოგი წევრი, როგორც უკვე ითქვა, მთელი დატვირთვით მუშაობდა წოვა-თუშებს შორის.

ექსპედიცია მუშაობას შეუდგა 17 ოქტომბერს და ზემო ალვანში ერთ თვემდე დაჰყო შემდეგი შემადგენლობით: ვ. ითონიშვილი (ხელმძღვანელი), ბ. გამყრელიძე (მოადგილე), ნ. ჯავახაძე (უმცროსი მ/თ), ლ. მელიქიშვილი (უმცროსი მ/თ) და გ. ჩიქოვანი (უმცროსი მ/თ). ექსპედიცია ჯერჯერობით შემოიფარგლა მთხრობლებთან შეხვედრით, ვინაიდან პირიქითი თუშეთის ტერიტორიაზე მუშაობის გაშლამდე, რაც განზრახულია 1974 წლის ზაფხულში, საჭირო იყო საკვლევი საკითხების შესახებ ხალხში შემონახული მასალის ფიქსაცია. ამგვარი მასალის შეგროვება პირიქითიდან ჩამოსახლებულ თუშებში ნაკლებ დაბრკოლებას ხვდება წოვა-თუშებთან შედარებით, რაც აიხსნება არსებული ისტორიული ვითარებით. როგორც ცნობილია, წოვა-თუშებმა გაცილებით ადრე დაიწყეს ალვანის მინდორზე ჩამოსახლება, ვიდრე პირიქითისა და ჩაღმა-გომეწრის ხეობებში მცხოვრებმა თუშებმა. ამის გამო მასალა, რომელიც გვაცნობს მთაში ცხოვრების დროინდელ ყოფას და კულტურას, წოვა-თუშებთან შედარებით დანარჩენმა თუშებმა მეტი სისრულით შემოინახეს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პირიქითისა და ჩაღმა-გომეწრის ხეობების შესწავლა იოლ საქმეს წარმოადგენდეს. ექსპედიციას მოელის დიდი სიძნელეების გადალახვა განსაკუთრებით იმის გამო, რომ ეს ხეობები ფაქტიურად მოსახლეობისგან დაცლილია, სადაც ეთნოგრაფი ხშირად მიმართავს საველე მუშაობის იმ მეთოდს, რომლითაც აღჭურვილია სხვა დარგის (ისტორიული გეოგრაფია, არქეოლოგია) წარმომადგენელი.

შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა სრულიად აშკარად გვიჩვენებს, რომ პირიქითი თუშეთი კავკასიის მაღალმთიანეთის ერთ-ერთი ტიპიური ხეობაა მისი რთული რელიეფით, სამეურნეო სავარგულების მდებარეობა-განლაგებით, მეურნეობის დარგებით, დასახლების ფორმით, მატერიალური კულტურის ძეგლებით, მოსახლეობის შემადგენლობით, სოციალური სტრუქტურით თუ სულიერი კულტურით.

თუშეთის შესახებ არსებული ლიტერატურით კარგად არის ცნობილი, რომ ამ კუთხის ძირი-

[1] ვ. ითონიშვილი, კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციები 1971 წელს, ჟურ. „მაცნე", ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1971, № 4.

თადსა და ტრადიციულ დარგებს (მესაქონლეობა, მიწათმოქმედება) შორის წამყვან ადგილზე მესაქონლეობა იდგა. კონკრეტული მონაცემებით ამის უტყუარი დასაბუთების შესაძლებლობას იძლევა მესაქონლეობის შესახებ ბ. გამყრელიძის მიერ შეკრებილი მასალა, რომელიც ვვაცნობს მსხვილფეხა მესაქონლეობისა და მეცხვარეობის განვითარების პირობებსა და ეტაპებს ეთნოგრაფიული ძიებით ხელმისაწვდომი დროის სხვადასხვა მონაკვეთში, მათ რიცხობრივ თანაშეფარდებას და კლება-მატების განმსაზღვრელ ფაქტორებს, საძოვრებით სარგებლობის წესებს, ცხვრის გადარეკვის მარშრუტებს, მესაქონლეთა შრომის ორგანიზაციის ხასიათს, მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებულ საკუთრების ფორმებს. სამეურნეო ნაგებობებს, საქონლის ჯიშებს. პროდუქტების დამზადების ადგილობრივ წესებს და მისი რეალიზაციის ეზებს. მესაქონლეობასთან დაკავშირებულ რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს და ა. შ. აღნიშნულ საკითხებზე მასალის შეგროვებისას საგანგებო ყურადღება ექცეოდა მეცხვარეობას, რამდენადაც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით ქართული მეცხვარეობის შესწავლისათვის, მისი ისტორიული განვითარების სწორად გაგებისათვის, საუკუნეების მანძილზე ხალხში გამომუშავებული პრაქტიკული ცოდნის, შრომითი ჩვევების, მრავალფეროვანი ტრადიციებისა და ზედნაშენური მოვლენების გამომზეურებისათვის თუ სეთი ყველაზე მნიშვნელოვანი კერაა საქვეყნოდ ცნობილი თუშური ცხვრის ჯიშითა და სახელგანთქმული თუშური ყველით.

ხალხური მმართველობის სისტემას სწავლობდა გ. ჩიქოვანი. რომელმაც უმთავრესი დრო მოახმარა პირიქითი თუშეთის მოსახლეობაში მუშაობას, ხოლო წოვა-თუშებში შეავსო 1971 წელს შეკრებილი მასალა. ეს მასალა უმთავრესად წარმოადგენს ხალხურ გადმოცემებს როგორც ხალხის თავშესაყრელი ადგილების, ისე მმართველობის ხასიათის შესახებ. ამ სახის მონაცემებიდან ჩანს, რომ საზოგადოების საკრებულო ადგილს. სადაც სოფლის საკითხები განიხილებოდა, პირიქით თუშეთში ეწოდებოდა საანჯმო, ხოლო სათემო (სახეობო) მნიშვნელობის მქონე საკითხებს არჩევდნენ თემის კრებაზე ხელისბერების ხელმძღვანელობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ექსპედიციის ორი წევრი (ნ. ჯავახაძე, ლ. მელიქიშვილი) მასალას კრებდა წოვა-თუშებში. ნ. ჯავახაძე სწავლობდა ნათესაობის სისტემას. ამ საკითხზე შეკრებილი მასალის მიხედვით დგინდება ნათესაობის სამი კატეგორია: სისხლითი, მოყვრობითი და ხელოვნური. ამასთან ერთად, სისხლითი და მოყვრობითი ნათესაობის ხაზით გამოიყოფა ნათესაური ურთიერთობის აღმნიშვნელი საკლასიფიკაციო და აღწერილობითი ტერმინები. დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენს წოვა-თუშებში დადგენილი ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინების რიგ შემთხვევაში ეაინახურთან ენობრივ-შინაარსობრივი იდენტურობა, ისევე როგორც ნიშანდობლივია ნათესაური ურთიერთობის სფეროში იმ ცნებებით სარგებლობა, რომელიც შეესაბამება ქართული ნათესაობის სისტემას. ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებთან ერთად მასალა შეკრებილ იქნა ნათესაურ ურთიერთვალდებულებათა შესახებ, რაც გამოხატულებას პოულობდა ქორწინებაში, მესისხლეობაში, მგლოვიარობაში და ა. შ.

ლ. მელიქიშვილის მიერ შეკრებილი მასალის მიხედვით დგინდება საქორწინო ურთიერთობის ხასიათი წოვა-თუშებში, დაწყებული ქორწინებაზე შეთანხმების წინამძღვრებით და გათავებული ახალი ოჯახის შექმნით და მასში მოქმედი უფლება-მოვალეობებით. საქორწინო კავშირის დამყარება გულისხმობდა დამოყვრების მსურველი ოჯახების ღირსება-ნაკლოვანებების გათვალისწინებას, დაწესებულ ვალდებულებათა შესრულებას და ბოლოს, შუამავლის მეშვეობით შეთანხმების მიღწევას. მასალის მიხედვით, ქალის მამასთან შუამავლის მოლაპარაკება ხდებოდა სახლის გარეთ, ეზოში, საიდანაც მისი უარით გამოსტუმრება საქმის ჩაშლას ნიშნავდა. შეთანხმების შემთხვევაში კი, რაც ასევე სახლის გარეთ უნდა მომხდარიყო, ეწყობოდა ნიშნობა, ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ იმართებოდა ქორწილი, რომლის შესახებ აღწერილობითი ხასიათის მასალა საკმაო სისრულითაა მოპოვებული. ამასთან ერთად, მასალა შეკრებილია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: მოტაცებით ცოლის შერთვის ჩვეულება, სალოცავში პატარძლის გაყვანის რიტუალი, ქალის უფლებრივი მდგომარეობა, ცოლ-ქმრის გაყრის პირობები და სხვა, რაც მნიშვნელოვან წყაროდ გვესახება ქართველი და კავკასიელი ხალხების საქორწინო წეს-ჩვეულებების შესწავლისათვის.

როგორც 1971, ისე 1972 წლის საველე მუშაობაში ექსპედიციის ერთ-ერთ ამოცანას შეადგენდა საოჯახო ყოფის შესწავლა (ვ. ითონიშვილი). მთხრობლების გამოკითხვის შედეგად აღწერილია როგორც მთაში მცხოვრები, ისე ბარად ჩამოსახლებული ოჯახები ისეთი კომპონენტების მიხედვით, როგორიცაა ოჯახის შემადგენლობა, ქონება და საოჯახო მეურნეობა, მმართველობის სისტემა და შრომის ორგანიზაცია, ოჯახის წევრთა ურთიერთდამოკიდებულების ნორმები, საკუთრების ფორმები, გაყრის წესი და განაყართა ურთიერთობის ხასიათი. ამ ელემენტების მიხედვით ხდებოდა მასალის ჩაწერა როგორც გაუყრელი, ისე ინდივიდუალუ-

რი ოჯახების შესახებ, რომელთა შორის პირველი წარმოადგენდა საოჯახო თემის გადმონაშთურ სახეობას, ხოლო მეორე, ოჯახის ისეთ ტიპს, რომელსაც დიდი ხნიდან მოუპოვებია გაბატონებული მდგომარეობა თუშების ცხოვრებაში.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დიდი ოჯახის ელემენტების დადგენა ხერხდება მთაში ცხოვრების ამსახველი ფაქტობრივი მონაცემებით. ამგვარი ოჯახის დაშლის პროცესი განსაკუთრებით დაჩქარა მთიდან ბარში ჩამოსახლებამ, რასაც თავის მხრივ მოყვა საოჯახო ყოფის არსებითი შეცვლა. საყურადღებო მომენტი შეინიშნება იმ მხრივაც, რომ ალვანში დასახლების შედეგად პირიქითელი თუშების საოჯახო მეურნეობა გაფართოვდა და ეს მოხდა ძირითადად მეცხვარეობის აღმავალი განვითარების ნიშნით. მოპოვებული მასალიდან ამ ორ მომენტს — დიდი ოჯახების დაშლის პროცესის გაღრმავებას და მეცხვარეობის დიდი მასშტაბით განვითარებას — განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რამდენადაც თუშეთში დიდი მასშტაბის მეურნეობა ვითარდებოდა დიდი ოჯახის დაშლის პირობებში. მაშასადამე, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალა ერთხელ კიდევ ააშკარავებს იმ გარემოებას, რომ ოჯახის სიდიდე (რიცხობრივი შემადგენლობა) და სიმდიდრე ყოველთვის არ შეესაბამება ერთმეორეს. ალვანში მცხოვრები მდიდარი ოჯახები ძირითადად იყენენ ინდივიდუალური (მცირერიცხოვანი) ოჯახები, რომლებიც თავიანთ მეურნეობაში იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. ჩვენი მასალების მიხედვით ასეთი ტიპის ოჯახს ერქვა არა დიდი ოჯახი, არამედ მდიდარი ოჯახი, რამდენადაც თუშების გაგებით დიდი ოჯახი პირველ ყოვლისა რიცხობრივად დიდ ოჯახს ჰქვია. მდიდარ ოჯახსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში უწოდებენ დიდს, თუ ის მრავალრიცხოვანია.

ამ მიმართულებით საკითხის შემდგომ კვლევაში თუშეთის, კერძოდ, პირიქითი თუშეთის ეთნოგრაფიულ მასალას სათანადო მნიშვნელობა ენიჭება, რომელიც მხარში ამოუდგება მთიულეთ-გუდამაყარში, ხევში, ქსნის ხეობაში თუ საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის მთიანეთში აღრე შეკრებილ ამ რიგის ფაქტობრივ მონაცემებს. თუშების საოჯახო ყოფის შესახებ შეკრებილი მასალა მნიშვნელოვან წყაროდ გვესახება ერთი საკითხის გასაშუქებლადაც. გამოთქმულია მოსაზრება, რომ მეცხვარეობის დიდი მასშტაბით განვითარება მოითხოვდა დიდძალ მუშახელს (მწყემსები, მწველავები...), ხოლო ეს გარემოება თავისთავად ხელს უწყობდა დიდი ოჯახის გაუყრელად ცხოვრებას, რათა დიდ მეურნეობას გასძღოლოდა დიდი ოჯახის მრავალწევრიანი კოლექტივი. ვფიქრობთ, რომ ამასთან დაკავშირებით თუშეთის მასალა სათანადო დასკვნის მიღების შესაძლებლობას მოგვცემს. ეს მომავლის საქმეა, მაგრამ ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ პირიქითელი თუშების ყოფაში დამახასიათებელ მომენტს წარმოადგენდა დიდი ოჯახების დაშლა მეცხვარეობის აღმავლობასთან დაკავშირებით და არა გაუყრელად ცხოვრების შენარჩუნება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ოჯახის ადრინდელ სახეობათა შესწავლისათვის თუშებში მასალის შეგროვება დიდ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ამის მიზეზად მიგვაჩნია მთიდან აყრა-ჩამოსახლება, ტრადიციის ჯაჭვის გაწყვეტა და ახალ პირობებში ცხოვრების განვითარება. ეს ჩანს თუნდაც წოვა-თუშებისა და პირიქითელი თუშების მასალების მიხედვით. ვინაიდან წოვა-თუშებმა უფრო ადრე მიატოვეს მთა, მათი ძველი სოციალური ინსტიტუტების თავისებურების შესწავლაც ბევრად გაძნელებულია. ეს შეეხება აგრეთვე ოჯახის ფორმებსაც. წოვა-თუშებისგან განსხვავებით, სადაც დიდი ოჯახის გადმონაშთური სახეობის არსებობა ძნელად შესამჩნევია, პირიქითელი თუშების ცხოვრებაში ამ ტიპის ოჯახი შედარებით უკეთ ყოფილა შემონახული, მაგრამ საოჯახო თემის გადმონაშთური სახეობისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა ის სისრულე, რომელიც გაჩნდა დიდ ოჯახს ხევში, მთიულეთ-გუდამაყარში, მთარაჭაში, სვანეთში ან ჩრდილო კავკასიის რომელიმე კუთხეში, პირიქითი თუშეთის მოსახლეობაში აღარ დასტურდება.

დაახლოებით ასეთი შინაარსისაა 1972 წლის საველე მუშაობის შედეგად მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც ამჟამად დამუშავების პროცესში იმყოფება. მომავალში ექსპედიციის მიზანს შეადგენს მასალის შეგროვება ჩაღმა-გომეწრის ხეობებში და ქვემო ალვანში, რაც უნდა დამთავრდეს 1974 წელს, ხოლო მიმდინარე ხუთწლედის ბოლო წელს გათვალისწინებულია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დასრულება გეგმით სავალდებულო ყველა თემაზე და კრებულის სახით მისი გამოქვეყნება.

ვალერიან ითონიშვილი

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმი 1972 წელს.

1972 წლის განმავლობაში ქუთაისის აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი ჩაბმული იყო მუზეუმების საკავშირო დათვალიერებაში, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. ამ თარიღთან დაკავშირებით მუზეუმის კოლექტივმა აიღო ვალდებულება, რომელიც სამუზეუმო მუშაობის ყველა მხარეს მოიცავდა. ვალდებულების მიხედვით მუზეუმის მთელი კოლექტივი ეწეოდა, როგორც სამეცნიერო-კვლევითს, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. საიუბილეო წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მუზეუმის ფონდების გამდიდრებას ახალი მასალებით. სულ ერთი წლის განმავლობაში 2000 დასახელების სამუზეუმო საგანი იქნა გამოვლენილი და შეგროვილი. ეს მასალები ეხებიან, როგორც რევოლუციამდელ პერიოდს, ასევე საბჭოთა საზოგადოების ისტორიას. ძველი ისტორიის ამსახველი მასალებიდან აღსანიშნაია ჩვ. წ. ა. მე-4 ს. მონეტების განძი, ხალხური ოქრომჭედლობის ძეგლები, ხელნაწერი წიგნი. დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა, საინტერესო ქსოვილები, მხატვარ პაუესკის ნამუშევრები და სხვ.

განსაკუთრებით საინტერესო დოკუმენტები შეემატა საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველ ფონდს. ესენია უწინარეს ყოვლისა პროდუქციის საუკეთესო ნიმუშები, რომლებსაც ჩვენი ქალაქის წამყვანი საწარმოები უშვებენ, საინტერესოა ის მასალები, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობას ასახავენ. მიმდინარე წელს კიროვაბადისა და ლენინაკანის მშრომელებმა საინტერესო სამახსოვრო საჩუქრები და სუვენირები გამოუგზავნეს ჩვენს ქალაქს. ეს მასალები ამჟამად ქუთაისის მუზეუმშია დაცული. ისინი ძვირფას დოკუმენტებს წარმოადგენენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეორე სამრეწველო და კულტურული ქალაქების ქუთაისის, კიროვაბადისა და ლენინაკანის მშრომელთა შორის არსებული სოციალისტური შეჯიბრებისა და ურთიერთ მეგობრობის შესწავლისათვის. ამასთან ერთად ამ მასალების ექსპონირება ხელს უწყობენ მოძმე რესპუბლიკების ხალხთა მეგობრობის ზრდასა და განმტკიცებას.

მუზეუმის ფონდების გამდიდრების ძირითად საშუალებად კომპლექსური ექსპედიციები ითვლება. 1972 წელს ქუთაისის მუზეუმმა ასეთი ექსპედიცია მოაწყო წულუკიძის რაიონში. ექსპედიციამ ძვირფასი მასალები შესძინა მუზეუმს. ნივთიერ მასალებთან ერთად ექსპედიციამ საინტერესო ზეპირსიტყვიერი მასალები შეაგროვა და ჩაიწერა, რომლებსაც მხარის შესწავლის საქმეში გარკვეული მნიშვნელობა აქვს. ექსპედიციამ ყურადღება მიაქცია ჩვენს ლიტერატურაში ნაკლებად ცნობილ მატერიალური კულტურის რამდენიმე ძეგლს.

მუზეუმის მეცნიერ მუშაკებმა გამოსაცემად მოამზადეს მუზეუმის „მასალების“ მესამე წიგნი 14 საავტორო თაბახის მოცულობით, რომელიც ისე, როგორც წინანდელი ორი წიგნი მიზნად ისახავს მუზეუმში დაცული მასალების პუბლიკაციას. მესამე წიგნში შეტანილია ისეთი საკითხები, როგორიცაა: „ისტორიული მასალები“ (ეპიგრაფიკული ძეგლები), ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში“, „ვერცხლის სარტყლები“, ს. ისიანის წერილები ქუთაისის მუზეუმში და სხვ. ამასთან ერთად მეცნიერ მუშაკებმა მოამზადეს საკელეი თემები საქართველოს კულტურის ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. ასე, მაგალითად, საკოლმეურნეო მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (მ. ბერძული)), სოფლის მოსახლეობის დემოგრაფიული ცვალებადობა 1971 წლის მონაცემების მიხედვით (ი. ფუტკარაძე), ქუთაისში გამოცემული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოები (პ. ვაჭრიძე), ქუთაისის მიდამოების „გორიკები“ (ლ. ჯიქია). ქუთაისის მუზეუმში დაცული დასავლურ-ქართული ფული (ზ. წიტაიშვილი), ერთი საბუთი გლეხთა ვალდებულების შესახებ (რ. აბესაძე), ამბროსი ნეკრესელის პოეზია (მ. ნიჟარაძე), მუზეუმში დაცული ვერცხლის სარტყლები (ც. ზვიადაძე), ქუთაისი და ამიერკავკასიის რკინიგზა (მ. ნიკოლეიშვილი), დ. კაკაბაძის ცხოვრება და შემოქმედება (დ. ლოსაბერიძე). ეს თემები, რომელთა თეზისები დაბეჭდილია ქართულ და რუსულ ენებზე, წარმოდგენილ იქნა 1972 წლის 26 დეკემბერს მუზეუმის მე-12 სამეცნიერო სესიაზე, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს.

მუზეუმში დაცული ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით გამოიცა ბროშურა. ქუთაისის მუზეუმის შესახებ, ქართულ და რუსულ ენებზე, ინგლისური რეზიუმეთი. იბეჭდება ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე მუზეუმის მიერ შედგენილი გზამკელეი გელათის ძეგლ-მუზეუმის შესახებ.

მუზეუმში სათანადო ყურადღება ექცეოდა სამეცნიერო-ტექნიკური სამუშაოების წარმოებას. არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიული ძეგლების კოლექციებზე შედგენილ იქნა სამეცნიერო კატალოგები, თანმიმდევრულად გრძელდებოდა ახლადმიღებული მასალების პირველადი დამუშავება: შემფასებელი და შემოწირულება-

თა აქტების წარმოება, სამუზეუმო დავთრებში გატარება, კართოტეკების შედგენა და სხვ. რესტავრაცია ჩაუტარდა ხელნაწერ წიგნებს, ქსოველებსა და მონეტებს.

საიუბილეო წელს მუზეუმში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საექსპოზიციო მუშაობას. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენების მოწყობა. ამჟამად მოქმედ საბჭოთა საზოგადოების ისტორიის ამსახველ გამოფენაში რეექსპოზიცია ჩაუტარდა იმ განყოფილებას, სადაც წარმოდგენილია სამამულო ომის შემდეგდროინდელი პერიოდი. ექსპოზიციაში პროდუქციის ნიმუშებით, ფოტომასალებით და სხვა დოკუმენტებით ნაჩვენებია ჩვენი ქალაქის მრეწველობის წამყვანი დარგები, განსაკუთრებით ის საწარმოები, რომლებსაც გარკვეული ადგილი უჭირავთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. ნაჩვენებია აგრეთვე ქალაქის კულტურული ცხოვრების დონე. სპეციალური გამოფენა მოეწყო თემაზე: ხალხთა ლენინური მეგობრობა სსრ კავშირის ძლიერების წყაროა. ამ გამოფენაში ყურადღებას იპყრობს დოკუმენტური, ფოტო და ნიეთიერი მასალები, რომლებიც ასახავენ სსრ კავშირის მშრომელთა საწარმოო და შემოქმედებით ურთიერთმეგობრობას, რომელიც არსებობს საქართველოსა და მოძმე რესპუბლიკებს შორის.

მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი რეოლუციამდელი პერიოდის ამსახველ ექსპოზიციაში: ახლებურად იქნა მოწყობილი ის განყოფილება, რომელიც ასახავს რუსეთ-საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ურთიერთობას, XIX საუკუნის სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას. ძალზე საინტერესოდ და მიმზიდველად მოეწყო იმერელი გლეხის შუაცეცხლიანი საცხოვრებელი სახლის დიორამა. ეს არის ძველური სახლი, რომელსაც იატაკი მიწით აქვს მოტკეპნილი. ხოლო სხვენი ჩელტით დაფარული. სახლის შიგა ასახულობა თანმიმდევრულად უკავია საცხოვრებელ, სამზარეულო და საწარმოო ყოფასთან დაკავშირებულ საგნებს.

ასევე პირველად მოეწყო მუზეუმში ძველი ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის ძეგლების დახურული გამოფენა. აქ წარმოდგენილია ჰედური ხელოვნების განსაკუთრებით ძვირადღირებული და მეცნიერებისათვის დიდმნიშვნელოვანი ძეგლები. ამ უნიკალური ძეგლების პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს ტელევიზიამ მოაწყო სპეციალური გადაცემა ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის შესახებ რუბრიკით: მსოფლიოს მუზეუმებში.

ნაყოფიერად მუშაობდა საიუბილეო წელს გელათის სახალხო აკადემია, რომელიც ჩვენს მუზეუმთან მოქმედებს. იგი უფრო მიმზიდველი და საინტერესო გახდა. ძალზე გაიზარდა საზოგადოებრიობის დაინტერესება სახალხო აკადემიის საქმიანობისადმი. ამასთან დაკავშირებით მუზეუმის დირექციის მიერ გატარდა მთელი რიგი ღონისძიებანი მისი მატერიალური ბაზის გაფართოებისათვის. აკადემიის განკარგულებაშია დიდი სააქტო დარბაზი, რომელიც 500 კაცს იტევს. იგი აღჭურვილია სათანადო ტექნიკური მოწყობილობით. წელს დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი აკად. გ. ჯიბლაძის მოხსენება შ. რუსთაველის ესთეტიკური სამყაროს შესახებ. აკად. ა. ბარამიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „შ. რუსთაველი მსოფლიო სარბიელზე". საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორ. შ. ძიძიგურმა — „ქართული ენის მონათესავე ენები მსოფლიოში". აღსანიშნავია, რომ გელათის სახალხო აკადემიის მუშაობაში ქალაქის მთელი ინტელიგენციაა ჩაბმული და ამიტომ არის, რომ ყოველი მეცადინეობა მაღალ დონეზე ტარდება. აკადემიის სააქტო დარბაზი ყოველთვის გადატვირთულია, როდესაც ჩვენი ღვაწლმოსილი მეცნიერები გამოდიან მსმენელთა წინაშე მოხსენებებით.

მუზეუმის დირექცია და სახალხო აკადემიის რექტორატი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს აკადემიის მუშაობის აღნუსხვისა და დოკუმენტაციის წარმოებას. აკადემიის მთელი მუშაობა დაარსებიდან დღემდე, ფირზე არის გადატანილი, შედგენილია დოკუმენტური მატიანე. თანმიმდევრულად შუქდება პრესაში მისი ძირითადი საქმიანობა, ხოლო განსაკუთრებული სიახლენი გადაიცემა საქართველოს რადიოთა და ტელევიზიით.

გელათის სახალხო აკადემიის ცხოვრებაში და საერთოდ ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში 1972 წელი იმითაც იყო აღსანიშნავი, რომ ამ საიუბილეო წელს გელათის სახალხო აკადემიაში საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა აზერბაიჯანის სსრ და სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიების მონაწილეობით გაიმართა გამსვლელი საიუბილეო სესია მიძღვნილი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი, სესიის მუშაობაში მონაწილეობას ღებულობდნენ ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები აკადემიკოსების ნ. მუსხელიშვილის და ი. ვეკუას ხელმძღვანელობით.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის წევრ. კორესპონდენტის ვ. ბერიძის მოხსენება თემაზე — „ქართული ხელოვნებათმცოდნეობა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავზე"; „საქართველო მე-11 საუკუნის დასასრულსა და მე-12 საუკუნის დასაწყისში" ასეთი იყო თემა, რომლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პროფ. მ. ლორთქიფანიძე; ვანის არ-

ქეოლოგიური გათხრების შესახებ მოხსენებით გამოვიდა პროფ. ოთ. ლორთქიფანიძე. საიუბილეო წელს მუზეუმში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის დარგში, მოეწყო შეხვედრები მოწინავე ადამიანებთან, ჩატარდა ღია გაკვეთილები, ღია კარების დღეები და სხვ.

მუზეუმს ათეულ ათასობით დამთვალიერებელი ჰყავს. მას ნახულობენ არა მარტო ჩვენი ქვეყნის თვალუწვდენელი მხარეებიდან ჩამოსული ექსკურსანტები, არამედ საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრები. მარტო 1972 წლის განმავლობაში მუზეუმი 100000-ზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

ქუთაისის აკად. ნ. ბერძენიშვილის სახელობის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გარკვეულ მუშაობას ეწევა ჩვენი ერის კულტურული მემკვიდრეობით მოვლა პატრონობისა და პოპულარიზაციის საქმეში. მას თავისი სპეციფიკის მიხედვით მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ჩვენი პარტიისა და მთავრობის იმ დადგენილებათა განხორციელების საქმეში, რომლებიც გამიზნულია ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობისათვის.

მიხეილ ნიკოლეიშვილი

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის საიუბილეო სესიაზე

ძველი კოლხეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრის — ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი მასალა, რომელიც პირველხარისხოვანი წყაროა საქართველოს ანტიკური ხანის არქეოლოგიისა, ხელოვნებისა თუ ისტორიის სხვადასხვა საკითხების კვლევისას.

1972 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ვანის არქეოლოგიურ ექსპედიციას 25 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღს მიეძღვნა სამეცნიერო სესია, რომელიც გაიმართა 1973 წლის 28 თებერვალსა და 1 მარტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში. სესიისთვის მოეწყო წიგნების, ჟურნალებისა და ფოტო-სურათების გამოფენა, რაც მეტ-ნაკლები სისრულით ასახავდა ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიას. გამოიცა აგრეთვე სესიაზე წასაკითხად წარდგენილ ნაშრომთა მოკლე შინაარსები ქართულ და რუსულ ენებზე და ვანის ნაქალაქარის შესახებ სრული ბიბლიოგრაფია[1].

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა, რომელმაც აღნიშნა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის მნიშვნელოვანი მიღწევები ძველი კოლხეთის ერთ-ერთი დაწინაურებული ქალაქის კვლევის საქმეში. მისი წინადადებით დამს წრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა პირველი ქართველი არქეოლოგი ქალის, ვანის არქეოლოგიური გათხრების პირველი ხელმძღვანელის ნინო ხოშტარიას ხსოვნას.

ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელმა ოთ. ლორთქიფანიძემ მოხსენებაში — ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წელი — დაწვრილებით დაახასიათა ექსპედიციის მუშაობა, გამოჰყო ორი ეტაპი მის 25-წლიან ისტორიაში. პირველ ეტაპზე (1947—1963 წწ.) ექსპედიციის მუშაობა გეგმიან, მაგრამ არა სისტემურ ხასიათს ატარებდა; მიუხედავად ამისა, ადგილი ჰქონდა დიდი მეცნიერული მნიშვნელობის აღმოჩენებს (ძვ. წ. III—I სს. ხუროთმოძღვრული ნაგებობების ნაშთები და კულტურული ფენები, ძვ. წ. V—IV და IV—III საუკუნეების მდიდრული სამარხები). ექსპედიციის მუშაობის მეორე ეტაპზე (1966—1972 წწ.). არქეოლოგიური გათხრების სისტემურ და ფართო მასშტაბით წარმოებისას, გამოვლინდა ძვ. წ. III—I საუკუნეების გალავნის კედლები და კოშკები, კარიბჭის კომპლექსი, ე. წ. მოზაიკურიატაკიანი ტაძარი, მრგვალი და აბსიდიანი(?) ნაგებობანი, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობის ნაშთები: ძვ. წ. V—IV საუკუნეების მძლავრი კულტურული ფენები და ნაგებობათა ნაშთები, მდიდრული სამარხები. მომხსენებელმა განიხილა ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წლის განმავლობაში მოპოვებული უმნიშვნელოვანესი ძეგლები, რომელთა შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ქალაქის ისტორიაში ორი საფეხურის გამოყოფა (ძვ. წ. VI—IV სს. და ძვ. წ. III ს-ის დასაწყისიდან

---

[1] ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 25 წელი (1947—1972), სამეცნიერო სესიის თეზისები და ბიბლიოგრაფია, თბ., 1973, გვ. 3—61.

ძვ. წ. I ს-ის შუა ხანებამდე) და ქალაქის ხასიათის — მისი სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ბუნების განსაზღვრა.

რ. ფუთურიძის მოხსენებამ — ვანის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიიდან — გააშუქა არქეოლოგიური ექსპედიციის ჩამოყალიბებამდე, ვანის სიძველეების შემსწავლელ მხარეთმცოდნეთა, არქეოლოგთა და ისტორიკოსთა მოღვაწეობა. განსაკუთრებით აღინიშნა აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის დამსახურება, რომლის სახელთან დაკავშირებულია ვანის ნაქალაქარის მეცნიერული კვლევის დასაწყისი (1896 წლის არქეოლოგიური სამუშაოები დაბა ვანში) და ვანის სიძველეების პირველი მეცნიერული პუბლიკაციები. ექვთიმე თაყაიშვილმა ივარაუდა ე. წ. ახელედიანების გორაზე ქალაქის არსებობა, რომელიც ხევებით იყო დაცული; ამ ქალაქის კავშირები ეგვიპტესთან, საბერძნეთთან, რომთან. მასვე ეკუთვნის სავსებით მართებული მოსაზრება ვანში ნაპოვნი ოქროს ნივთების ადგილობრივობის შესახებ. დიდმა მეცნიერმა იწინასწარმეტყველა ვანის ნაქალაქარზე დიდი აღმოჩენები. მომხსენებელმა საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით მოწყობილ არქეოლოგიურ დაზვერვებზე ვანში.

გ. ლეჟავას, გ. ლორთქიფანიძისა და ბ. მჭედლიშვილის მოხსენებაში — ვანის ნაქალაქარის თავდაცვითი ნაგებობანი (სესიაზე მოხსენება გააკეთა გ. ლორთქიფანიძემ) — განხილული იყო ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ელინისტური ხანის სასიმაგრო ნაგებობანი; ქალაქის დამცველი გალავნის ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი სექტორი, დამცველი კოშკებით; ქალაქის კარიბჭე. მითითებულ იქნა, რომ ანტიკური ხანის სხვა ქალაქების მსგავსად, ვანის ნაქალაქარზეც სტრატეგიული ფაქტორი განსაზღვრავდა დაგეგმარების პრინციპებს. მშენებლების მიერ სწორადაა გათვალისწინებული რელიეფის სირთულე და თავისებურება, რასაც ექვემდებარება თავდაცვითი ხაზის მიმართულება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ვანის ნაქალაქარის თავდაცვითი ნაგებობანი სამხედრო-საინჟინრო მშენებლობის მაღალი დონის მაჩვენებელია.

ნ. მათიაშვილის მოხსენება — ელინისტური კულტურის ძეგლები ვანიდან — მიეძღვნა ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილ ბრინჯაოს მხატვრულ ნაწარმს, კერძოდ, ჭურჭლის შესამკობად განკუთვნილ ერთ მედალიონს, რომელიც ჰერაკლეს სკულპტურულ გამოსახულებას წარმოადგენს. მომხსენებლის აზრით, გამოსახულება კომპოზიციურად გარკვეულ კავშირს ავლენს ლისიპოსის „წვეროსან ჰერაკლესთან“ და იგი ამ უკანასკნელის ერთ-ერთ პირად უნდა იქნეს მიჩნეული. სკულპტურა დამზადებულია კოლხი ხელოსნის მიერ. მომხსენებელმა შესაძლებლად მიიჩნია ძეგლის ძველი და ახალი წ. ა. მიჯნით დათარიღება.

მ. ლორთქიფანიძის მოხსენებაში — ძვ. წ. VI—IV სს. საბეჭდავი — ბეჭდები და ჭრილაქეები ვანიდან — წარმოდგენილი იყო ვანის ნაქალაქარზე აღმოჩენილი ჭრილა ფარაკიანი ლითონის ბეჭდებისა და გემების შესწავლის შედეგები. მომხსენებლის მითითებით, ძველ ვანში ჭრილაფარაკიან ბეჭდებს საბეჭდავის დანიშნულება ჰქონდათ და ისინი, უპირატესად, ზედაფენის წარმომადგენლების კუთვნილებას შეადგენდა. საბეჭდავი ვანში ძვ. წ. VI საუკუნის ბოლოდან შემოდის ხმარებაში, ინტალიოთა ერთი ნაწილი განსაზღვრულ იქნა იმპორტულ, სახელდობრ, იონურ სახელოსნოდან გამოსულ ნახელავად — არქაულ საბეჭდავ-ბეჭდებად; ხოლო მეორე ნაწილი — ადგილობრივი მჭრელების მიერ შესრულებულ ნაწარმოებებად. ინტალიოთა ხასიათის მიხედვით ძველ ვანში საბეჭდავის ფუნქციონალური დანიშნულება სხვადასხვა იყო: პერსონალური და უფლებრივი.

ქ. რამიშვილის მოხსენებამ — ტერაკოტები ვანიდან — განიხილა ვანში აღმოჩენილი მცირე ტერაკოტული ქანდაკების ნაწილი — ქალის თავი (დემეტრე ან მისი წრის სხვა ქალღმერთი); დიდი ზომის მამაკაცის ნიღბის, დიონისე-ბავშვის(?) გამოსახულების ფრაგმენტები; დიონისეს ნიღაბი, რომლებიც ძვ. წ. II—I საუკუნეებს განეკუთვნებიან, მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ვანში აღმოჩენილი ტერაკოტები კიდევ ერთხელ ცხადყოფენ დიონისეს კულტის გავრცელებას ანტიკური ხანის ვანში და წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყაროს ძველი კოლხეთის რელიგიისა და მხატვრული კულტურის შესწავლის საქმეში.

ა. ჭყონიას მოხსენებაში — კოლხური ოქრომჭედლობის განვითარების ძირითადი საფეხურები ვანის არქეოლოგიური მასალების მიხედვით — საუბარი იყო ვანის ნაქალაქარზე გამოვლენილი ძვ. წ. V—IV საუკუნეების ოქრომჭედლობის ძეგლებზე (ოქროსა და ვერცხლის დიადემები, სხვადასხვაგვარი საკიდებისა და მძივების მონაცვლეობით შედგენილი თავსამკაული, საყურეები და სასაფეთქლეები). აღინიშნა, რომ ამ ძეგლთა განმსაზღვრელი ნიშნები დამახასიათებელი ჩანს საერთოდ კოლხური ოქრომჭედლობისათვის, მაგრამ ვანის აღმოჩენები ხშირ შემთხვევაში ამდიდრებს მას ახალი ფორმებითა და შემკულობათა სახეებით.

სესიაზე წარმოდგენილი იყო აგრეთვე ვანის ნაქალაქართან დაკავშირებული სასოფლო ოლქების (ციხესულორი, დაბლაგომი, დაფნარი) არქეოლოგიური შესწავლის შედეგები.

მ. მიწიშვილმა წაიკითხა მოხსენება — არქეოლოგიური გათხრები ციხესულორის ნაციხარზე. აქ გამოვლენილმა მასალამ მომხსენებელს შესაძლებლობა მისცა ევარაუდა უწყვეტი ცხოვრება ელინისტურიდან ვიდრე გვიანფეოდალურ ხანამდე. ელინისტური ხანის სამოსახლო ვანის ანტიკურ ქალაქთან იყო დაკავშირებული და ამ ქალაქთან ერთად დაინგრა. გარკვეული დროის შემდეგ (ფეოდალურ ხანაში), კირქვის ანატკეცებისგან შექმნილ საამშენებლო მოედანზე აშენდა სამხედრო სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე, რომელმაც გვიანფეოდალურ ხანამდე იარსება.

ე. თოლორდავას მოხსენება — არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში — მიეძღვნა სოფელ დაბლაგომში და მის მიმდებარე ნაციხვარას და ნასაკირეევის ბორცვებზე მოპოვებულ არქეოლოგიური მასალის შესწავლას. მომხსენებლის მიერ გათხრილ იქნა სამაროვანი, კულტურული ფენები და სამოსახლოების ნაშთები. გამოყოფილია ცხოვრების ორი პერიოდი: ძვ. წ. VI—IV სს. და ძვ. წ. IV—III სს. დაბლაგომში დამოწმებული მძლავრი კულტურული ფენები საკმაოდ დიდ დასახლებაზე მიგვანიშნებს. არსებული მასალების მიხედვით, ანტიკური ხანის დაბლაგომი, როგორც დასახლებული პუნქტი, ძვ. წ. III საუკუნის მიწურულში წყვეტს არსებობას.

ნ. კიღურაძის მოხსენებამ — დაფნარის ნასოფლარი და სამაროვანი — ასახა დაფნარის ანტიკური ხანის ნასოფლარისა და მასთან დაკავშირებული სამაროვნის გათხრების ძირითადი შედეგები. მომხსენებლის მითითებით, დაფნარის ნასოფლარის სახლები განლაგებული იყო გორაკების ფერდობზე ხელოვნურ ან ბუნებრივ ვაკობებზე, ტერასებზე. ნაგებობის ძირითადი კონსტრუქციები ხისა იყო. მათ თიხით შელესილი წნული კედლები ჰქონდათ. სამაროვანზე გაითხარა 35 ქვევრსამარხი. განსხვავება ცალკეული ქვევრსამარხის ინვენტარს შორის უმნიშვნელოა და გარკვეული. სოციალური კატეგორიის შიგნით ძნელდება ქონებრივი და უფლებრივი უთანასწორობის დანახვა.

მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში წამოიჭრა რამდენიმე საინტერესო საკითხი, კერძოდ: ელინისტურ ხანაში ვანის ნაქალაქრის ფუნქციის გარკვევა, კოლხეთში აღმოსავლეთ ქართული ტომების (მესხების) ექსპანსია, ძველი კოლხეთიდან ოქრომჭედლობის ძეგლთა გატანა და სხვა.

ანა ჯყონია

МАЦНЕ

Серия истории, археологии, этнографии и истории искусства, 1973, № 2.

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19.
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, № 19
ტელეფონი
телефон 37-24-07

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31.7.1973; შეკვ. № 489; ანაწყობის ზომა $7 \times 11^1/_2$; ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_{16}$; ნაბეჭდი თაბახი 18.03; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16.46; ეე 01104; ტირაჟი 900
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19